

დათო ყანდაშვილი

სულიერი ცხოვრების გზა მატერიალურ სამყაროში

წიგნი II



დათო ყანდაშვილი

სულიერი ცხოვრების გზა მატერიალურ სამყაროში

წიგნი II



გამომცემლობა „უნიონპრესი“
თბილისი 2009

© დ. ყანდაშვილი, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-733-5

ეს წიგნი შეეხება იმას, თუ როგორ უნდა შეძლონ ადამიანებმა ერთმანეთთან დაახლოვონ მამაკაცური და ქალური სანყისები, რაც, პრინციპში, მიზეზი გახლავთ მატერიალური სამყაროს წარმოშობისა, როგორ უნდა აიგოს ის სპირალური (სიბრტყეზე სინუსოიდის სახით გამოხატული), რომელიც შეძლებს მატერიალური სამყაროს დასაბამიდან მამაკაცური და ქალური სანყისების თავდაპირველი ადგილმდებარეობების შუაში ინდივიდუალური სულის მიყვანას. სწორედ ეს სპირალური გახლავთ ე. წ. იდეალური ანუ ოქროს სპირალური.

წიგნი, რომელიც დაიწერა ამ წიგნის წინ, შეიძლება ითქვას, ამ წიგნის ორგანული ნაწილია და, ვფიქრობ, იგი აბსოლუტურად გაუგებარი იქნება თავისი პირველი ნაწილის გარეშე. პირველ წიგნში მოცემულია ერთგვარი ფასეულობრივი ანბანი, რის საფუძველზეც სტატიკურ (განდევილ) მდგომარეობაში სრულყოფილად მისი შესწავლით საკუთარ „მე“-ში წესრიგის დამყარება ხდება შესაძლებელი. მეორე წიგნი კი კინემატიკაში, მატერიალურ ცხოვრებაში საკუთარ „მე“-ში ჰარმონიის დამყარების სახელმძღვანელო იქნება.

ქმედების ადგილი

მომავალი — გონება

ცენტრი

Вглубиться ниже своего «я», в свое «эго» (в карму) — ანუ ჩაუღრმავდე საკუთარ „ეგო“-ს, სულიერ ჭუჭყს. დაინტერესებული იყო გან(რ)წმინდო საკუთარი ეთიკური ჭუჭყი და არასრულყოფილება.

მომქმედი

მომავალი აწმყოსკენ — გრძნობა

მიწა

Вглубиться в свое «я» с верху — ანუ ჩაიღრმავო საკუთარ „მე“-ში საკუთარ „მე“-ზე უპირატესი. დაინტერესო საკუთარ ეთიკურ დონეზე უფრო მაღალი ეთიკური დონის მქონე, მოინდომოს ჩემთან ურთიერთობა.

მატერიალური გრძნობები

წარსული აწმყოსკენ — ემოცია

ჰაერი

Вглубиться выше своего «я» — ანუ ჩაუღრმავდე საკუთარ „მე“-ზე უპირატესს. დაინტერესებული იყო საკუთარ ეთიკურ დონეზე უფრო მაღალი ეთიკური დონის მქონეებთან გქონდეს ურთიერთობა.

მცდელობები

წარსული — ამბიცია

წყალი

Вглубить свое «я» с низу — ანუ ჩაიღრმავო საკუთარ „მე“-ში საკუთარ „მე“-ზე მცირე. დაინტერესებული იყო დააინტერესო საკუთარ ეთიკურ დონეზე უფრო დაბალი ეთიკური დონის მქონემ მოინდომოს ურთიერთობა შენთან საკუთარი ეთიკური დონის შენს დონემდე ასამალღებლად.

წიგნი აგებული იქნება სიყვარულის გაცნობიერებულ არსზე, მისი შესაძლო გამოვლინებების ყველა მიმართულებით და მოიცავს ოთხ ძირითად განყოფილებას, რომლებიც ინდივიდუალური სულების ურთიერთობების შედეგად მიიღება და ამ ურთიერთობების საჭირო და სასურველი მიმართულებებისა და ადგილმდებარეობების განსაზღვრას ახდენს ცოცხალი არსებების მთელ დიაპაზონში.

რაც შეეხება იმას, თუ რა შუაშია აქ სიყვარული – მე ამას ძალიან უბრალოდ და მარტივად ავხსნი ყოველგვარი გართულების გარეშე. სიყვარული სხვა არაფერია, თუ არა ქეშმარიტად გულისხმიერი, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში კი გულწრფელი ურთიერთგაზიარება ინდივიდუალურ სულებს შორის, სადაც გულებში ეჭვი, ბრაზი, ბოღმა, შური და ა. შ. ადგილს ვერ ნახულობენ და ურთიერთობების პროცესში სრულად, მთლიანად იხარჯებიან აი ამ, ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების საფუძვლებზე.

თუ რალაცისთვის, ვილაცისთვის აღარა კვდები,
თუ სიგიჟეებს მოულოდნელს აღარ სჩადიხარ,
თუ რაც მოხდება წინასწარ გრძნობ, წინასწარ ხვდები,
მაშინ დიდ, გიჟურ სიყვარულში ველარ ვარგიხარ.

თუ ყველაფერს, რაც მოხდება, წინასწარ გეგმავ,
თუ არ გწყურია იმის ნახვა, რაც დღეს არ იცი,
თუ შენს გულში ზომიერი სიხარულია,
მაშინ ეგ გული დიდ სიყვარულს ველარ განიცდის.

თუ არ გესმის მზის სხივებში ჩუმი ლილინი,
თუ ველარ გრძნობ გაზაფხულზე წვიმის ფერებას,
თუ აღარ გსურს ნიავის თითებს მიანდო თავი,
მკვდარი ხარ, მკვდარი, აღარაფერი არ გეშველება.

დო. ყანდაშვილი

სარჩევი

შესავალი	8
I თავი. ღვთიური ცნობიერება	10
ქმედების ადგილი (ეკოცენტრიზმი).....	12
ფარდობითობის სისტემები ასტრალურ, კოსმიურ რეალობაში.....	18
მოდუსების ნაირსახეობა, მათი რაობა და კანონზომიერი გადანაწილება საქმიანობის ხუთ მიზეზს შორის	25
სამი სამყაროს კონსტიტუციური განსაზღვრა	40
II თავი. ღვთიური ყოფიერება	47
ჩაკრალური სისტემები	52
მისიის შესრულების გზები ნებისმიერი ინდივიდისათვის	59
ჩაკრალური სისტემის კონკრეტული განხილვა	67
რწმენა	70
ექსცენტრიზმი	74
III თავი. ადამიანური ცნობიერება	76
ურთიერთობები, როგორც კინემატიკის უმთავრესი ნამყვანი ორგანული ნაწილი.....	83
ურთიერთობები, როგორც ინდივიდთა ინტერესების გამოხატვის და დაკმაყოფილების საშუალება	87
მისიის შესრულების ნაირსახეობანი ინდივიდუალური სულებისათვის	93
ენერგეტიკული ბირთვები.....	98
სარწმუნოება.....	99
ნეოცენტრიზმი	107
ოჯახი, როგორც სამი სამყაროს ნაირსახეობათა გამოვლინება	108
IV თავი. ადამიანური ყოფიერება	115
ცხოვრება თამაშია	123
უნდა იცხოვრო საკუთარი ცხოვრებით და არ გახდეს ვინმეს ან რაიმეს დანამატი ან პირიქით	125
მატერიალური სხეულის ძირითადი შემადგენელი ნაწილები	127
რელიგია და მისი მიმდინარეობის ნაირსახეობანი	130
ეკოცენტრიზმი	146

საზოგადოებრივი წყობები და მათი ნაირსახეობანი	148
მთელი კოსმიური რეალობის იერარქიული კიბე.....	155
V თავი. ზესული	157
ნეტარება, ბედნიერება, სიხარული და სიყვარული	162
ზესულის პიროვნული განხილვა	165
ნებაყოფილობითი ერთიანობა, გულწრფელი ერთსულოვნება, როგორც კინემატიკის პროცესუალური დასკვნითი სრულყოფილი შედეგი	175
ნდობა	182
ნდობის ფასეულობის მამაკაცური და ქალური საწყისები	186
ჰელიოცენტრიზმი	187
ჭეშმარიტი ნდობისა და ჭეშმარიტი რწმენის ზედდების შედეგად მიღებული მცნებები.....	191
ბოლოსიტყვაობა	194

შესავალი

ბატონებო და ქალბატონებო,

როგორ გგონიათ, რა არის სიყვარული? ჩემის აზრითა და შეხედულებით, ეს ისეთი რამაა, რომელზედ ძვირფასი რამ არავის არ გაგაჩნიათ. უბრალოდ, ეს ნელ-ნელა გავინწყდებათ და რაც უფრო მეტად გავინწყდებათ, მით უფრო მეტად უფროსდებით, ასე ვთქვათ, დიდები ხდებით და თქვენი ალალი, სუფთა, სპეტაკი, ბავშვური ბუნება დავინწყებაში გადაგაქვთ, ვიდრე საკუთარი სხეულის ყოფიერების უზრუნველყოფის მონები არ ხდებით ბოლომდე. კარგავთ ნდობას ყველასი და ყველაფრის მიმართ, აღარ გახარებთ თქვენი ოჯახის წევრების, მეგობრების, ერთ დროს საოცნებო ადამიანების სიხარული, აღარ გამწუხრებთ მათი მწუხარება. ყოველი წამი და ამ წამში ჩადენილი (მომხდარი) ქმედება საშინლად ვალიზიანებთ თუ ის წინასწარ, საკუთარ გრაფიკში ჩასმულ, წინასწარ გათვლილ და გათვალისწინებულ მოქმედებას არ დაემთხვევა.

ბატონებო და ქალბატონებო,

სიყვარული ეს სიცოცხლეა თავად, ეს პროცესია, როდესაც არ იცი და არც გინდა იცოდე რა მოხდება შემდეგ წამს, პროტოკოლური განრიგით. ეს საკუთარი სულის გაცემისას, გაზირებისას, საკუთარი გულის გახსნისას წარმოქმნილი რამაა, რაც ელექსირივით ასაზრდოვეებს ყველას და ყველაფერს.

მზე როდი ანგარიშობს რამდენი სითბო და სინათლე გასცა და ამიტომ სულელი უნდა დაერქვას? მაგრამ სხეულის ზრუნვაზე თავგადაკლულებს გახსენდებათ კი, რომ თუ არა მზე, თქვენი სხეული ერთი წამითაც ვერ იარსებებდა?!

გინდათ ვითხრათ როგორები ხდებით, უკვე დაუფროსებულის თანამდებობას როდესაც მოგანიჭებენ სხვა, თქვენზე უფრო ადრე დაუფროსებულები? – შეიარაღდებით სერიოზულობის ნიღბით, ცდილობთ ყველას დაანახოთ ის, რაც რეალურად არა ხართ; საკუთარი, თუნდაც უმნიშვნელო გასაკეთებელი რამ ყველაზე მნიშვნელოვნად გინდათ წარმოაჩინოთ; ვინც თქვენს შეხედულებას არ გაითვალისწინებს (განსაკუთრებით ბავშვებს) იძულება შეუქმნათ მიილოს იგი და გააკეთოს ისე, როგორც თქვენ თვლით საჭიროდ.

მოკლედ, იმდენად დარწმუნებული ადამიანის სახე უნდა გქონდეთ (რა თქმა უნდა, ხელოვნური), რომ თქვენი თვითდაჯერებულობით სხვა ადამიანებში შიგნით ეჭვი უნდა აღძრათ, რომ თქვენ ხართ მართალი ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში.

ეჰ, ნეტავ მართლა, ჭეშმარიტად მართლები იყოთ. მაგრამ თქვენი ხელოვნური გარეგნობა და თქვენი მეთოდები ვაგცემთ ხოლმე ბატონებო და ქალბატონებო. თქვენ გსურთ იბატონოთ, დაამონოთ, აიძულოთ, არ გააგებინოთ ისე გაიტანოთ თქვენი. არადა, რასაც სხვას აიძულებთ შენიღბულად თუ შეუნიღბავად, იმისი ხომ თავადვე სიკვდილივით გეშინიათ. სიკვდილი კი, თქვენთვის ხომ თქვენი არსებობის დასასრულად არის აღქმული, რამეთუ სულისა არაფერი გიცვინიათ ხეირიანად.

ამიტომ, მოიხსენით უფროსების ნიღბები და სიყვარული თესეთ, შეიყვარეთ და შევიყვარებენ, გაითავისუფლეთ სულები და გიყვარდეთ, გიყვარდეთ, გიყვარდეთ სრულად!!

ვფიქრობ, ეს წიგნი საკმაოდ ძნელი აღსაქმელი და გასაგები იქნება ადამიანებისათვის, ამიტომ წინასწარ გაგიადვილებთ საქმეს, წინასწარ განსაზღვროთ – გჭირდებათ თუ არა ის თქვენ. ვინც ამ შესავლის (ერთგვარი ტესტის) კითხვისას ცინიზმის ან თუნდაც ირონიის ნოტები დაიჭირეთ და იგრძენით თქვენში, დაბეჯითებით გთხოვთ, ამ წიგნს ნუ შეაწუხებთ თქვენი პრაგმატული ჩასაფრებულობით და ნუ წაიკითხავთ. უბრალოდ ამით თქვენს პიროვნებას შეიძლება საკმაოდ ძნელად გამოსასწორებელი ზიანი მიაყენოთ. ვფიქრობ, ეს წიგნი არც ფანატიკოსებს არ უნდა მოუვიდეთ „თვალში“, რამეთუ იგი მათთვის იქნება ხელშეუხებელი სინმიწინდების შეურაცხყოფად აღქმული.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დედამინა, მით უმეტეს დღეს, თითქმის ამ ორი კატეგორიის წარმომადგენელი ადამიანებით არის დასახლებული, ძალიან ცოტა, მაგრამ ჭეშმარიტად ღირსეული ადამიანი უნდა დაინტერესდეს ამ წიგნით. სრულიად თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ის ადამიანები არიან, რომელთა არსებობის გამოც არსებობს ადამიანური მოდგმა. მე სწორედ ამ ადამიანებისთვის ვიხარჯები და მსურს ერთი რჩევა მივცე დიდის მოკრძალებით – საკუთარ პიროვნებაში ობიექტური რეალობისა და გულწრფელი რომანტიულობის, საკუთარი ქალური და მამაკაცური სანყისების ურთიერთდაახლოვების და გაერთიანების სურვილით დაიმუხტონ.

თუ ადამიანს სულიერ სამყაროში მოგზაურობის სურვილი არა აქვს (თუნდაც ოცნების დონეზე მაინც), ის ვერც ადამიანად ივარგებს.

I თავი

ღვთიური ცნობიერება

საკუთარი პიროვნებისთვის შესაბამისი სასურველი მაქსიმალური ცოდნა

სიტყვა „ღვთიური“ საკრალურობისგან რომ გავათავისუფლოთ და აღქმის დიაპაზონისთვის გასაგებ ფორმაში გადავიყვანოთ, მივიღებთ ასეთი სახის ფორმულირებას: აბსოლუტურად ყოველივე, რაც კი კონკრეტული ზოგადი ცნობიერების აღქმის საზღვრებს სცდება (მაგალითად, ადამიანის შემთხვევაში ზებუნებრივია და ამის ახსნის უნარი არა აქვს) შეიძლება იწოდოს ე. წ. ღვთიურ ცნობიერებად. ადამიანის პირობაზე ეს ზეადამიანურია: ბუნებრივი კანონების ცოდნის პირობაზე ზებუნებრივი; ციური სხეულების პირობაზე ზეციური და ა. შ.

ასეთი ხედვა არათუ აკნინებს ღვთიურობის ცნებას, არამედ აშიშვლებს ადამიანის შეზღუდულ მსოფლმხედველობას. საკუთარი სრულყოფილების კომპლექსი, თუ, პირიქით, არასრულყოფილების კომპლექსი ადამიანს უნერგავს საკუთარი ცნობიერების, მსოფლმხედველობის აღარ ან ველარ გაზრდას, გაღრმავებას, რის გამოც ცნობიერება, რალაცის გაცნობიერების შემდგომ, დასრულებულად ცხადდება, რითაც ადამიანი გადადის რეალურად ფუნქციონალურ უძრაობაში, უმოქმედობაში და საკუთარი არსებობის დარჩენილ ნაწილს ადამიანურ სხეულში, ფაქტობრივად, სხეულის ინტერესების უზრუნველყოფაში ხარჯავს. იგი მოქმედებს მკვეთრად, მძლავრად, აგრესიულადაც კი, შეიძლება ითქვას, ზოგჯერ პირიქით, სუსტად, გაუბედავად, შიშით, მაგრამ ეს ყველაფერი გახლავთ მოქმედება უმოქმედობაში, ილუზიაში ბორიალი და დაკარგვა.

მაგრამ, მოდით, უკან დავატრიალოთ, ანუ იქიდან, საიდანაც დაიწყო ადამიანის ჩასახვა და მოვლინება, იმ პერიოდში არსებულ მისივე ცნობიერების არსითა და მიდრეკილებით. მატერიალურ სამყაროში გამოვლინებულ მატერიალურ სხეულისეულ ფორმაში შესვლამდე, ინდივიდუალური სული ორი ერთმანეთის საპირისპირო სავარაუდო ორიენტაციით იყო გამორჩეული.

1) ცნობიერების პირველი ორიენტაცია მასზე უპირატესი ცნობიერების იმაზე სწრაფად აღქმისკენ არის მიმართული, ვიდრე ინდივიდუალურ სულს ამის რეალური პოტენცია გააჩნია. მე ამას ცოდნის მიღების სიხარბეს დავარქმევდი, როცა ინდივიდუალური

სული იმაზე მეტის აღებას ცდილობს, ვიდრე ეს მისი ეთიკური დონისთვისაა შესაბამისი. ეს, ფასეულობრივ დონეზე რომ გადავიტანოთ, კმაყოფილების მიღების მცდელობად შეიძლება მოინათლოს.

2) ცნობიერების მეორე ორიენტაცია მასზე უპირატესი ცნობიერების იმაზე ნელა აღქმისკენ არის მიმართული, ვიდრე ინდივიდუალურ სულს ამის რეალური პოტენცია გააჩნია. მე ამას ცოდნის მიღების სიძუნწეს დავარქმევდი, როცა ინდივიდუალური სული იმაზე ნაკლების აღებას ცდილობს, ვიდრე ეს მისი ეთიკური დონისთვისაა შესაბამისი. ფასეულობრივ დონეზე ეს სიამოვნების მიღების მცდელობად შეიძლება მოინათლოს.

შემდგომად ამისა კი ცნობიერების ორიენტაციის შესაბამისად მატერიალურ სამყაროში მატერიალიზაციის შედეგად პირველი ნაწილი მამაკაცური სქესის წარმომადგენლებად მატერიალიზირდებიან, ხოლო მეორე ნაწილი კი ქალური სქესის წარმომადგენლებად და შემდეგ კი ხდება ის, რაც უკვე სჩანს.

მთელ ამ ცნობიერულ თანაფარდობათა ურთულეს ურთიერთშეთავსებას, საჭიროდ მართვას ზესული ახორციელებს. ის არის შედეგი იმისა, რის გამოც მოხდა საერთოდ კოსმიური გამოვლინება, როგორც სულიერი, ისე მატერიალური სამყაროს სახით. ის არის მამაკაცური და ქალური სანყისების დაახლოების, მათი მაქსიმალურად ეთიკურად ურთიერთთანაარსებობისა და გაერთიანების მქონე საუკეთესო და სანიმუშო, აბსოლუტური ჭეშმარიტების ინდივიდუალური წარმომადგენელი, რომელიც თავისი ინდივიდუალიზმის გამოვლინებას საკუთარი ინიციატივით არასოდეს არ ახდენს, მაგრამ, ამავდროულად, შიგნიდან მართავს აბსოლუტურად ყველა ინდივიდუალურ სულს. რაღაც დონის ცნობიერების მიღებისა და ამ მიღებულში ტრანსცენდენციისა და ჰარმონიზაციის შემდეგ, სწორედ ზესული ახდენს ინდივიდუალურ სულში სურვილის პროვოცირებას – თავისში არსებული მამაკაცური და ქალური სანყისები ერთმანეთთან უფრო დაახლოვოს, კმაყოფილების მიღების ან სიამოვნების მიღების პროვოცირების სახით. იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეძლებს ინდივიდუალური სული ამ, მისთვის მიცემული ორიენტაციის ადაპტაციას, ხდება ინდივიდუალური სულის ყოფიერების ადგილის, ქმედების ადგილის განსაზღვრა. აი, ზუსტად ეს ქმედების ადგილი ხდება ინდივიდუალური სულისთვის ღვთიური ცნობიერების ტოლფასი, როდესაც ეს ქმედების ადგილი თავის არსში მოიცავს და აწყობილია იმაზე, რაც მიიღო ინდივიდუალურმა სულმა და ამავდროულად მოიცავს მის მიერ აღქმულ

ცნობიერებაზე, როცორც მაღალ, ისე დაბალ დონეებს, მაგრამ ამ ქმედების ადგილს აქვს თავისი ზღვრული დიაპაზონი, როგორც ზევით ისე ქვევით და ცნობიერების ასეთი სერიოზული ცვლილების შემთხვევაში ხდება ინდივიდუალური სულისთვის ქმედების ადგილის ცვლა და როგორც ხვდებით ეს შეიძლება მოხდეს როგორც ზრდის, ისე კლების მიმართულებით.

საერთოდ, რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასურველია ინდივიდუალური სული ზესულს უბრალოდ მიჰყვეს იქით, საითაც იგი წარმართავს, ცოდნისადმი სიხარბისა ან სიძუნწის გამოვლინების გარეშე. იგი გულის საშუალებით უკავშირდება მატერიალიზირებულ სულს და სრულიად საკმარისი იქნებოდა საკუთარ გულს მიჰყვეს ყველა და მას არ უღალატოს.

ქმედების ადგილი

ქმედების ადგილი ნებისმიერი საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს პარამეტრს წარმოადგენს. ყველა ინდივიდუალურ სულს საკუთარი არასრულყოფილების შესაბამის ადგილზე უნევს მოხვედრა ანუ ყველა თავისი ინდივიდუალური ცნობიერების შესაბამის ადგილზე იმყოფება.

ამ ე. წ. ადგილში იგულისხმება ეპოქაც ანუ დროც, სამი სამყაროდან ერთ-ერთიც, ანუ კოსმიური ადგილმდებარეობაც და ამ კონკრეტიზირებულ ადგილზე არსებული გარემოც სრულიად. ეს ყველაფერი კი ინდივიდუალურ სულს სურვილებისდა შესაბამისად ეძლევა. თვით სურვილები კი მაჩვენებელია ეთიკური სიღრმისეული და ზედაპირული ხარისხისა ე. ი. ამ ყოველივეს განაპირობებს სულიერი მდგომარეობა სისუფთავისა და ჭუჭყის რაოდენობისდა მიხედვით.

აბსოლუტურად ყოველივე, რაც გარს აკრავს ინდივიდუალურ სულს, მისი რეალური მდგომარეობის ანარეკლია. საქმიანობის ამ პირველ განმაპირობებელ მიზეზს ვინც ასე მიუდგება ყოველთვის, ყველგან, ყველასთან და ყველაფერში ობიექტური რეალობის აღმქმელი იქნება და გარეგანი ილუზიური რეალობა მას ვეღარ წარიტაცებს. აი, ეს გახლავთ ღვთიური ცნობიერების არსის რაობა ნებისმიერი ინდივიდისთვის. სწორედ ის ხდება გადამწყვეტი საქმიანობაში, რამეთუ ეს აყალიბებს იმას, თუ რასაც ვუყურებ – როგორ ვხედავ, რასაც ვისმენ – როგორ მესმინება, რასაც ვეხები – როგორ შევიგრძნობ და ა. შ. ის არის თვალნათლივი მაჩვენებელი საკუთა-

რი არასრულყოფილების ხარისხისა და რაოდენობის აღქმადობისა და, პრინციპში შეიძლება ითქვას, მიზეზია მათი გარდაქმნის სურვილის გაჩენისა მათი აღმოფხვრისკენ მიდრეკით.

საქმიანობის პირველ მიზეზთან, მოქმედების ადგილთან მიმართებაში ზემოთ ახსნილი ე. წ. ღვთიური ცნობიერების დაცვის შემთხვევაში ინდივიდუალური სულის ორი შემადგენელი საწყისი შემდეგი სახის ამოცანის წინაშე დგებიან:

1. ქალური საწყისის მოქმედების მიზანი ადგილთან მიმართებაში გარშემო არსებული ობიექტური რეალობის აბსოლუტურად მიღება, ანუ მატერიალური რეალობის აბსოლუტურად მიღება უნდა გახდეს.
2. მამაკაცური საწყისის მოქმედების მიზანი ადგილთან მიმართებაში შიგნით არსებული ობიექტური რეალობის ანუ სულიერი რეალობის ე. ი. არსებული გულწრფელი რომანტიულობის აბსოლუტურად მიღება უნდა გახდეს.

ამის დარღვევის შემთხვევაში დანახულზე და გაგონილზე ანუ ე. წ. ანარეკლზე მიჯაჭვა და მინებება მოხდება, რის შემდგომაც ღვთიური ცნობიერებისგან, ასე ვთქვათ დასვენების, უკვე დანახულით დაკმაყოფილების, სიზარმაცის სურვილის ჩასახვა მოხდება. შემდგომ ამას მოჰყვება საკუთარ გულთან და ზესულთან გაუცხოება და მატერიალურ მართონში ჩაბმა.

ქმედების ადგილთან მიმართებაში ღვთიური ცნობიერების აღქმა, შეგრძნება და მისი მიყოლა რომ გახდეს შესაძლებელი ნებისმიერი პიროვნებისათვის, რეკომენდირებულია შემდეგი თვისებების გამოვლინება საკუთარ თავში (რეკომენდირებული ბჰაგავატ-გიტას მიერ): *სიმშვიდე, თავშეკავება, ასკეტიზმი, სიმშინდე, მოთმინება, პატიოსნება, ცოდნა, სიბრძნე და რელიგიურობა.*

როგორ უნდა მოხერხდეს საქმიანობის საჭიროდ, ან უკეთეს შემთხვევაში, საუკეთესოდ, დასაკმაყოფილებლად შესრულება საქმიანობის პირველ პარამეტრთან მიმართებაში:

ა) მომქმედი უნდა ცდილობდეს არსამართავი და სამომქმედო საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრას, სასურველი საქმიანობის გათვალისწინებას. ძირითადად ეს განისაზღვრება ე. წ. აბსოლუტური ჭეშმარიტების ანუ შედეგობრივ მომენტამდე სრული სურათისა და ობიექტური რეალობის ანუ არსებული მიმდინარე მომენტის ურთიერთპარმონიზირებით, სადაც მოვლენების ნებისმიერი სახით დაჩქარება ან შენელება ანომალიების ტოლფასია.

ბ) გრძნობები უნდა ცდილობდნენ მომქმედის მიერ განხორციელებული სულიერი ობიექტური რეალობის ზედმიწევნით მიღებას და აბსოლუტურად არაფრის არ განსაზღვრა-გათვალისწინებას, დაგვემარებას წინასწარ პარალელურად მომქმედისა. ქმედების ადგილთან მიმართებაში ისინი მომქმედის მიერ უნდა იქნენ დასაქმებულნი ისე, როგორც ეს უკანასკნელი გადანყვეტს და განსაზღვრავს.

გ) მცდელობები უნდა ცდილობდნენ გრძნობების მიერ სულიერი ობიექტური რეალობის დარღვევის შედეგად მომქმედის მიერ განხორციელებული მატერიალური ობიექტური რეალობის ზედმიწევნით მიღებას და არავითარი ალტერნატიულობის შეტანას პარალელურად მომქმედისა და ობიექტური რეალობისა. ისინი მტკიცედ უნდა იყვნენ დაკავებულნი მოდუსების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობებით.

დ) ზესული ქმედების ადგილთან მიმართებაში თავად ჰქმნის სამოქმედო პროგრამას, როგორც სტრატეგიული, ისე ტაქტიკური თვალსაზრისით. ის არის შედეგი, ანუ ის, რაც უნდა იქნას მიღებული, რისი დარღვევის შემთხვევაშიც მომქმედთან თავადვე საკუთარი ინიციატივით ამყარებს კონტაქტს (მასში კმაყოფილების ან სიამოვნების მიღების, სურვილის ჩასახვის პროვოცირებით) და მისი საშუალებით ახდენს კორექტირებას.

აგრეთვე აღსანიშნავია ის, თუ როგორ უნდა მოხერხდეს საქმიანობის დამაკმაყოფილებლად და საუკეთესოდ შესრულება ქმედების ადგილის მიერ:

ა) ქმედების ადგილმა მომქმედთან მიმართებაში მისთვის გასავლელი გზის სიღრმისეული და ზედაპირული დანახვება და გაგებინება უნდა მოახდინოს. უეჭველად აქ გათვალისწინებული უნდა იყოს მომქმედის ეთიკური დონე, როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლით, მაგრამ ძირითადი კრიტერიუმი, როგორც ათვლის წერტილი, უნდა იყოს მომქმედის სულიერი სისუფთავის მაქსიმალურ დონეზე.

ბ) ქმედების ადგილმა გრძნობებთან მიმართებაში მათ მიერ განვლილი გზის სიღრმისეული და ზედაპირული დანახვება და გაგებინება უნდა მოახდინოს. ძირითადი განმსაზღვრელი კი, როგორც ათვლის წერტილი, უნდა იყოს გრძნობების კარმა, ანუ სულიერი ჭეჭყი მთელი მისი მოცულობით.

გ) ქმედების ადგილი მცდელობებთან მიმართებაში ე. წ. ანარეკლის ანუ კარმის შესაბამისი მატერიალური გარემოს სიღრმი-

სეულ და ზედაპირულ რაობას განსაზღვრავს და გამოხატავს. ძირითადი განმსაზღვრელი კი, როგორც ათვლის წერტილი და მთელი ათვლის სისტემა, უნდა იყოს ანყობილი ანარეკლზე, ანუ განხორციელებულ მატერიალიზირებულ კარმაზე მიჯაჭვულობის შესაბამისობის მიხედვით.

დ) ქმედების ადგილი ზესულთან მიმართებაში წარმოდგება ზესულის არაინდივიდუალურ გამოვლინებად, სადაც (თუ რაშიც) ხდება განსაზღვრა და გამოხატვა იმისა, თუ რა უნდა იყოს ქმედების მიზეზი. განისაზღვრება სიღრმისეული და ზედაპირული ხარისხი და რაოდენობა შესაცნობისა, ჭეშმარიტების ახალი პორციული ნაწილის შემოტანის შესაბამისობისდა მიხედვით.

ამ ჩამონათვალის დასაკმაყოფილებლად ქმედების ადგილმა, როგორც ქვემო მიმართულების ყველა ჯაჭვთან მიმართებაში (მომქმედთან, გრძნობებთან, მცდელობებთან) უპირატესი გონების მქონემ, მკაცრად უნდა დაიცვას საკუთარი თავის ინდივიდუალურად, საკუთარი შეხედულებით, მიმდინარე მომენტში (ანმყოფი) არგამოვლინების პრინციპი, რამეთუ ეს მოვლენების დაჩქარების ანალოგიური იქნება და ევოლუციური სვლა რევოლუციური სვლით შეიცვლება, რასაც ობიექტური რეალობა ვერანაირად ვერ მოინელებს. თავად ამ მოვლენის გამომწვევი კი იქნება ზემოთ მიმართულებით დაჩქარებულად სვლის სურვილი, ანუ ქმედების ადგილის გაზრდის სურვილი, ანუ ქმედების ადგილის სურვილი იქამდე გაზრდის, ვიდრე იგი ჯერ არ არის ათვისებული მომქმედის მიერ, ამიტომ ქმედების ადგილი ზესულთან მიმართებაში გაჯერებული გრძნობით უნდა იყოს განონასწორებული ე. ი. მისთვის ანმყოფი უნდა იყოს ის, რაც ქვემო მიმართულებით მყოფთათვის მომავალს (ზოგჯერ კი ძალიან შორეულ მომავალსაც კი) წარმოადგენს. გამოდის, რომ აქაც კი, ქმედების ადგილის შემთხვევაში, მკაცრად დაუშვებელია ქვედა და ზედა მიმართულებებზე ერთდროულად სვლის მცდელობა.

მოქმედების ადგილის შემთხვევაში ჯერ ზემოთ მიმართულებით სვლის მაქსიმუმი სრულად უნდა ამოიწუროს ისე, რომ, ამ მხრივ, შინაგანად აბსოლუტურად სრულად იქნას გაჯერებული და საკუთარი ინდივიდუალიზმი არაინდივიდუალიზმის ნომინალურ რაოდენობასთან იდეალური პროპორციების შესაბამის დონემდე გაბალანსდეს და მხოლოდ ამის შემდგომ უნდა მოხდეს ქვემოთ მიმართულებით სვლა, რაც თავისთავად ყოველივე სულიერად თუ

მატერიალურად წარმოშობილის ამოქმედების მიზეზი გახდება. ეს იქნება წინაპირობა ინ სიმყარისა, რასაც საერთოდ სამყარო ჰქვია. **(ეკოცენტრიზმი).**

ზესულთან მიმართებაში ქმედების ადგილმა მონაფის, მიმყოლის, ე. წ. ქალური სანყისის პოზიცია უნდა დაიკავოს.

მომქმედთან მიმართებაში ქმედების ადგილმა უნდა დაიკავოს ნამყვანის, მასწავლებლის, ე. წ. მამაკაცური სანყისის პოზიცია.

ამიტომ, როგორც აღვნიშნე, ქმედების ადგილმა ჯერ უნდა სრულად დაამთავროს მონაფეობის კურსი და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი მშობელის, ავტორისა და მასწავლებლის თავად ზესულის მიერ მისთვის მინიჭებულ იქნება სრულყოფილების სტატუსი, იმ სიტუაციის შესაბამისი დონისათვის მიეცემა თვითგამოვლინების უფლება. აქ მომხდარი ანომალიურობები ყველაზე საშინელ შედეგებს იწვევს, თუ რაიმე შესაძლებელია წარმოიდგინოს გონებაში, თუ გრძნობაში.

ზედა მიმართულების განმსაზღვრელი უნდა იყოს მომავალში აღსაქმელი და გასაცნობიერებელი ჭეშმარიტი ცოდნის, როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტების შემდგომი პორციალური ნაწილის აკინძული წიგნივით შედგენა-ჩამოყალიბება. ეს დაახლოებით, უხეშად რომ შევადაროთ, ცენტრალურ საგანმანათლებლო ორგანიზაციას მოჰგავს, სადაც გონებისმიერი განვითარებისთვის შესაბამისი ყველა სიტუაცია და ყველანაირი ზედაპირულ-სიღრმისეული გაცემის წვრილმანი ნიუანსებიც კი უნდა იქნას გათვალისწინებული. ხდება აბსოლუტურად ყველაფრის, მილიონობით, მილიარდობით ნიუანსების გათვალისწინების პროგრამის განუხრელად დაცვის დაკანონება, მაგრამ ეს ყოველივე ძალიან გასაგები, მარტივი და უბრალო საშუალებებით ხორციელდება. კიდევ გავიმეორებ, რომ ქმედების ადგილს ფაქტობრივად არა აქვს უფლება (და არ უნდა მოუნდეს) ვინმეს, უშუალოდ მომქმედთან შეთანხმების გარეშე, რაიმე გონებრივი ცოდნა, ანუ, ობიექტური რეალობის გათვალისწინების შემთხვევაში, უპირატესი ძალა მიანიჭოს. ამას უფრო წვრილად შევხები ქვემო მიმართულების განხილვისას.

ზემით მიმართულებით სვლის პროცესი ნებაყოფილობითობის (რა?) ორიენტაციითა და თვითკმარობის (როგორ?) ინერციით უნდა ხასიათდებოდეს. მთელი ეს მოქმედება კი, ქმედების ადგილის მხრიდან ზესულთან მიმართებაში განმსჭვალული უნდა იყოს კმაყოფილების მინიჭების, დაკმაყოფილების სულისკვეთებით, რის შედეგადაც იგი სრულყოფილად იქნება დაკმაყოფილებული. ამ

პროცესის აბსოლუტურად სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში ქმედების ადგილი სიხარულის მდგომარეობაში აღმოჩნდება. იგი გახდება თავად ბუნება (ზესულის ბუნება), ანუ ყოველივე, რასაც სამყაროს ცნება მოიცავს და მასში აღარ დარჩება არანაირი ვაკუუმი იმისა, რომ საერთოდ რაიმესთან დაპირისპირებაში შევიდეს, დამწუხრდეს.

ქვედა მიმართულების განმსაზღვრელი უნდა იყოს ანმეოს (ობიექტური რეალობის) „იდეალური სპირალის“ ტრექტორიით სვლა მომავლისაკენ (მოქმედების ადგილში დავანებული ჭეშმარიტი ცოდნის ათვისებისაკენ). აქ მედიატორის და კოორდინატორის ფუნქციას ასრულებს მომქმედი. ქმედების ადგილმა მომქმედის მუდმივად ჰარმონიულობის მდგომარეობა უნდა უზრუნველყოს. მან უნდა გაითვალისწინოს ის, რომ ზესული და მომქმედი ბუნებით აბსოლუტურად ერთნაირნი უნდა იყვნენ. მათ შორის განსხვავება კი ის იქნება, რომ ზესულს უკვე მოცული აქვს წარსული, ანმეო და მომავალი მთელი მათი ფარდობითობების გათვალისწინებით. ის არის შედეგის მცოდნე და ავტორი მთელი მოქმედებისა, მომქმედი კი ანმეოს (ობიექტურ რეალობას) მიუძღვება წინ მომავალი (შესაცნობი ჭეშმარიტი ცოდნის) ათვისებისკენ. ქმედების ადგილს არა აქვს მომქმედის შეფასების უფლება. თუ ის ამას მოიმოქმედებს, შექმნის ალბათობას იმისა, რომ საკუთარი ინიციატივით წარმოქმნას მეორე, მესამე და ა. შ. მომქმედი, რაც დემონიზმის წარმოქმნის ანალოგიის დაშვების ტოლფასი იქნება. რამეთუ ორი კოორდინატორის არსებობის შემთხვევაშიც კი, სტრატეგიული კურსის განსაზღვრის პროცესში, მათი (მომქმედების) დაპირისპირება გარდაუვალი გახდება და გონებათა დაპირისპირება აუცილებელს გახდის ამ დაპირისპირებაში გამარჯვებისათვის გრძნობათა იგნორირებით გამოგონებას და დაახლოებით ისეთ რალაცას მივიღებთ, რაც მატერიალურ სამყაროში ხდება. ამიტომ ქმედების ადგილი მომქმედისთვის სიამოვნების მინიჭების სულისკვეთებით უნდა იყოს განმსჭვალული და ამ სიამოვნების ჯეროვნად, სრულყოფილად მინიჭებით თავადვე ამის შესაბამისად ტოლ სიამოვნებას მიიღებს, სრულად ჯეროვნად ისიამოვნებს. ამ პროცესის აბსოლუტურად სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, ქმედების ადგილი სიყვარულით გაჯერებულობის მდგომარეობაში აღმოჩნდება (რამეთუ მასში მომქმედი ჩაღრმავდა). პროცესი კი წარიმართება ქმედების ადგილის სათაყვანებელ, წმინდა ადგილად, სინმინდედ (რა?) აღიარებით.

სა და სრულყოფილების წყაროდ (როგორ?) აღქმის პრინციპების დაცვით. ამ შემთხვევაში ქმედების ადგილში აღარ შეიქმნება რაიმე სახის ვაკუუმი იმისა, რომ მასში ზიზღმა რაიმენაირი სახით დაიდოს ბინა.

სიხარულისა და სიყვარულის მდგომარეობის ხელის შემშლელი მხოლოდ ორივე მიმართულებით ერთდროულად მოძრაობის სვლის სურვილები და მცდელობები გახლავთ, რისი ძირითადი მაპროვოცირებელიც მოთმენა (ხელოვნური მოთმინება), აღფრთოვანება და აღშფოთება, ან პროცესის დაჩქარება და ერთფეროვნებით მობეზრება არიან.

ფარდობითობის სისტემები ასტრალურ, კოსმიურ რეალობაში

ამ გადასახედიდან ქმედების ადგილი თავის ნებისმიერ ეპოქა-ლურ-დროითი მომენტის, სივრცობრივი ფორმის თუ მატერიალური რაობის სახით სამყაროს უზენაესი პიროვნების ანუ ზესულის ნების რეალიზაციას, მისი შეხედულებების გამოვლინებას წარმოადგენს. თუმცა კი, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ქმედების ადგილის საზღვრებში მყოფი ნებისმიერი ინდივიდის მიერ გამოტანილი ეს დასკვნა აბსოლუტურად მცდარი და სუბიექტურია. ქმედების ადგილის მიდგომას ზესულის მიმართ თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ღმერთისადმი ერთგული მსახურება შესაძლებელის მაქსიმალური დონით.

ქმედების ადგილში გამოვლინებული ყველა ინდივიდუალური სული კი, რომლებიც სიამოვნების ან კმაყოფილების მილებას ცდილობენ, ანუ ცდილობენ საკუთარი სხეული ან საკუთარი სული მოახვიონ თავს სხვა პიროვნებებს, ქმედების ადგილის კარმას, ანუ სულიერ ჭუჭყს წარმოადგენენ. ყველა სხვა ინდივიდუალური სული კი, რომლებიც სიამოვნების ან კმაყოფილების მინიჭებას ცდილობენ, ანუ ცდილობენ არ გააიგივონ საკუთარი „მე“ სხეულთან და საკუთარი სული ნებაყოფილობითობის დაცვით გაუზიარონ სხვა სულებს, ქმედების ადგილის სინმინდეს ანუ სულიერ სისუფთავეს წარმოადგენენ. ამგვარად, შეიძლება უფრო გავრცობილად და გასაგებად ასე ითქვას – ქმედების ადგილი ერთიანი კოსმიური გონების კინემატიკური გამოვლინებაა, რომელიც აბსოლუტურად ზედმინვენით იცავს მოვლენების ბუნებრივ სვლას და ამ პროცესიდან

ნებისმიერ გადახრას იგი გვერდიდან დამკვირვებლის, ე. წ. სტატისტიკის პოზიციით უდგება, რამეთუ ამაში ჩარევა მისი პრეროგატივა არ გახლავთ. ეს მომქმედის პირდაპირი ფუნქციაა. ის თუ რატომ, შევეცდები აქვე ავხსნა. ქმედების ადგილის პიროვნული ჭეშმარიტი ცოდნის ფლობის სიღრმე იმდენად კოლოსალურად უზარმაზარი და ღრმაა, რომ მისი გადასახედიდან სულ უმნიშვნელო მწირი ცოდნაც რომ მიენოდოს მის საზღვრებში გამოვლინებულ ინდივიდუალურ სულს, ეს ამ უკანასკნელისთვის არანორმალურად უზარმაზარი და უზომოდ ღრმა უპირატესობის მინიჭებაა, რაც მისი საკუთარი მნიშვნელოვნების გრძობის პარამეტრს ძალიან მაღლა სწევს და საკუთარ „მე“-ს ღმერთად დაფიქსირების სურვილს აღუძრავს სხვა, გარშემო მყოფ ინდივიდუალურ სულებთან მიმართებაში.

არასრულყოფილების კომპლექსი ძალიან ცუდი რამაა, ამაში თანახმა ვარ დღევანდელ ზოგადსაკაცობრიო მოსაზრებასთან, მაგრამ, ჩემი შეხედულებით, სრულყოფილების კომპლექსი გაცილებით უფრო დიდი უბედურებაა და ვფიქრობ, სწორედ ამითაა დღეს დაავადებული მთელი კაცობრიობა (დედამინის მოსახლეობა, ადამიანები).

ზოგადად, ნებისმიერი ინდივიდუალური სულისთვის შესაძლებლობების იმ დონის მინიჭება, რომლის შესაბამისი პასუხისმგებლობაც მას არ გაუთავისებია მოვლენების ბუნებრივი სვლის პროცესში დარღვევებს იწვევს. მაგრამ ვინაიდან ქმედების ადგილის მიერ ის, მისთვის ძალიან მწირი ცოდნა (მომქმედისთვის მინიჭებული), დიდ შესაძლებლობად არ აღიქმება, ამიტომ მიანიჭებს თავისში არსებულ ინდივიდუალურ სულს ამას თუკი ჩაერევა პიროვნული სახით და, რა თქმა უნდა, მიანიჭებს საუკეთესოს, მაგრამ ეს შემდგომ ცდუნებას ვერ გაუძლებს და, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლინების სურვილით ანთებული, უცერემონიალოდ დაარღვევს მოვლენების ბუნებრივი სვლის პროცესს. აი, რატომ დასაჯა ბერძნულ მითოლოგიაში ზევსმა პრომეთე, თუმც, ამ უკანასკნელმა, ვგონებ, მაინც ვერ გაიგო საკუთარი დასჯის ნამდვილი მიზეზი.

ძველი აღთქმის ბიბლიური გადმოცემითაც შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რამ უკვე მოიმოქმედეს პირველმა ადამიანებმა (ადამმა და ევამ), რის გასანეიტრალებლადაც მოხდა იესო ქრისტეს მიერ საკუთარი ნებით ჯვარზე გაკვრით ადამიანურ ცნობიერებაში დამკვიდრებული სიკვდილის ცნების, როგორც დასასრულის, გაუქმე-

ბა და ბუნებრივი სვლის პროცესის აღდგენის დაწყება, ხოლო ბუნებრივი სვლის პროცესის აღდგენის დასასრული და რეალურად აღდგენა, ჩემი ვარაუდით, ძალიან ახლო მომავალში მოხდება, ხოლო თავად იესო ქრისტე მიმაჩნია ქმედების ადგილიდან პიროვნულად გამოვლინებულ ინდივიდუალურ სულად. ვფიქრობ ხვდებით, რომ ეს თავისთავად გულისხმობს მის მიუწვდომელ სიდიადეს და სიღრმეს თვით უმაღლესი გამოვლინებული ცნობიერებისათვისაც კი. რა თქმა უნდა, აქ არ ვგულისხმობ ზესულსა და თავად ქმედების ადგილის მიმმართველ პიროვნებას, სულიწმიდას.

ანუ ტაქტიკურ საქმიანობაში (ტაქტიკურ კინემატიკაში) ქმედების ადგილს, ფაქტობრივად, ჩარევის მიდრეკილება არ უნდა ჰქონდეს, სამაგიეროდ სტრატეგიული საქმიანობა (სტრატეგიული კინემატიკა) ქმედების ადგილის ჭეშმარიტად საჭირო და სასურველი მოღვაწეობის სფეროა. შევეცდები ავხსნა რატომ და რას ნიშნავს განსაზღვრება – ქმედების ადგილში მოქმედი და მონაწილე ქმედებები. ინდივიდუალური სულები, სადაც ახორციელებენ იმას, რასაც საერთოდ ახორციელებენ (ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა რას), მათთვის ანმყოს, და შეიძლება მომავალსაც, წარმოადგენს, მაშინ როდესაც ქმედების ადგილისთვის, ვფიქრობ, თავისთავად ცხადია, რომ ეს წარსულს წარმოადგენს და მისთვის წარსულში აქტიური ჩარევა კარმული საქმიანობის ტოლფასი იქნება. ეს იმის შესახებ, თუ რატომ არ არის სასურველი ქმედების ადგილის მხრიდან ტაქტიკურ კინემატიკაში ჩარევა. რაც შეეხება იმ ნაწილს, რაც ქმედების ადგილში მყოფთათვის მომავალია (საკმაოდ შორეული მომავალია), ქმედების ადგილისთვის ანმყოს წარმოადგენს ე. ი. ავტომატურად იგულისხმება, რომ ეს მისთვის სასურველი მოღვაწეობის სფეროა და სწორედ ეს გახლავთ მისთვის განსაზღვრული სტრატეგიული კინემატიკა.

და არსებობს კიდევ ერთი რამ ქმედების ადგილისთვის, როგორც ინდივიდუალური პიროვნებისთვის, რაც აბსოლუტურად უზრუნველყოფს ამ მთელი ჩამონათვალის თავისთავად, ავტომატურ აღსრულებას – *ის მინდობილი უნდა იყოს ზესულს აბსოლუტურად მთლიანად ყოველგვარი პირადი მოსაზრების გარეშე. ქმედების ადგილისთვის ეს მომავალთან ურთიერთობის საუკეთესო ფორმა გახლავთ.*

და კიდევ ერთიც ... თუ ქმედების ადგილის პიროვნების რაობა გაინტერესებთ, ვეცდები დავაკმაყოფილო მსურველთა ინტერესი. მატერიალური გადასახედიდან ეს გახლავთ მთელი გამოვლინებუ-

ლი სივრცე, რაც კი არის გამოვლინებული, რომელიც თავისში მოიცავს სხვადასხვა სამყაროებს, გალაქტიკებს, მზის სისტემის მსგავს სისტემებს, პლანეტებს, მეტეორიტებს, პლანეტებზე არსებულ ცოცხალ და არაცოცხალ მატერიალურ ფორმირებებს, მათზე მიმდინარე მოვლენებს და ა. შ.

სულიერი თვალსაზრისით ეს გახლავთ, შეიძლება ითქვას, უნებური ავტორი ინდივიდუალიზირებული ცოცხალი არსებების შექმნისა, რომელთა სახეობები ბჰაგავად-გიტას მიხედვით 8 400 000 სხვადასხვა სახის ინდივიდუალური ფორმით გამოვლინდება. ის არის დედა ყოველივესი და ამავდროულად, ვფიქრობ, დიდი უგუნურებაა იმის არ აღიარება, რომ ის არის ღმერთი ანუ ის არის დედა ღმერთი. მას აქვს მეორე სახელიც – სულიწმიდა. ეს არის ყველაზე მწირი და, ვფიქრობ, აუცილებელი ინფორმაცია ქმედების ადგილის პიროვნული რაობის შესახებ.

მაშ ასე, ქმედების ადგილის მცირედი განჭვრეტის შემდეგ, ვგონებ, დროა მისი, როგორც მთელი არსებული სივრცის მიხედვით ასტრალური ფარდობითობის სისტემური ჩამოყალიბება მოვახდინო. თუ აქ ეს ფარდობითობა ესოდენ აბსტრაქტული ჩანს, წარმოიდგინეთ როგორი აბსტრაქტული იქნება ის ერთი საფეხურით ზედა დონის, ზესულის გადასახედიდან. აი, ამიტომ გადაწყვიტე აქედან ვცადო ამის გაკეთება.

უპირველეს ყოვლისა დავინყებ იქიდან, რომ შემოდის ხუთგანზომილებიანი სისტემა, სადაც წინა წიგნში ჩამოყალიბებული ოთხი განზომილებისგან განსხვავებულად შემოდის ახალი, მეხუთე განზომილება, რომელიც გახლავთ კინემატიკის სული და გული, ანუ მის გარეშე რაიმენაირი სახის კინემატიკაზე ლაპარაკი და ფიქრი აბსოლუტური სისუფლელა.

ჯერ აღვადგინოთ კომპაქტურად ჩამოყალიბებული ინფორმაციული ცოდნა ოთხი განზომილების შესახებ და შემდგომ ამისა მოვახდენ მეხუთე განზომილების შემოტანას.

ყოველივე არსებული ოთხი პარამეტრალური ჩამონათვალთ შეიძლება იქნას მოცული. ეს ოთხნი არიან:

1) **დრო** – როგორც შედეგობრივი გამოვლინება ზესულისგან, სამყაროს უზენაესი პიროვნებისგან გამოვლინებული და მის მიერვე მართული. იგი ჭეშმარიტად გრძნობის გამოვლინებაა და იდეალიზმის ცნებას სრულად აკმაყოფილებს.

2) **სივრცე** – როგორც მიზეზობრივი გამოვლინება სულიწმიდისგან, დედა ღმერთისგან გამოვლინებული და მის მიერვე მარ-

თული. იგი ქვეშარიტად გონების გამოვლინებაა და რეალიზმის ცნებას სრულად აკმაყოფილებს.

3) **სულიერი გამოვლინება ერთიანი სივრცის რეალობაში** – როგორც საშუალებრივი გამოვლინება უპიროვნო განგებისაგან გამოვლინებული და მის მიერვე მართული. იგი ქვეშარიტად ქუყის გამოვლინებაა და რომანტიზმის ცნებას სრულად აკმაყოფილებს.

4) **ინტერესები** – როგორც საბაბობრივი გამოვლინება ღვთის ძისაგან გამოვლინებული და მის მიერვე მართული. იგი ქვეშარიტად ემოციის გამოვლინებაა და ფანატიზმის ცნებას სრულად აკმაყოფილებს.

5) **მატერიალური გამოვლინება ერთიანი სივრცის ილუზიაში** – როგორც სულიერი გამოვლინება ღვთის ასულისაგან გამოვლინებული და მის მიერვე მართული. იგი ქვეშარიტად ამბიციის გამოვლინებაა და პრაგმატიზმის ცნებას სრულად აკმაყოფილებს.

ამ ახალი ცნობიერი ცვლილებების საფუძველზე ვაყალიბებ:

1. დროის პარამეტრის შემადგენელი ნაწილები:

- ა) მომავალი, როგორც შორეული მიუწვდომელი მომავალი;
- ბ) აწმყო, როგორც უახლოესი მოსალოდნელი მომავალი;
- გ) აწმყო, როგორც მიმდინარე არსებული აწმყო;
- დ) აწმყო, როგორც უახლოესი განხორციელებული წარსული;
- ე) წარსული, როგორც შორეული დამკვიდრებული წარსული.

2. სივრცის პარამეტრის შემადგენელი ნაწილები:

ა) აღმოსავლეთი, როგორც საკოორდინაციო სისტემის I მეოთხედი;

ბ) დასავლეთი, როგორც საკოორდინაციო სისტემის II მეოთხედი;

გ) საკოორდინაციო სისტემის ცენტრი;

დ) ჩრდილოეთი, როგორც საკოორდინაციო სისტემის III მეოთხედი;

ე) სამხრეთი, როგორც საკოორდინაციო სისტემის IV მეოთხედი.

3. სულიერი გამოვლინების შემადგენელი ნაწილები:

ა) იდეა, როგორც ერთიანობის მამოძრავებელი ძალის თვითრეალიზაციის გამოხატვა;

ბ) ინტელექტი, როგორც ლოგიკის გამოვლინება;

გ) ჩაკრალური სისტემა, როგორც რეალობის ნატიფი გამჭვირვალობის განხორციელებულობა;

დ) ინდივიდუალური სული, როგორც გან(რ)წმენდ(ვ)ის პოტენციური საშუალება;

ე) ინდივიდუალური სხეული, როგორც კარმული (სულიერი) ჭუჭყის გამოხატულება.

4. ინტერესების შემადგენელი ნაწილები:

ა) ორიენტაცია, როგორც მოძიებულის, ნაპოვნის არსობრივი გამოვლინება;

ბ) ადაპტაცია, როგორც საძიებელის, საპოვნელის პოტენციალის გამოვლინება;

გ) ფიქსაცია, როგორც პოვნისა და ძიების აღწერა;

დ) ინერცია, როგორც ნაპოვნით კმარობა და ძიებაზე უარის თქმა;

ე) იმპროვიზაცია, როგორც ნაპოვნში კირკიტით მისი კარგვა.

5. მატერიალური გამოვლინების პარამეტრის შემადგენელი ნაწილები:

ა) მოცულობა, როგორც მატერიალურ გამოვლინებაში წვდომის სიღრმე;

ბ) ფორმა, როგორც მატერიალური გამოვლინების ვიზუალური აღქმა;

გ) ზომა (მანძილი), როგორც თვალსაწიერში არსებულის კონტაქტური გარემოს გათვალისწინება;

დ) წონა (მასა), როგორც მატერიალური გამოვლინებულობისთვის შესაბამისი წონასწორობის ანუ საჭირო ზომიერების დაცვა;

ე) პერსპექტივა, როგორც თვალსაწიერში რალაც საბაბით შეძვრომა და კონტაქტის პროვოცირებით მსოფლმხედველობის შემცირება.

ამ წიგნის შემადგენელი ნაწილების მიხედვით დაყოფა ამ ხუთ პარამეტრალურ სისტემასთან ასე გამოიყურება:

1. დრო – ზესული; მიზეზი.

2. სივრცე – ქმედების ადგილი; ღვთიური ცნობიერება; მიზანი.

3. სულიერი გამოვლინება – მომქმედი; ღვთიური ყოფიერება; საშუალება.

4. ინტერესები – გრძნობები; ადამიანური ცნობიერება; შედეგი.

5. მატერიალური გამოვლინება – მცდელობები; ადამიანური ყოფიერება; საბაბი.

საერთო ჯამში, თუ შევეცდებით ცხრილური ჩანაწერით ასეთი სახით გადმოიცემა ხუთგანზომილებიანი სისტემის ფასეულობრივი არსობრივობის მონაცემები. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ მიზეზ-საბაბობრივი ჯაჭვი იმდენად ფარდობითი და ცვალებადია, რომ აქ მოყვანილი მონაცემები შეიძლება გადაადგილდეს სხვადასხვა გადასახედიდან.

	იდელიზმი გრძნობა მიზეზი ზესული დრო	რელიზმი გონება მიზანი მოქმ. ადგ. სივრცე	რომანტიზმი ჭკუა საშუალება მომქმედი სულ. გამოვ.	ფანატიზმი ემოცია შედეგი „გრძნობები“ ინტერესები	პრაგმატიზმი ამბიცია საბაბი მცდელობა მატ. გამოვ.
იდელიზმი გრძნობა მიზეზი ზესული დრო	შორეული მომავალი	აღმოსავლეთი	იდეა	ორიენტაცია	მოცულობა
რელიზმი გონება მიზანი მოქმ. ადგ. სივრცე	უახლოესი მომავალი	დასავლეთი	ინტელექტი	ადაპტაცია	ფორმა
რომანტიზმი ჭკუა საშუალება მომქმედი სულ. გამოვ.	მიმდინარე ანმყო	ცენტრი	ჩაკრალური სისტემა	ფიქსაცია	ზომა მანძილი
ფანატიზმი ემოცია შედეგი „გრძნობები“ ინტერესები	უახლოესი ანმყო	ჩრდილოეთი	ინდივიდუალური სული	ინერცია	ნონა მასა
პრაგმატიზმი ამბიცია საბაბი მცდელობა მატ. გამოვ.	შორეული ანმყო	სამხრეთი	ინდივიდუალური სხეული	იმპროვიზაცია	პერსპექტივა

მოდულების ნაირსახეობა, მათი რაობა და კანონზომიერი გადანაწილება საქმიანობის ხუთ მიზეზს შორის

მოდულის ცნება თავის არსში მოიცავს ინდივიდის მიერ მასში არსებული რეალური პოტენციალის არასწორად, არასაჭიროდ, ჭეშმარიტების არადამაკმაყოფილებლად აღქმულ ნაწილს. იმისდა შესაბამისად, რამხელაზეც დიდია ან პატარა ინდივიდში არსებული რეალური სრული პოტენციალის არასწორად გამოყენებული ნაწილი, ხდება ინდივიდის მდგომარეობის განსაზღვრა ე. წ. სხვადასხვა მოდულებში. მოკლე ცხრილური ჩანაწერი შემდეგი სახით შეიძლება გადმოიცეს.

1) ზესული (გრძნობა)		ზეცა
	ზემოდუსი	
2) მომქმედი (ჭკუა)		I სამყარო ; ცათა სასუფ.
	სათნოების მოდუსი	
3) ქმედ. ადგილი (გონება)		II სამყარო; სამოთხე
	ვნების მოდუსი	
4) „გრძნობები“ (ემოცია)		III სამყარო; მატ. სამყარო
	უმეცრების მოდუსი	
5) მცდელობები (ამბიცია)		ჯოჯოხეთი

ანუ ცოცხალ არსებათა პოტენციური ინტერესებისა და მათი შესაბამისი შესრულება-არშესრულების შედეგად მათთვის განსაზღვრულ ადგილმდებარეობათა სრული გათვალისწინებით თუ ვინეღმძღვანელებთ, სულ სამი სამყარო არსებობს. როგორც ცხრილიდან ხედავთ, ამ სამყაროების ახსნის უმშვენიერეს, ალბათ საუკეთესო საშუალებასაც კი ზემოთ ხსენებული ე. წ. მოდულები წარმოადგენენ. თავად მოდულების ნაირსახეობის ახსნისთვის კი, როგორც ცხრილი გვაჩვენებს, ამ წიგნის ხერხემალი შეიძლება გამოვიყენოთ ანუ მოქმედების განმაპირობებელი ხუთი მიზეზი. სწორედ რომ ამის მიხედვით არის წიგნი ხუთ ტოლ ნაწილად დაყოფილი. I სამყაროს ზემოთ თეორიულად ასვლის შემთხვევაში ინდივიდუალიზმი საერთოდ ქრება და ეს არ ეხება მხოლოდ სამყაროს უზენაეს პიროვნებას, ისევე როგორც III სამყაროს ქვემოთ თეორიულად ჩასვლის შემთხვევაში ინდივიდუალიზმი საერთოდ ქრება და უსულო მატერიალურ ნივთად გადაიქცევა და ეს არ ეხება მხოლოდ „ეგო“-ს სამყაროს უზენაეს პიროვნებას. ვფიქრობ, არავისთვის არ არის საჭირო და სასურველი სამი სამყაროს ფარგლებს გარეთ გას-

ვლის სურვილი, ეს ძალიან ბევრ უსიამოვნებას მოუტანს ნებისმიერს და არავის არ ვურჩევ.

ახლა კი, რაც შეეხება იმ სამ სამყაროს, რომლებიც ცოცხალი არსებების არსებობისა და მოღვაწეობის არეალს წარმოადგენენ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. ცოცხალი არსებების მოქმედებას მათი ინტერესების დაკმაყოფილების სურვილი განაპირობებს და წარმოადგენს სულიერი გაზრდის, საკუთარი არსის სრულად შემეცნების ან საკუთარი შეხედულებების განხორციელების მცდელობებს. სამი სამყაროს წარმოშობის, არსებობის და რაობის უდიდესი საიდუმლოება მამოძრავებელი ინტერესების წყაროში იმალება. ზოგადად, თითოეულ სამყაროს ამ სამიდან, ისევე როგორც ნებისმიერ ცოცხალ არსებას, როგორც ფენომენურ ინდივიდს, თავთავისი ინტერესების წყარო გააჩნია და სწორედ ამ კრიტერიუმის საფუძველზე ხდება ცოცხალ არსებათა შესაფერისი გადანაწილება მათთვის შესაბამის სამყაროში. პირველი, მეორე და მესამე სამყაროები იერარქიული საფეხურებია ეთიკისა და ესთეტიკის ხარისხისა და რაოდენობის თვალსაზრისით.

სამი სამყაროს ისტორიულად შექმნის შემდეგი ჩანახატი (ცხრილი, რომელიც ზემოთაა მოცემული), ვფიქრობ, მნიშვნელოვანია მათი აღქმის მცდელობის გზაზე. აბსოლუტურად ნებისმიერ ინდივიდუალურ პიროვნებას აქვს თავისი პიროვნული თვისებები. ამ მხრივ, ფრიად საინტერესოა მამაკაცური სანყისისა და ქალური სანყისის შემადგენელ თვისებათა საუკეთესო ფორმით ჩამოყალიბებისა და გამოვლინების კრიტერიუმები. განსაკუთრებით საინტერესოა აბსოლუტური ჭეშმარიტების პირადი წარმომადგენლის, სამყაროს უზენაესი პიროვნების, მამაკაცური სანყისის საუკეთესო წარმომადგენლისა და მთელი ზოგადი ცნობიერების პირადი წარმომადგენლის, სამყაროთა უწმინდესი პიროვნების, ქალური სანყისის საუკეთესო წარმომადგენლის ინტერესთა წყაროების კომპეტენტური და კორექტული გაცნობიერება. მოდით, თითოეული მათგანი ცალ-ცალკე განვიხილოთ. აბსოლუტური ჭეშმარიტების პირადი წარმომადგენელი ზოგადად, მართლაც თავისუფლად შეგვიძლია მივიღოთ, როგორც მამაკაცური სანყისის საუკეთესო წარმომადგენელი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ იგი ქალურ სანყისს არ მოიცავს თავისში. ამის არმილება უბრალოდ აბსურდის დონემდე მიგვიყვანდა. ამიტომ ამ პიროვნებას სჯობს სხვაგვარად, უფრო პიროვნული კუთხით მივუდგეთ და სრულიად დამსახურებულად ვუწოდოთ მას სამყაროს უზენაესი პიროვნება ანუ მამა

ლმერთი. ის არის თესლის მიმცემი აბსლუტურად ყველასი და ყველაფრისა, რაც კი არსებობდა, არსებობს და იარსებებს. მამა ლმერთის მამაკაცური სანყისის ინტერესების წყარო (გრძნობა და ამბიცია) ისეთ ფასეულობებს მოიცავენ, როგორებიცაა **გამთლიანება** და **ნდობა**, ხოლო ქალური სანყისების პარამეტრები (გონება და ემოცია) კი – **ჭეშმარიტება** და **რწმენა**. აი, ეს ოთხი წყაროა ინტერესებისა, რითაც ხდება ფაქტიურად აბსოლუტური ჭეშმარიტების, როგორც უზენაესი იმპერსონალისტური ფასეულობის მსახურება მამა ლმერთის მხრიდან.

როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტების პირადი წარმომადგენელის შემთხვევაში, აბსოლუტური ზოგადი ცნობიერების პირად წარმომადგენელზე კი არის საუბარი, მაგრამ უდავოდ მას თავად გააჩნია როგორც ქალური ისე მამაკაცური სანყისები, რაც ნებისმიერი ინდივიდის, როგორც ასეთად, ინდივიდუალურად არსებობის უცილობელი პირობაა. ამიტომ, ვფიქრობ, აქაც უპრიანი იქნება სამყაროს უნმინდესი პიროვნებისათვის შესაბამისი სახელი შეირჩეს. ვფიქრობ, მას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ სულიწმიდა ანუ დედა ლმერთი. ის არის მშობელი (ანუ ის, ვინც უშუალოდ „შობს“, აჩენს) აბსოლუტურად ყველასი და ყველაფრისა (მამა ლმერთის გარდა), რაც კი არსებობდა, არსებობს და იარსებებს.

დედა ლმერთს მამაკაცური სანყისისა და ქალური სანყისის ინტერესების წყარო გრაფიკული ცხრილის მიხედვით ასე გამოიყურება. მამაკაცური სანყისის პარამეტრები **გრძნობა** და **ამბიცია** წარმოდგენილია ისეთი ფასეულობებით, როგორიცაა **პარმონია** და **განვითარება**, ხოლო ქალური სანყისის პარამეტრები **გონება** და **ემოცია** კი – **ტრანსცენდენცია** და **ცნობისწადილი**.

აი, ამ ორი უდიდესი პიროვნების ურთიერთობების დროს მათი შესატყვისი ინტერესთა წყაროების შესაბამისად დაკმაყოფილების პროცესში ერთი შეხედვით უმნიშვნელოდ მცირე გადახრამ განაპირობა მთელი ამ სამი სამყაროს გამოვლინება. ეს უმნიშვნელოდ მცირე გადახრა, აბსოლუტურად კრისტალურად კომპეტენტური გადასახედიდან, ერთმანეთის ფუნქციებში თავისდაუნებურმა შეჭრამ გამოიწვია, რაც, თავის მხრივ, შედეგი იყო ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი მიჯაჭვულობისა ერთმანეთზე. მაგრამ ეს ე. წ. გადახრა იმდენად მწირი, უმცირესი ნაწილია ამ ორი უდიდესი პიროვნების მთელს მათ გამოვლინებულობაში, რომ, ვფიქრობ, ნებისმიერი გამოვლინებული ინდივიდისათვის მთლიანად სამივე სამყაროში აქსიომად უნდა გახდეს გაგება იმისა, რომ – არასოდეს

ეცადონ თავი გაუტოლონ მათ. მთელი გამოვლინებული სამივე სამყაროს ფუნქცია კი იმაზე დაიყვანება, რომ მათი საშუალებით (მათივე ნებით, არასასურველ შემთხვევაში კი მათი ნების გარეშე) მოხდეს ამ უმნიშვნელოდ მცირე გადახრის აღმოფხვრა და ეთიკურ ჩარჩოებში ჩასმა, უფრო დაწვრილებით ეს პირველ ნიგნშია აღწერილი და აქ ამის ახსნას აღარ შევუდგები. ამ მცირე შესავლის შემდგომ, სამი სამყაროს განზოგადებულ განხილვაზე გადავალ.

მაშ ასე, თუ სამი სამყაროს გამოვლინების უშუალო საბაზი მამა ღმერთისა და სულიწმიდის (დედა ღმერთის) ურთიერთობის შედეგად წარმოქმნილი უმნიშვნელოდ მცირე გადახრა გახდა მთელი ზოგადი ცნობიერების ქრილში, მაშინ მათი ურთიერთობის პროცესში ერთადერთი საუკეთესო და საჭირო გზა ამ მცირედი გადახრის სრულყოფილი გამოვლინება იქნება. ამისათვის უმჯობესია თითოეული მათგანის ცალ-ცალკე განხილვა უმნიშვნელოდ მცირე გადახრის დიაპაზონში. მამაკაცური სანყისის საუკეთესო წარმომადგენლად სრულიად თავისუფლად შეგვიძლია მივიღოთ ის, ვინც ამ დიაპაზონში ჭეშმარიტად დასამკვიდრებელი ცნობიერების ჩამოყალიბებასა და გამოვლინებას მოახდენს. მას, რა თქმა უნდა, თავად გააჩნია როგორც მამაკაცური, ისე ქალური სანყისი. ამიტომ, როგორც ზემოთ, აქაც უმჯობესია მას უფრო კონკრეტული პიროვნული კუთხით მივუდგეთ და სრულიად თავისუფლად შეიძლება ვუნოდოთ სამყაროს უერთგულესი პიროვნება ანუ ღვთის ძე. ის არის თანამოზიარე და დამკვალიანებელი აბსოლუტურად ყველასი და ყველაფრისა, რაც კი არსებობდა, არსებობს და იარსებებს სამივე სამყაროში (მაგრამ არა მათ ფარგლებს გარეთ). მაგრამ ერთგვარი სახის გრადაციას თუ მოვახდენთ, ის უშუალოდ სამყაროს უზენაესი პიროვნება გახლავთ. ღვთის ძის მამაკაცური და ქალური სანყისების ინტერესების წყარო შემდგომში მდგომარეობს: მამაკაცური სანყისის პარამეტრები **გრძნობა** და **ამბიცია** შესაბამისად ისეთ ფასეულობებს მოიცავს, როგორებიცაა **კეთილშობილება** და **ობიექტურობა**, ხოლო ქალური სანყისის პარამეტრები **გონება** და **ემოცია** ისეთი ფასეულობებით შემოიფარგლება როგორებიცაა **სრულქმნილება** და **თანაგრძნობა**.

უმნიშვნელოდ მცირე გადახრის დიაპაზონში ქალური სანყისის საუკეთესო წარმომადგენლად შეგვიძლია მივიღოთ ის, ვისაც ამ მცირე გადახრის ობიექტურ რეალობად მიღების უნარი, მის უნებლიე ავტორებთან, ორ უდიდეს პიროვნებასთან არ დაპირისპირების და ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში მათი ისეთად მიღე-

ბის უნარი შესწევს, როგორებიც ისინი არიან. მასაც, რა თქმა უნდა, გააჩნია კონკრეტულად პირადი მამაკაცური და ქალური სანყისები. პიროვნული კუთხით თუ მიუზღვებით, ვფიქრობ, სრულიად თავისუფლად შეიძლება ვუნოდოთ სამყაროს უსაყვარლესი პიროვნება ანუ ღვთის ასული. ჩემს პირად აღქმაში მე პირადად ცისფერ ფერიასაც კი დავარქმევდი. ის არის დამხმარე და ხელისშემწყობი მატერიალურ სამყაროში გამოვლინებული ყველა ინდივიდისა ნებისმიერი სახით, რომლებიც ცდილობენ სიტკბო და სიხარული მიანიჭონ თავის გარშემო არსებულს ყველასა და ყველაფერს. აქაც კონკრეტულ გრადაციას თუ მოვახდენთ ის უშუალოდ III სამყაროს უზენაესი პიროვნება გახლავთ. ღვთის ასულის მამაკაცური და ქალური სანყისების ინტერესების წყარო შემდგომში მდგომარეობს: მამაკაცური სანყისის პარამეტრები **გრძნობა** და **ამბიცია** შესაბამისად ისეთ ფასეულობებს მოიცავს, როგორებიცაა **განათლება** და **აღიარება** (აღმსარებლობა), ხოლო ქალური სანყისის პარამეტრები **გონება** და **ემოცია** ისეთი ფასეულობებითაა განსაზღვრული, როგორებიცაა **გან(რ)წმენდ(ვ)ა** და **სინანული** (თვით-კრიტიკულობა).

რაც შეეხება მეორე სამყაროს, მას პირადად კურირებს სამყაროს უწმინდესი პიროვნება, დედა ღმერთი, იგივე სულიწმიდა. განშტოებულად თუ განვიხილავთ უმნიშვნელოდ მცირე გადახრის დიაპაზონში წარმოქმნილ სამ სამყაროს, მეორე სამყაროს უზენაესი პიროვნება იგი თავადვე გახლავთ. ამ სამყაროში ხდება ჭეშმარიტად დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების დამკვიდრებით ზოგადი ცნობიერების ჩამოყალიბება და გადახრის საფუძველზე წარმოქმნილი ცნობიერების ჩანაცვლება მისით. ანუ მეორე სამყაროში ხდება ზოგადი ცნობიერების ერთგვარი კორექტირება პირველი სამყაროდან მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რისი გამოვლინებაც პრაქტიკულ დონეზე მესამე სამყაროში ხდება. ასე ვთქვათ, გამოიცილება რამდენად საჭირო და მართებული კორექცია იქნა შეტანილი. როგორც მეორე სამყაროს უზენაესი პიროვნება, დედა ღმერთი ბედ-ილბლის განმსაზღვრელია (ბედის მწერალია) აბსოლუტურად ყველასი და ყველაფრისა, რაც კი II სამყაროში მიღებული ზოგადი ცნობიერების გამოვლინებას ექვემდებარება. ამიტომ, უმნიშვნელოდ მცირე გადახრის დიაპაზონში არსებული რეალობის მონაწილენი და თუნდაც დამკვირვებელნი, მას, როგორც ამ დიაპაზონში ზოგადი ცნობიერების ჩამომყალიბებელსა და გამომვლინებელს, ბედის ქალღმერთსაც უწოდებენ.

იქმნება ისეთი შეხედულება, თითქოს სამყაროს უზენაესი პიროვნება ანუ მამა ღმერთი სამი სამყაროს ცხოვრებაში მონაწილეობას არ ღებულობს, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა. სწორედ მისი საშუალებით ხდება დასამკვიდრებელი ქვეყნების ჩამოყალიბება და პირველ სამყაროში გადაგზავნა. ის უშუალო კონტაქტში არ იმყოფება არც ერთ სამყაროსთან, ანუ მისი ვინმეზე, ან რაიმეზე მიჯაჭვა და ამის შედეგად რაიმე სუბიექტივიზმის შემოტანა ალბათობის დონეზეც კი ნულის ტოლია. სწორედ ის გახლავთ უზენაესი საშუალება და გარანტი უკვე დაშვებული უმნიშვნელოდ მცირე გადახრის აღმოფხვრისა და მის ადგილზე საჭირო და სასურველი მართებულობით ჩანაცვლებისა.

აგრეთვე მინდა გამოვყო უკვე არსებული უმნიშვნელოდ მცირე გადახრის წარმომადგენლობითი ნაწილი თავისი უზენაესი წარმომადგენლით. ეს გახლავთ პიროვნება, რომელიც ყოველთვის რეალურად არსებული გადახრის აბსოლუტურად ზუსტი რაოდენობისა და ხარისხის მარეგულირებელია. იგი უფრო III სამყაროს მიღმა არსებული რეალობის უზენაესი წარმომადგენელია, თუმცა, უდავოდ, მატერიალურ სამყაროშიც ძალიან მნიშვნელოვანი როლი აკისრია. მისი დაკმაყოფილება შეუძლია ყველასა და ყველაფერს მატერიალურ სამყაროში, რაც ან ვინც არსებული გადახრების საზღვრებს არ გასცდება ანუ თავის მხრიდან სხვა გადახრებსაც არ დაამატებს. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ უმნიშვნელოდ მცირედი გადახრის დიაპაზონს არგაცდენილი ინდივიდები მატერიალურ სამყაროში მატერიალური სხეულით არსებობის პერიოდში მატერიალური კეთილდღეობით უზრუნველყოფილნი ხდებიან, თუკი ამ გადახრის წარმომადგენლობით ნაწილს თავისი უზენაესი პიროვნებით, როგორც ასეთს, ისე უდგებიან, ანუ მასთან დაპირისპირებაში არ შედიან. ხოლო უფრო გასაგებად რომ ითქვას, რეალურად ეს ობიექტური რეალობის შედეგის თავისში მიღებას ნიშნავს. ვინც ამას ვერ შეძლებს მისი მამაკაცური სანყისის პარამეტრები **გრძნობა** და **ამბიცია** შესაბამისად ისეთი ფასეულობებით დაკავდება, როგორებიცაა **დაშლა** და **უნდობლობა**, ხოლო ქალური სანყისის პარამეტრები **გონება** და **ემოცია** კი ისეთი ფასეულობებით დაკავდება, როგორებიცაა **სიმცდარე** და **ურწმუნობა** (ეჭვიანობა).

ამ წარმომადგენლობითი ნაწილის პიროვნული გამოკვეთის შემთხვევაში სრულიად თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს მამა ღმერთის „ეგო“-სთან, როგორც მთელ ნაწილთან, ხო-

ლო პიროვნულად მამა ღმერთის „ეგო“-ს უზენაეს წარმომადგენელთან. მაგრამ ეს და, საერთოდ, არაფერი არ შეიძლება გახდეს პიროვნული დაპირისპირების საგანი. აქ არის უზარმაზარი ცნების ფესვები: **მტრის გაგება არ უნდა არსებობდეს სრულყოფილ არსებაში.** ეს ნაწილიც და მისი წარმომადგენელიც აბსოლუტური ქვემარტების მიერ არის გამოვლინებული. მხოლოდ იმისათვის, რომ მამა ღმერთისთვის უმნიშვნელოდ მცირე გადახრა ზედმინვნით დასანახი და გასაგონი გამხდარიყო. სწორედ ამ „ეგო“-ს ზედმინვნითი და სკურპულოზური განხილვის შემდეგ ახდენს მამა ღმერთი დასამკვიდრებელი ცნობიერების ჩამოყალიბებას უმნიშვნელოდ მცირედ გადახრილ ნაწილში და ნებისმიერი ინდივიდი, ამ სამ სამყაროში გამოვლინებული, რომელიც, პარალელურად სამყაროს უზენაესი პიროვნებისა, ამას შეეცდება, ალბათობის თეორიის გათვალისწინებით, საკუთარ „მე“-ში გადახრილი ნაწილის გაზრდისთვის ანუ „ეგო“-ს გაზრდისთვის არის განწირული. ნებისმიერი ინდივიდისთვის გაცილებით უკეთესი იქნება ბუნებრივი სვლის იმ თანამიმდევრულობას მიჰყვეს, რასაც მისთვის განკუთვნილი ობიექტური რეალობა განსაზღვრავს. ბრალმდებელი და განმკითხავი ადრე თუ გვიან თავადვე გახდება ბრალდებული და განკითხული.

როგორც ამ ყველაფრიდან გამომდინარეობს, აბსოლუტურად ყველა და ყველაფერი ობიექტური და ლოგიკური კანონზომიერებიდან მომდინარეობს. ხელალებით დადებული იარლიყები, როგორიცაა ცუდი და კარგი, ზედაპირული ბოროტი და კეთილი, არასილრმისეული დატვითვით გადმოფრქვეული, ნებისმიერისათვის ქვემარტივად კატასტროფული შედეგების მომტანი გახლავთ. და კიდევ ერთი დასკვნა: *ის, ვინც სამი სამყაროს ცხოვრებაში უშუალოდ მონაწილეობს მომქმედი ინდივიდის სახით, ვერანაირად ვერ იქნება აბსოლუტურად ობიექტური სამი სამყაროს რეალობასთან მიმართებაში, მაგრამ პირველი სამყაროს წარმომადგენელს შესწევს უნარი იყოს ობიექტური მეორე და მესამე სამყაროსთან მიმართებაში (ნაწილობრივ I სამყაროსთანაც), მეორე სამყაროს წარმომადგენელს შესწევს უნარი იყოს ობიექტური მესამე სამყაროსთან მიმართებაში (ნაწილობრივ II სამყაროსთანაც), ხოლო რაც შეეხება მესამე სამყაროს წარმომადგენელს, რაც თავის არსში მატერიალურ სამყაროს მოიცავს, ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდება იმისათვის, რომ ობიექტური იყოს და ისიც, ვფიქრობ, შესაძლებელია თავისივე მესამე სამყაროსთან მიმართებაში.*

ამ ჩამონათვალში არ იგულისხმებიან კონკრეტულად სამყაროების უზენაესი პიროვნებები, რა თქმა უნდა, სამყაროების მიღმა მყოფი მთელი გამოვლინებულობის უზენაესი პიროვნება და აგრეთვე ამ სამყაროების მიღმა მყოფი უმნიშვნელოდ მცირედ გადახრილი ნაწილის, ანუ მამა ღმერთის „ეგო“-ს უზენაესი პიროვნება, იგივე იოვა მამა, მამა ღმერთის და.

სამივე სამყარო ფუნქციონალურად მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, ერთი მიზეზიდან გამომდინარეობენ და, ფაქტიურად, ერთი დიდი მიზნის მიღწევის სამსახურში დგანან. უსამართლობის, დაუმსახურებელი დასჯის ან დაუმსახურებელი დაჯილდოების პრეცედენტი არც ერთში არ არსებობს.

რას მოიცავენ ცალკეული მოდუსები და როგორ ხდება მათი მეშვეობით ცოცხალ არსებათა მართვა

თითქმის ყველა ცოცხალ არსებას საკუთარი ინდივიდი საკუთარ პირად ცხოვრებაში ერთადერთ მომქმედად ანუ საკუთარი ბედის განმგებლად მიაჩნია. სინამდვილეში ცოცხალი არსებები ზედმინვენით პროგნოზირებადნი და ქმედებაში გათვალისწინებადნი არიან. რეალურად ისინი ამა თუ იმ მოდუსით იმართებიან. ხოლო ისინი კი, ვინც სამ მოდუსზე ზემოთ დგებიან და მოდუსებზე აღარ არიან დამოკიდებულნი, საკუთარი ნებით არიან დამოკიდებულნი სამყაროს უზენაეს პიროვნებაზე და არაპროგნოზირებადი პროვოკაციული ქმედებებისკენ მიდრეკილება საერთოდ აღარ გააჩნიათ. თუკი მოდუსებზე ზემოთ მდგარს ე. წ. ზემოდუსში მყოფს ასეთი სურვილი გაუჩნდება, იგი ავტომატურად მოდუსების ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდება და ასეთი წვალებით აღმოფხვრილი უპირობო რეფლექსები ისევე ხელახლა გახდებიან მისი რეალური მმართველები და ბატონები.

არსებობს სულ სამი მოდუსი: სათნოების, ვნების და უმეცრების და ერთიც მოდუსების გადალახვის მდგომარეობა, ამიტომ პირობითად მას დავარქმევ ზემოდუსს. მათი ძალიან მოკლე შინაარსობრივი ახსნა შემდეგია:

1) ზემოდუსი – ეთიკური, მართებული ქმედებებით ცხოვრება.

2) სათნოების მოდუსი – ეთიკური, მართებული ქმედებების შედეგებით ცხოვრება.

3) ვნების მოდუსი – არაეთიკური, მცდარი ქმედებების შედეგებით ცხოვრება.

4) უმეცრების მოდუსი – არაეთიკური, მცდარი ქმედებებით ცხოვრება.

აი, ასეთია მოდუსების განმარტება ინდივიდუალიზმის გადასახედიდან, მაგრამ მე მსურს მეორე განმარტებაც დავუერთო ამჯერად არაინდივიდუალიზმის გადასახედიდან:

1) ზემოდუსი – საშუალება განსაზღვრავს მიზანს.

საშუალება უფრო შესაძლებლობებს შეესაბამება, მიზანი – მოთხოვნილებებს. ამრიგად, ამ მოდუსებს გარეთში ხდება საშუალებების აღქმის სრულქმნა და შესაძლებლობების შესაბამისი მოთხოვნილებების განსაზღვრა. მოქმედება ბუნებრივი მოვლენების ბუნებრივი სვლის (ევოლუციების) აუცილებლობით არის გამოვლინებული. შედეგად მიზანი კეთილს შობს, კეთილშობილურია (კეთილშობილურია). საშუალება კი ზედმინევენითი ეთიკურობა და პროცესის ბუნებრივად თანმდევი სიამოვნებაა.

2) სათნოების მოდუსი – მიზანი გან(რ)წმენდს და ანათლებს საშუალებას.

ამ მოდუსში ხდება მიზნების აღქმის სრულქმნა და მოთხოვნილებების შესაბამისობაში შესაძლებლობების მოყვანა. მოქმედება მოვლენების ბუნებრივი სვლის აღდგენის (ჰარმონიზირების) აუცილებლობით არის გამოვლინებული. შედეგად მიზანი ღვთისნიერებაა, საშუალება კი ზედმინევენითი კომპეტენტურობა და კორექტულობაა.

3) ვნების მოდუსი – მიზანი აცდუნებს საშუალებას.

ამ მოდუსში ხდება საჭირო მიზნების ვერ აღქმა და მოთხოვნილებების ვერ დაკმაყოფილება, რაც შესაძლებლობების პოტენციალს შეესაბამება. მოქმედება მოვლენების ინერციით, ბრმად სვლით (უპირობო რეფლექსების მიყოლით) არის გამოვლინებული. შედეგად მიზანი კარმიული ყოფიერებაა ანუ სულიერი ჭუჭყის დაკმაყოფილებაა, საშუალება კი ზედმინევენითი უკომპრომისობა და უტაქტობაა (არაკორექტულობაა).

4) უმეცრების მოდუსი – მიზანი ამართლებს საშუალებას.

ამ მოდუსში ხდება მიზნების საჭიროების (ფუნქციების) ვეღარ აღქმა და საკუთარი შესაძლებლობების პოტენციალისთვის სრულიად შეუსაბამო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ნებისმიერ ფასად. მოქმედება მოვლენების თვითნებური, შეიძლება ითქვას, პროვოკაციული სახით (პირობითი რეფლექსების მიყოლით) არის

გამოვლინებული. შედეგად მიზანი ანტიღვთიურობა ანუ ეშმაკურია, საშუალება კი, ზედმინვენითი კომფორმისტულობა და მამამებლობაა (მლიქვნელობაა, თვალთმაქცობაა).

მეტად საინტერესოა მოდუსების განსაზღვრისა და აღქმის რაობა მთელი გამოვლინებული სამივე სამყაროს მშობლების გადასახედიდან, ცალკეული სამყაროების გადასახედიდან და თავად მოდუსების გადასახედიდან. შეიძლება ითქვას, რომ ძნელია მოიძებნოს რაიმე საკითხი, რომელიც ამაზე მნიშვნელოვანი იქნება. თუმც მგონია, რომ გაჭირდება იმ ინდივიდების პოვნა, რომლებიც ამ თავის ძირეულ განხილვას, თუნდაც განხილული სახით ე. წ. დაღეჭილი სახით, ბოლომდე გაჰყვებიან, რათა გადაყლაპონ, რამეთუ ამ წამიერი გადასახედიდან ალბათ ძალიან დიდი უმრავლესობიდან ერთეულები თუ გამოიძებნება, ვისთვისაც ეს მნიშვნელოვნად, მისთვის საჭიროდ ანუ აუცილებლად იქნება მიჩნეული და ამ ერთეულებიდან კიდევ უფრო მცირე ერთეულები მოინდომებენ მის მოსმენას ბოლომდე, ისე რომ საკუთარი შეხედულებებით ჩანაცვლება არ მოინდომოს.

მაშ ასე, მოდუსების განსაზღვრა მთელი გამოვლინებულობის მშობლებიდან, იმათგან ვინც, შეიძლება ითქვას, განზე დგანან ანუ უშუალოდ არ მონაწილეობენ სამი სამყაროს არსებობის დროს წარმოქმნილი ცხოვრების პროცესში. ამ შემთხვევაში მოდუსები განსაზღვრავენ იმას, თუ რა ინვეს განდეგილობის სრულქმნას ან პირიქით, სრულყოფილების არასრულყოფილებად გარდაქმნას.

1) **ზემოდუსი** – ეს ე. წ. მოდუსი განსაზღვრავს განდეგილობაში (განზე მყოფობის მდგომარეობაში) ინდივიდის მცდელობას, საკუთარ არსში არსებული სრულყოფილება იმ დროს და იმ ადგილზე იქნას მიღებული და აღქმული, სადაც ის დაეხმარება მთელს გამოვლინებულობაში არსებულ არასრულყოფილებას სრულყოფილებად გადაქცევაში. ამ შემთხვევაში აუცილებელია მამა ღმერთის ჯეროვნად შეფასების უნარის გამომუშავება, ხოლო დედა ღმერთის ზედმეტად არ გადაფასება, თუმც შეიძლება ითქვას, ერთი მეორეს ავტომატურად მოიაზრებს და მოიცავს. ეს შეიძლება შეუპოვრობით მიიღწეს.

2) **სათნოების მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს განდეგილობაში მყოფი ინდივიდის მცდელობას, საკუთარ არსში არსებული არასრულყოფილება იზოგოს და აღიქვას და შემდეგ ის სრულყოფილებად გადააქციოს. ამ შემთხვევაში ხდება მამა ღმერთის ზედ-

მეტად არ შეფასება (ფანატიკური სპეკულაციით არ ხელმძღვანელობა), ხოლო დედა ღმერთის ჯეროვნად შეფასება (ანუ ზედმინე-ნით ისეთი სახით აღქმა, როგორც არის მისი არსი).

3) **ვნების მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს განდევნილობაში მყოფი ინდივიდის მცდელობას, საკუთარ არსში არსებული სრულყოფილება მიღებულ და აღიარებულ იქნას იმ გარემოს მიერ, სადაც მას ეს სურს, ფაქტიურად მთელი არსებული გამოვლინებულობის მიერ. ამ შემთხვევაში ხდება მამა ღმერთის ზედმეტად შეფასება (საკუთარი ინიციატივით რალაცეების მიმატება მის შესაძლებლობებზე და ფანატიკური სპეკულაცია), ხოლო დედა ღმერთის ჯეროვნად არ შეფასება (ჩასაფრებულობის სულისკვეთებით მიდგომა და პრაგმატული სპეკულაცია).

4) **უმეცრების მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს განდევნილობაში მყოფი ინდივიდის მცდელობას, საკუთარი არსი სრულყოფილად იქნას აღიარებული და აღქმული მთელი არსებული გამოვლინებულობის მიერ. ამ შემთხვევაში ხდება მამა ღმერთის ჯეროვნად არ შეფასება (ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, მასთან დაპირისპირება საკუთარი „მე“-ს სამყაროს უზენაეს პიროვნებად გამოცხადების აშკარა მცდელობის გამო), ხოლო დედა ღმერთის ზედმეტად გადაფასება (ანუ დედა ღმერთის მამა ღმერთზე ზემოთ დაყენება)

შეფასების გაკეთებისაგან თავს შევიკავებ, რამეთუ უმჯობესი იქნება ინფორმაცია მშრალი სახით იყოს. ახლა კი იმის შესახებ, თუ ზემოდუსის გადასახედიდან როგორ ჩანან მოდუსები. იგი მოიცავს იმ ნაწილს, სადაც ხდება დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების დისკრეტული შემოდინება განსაზღვრული მთელი არსებული გამოვლინებულობის არსობრივობის გაუმჯობესებისათვის (ქველმოქმედებისათვის).

1) **ზემოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს ჭეშმარიტების დამკვიდრების მსურველი ინდივიდის მცდელობას, თვითდამკვიდრება იმ დროს და იმ ადგილზე მოახდინოს, სადაც ეს საჭიროა მთელი გამოვლინებულობის საერთო ინტერესებისათვის და ცდილობს ეს თვითდამკვიდრება სამკვიდროს (დამკვიდრების) დიაპაზონში ძალმომრეობაში (ძალადობაში) არ გადაიზარდოს.

2) **სათნოების მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს ჭეშმარიტების დამკვიდრების მსურველი ინდივიდის მცდელობას, გაერკვეს იმაში, თუ რატომ აქვს თვითდამკვიდრების სურვილი და სურს

აღიქვას, რატომ არ შეუძლია არსებობა დამხმარე საშუალებების გარეშე, სრულიად დამოუკიდებლად.

3) **ვნების მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს ჭეშმარიტების დამკვიდრების მსურველი ინდივიდის მცდელობას, გაერკვეს იმაში, თუ როგორ მოახდინოს თვითდამკვიდრება იმაში, რაც მისთვის სასიცოცხლოდ (საარსებოდ) აუცილებელია და ამის მიღწევას საკუთარ არსში აღქმული ეთიკის დაცვით ცდილობს.

4) **უმეცრების მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს ჭეშმარიტების დამკვიდრების მსურველი ინდივიდის მცდელობას, თვითდამკვიდრება რაც შეიძლება დიდი მასშტაბით მოახდინოს და ამის მიღწევას ნებისმიერ ფასად, ფაქტიურად, საკუთარ არსში აღქმული ეთიკის დარღვევით ცდილობს.

უკვე შეიძლება გადასვლა იმაზე, თუ სათნოების მოდუსიდან როგორ ჩანან მოდუსები. იგი I და II სამყაროების საზღვარზე იმყოფება. დაკვირვებული უკვე აღმოაჩენდა, რომ სათნოების მოდუსი ყველგან ერთგვარი ასკეტიზმის სულისკვეთებითაა განმსჭვალული. ეს მართლაც ასე გახლავთ. ეს ორი ცნება ასკეტიზმი და განდევნილობა არ შეიძლება ავურიოთ ერთმანეთში, ისინი რადიკალურად განსხვავებული შინაარსისანი გახლავთ. ვეცდები მოკლედ ამის ახსნას. განდევნილობა სულიერად განზე დგომას, ყოველივეს გვერდიდან დაკვირვებას ნიშნავს. ინდივიდი შეიძლება აქტიურ ცხოვრებას ენეოდეს ნებისმიერ სამყაროში, მაგრამ ამავედროულად აბსოლუტურად განდევნილი იყოს, მაშინ როცა ამ შემთხვევაში მას ასკეტი ვერანაირად ვეღარ შეეფერება. ანუ ასკეტიზმი მარტოობას მატერიალურად განზე დგომას, უკონტაქტობას ნიშნავს, თავისზე უფრო დაბლა მყოფი ან თავისი ტოლი ეთიკური დონის წარმომადგენლებთან. სხვანაირად რომ ვთქვა, ასკეტი მოწაფის არსობრივი სინონიმი. აქ განხილვა იქნება ისეთი თემის საშუალებით, როგორცაა უსაფრთხოება. ეს ხომ სათნოებისთვის მუდამ პრობლემაა, რამეთუ ნებისმიერი სახის დაპირისპირება აქ ხელისშემშლელია.

1) **ზემოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების ზოგად ცნობიერებად ჩამოყალიბების მსურველი ინდივიდის მცდელობას, თავის დაცვა იმ დროს და ისე მოახდინოს, სადაც ეს გარდაუვალია და ცდილობს თავდაცვა თავდასხმაში, სხვისთვის, საკუთარი ინდივიდის მხრიდან, საფრთხის შექმნაში არ გადაიზარდოს.

2) **სათნოების მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს დასამკვიდრებელი ქვეშარიტების ზოგად ცნობიერებად აღქმის მსურველი ინდივიდის მცდელობას, გაარკვიოს ის, თუ რატომ ეშინია იმისა, რისიც ეშინია, სურს შიშის წყაროს არსი გაიგოს და შიშები აღმოფხვრას თავისში.

3) **ვნების მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს დასამკვიდრებელი ქვეშარიტების ზოგად ცნობიერებად ჩამოყალიბების მსურველი ინდივიდის მცდელობას, გაერკვეს იმაში თუ როგორ უნდა მოახდინოს საფრთხისგან თავის დაღწევა ისე, რომ დაპირისპირებაში არ შევიდეს, თუნდაც სიტუაცია უკიდურესად პროვოკაციული იყოს.

4) **უმეცრების მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს დასამკვიდრებელი ქვეშარიტების ზოგად ცნობიერებად ჩამოყალიბების მსურველი ინდივიდის მცდელობას, უსაფრთხოდ იგრძნოს თავი და ამის მიღწევას უკვე ნებისმიერ ფასად, ფაქტიურად, თავის დაზღვევის მიზნით, თავდასხმით ცდილობს.

გადავიდეთ იმაზე, თუ ვნების მოდუსიდან როგორ სჩანან მოდუსები. იგი II და III სამყაროების საზღვარზე იმყოფება. აქ უმთავრესი და ნამყვანი თემა გახლავთ თვითრეალიზაცია, უფრო სწორად კი, თვითგამოვლინება. აქ აუცილებლად ანგარიშგასანეგია მსხვერპლშენიერვის ცნებაც. საჭიროდ მიმაჩნია ბჰაგავად-გიტას მოშველიება ამასთან დაკავშირებით: „სამყაროს შექმნის დასაწყისში ყოველი არსებულის უფალმა დასაბამი მისცა კაცთა და ნახევარღმერთთა მოდგმას და ამ სიტყვებით აკურთხა ისინი: „იბედნიერეთ ამ იაჯნათი (მსხვერპლშენიერვით), ვინაიდან მისი შესრულება მოგიტანთ ყველაფერს ბედნიერი ცხოვრებისა და გათავისუფლებისათვის.“ ... „... მაგრამ ვინც სიამოვნებას საკუთარ თავში პოულობს, ვინც ადამიანის სიცოცხლეს თვითრეალიზაციისათვის იყენებს და ვინც მხოლოდ საკუთარ „მე“-ობაშია კმაყოფილი, მას ყოველგვარი მოვალეობა მოხსნილი აქვს.“

ვფიქრობ, ეს ნაწილი ინდივიდუალურ მოქმედებას ავტომატურად გულისხმობს. ამიტომაც, აუცილებლობას წარმოადგენს ეს ინდივიდუალური მოქმედება არაინდივიდუალიზმის ინტერესებიდან გამომდინარეობდეს და მას ემსახუროს.

1) **ზემოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს დასამკვიდრებელი ქვეშარიტების საფუძველზე ჩამოყალიბებული ზოგადი ცნობიერებით გამოვლინებული ობიექტური რეალობის დაკმაყოფილების

მსურველი ინდივიდის მცდელობას, თვითგამოვლინება იმ დროს და იმ ადგილზე მოახდინოს, სადაც ეს საჭიროა მთელი გამოვლინებულობის ინტერესებისათვის ანუ ითვალისწინებს ურთიერთობაში მყოფი ობიექტის ნებასა და პოტენციური თვითგამოვლინების სავარაუდო შედეგებს.

2) **სათნობის მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს დასამკვიდრებელი ქვეშარიტების საფუძველზე ჩამოყალიბებული ზოგადი ცნობიერების მიერ გამოვლინებული ობიექტური რეალობის დაკმაყოფილების მსურველი ინდივიდის მცდელობას, გაერკვეს იმაში, თუ რატომ აქვს თვითგამოვლინების დაუძლეველი სურვილი და სურს, ეს სურვილი თვითშემეცნების სურვილით ჩაანაცვლოს.

3) **ვნების მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს დასამკვიდრებელი ქვეშარიტების საფუძველზე ჩამოყალიბებული ზოგადი ცნობიერების მიერ გამოვლინებული ობიექტური რეალობის დაკმაყოფილების მსურველი ინდივიდის მცდელობას, გაერკვეს იმაში, თუ როგორ მოახდინოს თვითგამოვლინება.

4) **უმეცრების მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს დასამკვიდრებელი ქვეშარიტების საფუძველზე ჩამოყალიბებული ზოგადი ცნობიერების მიერ გამოვლინებული ობიექტური რეალობის დაკმაყოფილების მსურველი ინდივიდის მცდელობას, იმ დროს და იმ ადგილზე მოახდინოს თვითგამოვლინება, სადაც ამის შანსი და შესაძლებლობა ეძლევა ანუ ითვალისწინებს ურთიერთობაში ყოფნისას საკუთარ ნება-სურვილსა და ურთიერთობაში მყოფ ობიექტზე ამ ნების რეალიზაციის სავარაუდო შანსებს.

და ბოლოს, იმის შესახებ, თუ უმეცრების მოდუსიდან როგორ გამოიყურებიან მოდუსები. იგი III სამყაროს ზღვარზე და მის ქვემოთ იმყოფება. აქ უმთავრესი და წამყვანი თემა გახლავთ საკვები. აქვე აუცილებლად ანგარიშგასაწევია ცოდნის ცნებაც. ვფიქრობ, ეს ნაწილი ავტომატურად გულისხმობს იმას, რომ საქმე გვაქვს საბაბის რაობასთან. საკვები ვერანაირად ვერ გამოდგება გონიერისთვის იმად, რომ მას მიზანი დაერქვას. საშუალებას თუ დავარქმევთ, ის მატერიალური სხეულის არსებობის საშუალებაა, ვფიქრობ, ასეთი არ ბრძანდებით სხეული იყოს თქვენი თვითმიზანი. საბაბი კი იმიტომ გახლავთ, რომ კვების აუცილებლობა საჭირო ცოდნის არ ქონითაა გამონვეული. აი, რა შუაშია აქ ცოდნა. ცოდნაც ორგვარია: სულიერი და მატერიალური. მაგრამ მათ აქ არ ჩა-

ვულრმავდები. უბრალოდ მოდუსებს აღვწერ და იქ გამოჩინდება ყოველივე.

1) **ზემოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების საფუძველზე ჩამოყალიბებული ზოგადი ცნობიერების მიერ შექმნილ ობიექტურ რეალობაში დარღვეული ნაწილის დაკმაყოფილების მსურველი ინდივიდის მცდელობას, კვების ფუნქციის შესაბამისი ცოდნის მოძიებას ანუ სულიერი საკვების მიღებისა და გათავისების აუცილებლობას (ძირითადად არადოგმატური სულიერი ცოდნის საკვებისა).

2) **სათნობის მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების საფუძველზე ჩამოყალიბებული ზოგადი ცნობიერების მიერ შექმნილ ობიექტურ რეალობაში დარღვეული ნაწილის დაკმაყოფილების მსურველი ინდივიდის მცდელობას, გაერკვეს იმაში, თუ რატომ სჭირდება კვება და მატერიალური საკვების ჩანაცვლებას ცდილობს სულიერი, ძირითადად დოგმატური „საკვებით“.

3) **ვნების მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების საფუძველზე ჩამოყალიბებული ზოგადი ცნობიერების მიერ შექმნილ ობიექტურ რეალობაში დარღვეული ნაწილის დაკმაყოფილების მსურველი ინდივიდის მცდელობას – გაერკვეს იმაში, თუ რა სახის საკვებით უნდა იკვებოს, სად და როგორ მოიძიოს ამ საკვების ინგრედიენტები, როგორი თანაფარდობით მოახდინოს მათი შეზავება და როგორი სახით მოამზადოს იგი (უმად, წყალში მოხარშული სახით, თუ ცეცხლზე შემწვარი სახით). აგრეთვე, ხდება სერიოზული გადარჩევა იმისა, თუ რა საკვების მიღება შეიძლება და რისი არა. ანუ ობიექტურ რეალობაში დარღვეული ნაწილით პროვოცირებულ შიმშილისა და წყურვილის შეგრძნებას ასე თუ ისე მაინც აკონტროლებს.

4) **უმეცრების მოდუსი** – ეს მოდუსი განსაზღვრავს დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების საფუძველზე ჩამოყალიბებული ზოგადი ცნობიერების მიერ შექმნილ ობიექტურ რეალობაში დარღვეული ნაწილის დაკმაყოფილების მსურველი ინდივიდის მცდელობას – მოიკლას შიმშილის ან წყურვილის შეგრძნება და ის, თუ რა სახის იქნება მატერიალური ცოდნა ანუ საკვები, რა ინგრედიენტული შემადგენლობითა და რანაირი სახით, ამას ყველანაირი მნიშვნელობა ეკარგება. საქმე იმაში გახლავთ, რომ ინდივიდი ველარ აკონტროლებს შიმშილისა და წყურვილის მოთხოვნილებებს და მათი დაკმაყოფილების „მსახური“ ხდება.

და სულ ბოლოს, მოდუსებთან დაკავშირებით მათი ბუნებისა და არსის უკეთესად გაგებისა და აღქმისათვის, მინდა მოვიყვანო თითოეულის ერთხაზიანი განმარტება:

1. **ზემოდუსი – არის ის, რასაც ამ წიგნში გრძნობა ჰქვია.**
2. **სათნობის მოდუსი – არის ის, რასაც ამ წიგნში გონება ჰქვია.**
3. **ვნების მოდუსი – არის ის, რასაც ამ წიგნში ემოცია ჰქვია.**
4. **უმეცრების მოდუსი – არის ის, რასაც ამ წიგნში ამბიცია ჰქვია**

სამი სამყაროს კონსტიტუციური განსაზღვრა

სამი სამყაროს კონსტიტუციური განსაზღვრა ქმედების ადგილმდებარეობის მიხედვით ორი უდიდესი პიროვნების ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი არასრულყოფილებისათვის შექმნილი კანონიკური კონსტიტუციის საფუძველზე. ამჯერად ბოლო, მესამე სამყაროდან დავიწყებ განხილვას.

1. III სამყარო, მოდუსების გლობალური გადასახედიდან, უმეცრებისა და ვნების მოდუსებს შუაში იმყოფება. ვიზუალურად ეს გახლავთ მატერიალური სამყარო ანუ აბსოლუტურად ყველაფერი, რაც მატერიალური სახით არის გამოვლინებული: პლანეტები, მზე-თა სისტემები, „მზეები“ ანუ ვარსკვლავები (ვარ კვლავ) გალაქტიკები და ყოველივე, რასაც დღეს ადამიანები ყველაფრად მიიჩნევენ (და ამბობენ, რომ ეს არის აბსოლუტურად ყველაფერი და ამას გარდა „ყველაფერი“ არის „არაფერი“), გახლავთ ამ სამყაროს საზღვრებში. ეს სამყაროს ზოგადი ცნობიერების მიერ შექმნილი ობიექტური რეალობის დარღვევის შედეგად შეიქმნა. მატერიალური თვალსაზრისით მისი უმაღლესი წარმომადგენლები არიან ვარსკვლავები, რომლებიც ადამიანური გადასახედიდან, ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ნაცნობი მზის ანალოგიურნი არიან. ისინი ამ სამყაროში არსებული დარღვეული ნაწილის აღმოფხვრისკენ არიან ორიენტირებულნი. ხოლო მისი უმდაბლესი წარმომადგენლები არიან ვარსკვლავების მიერ შექმნილ ორბიტებზე მოძრავი პლანეტების თანამგზავრები, რომლებიც, ადამიანური გადასახედიდან, ჩვენთვის საკმაოდ ნაცნობი მთვარის ანალოგიურნი არიან. ისინი

ამ სამყაროში დარღვეული ნაწილის გაღრმავებისკენ, უფრო მეტად გაზრდისკენ არიან ორიენტირებულნი. რაც შეეხებათ ვარსკვლავების მიერ შექმნილ ორბიტებზე მცურავ, მოძრავ პლანეტებს, რომლებიც ტივტივებენ მზისმაგვარი ვარსკვლავების მიერ შექმნილ ველში, ადამიანური გადასახედიდან, ჩვენთვის ყველაზე კარგად ნაცნობი დედამიწის ანალოგიურნი არიან. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს არც ერთი ვარსკვლავი, არც ერთი პლანეტა და არც ერთი პლანეტის თანამგზავრი, რომლებიც აბსოლუტურად ერთნაირები იქნებოდნენ. პლანეტები ობიექტური რეალობის დარღვეული ნაწილის აღმოფხვრისა და ამავე ნაწილის უფრო მეტად დარღვევის ფუნქციონალურ დიაპაზონში არიან. ანუ დარღვეული ნაწილის ვერც დაკლება და ვერც მომატება პლანეტებისთვის სრულიად დასაშვები ნორმატივია. რომელიმე მათგანზე ადაპტირებულობა ცოცხალი არსებისა (ვარსკვლავზე, პლანეტაზე ან თანამგზავრზე) მთლიანად განსაზღვრავს მისი მოღვაწეობის სფეროს.

მე მხოლოდ რეკომენდაციის სახით მივანერ მოღვაწეობის სასურველ და არასასურველ მიმართულებებს. ზოგადად III სამყაროს წარმომადგენელი სასურველია ორიენტირებული იყოს საკუთარი „მე“-ს მიერ ობიექტური რეალობის დარღვეული ნაწილის შემცირებაზე, რაც მას შესაძლებლობას მისცემს გლობალური მოდუსური გადასახედიდან ვნების მოდუსის საზღვარი გადალახოს და მეორე სამყაროში გადასვლის უფლება მიიღოს. ხოლო რაც შეეხება არასასურველს, მესამე სამყაროს წარმომადგენელი არასასურველია ორიენტირებული იყოს საკუთარი „მე“-ს მიერ ობიექტური რეალობის დარღვეული ნაწილი გაზარდოს და ობიექტურ რეალობას დაუპირისპირდეს. ეს მას გლობალური მოდუსური გადასახედიდან უმეცრების მოდუსის საზღვარს იქით გადაიყვანს და მოჩვენებითი მატერიალური სამყაროს, სრული ილუზიის ნაწილად ე. წ. მოჩვენებად გადააქცევს. მისთვის მატერიალური სახით გამოვლინებაც კი, შეუძლებელი და სანატრელი გახდება, თუმც, მისთვის ეს უკვე უმაღლესი დონის რეალობად არის აღქმული. ადამიანებისათვის მიღებულ და ცნობილ ენაზე – პირველი გადასვლა, სამოთხეში მოხვედრას ნიშნავს, საიდანაც, ბიბლიის მიხედვით, ადამი და ევა იქნენ გამოძევებულნი, ხოლო მეორე გადასვლა, ჯოჯოხეთში მოხვედრას ნიშნავს, სადაც, ბიბლიის მიხედვით, გველი იქნა ჩაგდებული, რომელმაც აცდუნა ევა და მისი მეშვეობით კი – ადამი.

2. II სამყარო, მოდუსების გლობალური გადასახედიდან, ვნები-სა და სათნოების მოდუსებს შუაში იმყოფება. ვიზუალურად ეს გახლავთ სულიერი სამყარო, სადაც წარმოსახვა გამოგონილ სამყაროს ქმნის, მაგრამ ის არ არის მატერიალური, თუმცა, ადამიანის გადასახედიდან ასეთ შთაბეჭდილებას შექმნიდა. ეს სამყარო ზოგადი ცნობიერების მიერ შექმნილი ობიექტური რეალობის მოთხოვნებს ზედმიწევნით და პირნათლად პასუხობს. იგი სწორედ ამ ობიექტური რეალობის ხილულად წარმოსაჩინებლად შეიქმნა. ამ სამყაროს მატერიალური რეალობის გადასახედიდან თავისუფლად შეიძლება ენოდოს ვირტუალური რეალობა ე. წ. ოცნებების სამყარო, სადაც ოცნებები ობიექტური რეალობის არსობრივი აღქმის დიაპაზონში იმყოფებიან.

თუ ადამიანური შეხედულებების ანალოგიით მოვახდენთ ამ სამყაროს ვიზუალურ დახასიათებას, ე. წ. მატერიალური თვალსაზრისით, მისი უმაღლესი წარმომადგენელი იქნება უზარმაზარი მზე, რომლის რადიუსიც დაახლოებით 7-ჯერ აღემატება მთელი III სამყაროს რადიუსს. ხოლო მისი ყველაზე მცირე წარმომადგენელი იქნება უზარმაზარი მთვარე, რომლის რადიუსიც III სამყაროს რადიუსზე ოდნავ დიდია. რეალურად ეს ე. წ. მთვარე მთელი III სამყაროს კუთვნილ სივრცეს მოიცავს და სწორედ მისი მეშვეობით ანათებენ მასში ის ვარსკვლავები და მზეც, რომელსაც ვიზუალურად თვალებით ვხედავთ.

II სამყაროს მზე ობიექტური რეალობის ზოგად ცნობიერებად ჩამოყალიბებისა და გადაქცევისკენ არის მიდრეკილი, ხოლო მთვარე კი ობიექტური რეალობის მაქსიმალური შესაძლებლობების გამოვლინებისკენ, მისით განცხრომისკენ არის ორიენტირებული. რაც შეეხება უზარმაზარ სივრცეს, რომელიც ამ ე. წ. მზესა და მთვარეს შორისაა, ამ სამყაროს წარმომადგენლები ყოველივეს თვითონ ქმნიან საკუთარი წარმოსახვის საფუძველზე. ეს ძალიან ძნელი ასახსნელია იმდენად, რამდენადაც ძალიან განსხვავდება მატერიალური სამყაროსაგან. შევეცდები მოკლედ ავხსნა მთავარი მომენტები. ამ სამყაროში მყოფთ არ ანუხებთ შიმშილისა და ნყურვილის შეგრძნება, დარდი და ეიფორია, ტკივილი და ავადმყოფობა, სიბერე და სიკვდილი. აქ ცხოვრობენ ანწყოთი, იმ წამით, რაც ახლაა. მათ არ გააჩნიათ სქესობრივი ლტოლვა, ვინაიდან თუ მატერიალურ სამყაროში სქესობრივი კონტაქტი ინდივიდუალურ სულთა უშუალო ურთიერთობის ერთადერთი საშუალებაა და წამირად გრძელდება, II სამყაროში (სულიერ სამყაროში) ნებისმიერი

ურთიერთობა მისი წარმომადგენლების ინდივიდუალურ სულთა უშუალო ურთიერთობას წარმოადგენს. თუკი დედამიწაზე ადამიანისთვის სქესობრივი ურთიერთობის შედეგად მიღებული ნამიერი ნეტარება უმაღლესი სიამოვნების ფორმაა, წარმოიდგინეთ რა სუფევს იმ სამყაროში, სადაც მუდმივად ასეთი ტრანსცენდენტული, ჰარმონიული ანუ ნეტარი მდგომარეობა ჩვეულებრივი, ნორმალური რამაა.

სასურველი და არასასურველი მიმართულებები მეორე სამყაროში მცხოვრები ინდივიდებისთვის ასე გამოიყურება: II სამყაროს წარმომადგენელი სასურველია ორიენტირებული იყოს ობიექტური რეალობის (რომელიც ყოველთვის და ყველგან სუფევს) ზოგად ცნობიერულ დონეზე ჩამოყალიბებისკენ, რაც მას შესაძლებლობას მისცემს მოდუსების გლობალური გადასახედიდან სათნოების მოდუსი გადალახოს და ზემოთ I სამყაროში გადასვლის უფლება მიიღოს. რაც შეეხება არასასურველს – II სამყაროს წარმომადგენელი არასასურველია ორიენტირებული იყოს ამ სამყაროს უზენაესი კანონმდებლობის, ანუ ობიექტური რეალობის დარღვევისკენ. ეს შეიძლება მოახდინოს ვინმეს ან რაიმეს დაუფლების ე. ი. ვინმეზე ან რაიმეზე უფლების მიღების სურვილით, რაც რეალურად დასაკუთრების მცდელობაა. ან პირიქით, ვინმეს ან რაიმეს ნების განხორციელების საშუალებად გადაიქცეს ე. ი. ვინმეზე ან რაიმეზე მოვალეობის აღების იდეაფიქსური სულისკვეთებით დაიმუხტოს, რაც რეალურად ვიღაცის ან რაღაცის საკუთრებად გადაქცევის მცდელობაა. როგორც ერთი, ისე მეორე გამოვლინება პირდაპირ არღვევს ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის (როგორც სხვა ინდივიდუალურ სულთან, ისე საკუთარ პიროვნებასთან მიმართებაში) უზენაეს პრინციპებს, რაზედაც რეალურად დგას II სამყარო. თუკი ამ სამყაროს წარმომადგენელი ამას მოიმოქმედებს, გლობალური გადასახედიდან, ეს მას ვნების მოდუსის საზღვრებს გარეთ გადაიყვანს და მატერიალურ სამყაროში ანუ III სამყაროში მოუწევს გადასვლა, რის შედეგადაც მისთვის შესაბამის მატერიალურ სხეულში მოუწევს ჩასახლება.

ადამიანებისთვის მიღებულ და ცნობილ ენაზე, პირველი გადასვლა ცათა სასუფეველში მოხვედრას ნიშნავს, სადაც, ახალი ალთქმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ღვთის ძე იმყოფება და მეფობს, ხოლო მეორე გადასვლა მატერიალურ რეალობაში. აქ ძნელად აღსაქმელი და საგულისხმო ის გახლავთ, რომ II სამყაროდან გადასული მატერიალურ სამყაროში შეიძლება იყოს: ვარსკვლავი,

მზე, ჩვეულებრივი პლანეტა, მთვარე, ან ნებისმიერი მცხოვრები მათზე, მაგრამ ადამიანისთვის დღესდღეისობით ეს მიუღებელია ე. ი. მიუწვდომელია. არადა, ძალიან სამწუხაროა, რამეთუ ამის მიღებისა და აღქმის გარეშე ძალიან ძნელია (თუ არა წარმოუდგენელიც კი) მატერიალური სამყაროს, კერძოდ კი, დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების მიერ სასურველი ორიენტაციით მოძრაობა.

3. I სამყარო, მოდუსების გლობალური გადასახედიდან, სათნოებისა და ე. წ. ზემოდუსის შუაში იმყოფება, ვიზუალურად, ეს გახლავთ სულიერი სამყარო, სადაც წარმოსახვა სულიერების რეალურ გარემოს ჰქმნის. ის არის ინტელექტის მიერ ჩამოყალიბებული ზოგადი ცნობიერების საფუძვლზე შექმნილი სულიერი რეალიზმი, თუმცა, ადამიანის გადასახედიდან ის ვერ დანახვადი და არ არსებულად აღქმული იქნებოდა ფიზიკურად იქ მოხვედრის შემთხვევაშიც კი. ეს სამყარო დამკვიდრებული, განსხეულებული ჭეშმარიტებაა უკვე ჩამოყალიბებული ზოგადი ცნობიერების სახით და მისთვის აუცილებელ კანონიკურ მოთხოვნებს პირნათლად და ზედმიწევნით პასუხობს. ძალიან უხეში ფორმაცით თუ წარმოვადგენთ, ეს სამყარო გახლავთ ერთგვარი ინფორმაციული ბანკი, რომლის მიხედვითაც ხდება სამივე სამყაროს მართვა-განგებულობა. იგი აბსოლუტური ჭეშმარიტების ადაპტირებული ნაწილიდან უკვე ჭეშმარიტად აღქმული და შეცნობილი ინფორმაციის ე. წ. ზოგადი ცნობიერების დასაფიქსირებლად და უკუნითი უკუნისამდე შესანახად შეიქმნა. II და III სამყაროებისაგან განსხვავებით, იგი მუდმივად არსებობს და არასოდეს არ ნადგურდება. ამ სამყაროს გადასახედიდან, ანუ მატერიალური რეალობის გადასახედიდან, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სულიერი რეალობის ე. ი. რეალური რეალობის სამყარო.

თუ ადამიანური შეხედულების ლოგიკით მოვიხილოთ პირველი სამყაროს ვიზუალურ დახასიათებას ე. წ. მატერიალური თვალსაზრისით, ამ შემთხვევაშიც მისი უმაღლესი წარმომადგენელი იქნება უზარმაზარი, წარმოუდგენლად დიდი ე. წ. მზე, რომლის რადიუსიც მთელი II სამყაროს რადიუსს 7-ჯერ, ხოლო მთელი III სამყაროს რადიუსს დაახლოებით 50-ჯერ აღემატება, ხოლო მისი ყველაზე მცირე წარმომადგენელი, იერარქიული აღქმით, იქნება უზარმაზარი მთვარე, რომლის რადიუსიც მთელი II სამყაროს კუთვნილ სივრცეს მოიცავს, ანუ მთელი მეორე და მესამე სამყაროები მასში შიგნით სუფევს.

I სამყაროს ე. წ. მზე ჭეშმარიტად დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების ძიებაზე, პოვნაზე და მის ზოგად ცნობიერებად ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული. ამ პროცესში ის ზედმინევენით ითვალისწინებს უკვე არსებულ ზოგად ცნობიერებას და გადასამუშავებელი ინფორმაციის ახალ პორციას ზეციდან, თავად სამყაროს უზენაესი პიროვნებიდან ღებულობს. აქ თვითნებური იმპროვიზაციული პროვოკაციები ყოვლად დაუშვებელია. რაც შეეხება I სამყაროს ე. წ. მთვარეს, იგი I სამყაროში არსებული ზოგადი ცნობიერების მაქსიმალურად შესაძლო გამოვლინებისკენ, შეიძლება ითქვას, რეალიზაციისკენ არის ორიენტირებული ზოგადი ცნობიერებისათვის განსაზღვრული კანონმდებლობის ზედმინევენიითი და სრულყოფილი დაცვით.

II სამყაროს წარმომადგენელთა ყოფიერება თუ, ოჯახური ცხოვრების სრულყოფილი გამოვლინებულობით, ღვთიური სიამოვნების მიღებით განისაზღვრება, I სამყაროს წარმომადგენელთა ყოფიერება საკუთარ „მე“-ში სრულყოფილების მიღწევით, შიდა ჰარმონიულობის მიღწეულობით არის განსაზღვრული ანუ საკუთარი „მე“-ს შემადგენელი მამაკაცური და ქალური სანყისების იდეალური თანაფარდობისა და თანაცხოვრების დონის მიღებით. ფაქტიურად სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ისინი მოდუსების ზეგავლენისგან თავისუფლდებიან და ბჰავავატიგიტას ენით რომ გადმოვცეთ – გათავისუფლებას აღწევენ.

სასურველი და არასასურველი მიმართულებები I სამყაროში შემდეგნაირია: I სამყაროს წარმომადგენელი სასურველია ცდილობდეს ორიენტირებული იყოს ზეციდან შემოსული დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების ზოგად ცნობიერებად ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღებისკენ, ამ სამყაროში უკვე არსებული მთელი ზოგადი ცნობიერების სრულად და ზედმინევენით გათვალისწინების საფუძველზე, რაც მას მოაპოვებინებს წარმოუდგენლად დიდ პატივს – I სამყაროდან უმნიშვნელოდ მცირე გადახრის შედეგად წარმოქმნილი შედეგებისგან, ანუ სამყაროებისგან მთლიანად გავიდეს და ზეციურ გარემოში გადაინაცვლოს ე. ი. აბსოლუტური ჭეშმარიტების პირადი წარმომადგენლის, მამა ღმერთის პირად სასუფეველში ყოფნისა და ცხოვრების უფლება მიიღოს, სადაც ყველა აქ მაცხოვრებელი დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების განსაზღვრითა და სამყაროს უწმინდესი პიროვნებისთვის, დედა ღმერთისთვის მიწოდებით არიან დაკავებულნი.

I სამყაროს წარმომადგენელი არასასურველია ორიენტირებული იყოს ამ სამყაროს უზენაესი კანონმდებლობა, ანუ დამკვიდრებული ჭეშმარიტება ზოგადი ცნობიერების სახით გამოვლინებული თუნდაც იოტისოდენად დაარღვიოს. ეს აქ მცხოვრებმა შეიძლება მოახდინოს საკუთარი შეხედულებით, დაუკითხავად, თვითნებურად ე. წ. ჭეშმარიტების, სინამდვილეში კი სიმცდარის მთელი ინტელექტუალური ბანკის, ჩამოყალიბებული ზოგადი ცნობიერების ნაწილად გამოცხადების მოთხოვნით. ეს ქმედება მას II სამყაროში გადაყვანის აუცილებლობას გამოიწვევს.

აგრეთვე არსებობს ერთი ფრიად საგულისხმო მომენტი, რაც ძალიან, ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენს. კერძოდ, თეორიულად, გინდ დაიჯერეთ გინდ არა, ამ მთელი ხუთივე ნაწილის წარმომადგენლებს (ზეცა, ცათა სასუფეველი, სამოთხე, მატერიალური სამყარო და ჯოჯოხეთი) გააჩნიათ წარმოუდგენლად მცირე, მაგრამ მაინც, თეორიული შანსი თუნდაც ყველაზე რადიკალური გადასვლა განახორციელონ (მაგალითად, ზეციდან ჯოჯოხეთში ან პირიქით, ჯოჯოხეთიდან ზეცაში), თუმცა, კიდევ ვიმეორებ – ეს უიშვიათესი გამონაკლისი შემთხვევებია.

II თავი

ღვთიური ყოფიერება

საკუთარი პიროვნების ეთიკურ დონეზე უფრო მაღალ ეთიკურ დონესთან მიმართებაში საჭირო მოვალეობა

ნებისმიერი ინდივიდუალური სული, ქმედების ადგილის რაიმენაირი ხარისხობრივი დონის დაფიქსირების შემდეგ, თავის ცნობიერებაში მიზეზობრივი პარამეტრის საყრდენად აღიქვამს ამ ცოდნას. იგი უკვე ამ ცოდნით ორიენტირდება ყოველივესთან მიმართებაში. მე ვიტყვოდი ასე, რომ აქ უკვე შემოდის ნიუტონის I კანონის აღსრულება, რომელიც შემდგომში მდგომარეობს: **თუკი ინდივიდუალური სული სრულყოფილად იცავს იმ ცოდნას ქმედების ადგილის შესახებ, რომელიც შეიძინა, იგი წრიულად და თანაბრად მოძრაობს და მასზე არ მოქმედებს შემანელებელი ან დამაჩქარებელი ელემენტები.** ის მოძრაობს ბირთვის ნებისმიერ რომელიმე სიბრტყულ წრენირზე, რომელიც ცენტრიდან რაიმე ზომის რადიუსითაა დაშორებული და მოძრაობა ე. წ. ჩაკეტილ წრეზე მიმდინეარეობს. რეალურად კი, ამ მოძრაობით მისდაუნებურადაც კი, ამ ზომის რადიუსით შემოსაზღვრულ ბირთვში ჰარმონია მყარდება ანუ ინდივიდუალური სული, ღვთაებრივი ცნობიერების გაცნობიერების შემდეგ (რალა თქმა უნდა, რალაც გარკვეულ დონემდე გაცნობიერებაზეა ლაპარაკი), ხდება მომქმედი ანუ იწყებს მოქმედებას. მომქმედად გადაქცევის შემთხვევაში, თუ ის სრულად ახერხებს შეძენილი ცნობიერების დაცვას, შეიძლება ითქვას, რომ ის ღვთის ნების რეალიზაციის საშუალება ხდება. მისი მონოტონური ინერცია გონებას საშუალებას აძლევს გრძნობის დონემდე ამაღლდეს, რათა მათ შორის ჰარმონიულობა დაამყაროს. ეს ჭეშმარიტად კეთილშობილური აქტია გრძნობითი ნაწილის მხრიდან და ამავდროულად, თავისდაუნებურადაც კი, უფრო დიდი რადიუსის წრენირზე მოძრავი გრძნობითი ნაწილისათვის ის საინტერესო ხდება, როგორც უფრო დაბლა მდგომი გრძნობითი ნაწილი, რომელმაც საკუთარ არსში არასრულყოფილებისაკენ მიდრეკილებას, საკუთარ ამბიციებს სძლია და თავისი ეთიკური დონისთვის შესაბამისი მოთმინება შეიძინა და როდესაც ეს, ზემოთ მყოფი ნაწილი (მომქმედისთვის ზეძალა და ღმერთი) საჭიროდ ჩათვლის, ახალი გრძნობითი პორციით დააჯილდოებს მას. ეს კი თავისთავად ცხადია, მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ჭეშმარიტი ჰარმონია იქნება მომქმედი ინდივიდუალური სულის მთელს გამოვლინებულობაში

და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვითონვე გაუწევს მამობრივ ზრუნვა-სა და გზაზე დაკვალიანების სამსახურს.

აი, ასე არაუშუალოდ ხდება საკუთარ ეთიკურ დონეზე უფრო მაღლა მდგომი ეთიკური დონის, ფაქტიურად, საკუთარ „მე“-ში ჩალრმავება, საკუთარი პიროვნებით დაინტერესება. ის რეალურად საქმიანობით, ჰარმონიზირების, მშვიდობის დამყარების უნარით უნდა დააინტერესო და სხვა სპეკულაციური რალაცევებით ამის მცდელობა ფუჭი დროის კარგვა იქნება და მეტი არაფერი.

საქმიანობის მეორე მიზეზთან, მომქმედად გადაქცევასთან მიმართებაში ინდივიდუალური სულის ორი შემადგენელი სანყისი შემდეგი სახის ამოცანის წინაშე დგებიან:

1. ქალური სანყისის მომქმედად გადაქცევისას, მიზანი სულიწმინდისთვის, სამყაროს უწმიდესი პიროვნებისთვის, დედა ღმერთისათვის სიამოვნების მინიჭება უნდა გახდეს.

2. მამაკაცური სანყისის მომქმედად გადაქცევისას, მიზანი სამყაროს უზენაესი პიროვნებისთვის, მამა ღმერთისთვის კმაყოფილების მინიჭება უნდა გახდეს.

ამის დარღვევის შემთხვევაში ანარეკლში ე. წ. პერსპექტივაში შიგნით შესვლა, შეძრომა ხდება და ე. წ. რეფორმების, უკვე არსებულთ უკმარისობის, არ არსებული უსამართლობის საკუთარი შეხედულებების მიხედვით აღმოფხვრის, ჰარმონიის ხელისშემშლელი ნაწილის ქირურგიული გზით აღმოფხვრის სურვილის ჩასახვა ხდება, რომელიც შემდგომში, დაუფლების ან სიამოვნების მიღების სურვილად გარდაიქმნება.

მომქმედად გადაქცევისას ეთიკის ნორმების დაცვისათვის ბჰაგავატ-გიტაში შემდეგი სახის თვისებებია რეკომენდირებული: გმირობა, ძალა, შეუპოვრობა, საზრიანობა, ბრძოლაში სიმამაცე, გულუხვობა და წინამძლოლობა.

როგორ უნდა მოხერხდეს საქმიანობის მიზეზების დამაკმაყოფილებლად და, უკეთეს შემთხვევაში, საუკეთესოდ შესრულება საქმიანობის მეორე მიზეზის, მომქმედის მიმართ:

ა). ქმედების ადგილი წარსამართავ და სამოქმედო გზის სიღრმისეულ და ზედაპირულ ხარისხსა და რაოდენობას განსაზღვრავს. ძირითადად, ეს განისაზღვრება სულიერი სისუფთავის შესაბამისობის-და მიხედვით.

ბ). გრძნობები უნდა ცდილობდნენ მომქმედის დონის შესაბამისი სულიერი სისუფთავის დონის მიღწევას. ისინი სრული მომქმედზე მიჯაჭვულობის გზით უნდა შეეცადონ გვერდიდან მყუ-

რებლისა და მსმენელის პოზიცია დაიკავონ, მორჩილი თაყვანისცემით მიიღონ და, უბრალოდ, მიჰყვნენ მომქმედს, ყოველგვარი პირადი მოსაზრების გარეშე. პირნათლად, ზედმინევენით, სრულყოფილად შეასრულონ მომქმედის მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობა.

გ). მცდელობები უნდა ცდილობდნენ ყველა და ნებისმიერი გამოვლინება მომქმედის სამსახურს, მსახურებას მიუძღვნან და საერთოდაც, საკუთარი თავი მთლიანად მსხვერპლად მიუძღვნან მას.

დ). ზესული მომქმედში საკუთარი არსის მიზნად დასახვას ახდენს, მოქმედების სასურველი შედეგის გათვალისწინებაში ეხმარება. ამ დასახულ გზაზე დასამკვიდრებელი ჭეშმარიტებისა და ობიექტური რეალობის ურთიერთგაბაღანსებაში, ჰარმონიზირებაში სთავაზობს საკუთარ მომსახურებას.

აგრეთვე, აღსანიშნავია ის, თუ როგორ უნდა მოხერხდეს საქმიანობის მიზეზთა მიმართ დამაკმაყოფილებლად და, შეიძლება ითქვას, საუკეთესოდ ურთიერთობა მომქმედის მიერ:

ა). მომქმედი ქმედების ადგილთან მიმართებაში უნდა ცდილობდეს წარსამართავი და სამოქმედო საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრას, სასურველი საქმიანობის გათვალისწინებას. ძირითადად ეს უნდა განისაზღვროს ე. წ. დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების ანუ შედეგობრივ მომენტამდე სრული რეალური სურათისა და ე. წ. ობიექტური რეალობის, ანუ არსებული მიმდინარე მომენტის ურთიერთჰარმონიზირებით, სადაც მოვლენების ნებისმიერი სახით დაჩქარება ან შენელება ანომალიების ტოლფასია.

ბ). მომქმედი გრძნობებთან მიმართებაში უნდა ცდილობდეს სულიერი ჭუჭყის მოცილების მიდრეკილებით დამუხტოს გრძნობები და სულიერი რეალობის (ჭუჭყისა და სისუფთავის) მდგომარეობის შესაბამისი ურთიერთობა გრძნობებთან ობიექტურობის ზედმინევენით დაცვით წარმართოს. მომქმედი არ უნდა მიეჯაჭვოს გრძნობებს.

გ). მომქმედი, მცდელობებთან მიმართებაში, უნდა ცდილობდეს ანარეკლიდან გამოსვლის მსურველის ამოყვანას. იგი სიტუაციის შესაბამისი მიდრეკილებით უნდა იყოს განმსჭვალული და მატერიალური რეალობის (ჭუჭყისა და სისუფთავის) მდგომარეობის შესაბამისი ურთიერთობა უნდა დაამყაროს მცდელობებთან და ობიექტურობა ზედმინევენით უნდა დაიცვას. მოდუსების ნების აღსრულების ფუნქცია შეასრულოს.

დ). მომქმედი, ზესულთან მიმართებაში, უნდა ცდილობდეს მისი მიზანი გახდეს ზესული, როგორც ინდივიდუალურად გამოვლინებული სული და ქმედების ადგილიც ზესულის არაინდივიდუალურ გამოვლინებად მიიღოს. ანუ მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ზესული, რის შედეგადაც გრძნობები, როგორც ქალური სანწყისი მას, როგორც მამაკაცურ სანწყისს, ზედმინევნით დააკმაყოფილებენ, კმაყოფილებას მაქსიმალურად მიანიჭებენ.

აი ამ, ზემოთ ჩამოთვლილი პირობების დასაკმაყოფილებლად ერთი ელემენტარული პრინციპი უნდა დაიცვას მომქმედმა, კერძოდ, დაუშვებელია ერთდროულად ორი მიმართულებით მისწრაფება როგორც ზევით ზესულისკენ და ზესულის მიერ განსაზღვრული ქმედების ადგილისკენ, ისე გრძნობებთან კონტაქტში შესვლისკენ და გრძნობების მიერ ჩადენილი მცდელობების კორექტირებისკენ, უფრო მეტად კი გრძნობების განათლებისკენ.

მომქმედმა ჯერ ერთი მიმართულება სრულყოფილად უნდა ამოწუროს, ისე რომ ამ მხრივ მთლიანად გაჯერებულ იქნას შინაგანად და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მისცეს თავს იმის უფლება, რომ მეორე მიმართულებით მოძრაობაზე იზრუნოს და უფრო მეტიც კი შეიძლება ითქვას – საჭირო ნების დაცვის შემთხვევაში (მიმართულების პრიორიტეტულობა იგულისხმება) განგების მიერ ერთი მიმართულების მეორე მიმართულებით ჩანაცვლება არათუ პრობლემების არ დაშვებით, არამედ სასიამოვნო და კმაყოფილებით გაჯერებული გარემოთი და სიტუაციებით უზრუნველყოფს.

ზესულისკენ და ქმედების ადგილისკენ მიმართული ურთიერთობებისას მომქმედმა უნდა დაიკავოს ნამყვანის, მასწავლებლის, ე. წ. მამაკაცური სანწყისის პოზიცია.

ამიტომ სასურველია მომქმედის მიერ ჯერ დასრულებულ იქნას მისთვის შესაფერისი და შესაბამისი მონაფეობის კურსი და შემდგომად ამისა იქნას მისთვის მინიჭებული სიტუაციის მმართავის, მასწავლებლის წოდება და მოქმედების მმართავის უფლებამოსილად აღიარება.

ზედა მიმართულების განმსაზღვრელი უნდა იყოს მომქმედისთვის შესაბამისი ჯერ არ ათვისებული და ჯერ ვერ გაცნობიერებული ჭეშმარიტი ცოდნის ალქმა, სრულყოფილებისკენ სწრაფვის ორიენტაციით და მორჩილი თაყვანისცემის ინერციით, ე. ი. ზედა მიმართულებაში რა უნდა იყოს პრიორიტეტული და როგორ უნდა მოხდეს აი ამ პრიორიტეტის ათვისება. მთელი ეს მოქმედება კი

ქმედების ადგილთან მიმართებაში უნდა იქნას მოხდენილი. ქმედება განმსჭვალული უნდა იყოს კმაყოფილების მინიჭების, დაკმაყოფილების სულისკვეთებითა და ამ კმაყოფილების ჯეროვნად, საჭიროდ გაცემის, დაკმაყოფილების შედეგად მომქმედი ამის შესაბამისად ტოლ კმაყოფილებას მიიღებს, სრულად ჯეროვნად დაკმაყოფილდება. ამ პროცესის აბსოლუტურად სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, მომქმედი ნეტარების მდგომარეობაში აღმოჩნდება, ანუ მასში არანაირი სახის ვაკუუმი აღარ დარჩება რალაცა ტიპის სურვილების სახით.

ქვემო მიმართულების განმსაზღვრელი უნდა იყოს მომქმედის მიერ ათვისებული და გაცნობიერებული ჭეშმარიტი ცოდნის შესაბამისი სულიერი ობიექტური რეალობა. ეს პროცესი უნდა ეყრდნობოდეს საკუთარი შინაგანი სიღრმისეული ცოდნის გაცემასა და გულწრფელობას. ე. ი. ქვემო მიმართულებასთან მიმართებაში რა უნდა იყოს პრიორიტეტული და როგორ უნდა მოხდეს ამ პრიორიტეტის ათვისება. მთელი ეს მოქმედება მომქმედის მიერ გრძობებთან მიმათებაში უნდა იქნას მოხდენილი. ქმედება განმსჭვალული უნდა იყოს სიამოვნების მინიჭების სულისკვეთებით და ამ სიამოვნების ჯეროვნად, საჭიროდ გაცემის შედეგად მომქმედი ამის შესაბამისად ტოლ სიამოვნებას მიიღებს, სრულად, ჯეროვნად ისიამოვნებს. ამ პროცესის აბსოლუტურად სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, მომქმედი ბედნიერების მდგომარეობაში აღმოჩნდება, ანუ მასში არანაირი სახის უბედურების (შიშის) შეგრძნება არ იარსებებს.

ნეტარებისა და ბედნიერების მდგომარეობის დამკვიდრების ხელის შემშლელი მხოლოდ ორივე მიმართულებით ერთდროულად მოძრაობის სურვილი და მცდელობები გახლავთ, რისი ძირითადი მაპროვოცირებელიც მოუთმენლობა, სიხარბე ან სიძუნწე არიან.

თუ მომქმედი მოქმედების ადგილზე შესაბამისი ეპოქალური მომენტისთვის შესაბამის ჭეშმარიტ ცოდნას გაითავისებს, მას განგების მიერ მიენიჭება ბედნიერად ცხოვრების უფლება ისე, რომ აღარ დასჭირდება ზედა მიმართულებას მიუტრიალდეს.

და საერთოდაც, რამხელაზეც შეძლებს ეპოქალური მომენტისთვის შესაბამისი ჭეშმარიტი ცოდნის ათვისებას, იმხელაზე და იმდენ ხანს გასტანს მისი ბედნიერება ქვემო მიმართულებასთან ურთიერთობით, ვიდრე ამ ცოდნის შესაბამისი ეპოქალური მომენ-

ტი არ დადგება, სადაც მისი ცოდნის არეალი დამთავრდება და აქ უკვე საჭირო გახდება ხელახლა მისი დაბრუნება ზედა მიმართულებასთან. თუკი მომქმედი გაჯიუტდება და განგების მოთხოვნებს წინ აღუდგება, უბედურებები მისი მეგზური გახდება და იმდენ ხანს იბორიალებს მათში, ვიდრე საჭიროებას არ დაემორჩილება. უბედურებები მის ცხოვრებაში ეპოქალური მომენტისთვის ობიექტური რეალობისთვის შესაბამისი ცოდნის არ ქონისდა გამო გამონვეული შიშებით იქნება განპირობებული.

ჩაკრალური სისტემები

ადამიანი როდესაც პირველად ხვდება მეცნიერული პროგრესის შედეგად შექმნილი ნებისმიერი გადაადგილების საშუალებასთან (მაგალითად, მსუბუქი მანქანის სამართავ სისტემასთან) მმართავის ამპლუაში, უცნაური ეიფორიული მომენტის დაფიქსირება მასში არც თუ ისე ძნელია. მასში აღიძვრება რალაცა ტიპის მნიშვნელოვნების შეგრძნება იმის აღქმის საფუძველზე, რომ ეს ოთხ საბურავზე დამონტაჟებული რკინის მასა მისი ნება-სურვილის შესაბამისად იმოძრავებს. ამ დროს ადამიანს არ აინტერესებს მანქანის მიზნობრივი დანიშნულების გათვალისწინება, ის რომ ეს მონყობილობა მიზნობრივად დაჩქარებული გადაადგილების საშუალებაა; ან ის, რომ შიდა მონყობილობისთვის შესაბამისი ინსტრუქციის დარღვევამ შეიძლება მანქანა მწყობრიდან გამოიყვანოს; ან ის, რომ მოძრაობის პროცესში სხვა ასეთივე მსგავს მანქანას თავისი დაუდევრობის (უფრო სწორად სურვილის დაკმაყოფილების) გამო შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს, რითაც იმ მანქანის მმართველი ადამიანი შეიძლება იმსხვერპლოს. მანქანაზე ძალაუფლების ქონით გაბრუნებული ადამიანი მხოლოდ ამ ძალაუფლების გამოვლინების სურვილით არის დაინტერესებული. მხოლოდ დროთა განმავლობაში ხდება ამ ე. წ. ეიფორიის ჩაცხრობა, როდესაც იგი ამ მანქანით საკუთარი სასურველი შესაძლებლობების გამოვლინებით დაკმაყოფილება და ამ მანქანის ერთადერთი დანიშნულება მისი ფუნქციონალური ინტერესების დაკმაყოფილებაზე დავა. ამის შემდგომ ადამიანი საჭიროების გარეშე აღარ ცდილობს მანქანაში მოხვედრას, ზედმინევნით ცდილობს სამართავი მონყობილობა ისე გამოიყენოს, რომ მანქანის შიდა მონყობილობა არ დაზიანდეს, აუცილებლად ითვალისწინებს მანქანისთვის სპეციალურად შექმნილ ნესებს, რომლებიც პირობითი ნიშნებით რეგულირდება. ვიდრე და-

ლიან სერიოზულ პრობლემაში არ გადაიზრდება, ახდენს მანქანის მის მცოდნესთან მიყვანასა და გასინჯვას, რომ მანქანა კარგ მდგომარეობაში (ჯანმრთელ მდგომარეობაში) დარჩეს. დღე და ღამე ცდილობს მისი უსაფრთხოება უზრუნველყოს, გარეცხოს (აბანაოს) და ა. შ.

ანუ ადამიანი ისე უვლის ამ მსუბუქ მანქანას, როგორც თავის ნაწილს, მაგრამ ამავე დროს მან მშვენივრად იცის, რომ ის თვითონ მანქანა არ არის, თუმცა, მოძრაობისას ის და მანქანა ერთ ორგანიზმად ჩანან ვიზუალური აღქმის დონეზე.

აი, ზუსტად, აბსოლუტურად ანალოგიურია ეს ზემოთ მოყვანილი შედარება იმისათვის, რომ როგორმე აღქმულ იქნას ადამიანში არსებული ინდივიდუალური სულისა და ადამიანური სხეულის თანაარსებობის რეალობა. ადამიანური სხეული ისევე, როგორც ნებისმიერი ცოცხალი არსების მატერიალიზირებული ნაწილი, ინდივიდუალური სულის გარეშე უბრალოდ გვაგვამია, უმოძრაო უსულო მასაა და მეტი არაფერი. ისე რომ, საკუთარი „მე“-ს ცალსახად სხეულთან გაიგივება აბსოლუტური უმეცრებაა, მაგრამ სხეულის იგნორირებაც ვერ იქნება გონივრული საქციელი, რამეთუ ეს საკუთარი „მე“-ს მიერ ჩადენილი მოქმედებების შედეგად მიღებული შედეგის იგნორირებაა მხოლოდ. ინდივიდუალურ სულს ობიექტური რეალობის მიღების უნარი უნდა გააჩნდეს, ანუ მან უნდა აღიაროს, მიიღოს, აითვისოს საკუთარი დროებითი მატერიალური სხეული და მაქსიმალურად მისი სრულყოფილად შესწავლის შემდგომ, მისი მართვის უნარი უნდა გამოიმუშაოს. შემდგომ აუცილებლად უნდა შეისწავლოს და დაიცვას ამ სხეულისა და მისი მსგავსი სხეულებისთვის შექმნილი წესები, რომლებიც, თავის მხრივ, სპეციალურად შემოტანილი პირობითი ნიშნებით რეგულირდება. აგრეთვე უნდა მიხედოს ამ სხეულში ყოფნის პროცესში მის მიერ შიდა სამართავი მოწყობილობის არასწორად, პროვოკაციულად მოხმარების შედეგად წარმოქმნილ შიდა დაზიანებებს და შექლებისდაგვარად მაქსიმალურად აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა (გაარემონტოს სხეული), რასაც ადამიანურ ენაზე გაჯანსაღება, ჯანმრთელობის აღდგენა და დაცვა ეწოდება, როგორც შიდა ფუნქციონალურ, ისევე გარე ვიზუალურ დონეზე. როდესაც სხეულის დანიშნულება მისი ფუნქციონალური ინტერესების დაკმაყოფილებაზე იქნება დაყვანილი შიდა არსობრივ აღქმაში, ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ მატერიალურ სხეულს ველარანაირი დაზიანება ველარ გადახდება. იგი გახდება ინდივიდუალური სულის, რო-

გორც მომქმედის მოქმედების საშუალება და ამ მომქმედის მიერ მისთვის მინიჭებული იქნება ის დატვირთვა, რაც უნდა იყოს მინიჭებული იდეალურ შემთხვევაში, არც მეტი და არც ნაკლები.

თუ სხეული მოქმედების საშუალებაა, ვფიქრობ, ფრიად საინტერესო იქნება ყველასათვის, რა სახით არის ამ საშუალებაში წარმოდგენილი თავად ინდივიდუალური სული, როგორც მომქმედი, გამოვლინებულ მოქმედებათა ბაზისური ავტორი. პასუხი ამ შეკითხვაზე ასეთია: ინდივიდუალური სული გახლავთ მატერიალური თვალებისათვის უხილავი ენერგია, ერთგვარი ცენტრირებული ენერგეტიკული ველების სახით, რომლებიც თავისთავად განაპირობებენ და განსაზღვრავენ სხეულის მატერიალურ ფორმას, როგორც შიგნიდან, ისევე გარედან.

ძველი აღმოსავლური სწავლებების ტერმინოლოგიური ენით თუ ვიხელმძღვანელებთ, ამ ცენტრირებულ ენერგეტიკულ ველებს ეწოდებათ ჩაკრები. სხვათა შორის, მათი დანახვაც შესაძლოა მატერიალურ სხეულში ყოფნის პირობებშიც კი, მაგრამ ამისთვის საჭიროა ჰარმონიულობის ძალიან მაღალი დონის ქონა, რის შედეგადაც ე. წ. მესამე თვალით ხდება სულიერი ნაწილის ხედვა და აგრეთვე ოთხი სხვა გრძნობის გაღვიძება.

აქვე მინდა ერთი ძალიან პროვოკაციული შესწორებისმაგვარი რაღაც აღვნიშნო. ჩაკრალური ცენტრები, რომლებიც ენერგიის გავრცელებისა და გამოვლინების წყარონი არიან, იერარქიულად ერთი საფეხურით უფრო მაღლა დგანან ინდივიდუალურ სულზე, რომელიც, თავის მხრივ, ცენტრებიდან გამოვლინებული ენერგიების თავისი შეხედულებებისამებრ რეალიზაციას ახდენს. ჩაკრალური ცენტრები ინდივიდუალიზირებული შიდა სამყაროსეული მოვლენების შედეგად წარმოშობილ უფლება-მოვალეობრივ გაგებაზე, პასუხისმგებლობისა თუ განსაკუთრებულობის შეგრძნებაზე მაღლა დგანან და მთელი ერთიანი დაუნანვერებელი სამყაროს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ცნობიერების უზადო აღმასრულებელია და არასოდეს არავისთვის და არაფრისთვის არანაირი სახის გადახვევა, თუნდაც სულ მცირეოდენი შერბილება ან სიმყიფე მისი მხრიდან არ ხდება. ჩაკრალური ცენტრების გარშემო წარმოქმნილი ენერგეტიკული ბირთვები კი ამ ცენტრებთან ერთად წარმოქმნის იმას, რასაც მე ჩემი ტერმინოლოგიით ჩაკრალურ სისტემებს ვეძახი. შემდეგ ამ ენერგეტიკულ ბირთვებზე ხდება მატერიალური სხეულის მორგება (ასე ვთქვათ, გადაკვრა) მთელი თავისი შიდა და გარე მონყობილობებით. ისე რომ, სხეულის მდგომარე-

ობა აბსოლუტურად და მთლიანად დამოკიდებულია ჩაკრალურ სისტემაზე. ვფიქრობ, საინტერესო იქნება ამ საკითხებით დაინტერესებულთათვის რა პრინციპით ხდება ჩაკრალური ცენტრებიდან ენერგეტიკული ბირთვების წარმოქმნა. აი, ამისათვის ცოტა კიდევ ზემოთ უნდა მოვახდინოთ წარმოსახვითი შესვლა.

ჩაკრალური ცენტრები, შეიძლება ითქვას, კოსმიურ გონებას წარმოადგენენ, რომლებიც, თავის მხრივ, ერთიანი კოსმიური გონებიდან გამომდინარეობენ და მუდმივი და მჭიდრო კავშირი აქვთ მასთან. ეს გონება გახლავთ მთლიანი ერთიანი ბაზა, როგორც უზარმაზარი ინფორმაციული ბანკი, საიდანაც, ამ გადასახედიდან, ძალიან წვრილი ინფორმაციულ-ინტელექტუალური განშტოებების სრუქმნისა და ლოგიკური სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებისთვის არიან დაგზავნილები შიგნით საკუთარ სხეულში ინდივიდუალური პოტენციალის მქონე ერთიანი სამყაროს შემადგენელი ნაწილები. ყველა მათგანს ეძლევა ამოცანა თავისი ნება-სურვილისა და შესაძლებლობების შესაბამისად, ანუ რომელი თემატიკა უნდა, რომ დაამუშავოს და რამდენად აქვს პოტენციური უნარი ამ თემატიკის დამუშავებისა.

ჩაკრალურ ცენტრებს მუდმივი კონტაქტი აქვთ ცენტრალურ ინტელექტუალურ ბაზასთან და ამ ცენტრების საშუალებით გამოგზავნილი ინდივიდუალური სული (სულიერ თუ მატერიალურ სამყაროში) რამდენადაც გაართმევს თავს მასზედ დაკისრებულ მისიას, იმდენად და იმის შესაბამისად მოხდება ჩაკრალური ცენტრებიდან ენერგეტიკული ბირთვების ფორმირება. ამიტომ მიმაჩნია, ინდივიდუალურმა სულმა, ვინც არ უნდა იყოს და სადაც არ უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიცნოს ის, თუ რა არის მისი, როგორც კონკრეტული ინდივიდის მისია და ეცადოს მაქსიმალურად სრულყოფილად შეასრულოს ის.

ის ინდივიდუალური სული, რომელმაც საკუთარი მისია არც იცის და არც აინტერესებს მისი ცოდნა და გაგება, აბსოლუტურად უაზროდ დაეხეტება კოსმიურ სივრცეში და მისი ინდივიდად ყოფნის საჭიროება თანდათან კარგავს ფუნქციონალურ აზრს. დროთა განმავლობაში ასეთ ინდივიდუალურ სულს ჩაკრალური ცენტრებიდან ენერჯის მიწოდება შეიძლება ძალიან შეუმცირდეს და შეწყდეს კიდევც.

ამ გადასახედიდან, მატერიალურ სამყაროში მატერიალური სახით მოხვედრის სამი ძირითადი მიზეზი არსებობს:

1. ინდივიდუალურმა სულმა იმაზე მეტი ინტელექტუალური ინფორმაციის გადამუშავება და ათვისება მოინდომა, ვიდრე მას ამის უნარი გააჩნდა, ანუ ვიდრე მისი მისია ითვალისწინებდა ამას. რის შედეგადაც თავისი მეცადინეობის შედეგად ათვისებული ინფორმაცია ჭეშმარიტ ცოდნად მხოლოდ თვითონ მონათლა და ეს არავის არ დაუდასტურებია, რამაც მისი განწყობა გამოიწვია, რამეთუ ინტელექტუალურ ბანკში მისი ცოდნა არ მიიღეს (იმ შემთხვევაშიც კი არ მიიღებდნენ, ათვისებული ცოდნა ჭეშმარიტად ღირებული რომც ყოფილიყო. ვფიქრობ, სრულიად გასაგებია რატომ).

ჭარბი სიბეჯითის გამო ინდივიდუალური სული გაგზავნილ იქნა მატერიალურ სამყაროში, რათა თავად დარწმუნებულიყო საკუთარი შეხედულებების სიმცდარეში (ან არამცდარობის, ჭეშმარიტობის შემთხვევაში, მათი შემოსვლის ნაადრევობაში) მათი პრაქტიკულად გამოვლინებისა და რეალიზაციის შემდეგ.

2. ინდივიდუალურმა სულმა, რალაცა რაოდენობის ინტელექტუალური ინფორმაციის გადამუშავების შემდეგ, მისიის შემდგომ შესრულების გაგრძელებაზე უარი თქვა და საკუთარი ნამუშევრით ტკობა განიზრახა, რის გამოც მოუნდა ერთიან სამყაროში თავისი მიკროსამყაროს შექმნა და მისი დამოუკიდებელ ერთეულად გამოცხადება და ინფორმაციულ ბანკთან ყოველგვარი ურთიერთობების განწყვეტა. მან ჭეშმარიტად ვერ გაისიგრძეგანა ის, რომ იმ ტოტს ჭრიდა, რომელზეც იჯდა.

ჭარბი სიზარმაცის გამო ინდივიდუალური სული გადაგზავნილ იქნა მატერიალურ სამყაროში, რათა მის წარმოსახვაში წარმოჩინებული ტკობისა და სიამოვნების ილუზიურ არარაობაში დარწმუნებულიყო (ამ სასურველი ტკობის ნაცვლად, პრაქტიკულად, სიმწარისა და უბედურებების მიღებით, რაც ფუნქციის, დანიშნულების იგნორირების სურვილის გამო გარდაუვლად გადახდებდა).

3. ინდივიდუალურმა სულმა მასზე დაკისრებული მისიის უპრეცედენტოდ ზუსტად შესრულება დაიწყო, მაგრამ, ცალსახად ამ მისიაზე კონცენტრირებულობის გამო, ნელ-ნელა საკუთარი ინდივიდუალიზმის იგნორირება მოახდინა, რის გამოც მასზედ გაცემულ მითითებებზე იმდენად დამოკიდებული გახდა, რომ დამოუკიდებლად რაიმე გადაწყვეტილების მიღების უნარი დაკარგა. ეს კი ინტელექტუალური კვლევა-ძიებისთვის გაგზავნილი ინდივიდუალური სულისთვის ერთ-ერთი უმთავრესი აუცილებელი თვისებაა.

ჭარბი პასიურობის გამო ინდივიდუალური სული გაგზავნილ იქნა მატერიალურ სამყაროში, რათა, საჭიროების შემთხვევაში, აღედგინა საკუთარი ინდივიდუალურობის გამოვლინების უნარი. ბუნებრივად მცდარ ცოდნაზე დაფუძნებულ გარემოში მისნაირებს ავტომატურად მოუნვეთ ექსტრემალურ პირობებში ჩავარდნა და ძალიან ხშირადაც, ისე რომ ეს მატერიალიზირება მისი ინდივიდუალიზმის გამოლვიძების მშვენიერი საშუალება გახდება.

მაშასადამე, მატერიალური სხეულის სახით მოვლინება ინდივიდუალური სულის მიერ მასზედ დაკისრებული საპატიო მისიის ვერ შესრულების შედეგია. ერთადერთი და უალტერნატივო მიზანი, მატერიალიზირებული სახით არსებობის განმავლობაში საკუთარი, უკვე ჩადენილი შეცდომების გასწორება, განგების მხრიდან რეაბილიტაციის მიღება და ყოველგვარი მატერიალური სხეულის გარეშე სულიერ სამყაროში ინდივიდუალურ სულად დაბრუნება უნდა იყოს.

მატერიალურ სხეულში არსებობის პირობებში ინდივიდუალური სულის მიერ წარსულში ჩადენილი შეცდომების გასწორების მაჩვენებელი თავისი საუკეთესო ფორმით, მასში პირველადი გრძნობების აღდგენის ფემომენი გახლავთ. ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პირდაპირი მაჩვენებელი, როდესაც მთლიანად მთელი ნაწილის მიერ ხდება შეცდომათა გამოსწორების აღიარება და, ასე ვთქვათ, ამნისტირება სამყაროს უზენაესი განმგებლობითი წარმომადგენლების მიერ. პირველადი გრძნობების ორგანოების ფუნქციონალური აღდგენა მატერიალური სხეულის პირობებში მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის ხდება, რათა ინდივიდუალურმა სულმა საკუთარი მისიის შესრულების პროცესი აღიდგინოს და განაგრძოს. ანუ თვით მატერიალურ სამყაროშიც კი, მატერიალურ სხეულში ყოფნის პერიოდშიც არის შესაძლებელი მთელი გამოვლინებული სულიერი სამყაროს სამსახური და თავის გარშემო არსებულ მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულებისთვის ესოდენ ძვირფასი ელექსირის, ჭემმარიტად ჭემმარიტი ცოდნის მიცემა და ჭემმარიტი გზის პოვნაში დახმარების განევა.

არ ვიტყვი იმას, რომ პირველადი გრძნობების აღდგენის გარეშე ამ მსახურების განევა შეუძლებელია, მაგრამ მათი მეშვეობით ეს მსახურება გაცილებით უფრო ღირებული და კომპეტენტური იქნება. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ამის მინიჭება, ვფიქრობ, სე-

როზულ რისკთან არის დაკავშირებული, რამეთუ ეს შესაძლებლობები უზომოდ დიდ ძლევამოსილებას ანიჭებს მატერიალურ სამყაროში ინდივიდუალურ სულს. ამიტომ ეს უნდა მიენიჭოს მხოლოდ იმ ინდივიდუალურ სულს, რომელიც არაფრისა და არავის გულისთვის არ დაარღვევს სამყაროს კანონებს და საკუთარ „მე“-ს სამყაროს უზენაესი პიროვნების ნების რეალიზაციის საშუალებად მოიაზრებს და რეალურად გადაიქცევა ამაღ.

პირველად გრძნობებში კი იგულისხმება ის, რაც ინდივიდუალურ სულს მატერიალურ სხეულში ჩასახვამდე გააჩნია ზოგადად. ესენია:

1. ე. წ. მესამე თვალი ანუ ენერგეტიკული ველების დანახვის უნარი, რაც თავისთავად გულისხმობს ინდივიდუალურ სულთა და საერთოდ სულიერების ვიზუალურად ხედვის უნარს.

2. ე. წ. მესამე ყური ანუ ენერგეტიკულ ველებს შორის ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი ბგერების გაგონების უნარი, რაც თავისთავად გულისხმობს ინდივიდუალურ სულთა მოსმენისა და გაგონების უნარს მატერიალური სხეულის მატერიალური ნაწილების ურთიერთობების გარეშე და საერთოდ, მატერიალიზირებული სხეულების ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი ბგერების გარეშე.

3. ე. წ. შინაგანი ხმა ანუ ენერგეტიკულ ველებთან ინფორმაციული ურთიერთობების დამყარება, რაც თავისთავად გულისხმობს ინდივიდუალურ სულებთან ინფორმაციული კონტაქტის დამყარებას მატერიალური სხეულის გამოყენების გარეშე.

4. ე. წ. ნათელმხილველობა ანუ ენერგეტიკული ველების წარსულში ან მომავალში ნამოქმედარის განჭვრეტის უნარი, რაც თავისთავად გულისხმობს ინდივიდუალურ სულთა ე. წ. ბედ-იღბლის განჭვრეტას.

5. ე. წ. სულიერი შეხება (ექსტრასენსორიზმსაც უწოდებენ დღეს) ანუ ენერგეტიკული ველების საკუთარი ენერგეტიკული ველებით ორგანიზებული, გაცნობიერებული შეხების უნარი, რაც თავისთავად გულისხმობს ინდივიდუალურ სულებზე ენერგეტიკულად ზემოქმედების უნარს.

ვფიქრობ, ამ მცირედი განმარტების შემდეგ არ არის საჭირო იმის განმარტება, თუ რატომ არის ამ შესაძლებლობების შეძენა (უფრო სწორი იქნებოდა თქმულიყო – აღდგენა) დიდი ძლევამოსილების ქონა. ეს შესაძლებლობები ინდივიდუალურ სულს ბუნებრივად აღუდგება როდესაც ის სხეულიდან გავა, მაგრამ აქ ლაპარაკია

იმ ფენომენურ გამოვლინებაზე, როდესაც თავისი მეცადინეობით ინდივიდუალური სული მატერიალურ სხეულში ყოფნის პირობებში აღიდგენს (უფრო სწორედ აღუდგენენ) ამ შესაძლებლობებს. ეს, ფაქტიურად, გარანტი იქნება იმისა, რომ ინდივიდუალური სული მატერიალური სამყაროდან თავს დააღწევს და სულიერ სამყაროში გადაინაცვლებს. და მეორეც – ეს გულისხმობს იმას, რომ ინდივიდუალური სული უკვე მატერიალურ სამყაროში, მატერიალურ სხეულში ყოფნის პირობებში შეძლებს საერთო საჭიროების (განგებობის) სამსახურში ჩადგომასა და საჭირო ნების რეალიზაციაში მონაწილეობას.

მისიათა ნაირსახეობის რაობა მთელი გამოვლინებულობის რეალობაში

მისია არის ამა თუ იმ დანიშნულების ზედმინევენით შესრულების რაობა ნებისმიერი ინდივიდის მიერ ამა თუ იმ სუბსტანციასთან ან ინდივიდთან ურთიერთობებისას ამ კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი საჭიროების საფუძველზე. საჭიროების გვერდიდან დანახვებისთვის მინიმუმ ორი ასპექტი მაინც არის გასათვალისწინებელი – ცნობიერი და ყოფითი.

1. საჭიროების ცნობიერ ახსნას მორალური, სულიერი პრინციპების დონეზე იძლევა მთელ გამოვლინებულობაში და კონკრეტულად არსებულ გარემოებაში უკვე არსებული და ჩამოყალიბებული ქვემარტივი სულიერი მოძღვრების სახით.

2. საჭიროების ყოფით ახსნას ზნეობრივი პრინციპების დონეზე იძლევა მთელ გამოვლინებულობაში და კონკრეტულად არსებულ გარემოებაში უკვე არსებული და ჩამოყალიბებული კანონმდებლობა ობიექტური რეალობის საფუძველზე აგებული და ჩამოყალიბებული მატერიალური იდეოლოგიის (მატერიალური იდეალიზმის ალქმის) სახით.

აი, სწორედ ამ ორ ბაზისზე იწყობაა მისიის ცნება აბსოლუტურად ყველა და ნებისმიერი ინდივიდისათვის, რაც ყველაზე პრიმიტიული ფორმით რომ გამოვხატო, ადამიანური ცნებების დონეზე ასეთ საფუძველებს მივიღებ:

1. მეცნიერება და რელიგია;
2. კონსტიტუცია და კულტურა.

მაგრამ მისიის საჭიროდ აღსრულების თემატიკას ამ ცნებების საფუძველზე არ ავაგებ, რამეთუ ეს მხოლოდ ზედაპირული ფონია.

მისიის აღსრულების საჭიროებასა და არ აღსრულების პოტენციურ შედეგებს მეტ-ნაკლებად უკვე შევხებ. ახლა კი, ვფიქრობ, საჭიროა შევეხო იმას, თუ რა გზით და როგორ არის შესაძლებელი მისიის შესრულება ზოგადად ყველა და ნებისმიერი ინდივიდისთვის დამაკმაყოფილებლად.

მისიის, როგორც ასეთის, შესრულების განხილვისათვის, აბსოლუტურად ყოველგვარი შერბილებული შეღავათებისა თუ დათმობებისა და ფსევდომისიის მინარევების გარეშე, აუცილებლად და საჭიროდ მიმაჩნია სამი სუბსტანციის, სამი ცნების შემოტანა, რომლებთანაც კონტაქტში შესვლის გარეშე მისიის შესრულებაზე ლაპარაკს საერთოდ ეკარგება აზრი:

1. ობიექტური რეალობის სუბსტანციური ცნება;
2. ზოგადი ცნობიერების სუბსტანციური ცნება;
3. დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების სუბსტანციური ცნება.

შეგნებულად არ ვეხები ორ ასპექტს, რომლებიც მთელი არსებობის პროცესების ფაქტობრივი ავტორები არიან, მაგრამ მათზე კონცენტრაცია ინდივიდს ან შორეულ წარსულში გადაისვრის და იქიდან გამოსვლა ძალიან გაუჭირდება, ან შორეულ მომავალში გადაისვრის და არსებულ ეპოქალურ რეალობასთან ვეღარაფრით მოახერხებს შეთვისებას. ამხელა დიაპაზონში მუშაობისათვის ძალიან მაღალი დონეა საჭირო და თანაც, რაც მთავარია მისიის შესრულების პროცესი ამ ორ ცნობიერ ასპექტში შესვლას, საერთო ჯამში, არ საჭიროებს, ხოლო გაკვრით ზედაპირულად კონტაქტი კი, ნებით თუ უნებურად, თავისთავად მაინც მოხდება. ეს ასპექტებია:

1. ცნობიერების აბსოლუტური სუბსტანციური ცნება;
2. ჭეშმარიტების აბსოლუტური სუბსტანციური ცნება.

ობიექტური რეალობა, როგორც სუბსტანცია, ჭეშმარიტების ცნობიერებად გარდაქმნის პროცესში წარმოქმნილ ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. როდესაც ამ ცნებაზეა ლაპარაკი მნიშვნელობა არა აქვს სულიერ სამყაროზე გავამახვილებთ ყურადღებას თუ მატერიალურ სამყაროზე. აბსოლუტურად ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში, რის განსახილველ (აღქმად) დონეზეც არ უნდა იყოს ყურადღება გამახვილებული, დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ობიექტური რეალობა სუფევს. აბსოლუტურად ყველაფერი უნდა იყოს ისე, როგორც არის პროცესთა მიმდინარეობის ლოგიკური, უმაღლესი, ბუნებრივი სვლის საუკეთესოდ შემფასებლის შეხედულებათა შესაბამისად. აბსოლუტურად ყველა და ნებისმიე-

რი ინდივიდი, რომელიც არ ან ვერ ღებულობს მის გარშემო არსებულ რეალობას ობიექტურ და სამართლიან სინამდვილედ, ავტომატურად ხვდება დაპირისპირებაში ამ რეალობის უმალღეს შემფასებელთან და, ფაქტობრივად, ამ სინამდვილის დამამკვიდრებელთან.

მისიის შესრულების პროცესის პირველ (ყველაზე დაბალ) საფეხურად მიმაჩნია ობიექტური რეალობის აღიარება. ეს გახლავთ საკუთარი ცდომილებისაგან გათავისუფლებისკენ მიმავალი გზა. ამ გზაზე დამდგარი ინდივიდი ძილბურანიდან გამოსვლის, ჯერ არ გამოღვიძების, მაგრამ ძილის მდგომარეობიდან გამოსვლის პროცესში მყოფ არსებას მოგვაგონებს. შემდგომ ამისა კი, უკვე ნელ-ნელა იწყება ობიექტური რეალობის არსებობაში ანუ არსებული რეალობის ჭეშმარიტად შედეგობრივ ობიექტურობაში დარწმუნების, დაჯერების მეორე საფეხური. ეს, შეიძლება ითქვას, მისიის შესრულების პროცესის მეორე საფეხური გახლავთ. დარწმუნების პროცესი, შეიძლება ითქვას, საკუთარ არსში არსებული ღვთიური ბუნების გამოღვიძების, სარწმუნო (ნედლი) რწმენის მიღების პროცესია. ამ დარწმუნებას კი მისიის შესრულების პროცესის მესამე საფეხურზე გადავყავართ, ეს გახლავთ ობიექტური რეალობის მიღების, გამართულად დაჯერების პროცესი. რაც, შეიძლება ითქვას, უკვე გამოღვიძებული მდგომარეობის ტოლფასია. ტერმინოლოგიურად ეს გან(რ)წმენდის ანუ მცდარი რწმენის გასწორების, ჭეშმარიტი რწმენით ჩანაცვლების გზით ხდება და აი ამ სიტყვით – ჭეშმარიტი რწმენით – გადმოიცემა.

მისიის შესრულების შემდეგ, მეოთხე საფეხურზე უკვე გან(რ)წმენდილი მდგომარეობიდან ობიექტური რეალობის გათავისებობით, ხოლო ტერმინოლოგიურად – განათლებით ანუ საკუთარ არსში ნათელის შეტანით – შეიძლება მოხვედრა.

აი აქ მთავრდება მისიის შესრულების პროცესის პირველი ნაწილი, რომელიც ე. წ. ობიექტური რეალობის სუბსტანციურ ცნებასთან არის დაკავშირებული. ამ პირველი ნაწილის ერთგვარ დასკვნად შეიძლება იქნას მიღებული შეხედულება, რომ იგი ემსახურება მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების მატერიალური სახით მოვლინების მიზეზებისგან გათავისუფლებას, ანუ ვინც ამ ნაწილს ჭეშმარიტად დააკმაყოფილებს, მას, კონკრეტული სხეულიდან გასვლის შემდგომ, ახალ მატერიალურ სხეულში გადასვლა აღარ მოუხდება, რამეთუ სულიერი სამყაროდან მისი, ნებით თუ უნებლიედ, აუცილებელი წამოს-

ვლის მიზეზი, სამყაროს უზენაეს პიროვნებებთან შეგნებული თუ შეუგნებელი დაპირისპირება, უკვე აღმოფხვრილი იქნება. ის აღარანაირი სახით აღარ შეეცდება საკუთარი ინდივიდუალიზმის გაზრდას და გამოვლინებას არაეთიკური არაინდივიდუალიზმის საშუალებით, მის გარშემო არსებული სხვა ინდივიდების იგნორირებისა და გამოყენების ხარჯზე. პირიქითაც კი მოხდება. ეს ინდივიდი უბრალოდ გაემიჯნება არაეთიკურ არაინდივიდუალიზმს და საკუთარი ინდივიდუალიზმის გამოვლინებას მის გარშემო არსებული სხვა ინდივიდების ეთიკური ინტერესების გათვალისწინებით მოახდენს და ისიც არა საკუთარი ინიციატივით იქნება ჩადენილი.

მისიის შესრულების მეორე და მესამე ნაწილს კი, პირველისგან განსხვავებით, ცალ-ცალკე უბრალოდ ვერ განვიხილავ. ეს უფრო კომპლექსური საკითხივითაა და აუცილებელია მათი ურთიერთშეთანხმებულად გახსნა. აქ უკვე ქალური და მამაკაცური სანწყისები იმდენად დამოუკიდებელ ფუნქციონალურ დატვირთვას იძენენ, რომ ცალკეულად მათი განხილვა ვერანაირ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს. ეს სანწყისები პირველ ნაწილშიც ფიგურირებდნენ, მაგრამ იქ მათი შემჩნევა და გარჩევაც კი საკმაოდ რთულია და მათი გავლის პროცესში ამის გამოყოფა ხელისშემშლელი გახდებოდა. უბრალოდ ცნობისათვის აღვნიშნავ, რომ ქალური სანწყისისთვის ფუნქციონალურად გათვალისწინებულია ობიექტური რეალობის აღიარება, ანუ I საფეხური და ობიექტური რეალობის მიღება – III საფეხური, ხოლო მამაკაცური სანწყისისათვის კი – ობიექტურ რეალობაში დარწმუნების პროცესი ანუ II საფეხური და ობიექტური რეალობის გათავისება ანუ IV საფეხური.

მისიის შესრულების პროცესის მეორე ნაწილი ე. წ. V საფეხურზე გადასვლით იწყება. ეს ხდება ქალურ სანწყისში ცნობისწადილის ამოტივტივებით. ეს გახლავთ მატერიალური სამყაროს მამოძრავებელი ინტერესების ჩანაცვლება სულიერი სამყაროს მამოძრავებელი ინტერესებით. „ცნობა“, როგორც ინტერესების გამომხატველი ერთეული, ევოლუციონების სურვილის გამომხატველი ხდება. ამ საფეხურზე იწყება ინდივიდუალური სულის ქმედების ადგილის შესაბამისი ზოგადი ცნობიერების ძიება. ზოგადი ცნობიერება ამ შემთხვევაში გახლავთ ის ჩონჩხი, რის საფუძველზეც არის აგებული ნებისმიერი ინდივიდუალური სულისთვის შექმნილი, მისთვის უცილობლად ობიექტურად შექმნილი გარემოება.

ამ V საფეხურს კი უკვე მოსდევს VI საფეხურზე გადასვლის აუცილებლობა. ეს ხდება მამაკაცურ სანწყისში არსებული ვითარე-

ბის შეცვლის, განვითარების სურვილის ამოტივტივებით. V საფეხური უფრო წარსულის შედეგების შეცნობისკენ თუ იყო მიდრეკილი, VI საფეხური უფრო მომავალში სასურველის შემოტანით ინტერესდება, ანუ ინდივიდუალური სულის მიერ იწყება დასამკვიდრებელი, შემოსატანი ჭეშმარიტების ძიება ნებისმიერ და ყველა მის გამოვლინებაში. ვინაიდან მომავალი გარდაუვლად მოვა, რატომ არ უნდა ეცადოს მატერიალური სამყაროს ინტერესებისაგან გათავისუფლებული ინდივიდუალური სული საკუთარი, პირადი, ოპტიმალური, საუკეთესოდ შერწყმული გზა ეძიოს ამ „გარდაუვლად მომავალ“ მომავალში ღირსეულად შესვლისთვის?!

VI საფეხურის შემდეგ, ლოგიკურად შემოდის VII საფეხური მისიის შესრულების პროცესისა. ეს არის ინდივიდუალური სულის ქალური სანყისის მიერ დაწყებული ზოგადი ცნობიერების ძიების დასრულება ე. ი. ზოგადი ცნობიერების ჭეშმარიტად ათვისება და გათავისება. იმისათვის რომ ეს საფეხური განვლილად გამოცხადდეს რაიმე ნიშანია საჭირო, ის, თუ – როგორ გავიგო, აღვიქვი თუ არა აღსაქმელი. ეს ნიშანი გახლავთ ინდივიდუალური სულის ქალური სანყისის ტრანსცენდენტულ, ტრანსსულ, ბედნიერ მდგომარეობაში აღმოჩენა, უკმაყოფილებისა და უბედურების შეგრძნების არ ქონა, დამოუკიდებლობის შინაგანი მოთხოვნილების სრული გაქრობა გარე სამყაროსთან მიმართებაში.

მაგრამ VII საფეხური ასეთ მდგომარეობამდე რომ დაკმაყოფილდეს, აუცილებელია VIII საფეხურის ღირსეულად გავლა. ეს კი ინდივიდუალური სულის მამაკაცური სანყისის მიერ დაწყებული დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების პოვნა, ათვისება და გათავისება გახლავთ. მისი ჭეშმარიტად გავლის შედეგობრივი სიმპტომებია შინაგანი ჰარმონიულობის მიღწევა. შინაგანი უთანხმოებისა და დისკომფორტის სრული აღმოფხვრა. ამ მდგომარეობას ინდივიდუალურ უპიროვნო ბრაჰმანთან შერწყმასაც ეძახიან.

აი, ამით მთავრდება მისიის შესრულების პროცესის მეორე ნაწილი. ერთგვარი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლავთ ინდივიდუალური სულის მიერ საკუთარი მრწამსის საჭიროდ გასწორება. სწორედ ეს არასწორი მრწამსია, საერთოდ ზოგადად, ავტორი მატერიალური სხეულის შექმნის აუცილებლობისა. მაგრამ ამ შემთხვევაში, ვიდრე ეს მცდარი მრწამსი თვითრეალიზაციისკენ ანუ მატერიალიზაციისკენ იქნებოდა მიმართული, ინდივიდუალური სულის მიერ მათი კორექტირება მათი პოტენციურად არსებობის მდგომარეობაში ხდება. ანუ გადატანითი მნიშვნელო-

ბით ის მარტივი რამ, რომ აგური აუცილებელი არაა ზევით ააგდო, თავში დაგეცეს უკან რომ დაბრუნდება და ამით გაიგო, რომ ეს მწარე ტკივილის მომგვრელია და საუკეთესო შემთხვევაში შედეგად დიდი კოპი დაგაჯდება. ის ცდილობს წარმოსახვის დონეზე შეძლოს ამის გაგება და არა პრაქტიკულად განხორციელებულ დონეზე განიცადოს ეს. შედეგად კი მისი შემადგენელი მამაკაცური და ქალური სანყისები მთლიანად ახდენენ ერთმანეთში არსებული ურთიერთგაუგებრობისა და უხეში დაპირისპირებების აღმოფხვრას და მათ ეძლევათ პატივი საკუთარ სიახლოეში მყოფი ზესულის დანახვისა და გაგებისა, რასაც აქამდე ვერ ახერხებდნენ საკუთარი მცდარი მრწამსის გამო.

მისიის შესრულების პროცესის მესამე, ბოლო ნაწილი ყველაზე აქტიურ ინდივიდებს შეეხებათ, რომლებიც მთელი სრული გამოვლინებულობის საერთო ინტერესებით, გლობალური ინტერესების მსახურების მხურვალე სურვილით გამოირჩევიან. ლაპარაკია მთელი არსებული თანამდებობრივი მსახურებით.

IX საფეხური ამ პროცესისა მთელი სამყაროს სამსახურის პირველ საფეხურად შეიძლება იქნას აღქმული. იგი თავის არსობრივ რაობაში მოიცავს საკუთარი ქალური სანყისის მიერ აღქმული და გათავისებული ზოგადი ცნობიერების სხვა ინდივიდუალური სულებისთვის დანახვისა და გაგებინების სურვილს. ეს, როგორც წესი, იმაზე გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე ინდივიდის მიერ იყო წარმოდგენილი. მას უბრალოდ ვერ წარმოედგინა, რომ ასე ძნელი იქნებოდა მცდარი შეხედულებებით დამძიმებული ინდივიდუალური სულები მის მოსმენას არ მოინდომებდნენ იმის შესახებ, რომ ეს ძალად დამძიმებული მათი მდგომარეობა შესაძლოა ბედნიერ მდგომარეობად გარდაქმნან და არგუმენტებად კი მომავალში თავისი უტოპიური, არაეთიკური შეხედულებების (ოცნებების) სავარაუდო ახდენასა და განხორციელებას ებლაუჭებიან.

X საფეხური პროცესისა IX საფეხურის კეთილშობილური სურვილების ჭეშმარიტად მეორე ნახევარი და უძლიერესი დამხმარე გახლავთ. იგი თავის არსობრივ რაობაში მოიცავს საკუთარი მამაკაცური სანყისის მიერ აღქმული და გათავისებული დასამკვიდრებელი ცნობიერების სხვა ინდივიდუალური სულებისთვის დანახვისა და გაგებინების სურვილს.

არც კი ვიცი ღირდა კი ჰარმონიზირებული ინდივიდების მიერ მისიის ამ რთულ საფეხურებზე გასვლა. ამ საფეხურებზე მყოფი

ინდივიდი მატერიალურ სამყაროში თითქმის მთლიანად არ შესმენილი რჩება ხოლმე, მაგრამ, სხვა მხრივ თუ შევხედავთ, ექიმი ავადმყოფებს სჭირდებათ, თორემ სულიერ სამყაროში ხომ ყველა ინდივიდი ისედაც შეუმცდარია. და მე ვიტყვოდი, რომ ამ მრავალმილიარდიან ინდივიდუალურ სულებში, ამ მძიმე მოგზაურობის შემდგომ, ერთი ინდივიდუალური სულიც რომ იქნას, ჯერ არ მატერიალიზირებული, პოტენციური მცდარი შეხედულებებისაგან გათავისუფლებული, მაშინ ღირდა ეს მოგზაურობა. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას თვითონ სამყაროს უზენაესი პიროვნების, ან ღვთის ძის, ან სულთნმიდის ან ღვთის ასულის მატერიალური სახით მოვლინება მატერიალურ სამყაროში. მაგრამ მინდა ვაღიარო, რომ ეს ძალიან რთულია თვითონ იმ ინდივიდისთვის, რომლის იგნორირებასაც ახდენენ გზას აცდენილი ინდივიდუალური სულები. სწორედ ეს X საფეხური უნდა ყოფილიყო მისიის პროცესის დამამთავრებელი რგოლი, მაგრამ ზოგიერთი ინდივიდი ამ დანახვებისა და გაგებინების მცდელობების წარუმატებლობის შემთხვევაში ზედმეტი ძალისხმევის ჩადების ხიბლს ვერ უძლებს და მისიის შესრულების პროცესის ე. წ. XI საფეხურზე გადადის, რაც ფსევდომისია უფროა და თავად ამ უკვე ჰარმონიზირებული ინდივიდის მატერიალურ სამყაროში მიმდინარე ანარეკლზე ხელახლა მიწებებას, მატერიალურ ტბორში ჩათრევას იწვევს.

როგორ და რატომ ხდება ეს? – XI საფეხურის არსი შემდგომში მდგომარეობს. როდესაც ინდივიდი ცდილობს, რომელიმე კონკრეტულ ინდივიდუალურ სულს დაანახოს და გააგებინოს მასში არსებული კონკრეტული ცნობიერების მცდარი ნაწილი, ზოგადი ცნობიერების გაზიარების საშუალებით, ეს უკანასკნელი კი სიღრმეში არ მისდევს ინდივიდის ქალურ სანყისს, მას თავადვე უჩნდება მიდრეკილება ინდივიდის სულს ჩაულრმავდეს და მას იმ საკითხების განხილვაში მისდევს, რასაც ამ ინდივიდუალური სულის მცდარი შეხედულებების უკვე მატერიალიზირებული ნაწილი მოიცავს. აი ასე ხდება ჩამოვარდნა, ხელახალი დაცემა სულისა. მას უჩნდება იმის ილუზია, რომ შეძლო დანახვება და გაგებინება იმისა, რაც სურდა, იმას კი უკვე ვეღარ ამჩნევს, რომ თავად დაკარგა მოვლენების ბუნებრივ სვლასთან კონტაქტი.

დაახლოებით ამის მსგავსია, მაგრამ, მე ვიტყვოდი, უფრო მეტად ნეგატიური XII საფეხური. იგი თავის არსობრივ რაობაში მოიცავს დასამკვიდრებელი ცნობიერების სტრატეგიული არაინდივიდუალური ნაწილის გაცემიდან ტაქტიკური, ინდივიდუალური ნა-

ნილის ინფორმაციული გაცემის ტენდენციას, რაც, ვფიქრობ, ყველაზე არასასურველი და საშიში რამაა. ინდივიდი, რომელსაც ინდივიდუალური სულები დასამკვიდრებელი ცნობიერების დანახვაზე და გაგებაზე უარს უცხადებენ, რაც ინდივიდუალურ სულებში არსებული, ჯერ არ მატერიალიზირებული შეხედულებების გადახედვაში და გასწორებაში უნდა დახმარებოდა, მცდარი შეხედულებების მიერ უკვე უცილობლად ყურადღების ცენტრში ექცევა, რამეთუ მატერიალურ სხეულში მყოფ ინდივიდუალურ სულს გამოღვიძებამდე ამაზე მეტად არაფერი არ აინტერესებს და ჯერ ყურადღების მიღებისთვის, შემდგომ მატერიალურად უზრუნველყოფისთვის, შემდგომ ძალაუფლებისთვის და ა. შ. და ა. შ. ავტომატურად, უხეშად იწყებს ეთიკური ნორმების დარღვევას, რითაც, როგორც იტყვიან, ორივე ფეხით ხელახლა ვარდება მატერიალური სამყაროს განმაპირობებელ კარმიულ ტბორში და მოვლენების ბუნებრივ სვლასთან კარგავს კოტაქტს.

რაც შეეხება მისიის შესრულების პროცესის XI საფეხურს ყოველგვარი ფსევდოების გარეშე, მიმაჩნია, რომ აქ უკვე საქმე გვაქვს მატერიალურ სამყაროსთან, საერთო გამოვლინებულობაში არსებული ყოველგვარი არასრულქმნილების თემატიკასთან კონტაქტის განწყვეტასთან. XI საფეხური ნიშნავს თავად სამყაროს უზენაესი პიროვნების უშუალო დაქვემდებარებაში გადასვლას და იერარქიული თანამდებობით დაკავებული იქნება მომავალში დასამკვიდრებელი ცნობიერების შესაბამისი ზოგადი ცნობიერების გადამუშავებისა და ჩამოყალიბების თემატიკით. არ ვიცი როგორ იქნება ეს აღქმული მკითხველის მიერ, მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ ეს გახლავთ ურთულესი საქმე, უდიდესი პასუხისმგებლობა თავად სამყაროს უზენაესი პიროვნებისა და უპიროვნო განგების წინაშეც კი და უდიდესი პატივი იმ შესაძლო პატივთაგან, რაც კი შეიძლება მიგებულ იქნას ინდივიდზე. აქ ფაქტობრივად, დრო როგორც საზომი ერთეული ადამიანური გადასახედიდან წყვეტს თავის არსებობას. ეს არის ის ადგილი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მამა ღმერთის სასუფეველი ადამიანური ცნობიერებისა და ტერმინოლოგიის დონეზე. ერთს რასაც კიდევ დავამატებდი, მაინც ქალური სანყისის აქტიური მოქმედება იგულისხმება, თუმც, ესეც აქ სხვა ფორმითაა, რამეთუ აქ ყველაფერს სხვაგვარი აზრი და დატვირთვა გააჩნია. მეტის თქმას აზრი არა აქვს, ვშიშობ ესეც სრულიად გაუგებარი შეიძლება დარჩეს.

აქვე XII საფეხურის რაობასაც შევხვები გაკვრით, ნახსენები ფსევდოების ჩამოცილებით. ეს საფეხური მიმაჩნია სამყაროს უზენაეს პიროვნებასთან მიახლოების უმაღლეს საფეხურად, რამეთუ ე. წ. მეცამეტე საფეხურზე თავად სამყაროს უზენაესი პიროვნება იმყოფება. ეს გახლავთ ყველაზე დიდი პატივისა და ღირსების მიღების ნიშანი ყველა არსებულ და შესაძლო პატივის მიღებათა შორის. ალბათ ორი აზრი არ არის, რომ აქ არასრულყოფილების არსებობაზე თუნდაც მცირედი ფორმით ლაპარაკი აბსოლუტური უაზრობაა. ამ საფეხურზე მოხვედრილი ინდივიდის მისიაში ანუ ფუნქციაში შედის არსებული შედეგობრივი სრულყოფილების გაზრდაზე, მატებაზე, ევოლუცირებაზე ე. წ. სრულყოფილებისკენ სვლაზე ზრუნვა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხდება მომავალში დასამკვიდრებელი ცნობიერების მოძიების ჩამოყალიბებისა და ფილტრიერების, ფაქტიურად ველური ანუ „ეგო“-ს ტერიტორიების ურთულესი სამუშაოები. მე არ შემეშინდება და ვიტყვი, რომ ეს გახლავთ ყველაზე რთული საქმიანობა ყველა იმ საქმეთა შორის, რითაც შეიძლება ინდივიდი დაკავებულ იქნას და რთულია ამ სამუშაოს ისე შესრულება, რომ არაფრით არ „დაავადდეს“. მე მიმაჩნია, რომ ეს ინდივიდები ყველაზე უბედნიერესნი არიან ყველა სხვა ინდივიდებთან შედარებით და, ვფიქრობ, ღირსეულადაც.

ჩაკრალური სისტემის კონკრეტული განხილვა

ვინაიდან ინფორმაციულად დაწვრილებით გადმოცემისთვის ეს საკითხი უპრეცედენტოდ დიდია და აღსაქმელადაც ძალიან რთულია და ძნელია, მხოლოდ ძირითადი საკვანძო და ზედაპირული განხილვით შემოვიფარგლები.

რაოდენობრივი თვალსაზრისით თუ მივუდგებით, სულ 13 ჩაკრალური ცენტრი არსებობს, საიდანაც I და XIII ცენტრები სრული არაინდივიდუალიზმის (ინდივიდუალიზმის აღარ არსებობის) გამოვლინების საშუალებებს წარმოადგენენ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ხედვის უნარის მაქსიმუმის გადასახედიდან. მატერიალიზირებული ხორცშესხმული არსების, ყოველ შემთხვევაში ადამიანის პიროვნებაზე, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ შვიდი ჩაკრალური ცენტრია აქტივიზირებული (კერძოდ, მეოთხიდან მეთათის ჩათვლით).

ჩაკრის აქტივიზირების ცნება თავის თავში მოიაზრებს ჩაკრალური ცენტრის გარშემო ენერგეტიკული ბირთვის წარმოქმნას და

მისი გამოვლინება-გაუჩინარება მკაცრად კონტროლირდება, როგორც ეს ჩაკრალური სისტემის ახსნისას წინა მასალაში ითქვა და ამაზე აღარ შევჩერდები. ინდივიდის სწორი ან არასწორი ორიენტაცია ძალიან ადვილად დგინდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ იყენებს ამ ენერგეტიკულ ბირთვებს, რომელი ჩაკრის მატებისკენ ან კლებისკენ აქვს მიდრეკილება. აუცილებლად აღსანიშნავია ის, რომ შესაძლებელია როგორც ევოლუცია ანუ ახალი ჩაკრალური ცენტრის გახსნა, ასევე ერთ ადგილას ყოფნა ანუ არც ახლის და არც უკვე გახსნილთა დახურვა, არსებულის მონოტონური მიყოლით, მაგრამ რეალურად ეს შეუძლებელია, რამეთუ ერთ ადგილზე ვერასოდეს ვერ ჩერდება ვერაფერი და, შეიძლება ითქვას, რომ იქ, სადაც არ ხდება ევოლუცია მიმდინარეობს ინვოლუციის პროცესი ანუ უკვე არსებული ჩაკრალური ენერგეტიკული ბირთვების ნელი ჩაქრობა. ეს, როგორც წესი, ინდივიდუალური სულისა და ინდივიდუალური სხეულის შეუთანხმებელი მოქმედებების შედეგად ხდება. ინდივიდუალური სულის მიერ ინდივიდუალური სხეულისთვის არ შესაბამისი ევოლუციის მცდელობას შეიძლება ევოლუციის დაჩქარების სურვილი ვუნოდოთ, რაც განხორციელებული სახით ე. წ. რევოლუციაში არის ხოლმე გამოხატული და შედეგი ყოველთვის ინდივიდუალური სხეულის დაზარალებით მთავრდება ანუ შეიძლება ინდივიდმა საერთო ჯამში ახალი, მაგალითად, XI ჩაკრა გააქტიუროს, სამაგიეროდ, შესაძლოა ამის ფასი უკვე აქტივიზირებული ჩაკრის, მაგალითად II ჩაკრის ჩაქრობა იყოს, რაც გარემოში აშკარა დისონანსს გამოიწვევს – იმ გარემოში, რომელიც ინდივიდის პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების ქვეშ იმყოფება.

ასე მაგალითად, საქართველოში ამჟამინდელი პრეზიდენტის, სააკაშვილის მიერ გლობალურ პროცესებში მონაწილეობაში საქართველოს სწრაფად ჩაბმის სურვილის განხორციელების რეალური ფასი კანონიერების უხეში დარღვევების დამკვიდრება აღმოჩნდა.

მეორე, საპირისპირო შემთხვევაში კი, ინდივიდუალური სხეულის მიერ ინდივიდუალური სულის არ შესაბამისი ევოლუციის მცდელობას შეიძლება ევოლუციის შენელების სურვილი ვუნოდოთ, რაც განხორციელების შემთხვევაში ე. წ. ანარქიაში, არაცივილიზირებულობაში არის ხოლმე გამოხატული. ე. ი. ინდივიდმა შეიძლება III ჩაკრა გააქტიუროს X ჩაკრის ჩაქრობის ფასად, რაც მის ქვემდებარე გარემოში კომფორმიზმის დამკვიდრებას გამოიწვევს.

ერთგვარ კანონზომიერებაში რომ მოვიყვანოთ ეს ორი მიმართულება, ისევ საქართველოს მაგალითზე განვიხილოთ. საქართველოს წინა პრეზიდენტის, შვეარდნაძის მიერ საქართველოში წესრიგის ძალიან სწრაფად დამყარების მცდელობის სურვილის განხორციელების რეალური ფასი ზოგადი ცნობიერების არსის ყოფიერების ნებისმიერ ფასად უზრუნველყოფა გახდა.

ვფიქრობ, არ არის ძნელი ობიექტური კანონზომიერების დანახვა იმ ფაქტში, რომ სააკაშვილმა შევარდნაძე „გააძევა“.

ჩაკრალურ ცენტრებთან დაკავშირებით ერთ-ერთ უმთავრეს თუ არა ყველაზე მთავარ საკითხად მიმაჩნია ჩაკრალური ცენტრების ჭეშმარიტად მცოდნის მიერ ინკარნაციებში შესვლისა და ინკარნაციებიდან გასვლის მომენტში რომელი ჩაკრალური ცენტრიდან მოახდენს თვითრეალიზაციას ან პირიქით. მაგალითად, მატერიალური სხეულის შემთხვევაში რომელი ჩაკრალური ცენტრიდან მოახდენს სხეულის დატოვებას. კონკრეტულად ამ თავის ანუ ე. წ. მომქმედის ჭეშმარიტად სრულყოფილი წარმომადგენელი ფაქტიურად თვითონ ახდენს ამ არჩევანის გაკეთებას. ჩაკრალური ცენტრების სრულყოფილად შეცნობის შემთხვევაში ინდივიდს ყოველგვარი მფრინავი რაკეტებისა და თეფშების გარეშე შეუძლია იმოგზაუროს მთელს კოსმოსში, როგორც სამივე სამყაროს ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთაც კი. მაგრამ მიუხედავად ამ ცოდნის ქონისა მოგზაურობამ ეს უდავოდ დიადი სული შეიძლება სავალალო მდგომარეობაშიც კი ჩააგდოს. ამიტომ არსებობს ერთი, მეტად სათუთი და ვფიქრობ, აუცილებლად გასათვალისწინებელი მითითება და რჩევა ამასთან დაკავშირებით. ის იუნყება, რომ ინდივიდმა სხეულიდან გასვლის (გარდაცვალების, გარდაუვალი ცვალების) მომენტში ინდივიდუალური სულის სახით თავის წვერზე მდებარე ჩაკრიდან მოახდინოს გასვლა. რაც შეეხება იმას, თუ რა სახით შეიძლება გამოვლინდეს ე. წ. სავალალო მდგომარეობა – ცნობისმოყვარე მოგზაური შეიძლება მბრუნავი პლანეტის, კომეტის ან პლანეტის თანამგზავრის სახით გამოვლინდეს საკუთარი სულიერი შესაძლებლობების არ გათვალისწინების გამო. სხვათა შორის, ის მზის სახითაც, ანუ ვარსკვლავების სახითაც შეიძლება გამოვლინდეს და ადამიანური საზომით მილიარდი წლების განმავლობაში საკუთარ იურისდიქციაში ამყოფოს უზარმაზარი მატერიალური ობიექტები. შეიძლება ვინმეს სურს კიდევ და შეგნებულად იზამს ამას. პრინციპში მატერიალურ სამყაროში მზეობა, ვფიქრობ, უმაღლესი პატივია, მაგრამ ჩემი და ჩემნაირების შეხედულებით,

სამყაროთა უზენაესი წარმომადგენლის სიახლოვეში მოხვედრის პატივი გაცილებით უფრო მეტია. ამისთვის კი უმჯობესია თავის წვერზე მდებარე ჩაკრიდან სხეულის დატოვებით საკუთარ „მე“-ში არსებული სულიერი ჭუჭყის რაობა დავინახო და მის სრულად გასუფთავებაზე ვიზრუნო. ხოლო ისინი კი ვისაც სამყაროს უზენაეს პიროვნებასთან სიახლოვეში მოხვედრის პატივი არ ესმის, ცინიკურად ეცინება ამაზე და ამპარტავნობითაა დაბრმავებული და დაყრუებული, მათ არც ჩაკრალური ცენტრებით მოგზაურობის საიდუმლოება არ გაეხსნებათ. ისე რომ, დარწმუნებით მინდა გითხრათ, ვინც ამ ცოდნის გაგება დაიმსახურა, ყველა მათგანი ჭეშმარიტად დიადი სულია. მათ იციან, რომ მხოლოდ სამყაროს უზენაეს პიროვნებასა და მის უახლოეს გარემოცვაში მყოფ პიროვნებებს შესწევთ იმის უნარი, რომ სამყაროს ნებისმიერ წერტილში იმოგზაუროს ისე, რომ იძულებითი, არასასურველი მატერიალიზაცია არ მოუწიოს, რამეთუ მათი ცოდნა ამ სამყაროთა ფარგლებში მთლიანად სრულყოფილია და ამ სამყაროთა და ზესამყაროთა მთელ დიაპაზონში აბსოლუტურად სრულყოფილ ჭეშმარიტ ცოდნას ფლობენ.

აი, ეს არის სულ, რაც ჩაკრალური ცენტრებისა და ზოგადად ჩაკრალური სისტემის გარშემო მინდოდა მეთქვა. ამით ამ სისტემის გარშემო დანყებული განხილვა ამ წიგნში მთავრდება.

რ წ მ ე ნ ა

იმ მდგომარეობას, რომლის დროსაც არავითარი შინაგანი ექვის შეგრძნება არ სუფევს, გარეთ კი – არ მერყეობს; როდესაც აღარ არის იმის ინტერესი – უნებლიედ საკუთარ იურისდიქციაში მოქცეული წარმომადგენლობითი ნაწილი შეაქებს თუ აძაგებს; როდესაც მეგობრებისა და მტრების მიმართ ერთნაირი ობიექტური მიდგომა იქნება; როდესაც აღარ არის განდიდების, დაუფლების სურვილი; როდესაც ხდება გაჯერება საკუთარ პიროვნებაში და ერთადერთი სურვილი რჩება – მაღალი ეთიკური დონის მხრიდან ყურადღება დაიმსახუროს, ამ მდგომარეობას ჭეშმარიტი რწმენა ეწოდება.

რწმენა ძალიან მაღალი ხარისხის ფენომენია და მასზე ზევით მხოლოდ ნდობის ცნება დგას. რწმენის მქონეთა წარმომადგენლებიდან შემიძლია დავასახელო ისეთი დიდი პიროვნება, როგორიცაა ღვთის ძე. რწმენის განსაკუთრებული თავისებურება იმაში მდგო-

მარეობს, რომ ის თითქოს გამიჯნულია სამყაროს ზევით მდებარე მაკოორდინირებელი სამყაროს უზენაესი პიროვნებების მიერ წარმოქმნილი მცირე გადახრისაგან. სინამდვილეში რწმენის მქონე არ ლებულობს არაფერს ახალს, ვიდრე ეს სამყაროს უზენაესი პიროვნებების ცნობიერებათა შემაჯერებლის, ღმერთების უზენაესი პიროვნებისაგან არ მიიღებს ამას. ეს არც თუ ადვილი გასაგებია. ამიტომ არის ძნელი ჭეშმარიტი რწმენის შექმნა. რწმენის უმთავრესი დამახასიათებელი თვისებაა კონსტანტურობა, ან, უხეშად რომ ვთქვათ, სტაბილურობა. თუ გადახრის არ არსებობის პირობებში მთელი ფარდობითობის სისტემა ღმერთების უზენაესი პიროვნებიდან გამომდინარეობს და მის პირად დამახასიათებელ თვისებაზე, ნდობაზე ბაზირდება, გადახრის გამოვლინების შემდგომ მთელი ფარდობითობის სისტემის საყრდენი ნერტილი ჭეშმარიტი რწმენა ხდება, რამეთუ ნდობის არაეთიკურად გამოყენების ტენდენციები მთელს სამივე სამყაროში, და თვით ზედა სამყაროშიც კი, იკიდებს ფეხს. არანაირი გადახრის არ არსებობის პერიოდი ერთი სრული ციკლის 40%-ს მოიცავს და ამ პერიოდში მოდუსების ზეგავლენის ქვეშ მყოფი ინდივიდები გამოუვლენელ მდგომარეობაში გადადიან. დანარჩენი 60% კი მოდუსების გამოვლინებულობის პერიოდებზეა გადანაწილებული. 30% სათნოების მოდუსზე ე. ნ. ტრეტა იუგაზე, 20% ვნების მოდუსზე ე. ნ. დვაპარა იუგაზე, ხოლო 10% უმეცრების მოდუსზე ე. ნ. კალი იუგაზე. ეს ნიგნი კალი იუგას პერიოდში იწერება, ამიტომაც იმის ალბათობა, რომ მისი წაკითხვა და აღქმა მოუხდებათ, იმ გარემოს წარმომადგენლებს, სადაც ის შეიქმნა, მიზერულად მცირეა და, ფაქტიურად, თითქმის ნულს უდრის.

რწმენა ოთხ ძირითად განმსაზღვრელზე ბაზირდება ანუ ოთხი ძირითადი შემადგენელი ნაწილისაგან არის შედგენილი: 1) მატერიალური ცოდნა; 2) მატერიალური კეთილდღეობა; 3) სულიერი კეთილდღეობა; 4) სულიერი ცოდნა.

1) მატერიალურ ცოდნასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ის, ვინც სამყაროში წარმოქმნილი მცირე გადახრის მატერიალურ ცოდნად ჩამოყალიბებას მოინდომებს, მატერიალური საკვების მიღების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჭეშმარიტი რწმენის მიმდევარი მთლიანად არის ჩამოცილებული მცირე გადახრის დიაპაზონს ისე, რომ იგი სრულიად კმაყოფილდება იმ მატერიალური ცოდნით, რომელიც გადახრამდე არსებობდა. მატერიალური სახით მოვლინების პირობებშიც კი, მას

მატერიალური საკვები არ ესაჭიროება იმდენად, რამდენადაც რწმენის იმ სახით შენარჩუნებას შეძლებს თავისში, როგორც ის არის კლასიკური სახით წარმოდგენილი. ის არ მიეკარება მატერიალური ცოდნის ათვისების თემატიკას იქამდე, ვიდრე ამაზე კონცენტრირების უფლების დასტურს არ მიიღებს. მატერიალურ საკვებთან დაკავშირებით კი, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური გაგებით ის აბსოლუტურად მარხულობს. მთელი გამა რწმენისა მატერიალურ ცოდნასთან დაკავშირებით ორი ცნებით არის გამოხატული: ზედა მიმართულებაში – ღვთის შიშით, ხოლო ქვედა მიმართულებაში – შემეცნებით (მეცნიერებით საკუთარი „მე“-ობის აღქმის შესახებ).

2) მატერიალურ კეთილდღეობასთან მიმართებაში ჭეშმარიტი რწმენის მიმდევარი აბსოლუტურად გულგრილია (ინდიფერენტულია). მისთვის მატერიალური კეთილდღეობის მიღება ჭეშმარიტების თუნდაც იოტისოდენა დარღვევის ფასადაც კი, სრულიად მიუღებელია. სამყაროში მცირედი გადახრის ბაზაზე წარმოქმნილი მატერიალური რეალობის პირობებში კი, შეიძლება ითქვას, რომ სხვანაირად მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა თითქმის შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ მცირედი გადახრის პერიოდი რომელ ფაზაში იმყოფება. ჭეშმარიტი რწმენის წარმომადგენელი არ არის მისწრაფებული მატერიალიზაციისაკენ. ისე რომ, არც მატერიალური კეთილდღეობისთვის უწევს ზრუნვა. მისი მატერიალიზირება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება, რაც მისიის აღსრულებასთან არის ხოლმე დაკავშირებული. მატერიალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებით რწმენა ორი ცნებით არის გამოხატული: ზედა მიმართულებაში – ღვთის მსახურებით, ხოლო ქვედა მიმართულებაში – გულის-ხმის-ყოფით (გულის კარნახით ხელმძღვანელობით).

3) სულიერ კეთილდღეობასთან დაკავშირებით ჭეშმარიტი რწმენის მიმდევარი ძალიან აქტიურია. ის უზარმაზარ მზრუნველობას იჩენს ამ დიაპაზონში და ისე უდგება, როგორც მოსიყვარულე მამა თავის შვილებს. ეს ის დიაპაზონია, სადაც ზემოდან წამოსული მცირე გადახრის შესაბამისი (დასაშვები) დარღვევები არ არის გარღვეული. მისთვის ძალიან ძვირფასია სულიერი კეთილდღეობა, როგორც საკუთარი ინდივიდუალიზმიდან არ ჩადენილი ცდომილების გამომხატველი ნაწილი. სულიერ კეთილდღეობასთან დაკავშირებით რწმენა ორი ცნებითაა გამოხატული: ზედა მიმარ-

თულებით – ძლიერება (როგორც ზემოთ წარმოშობილ მცირე გადახრაში არ შესვლის უნარი), ხოლო ქვემოთ – სიბრძნე (როგორც ქვემოთ მცირე გადახრის საფუძველზე წარმოშობილი ობიექტური რეალობის ზოგადი ცნობიერებით ახსნის უნარი).

4) სულიერ ცოდნასთან დაკავშირებით, ჭეშმარიტი რწმენის წარმომადგენელი ზედმინვენით წინდახედულია. ის ამ ცოდნის შექმნას მხოლოდ ღმერთების უზენაესი პიროვნებისგან, მამა ღმერთისგან ახდენს, ანუ სხვა ნებისმიერი უზენაესი პიროვნებისგან სულიერი ცოდნის აღების უფლებას არ აძლევს საკუთარ თავს. ამ თვითკონტროლის შედეგია ის, რომ მას სურვილები, როგორც ასეთი, არ გააჩნია და იგი ნეტარების მდგომარეობაში იმყოფება მუდმივად. რაც შეეხება მამა ღმერთისგან მისთვის მიწოდებულ ცოდნას, რწმენის წარმომადგენელი გულდასმით ახდენს მის შეთვისებასა და ათვისებას იქამდე, ვიდრე ზოგად ცნობიერებად არ ჩამოაყალიბებს მას. სულიერ ცოდნასთან ასეთი სახის მუშაობა, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რწმენის სტიქიაა, ეს მის უსაყვარლეს საქმიანობას წარმოადგენს. სულიერ ცოდნასთან დაკავშირებით რწმენა ორი ცნებით არის გამოხატული: ზედა მიმართულებით – განზრახვით (ანუ სულიერი ცოდნის ავტორის გარჩევით და სხვა ავტორთა არც განკითხვა და არც მიღებით), ხოლო ქვედა მიმართულებით – გულახდილობით (საკუთარ პიროვნებაში ტყუილის არ დაშვებით).

ჭეშმარიტ რწმენასთან დაკავშირებით დამატებით შეიძლება ითქვას, რომ, უხეში ფორმატით თუ ავიღებთ, იგი გონებისა და გრძნობის პარამეტრების შუაში იმყოფება და მათი ერთმანეთთან გაუცხოვების პერიოდში, საკუთარი არსის გამოვლინებით აკავშირებს, ხოლო როდესაც გაუცხოება, როგორც ასეთი, არ არსებობს ჭეშმარიტი რწმენა უდავოა თავისთავად არსებობს, მაგრამ ერთგვარ გამოუვლენელ მდგომარეობაში გადადის. უფრო განზოგადებულ განმარტებას თუ გამოვიყენებთ, ჭეშმარიტი რწმენა გახლავთ ჭკუა, რომელიც აბსოლუტურად განზე დგას ემოციებისაგან და ამბიციებისაგან. ეს არის კრისტალურად სუფთა ჭკუა.

როდესაც ჭეშმარიტი რწმენის წარმომადგენლობითი ნაწილისთვის ანუ I სამყაროსთვის მამა ღმერთის მიერ მთლიანად იქნება გაცემული გადახრის შესაბამისი სულიერი ცოდნა, II და III სამყაროები გამოუვლენელ მდგომარეობაში გადავლენ, თითქოს მუდმივ ძილს მიეცემიან და დარჩება III სამყაროს ქვემოთ მდებარე ქვესამყარო ჯოჯოხეთად წოდებული, იქამდე ვიდრე I სამყაროში მისთვის

გადასამუშავებლად მიწოდებული სულიერი ცოდნა სრულად არ ჩამოყალიბდება ზოგადი ცნობიერების სახით. ამის შედეგად ქვესამყაროც შეწყვეტს თავის საზარელ არსებობას და ისიც გამოუვლენელ მდგომარეობაში გადავა. შემდგომ კი, ხელახლა დაიწყება ახალი ციკლი ზემოდან ახალი გადახრის გამოვლინებით. ასე იყო, ასე არის და მარადღუამს ასე იქნება. შედეგად კი, ჭეშმარიტების ცოდნის რაოდენობა და ხარისხი იზრდება. ვფიქრობ, ძნელია არ დათანხმება იმ აზრთან (ვისაც ეს სჯერა იმათთვის, რა თქმა უნდა), რომ ჭეშმარიტება უზენაეს ცნებას წარმოადგენს, ხოლო ჭეშმარიტების პირადი წარმომადგენელი უზენაეს პიროვნებას.

ექსცენტრიზმი

ამ ცნებასთან დაკავშირებით ერთგვარი განმარტება მინდა გავაკეთო იმაზე, თუ რას ვგულისხმობ მისი წარმოთქმისას. აბსოლუტურად ყველა და ყველაფერი (ამ გზის მიმდევარი) ხომ რალაცაზე აკეთებს ცენტრირებას (დაფუძვნებას, დაყრდნობას). ექსცენტრიზმში კი მე მოვიაზრებ რაიმე უკვე ყოფილზე, წარსულში გამოვლინებულის საფუძველზე შემდგომი საქმიანობის აგებას. წინსართ „ექს“-ში ვგულისხმობ ყოფილს, უკვე არსებულს, მაგრამ აწმყოში აღარ მომქმედს, უფრო სწორად კი, აღარ წამყვანს, აღარ გადამწყვეტს. როგორც წესი ის აღარ მოიცავს ხოლმე ინტერესების სფეროს და აღარავის სურს ხოლმე მისთვის ანგარიშის განევა ისე, როგორც მას უნევდნენ ანგარიშს, ხოლო ხანდახან მატერიალური სამყაროსა და ე. წ. ქვესამყაროს პირობებში ეს წარსულის მნიშვნელოვანი, თავის დროზე გავლენიანი საკითხები, ან თითქმის დავიწყებას ეძლევა, ანდა საერთოდ იგნორირებული ხდება.

ჭეშმარიტი რწმენა სწორედ წარსულის ჭეშმარიტი სახით შემეცნებაზეა კონცენტრირებული. მატერიალურ ცონდაზეც და სულიერ ცოდნაზეც ეს მთლიანად ვრცელდება. სწორედ ამითაა ჭეშმარიტი რწმენის სიძლიერე და გავლენა ასეთი სახით გამოვლინებული, როგორადაც ის აღწერილია წინა ქვეთავში. ამ რწმენის წარმომადგენელი წარსულში მიღებული ჭეშმარიტი და სანდო დასკვნების იგნორირების ფასად არასოდეს არ ლებულობს მომავლიდან მოტანილ ცოდნას. ეს ცოდნა მისი აღქმით სპეკულაციურია და არაჭეშმარიტებას, სიმცდარეს წარმოადგენს. ორსართულიანი სახლისათვის, მესამე სართულის მისაშენებლად პირველი სართულის

დანგრევა და მისი სამშენებლო მასალად გამოყენება, ვერც სახლს მოუმატებს სართულს და ყოფილ ორივე სართულს კი დაანგრევს და სახლი დაეცემა. თუ რალაც მიზნის დასახვისა და მისი ხორცშესხმისას წარსულს არ გაითვალისწინებს და ჯეროვან პატივს არ მიაგებს ვინმე, ამ მიზნის ხორცშესხმა სავალალო შედეგებს მოუტანს თავად მასაც და ყველასა და ყველაფერს, რასაც იგი ამ მიზნის შესრულების პროცესში შეეხება.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ ვილაპარაკო, საძირკვლის, ყოველივეს ფუნდამენტის, ფუნდამენტურად მიდგომის სინმიდეს ეყრდნობა ჭეშმარიტი რწმენა და თითქოს ისეთი ასოციაცია იქმნება, რომ მომავლის დამკვიდრებას ხელს უშლიდეს, რეალურად სწორედ მისი საშუალებით ხდება საჭირო და სასურველი მომავლის დამკვიდრება მთლიანად სამივე სამყაროში. წარსულის ობიექტურად განხილვის ცნობიერი აღქმა და ამ აღქმის ზედმიწევნით, ერთგულად დაცვაა ჭეშმარიტი საყრდენი. სწორედ წარსულის ობიექტურად ხედვის უნარი იძლევა საშუალებას მომავლიდან შემოსული და შემოთავაზებული ამა თუ იმ ცნობიერების ავ-კარგიანობას ჩასწვდე და ობიექტურად შეძლო მისი შეფასება. ჩემი შეხედულებით, სამი უდიდესი ცნობიერი აღქმა არსებობს:

1. მთლიანად წარსულის მეხსიერებით ცოდნისა და ობიექტური შეფასების უნარი. მეხსიერება იმდენად გაიზრდება, რამხელაზეც ხედვა ობიექტურობას არ დაარღვევს.

2. მთლიანად მომავლის მეხსიერებით ცოდნისა და ობიექტური შეფასების უნარი. მეხსიერება აქაც იმდენად გაიზრდება, რამხელაზეც ხედვა ობიექტურობას არ დაარღვევს.

რაოდენობრივად კი წარსულისა და მომავლის დიაპაზონები აბსოლუტურად ტოლები იქნებიან, რამეთუ ისინი უშუალოდ არიან ერთმანეთთან კავშირში.

3. ანმყოში, მთელი წარსულისა და მთელი მომავლის სრული გათვალისწინებით, იმ ცოდნის რაოდენობისა და ხარისხის განსაზღვრა, რომელიც საჭიროა და აუცილებელი ამ კონკრეტული მიმდინარე მომენტისათვის.

III თავი

ადამიანური ცნობიერება

საკუთარი პიროვნების ეთიკური დონის ტოლ ეთიკურ დონესთან მიმართებაში საჭირო უფლება-მოვალეობის რაობა

ადამიანური ცნობიერების ცნებაში მოიაზრება ინდივიდუალური ცნობიერების ის ნაწილი, რომელიც ღვთიური ცნობიერებისგან ანუ ქმედების ადგილის აღქმისგან დამოუკიდებელია ან, ასეც შეიძლება ითქვას – ჯერ ვერ არის დამოკიდებული მასზედ. ეს ცნობიერების ის ნაწილია, რომელიც კოსმიური გამოვლინებულობის ინდივიდზე მორგებულ გარემოსთან, ქმედების ადგილთან ცხოველი ინტერესით აკავშირებს ინდივიდუალურ სულს და ათასგვარი ტიპის შეგრძნებას აღძრავს მასში. რა თქმა უნდა, სასურველია ამ ნაწილის გადაყვანა ღვთიური ცნობიერების განყოფილებაში, მაგრამ ამის გაკეთება ძალადობით, სპონტანურად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. აქ აუცილებელია მინიმუმ ერთსაფეხურიანი გადასვლა, სადაც ქალური საწყისი ცხოველურ ნებას სარწმუნო ნებაში გადაიყვანს, ხოლო მამაკაცური საწყისი კი გარემოს შეცნობას – შემეცნებაში, საკუთარი პიროვნების შეცნობაში გადაიყვანს.

ახლა კი, მოდით ვეცადოთ მეთოდურად მივყვეთ ამ საკითხს, მისი ნელ-ნელა თანამიმდევრული გახსნისათვის.

მომქმედის მოძრაობის ტრანექტორიული შემადგენლობის დაშლის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ მომქმედი, საერთო ჯამში, წრიულ ტრანექტორიაზე კი მოძრაობს, მაგრამ მისი მოძრაობა ყოველთვის მიდრეკილია წრფივი ვექტორული მიმართულებით ანუ წრეწირის (ბირთვის) ნებისმიერ წერტილზე გამავალი მხების მიმართულებით და, ვინაიდან, იგი წარსულისგან ანუ ბირთვის შიდა მიჯაჭვულობისაგან თავისუფალია და ძირითადად უფრო მომავლისკენ ანუ ბირთვის შიდა „ამინდის“ გაჯანსაღებისკენ არის მისწრაფებული, მისი მოძრაობა ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს ის ჩაკეტილ წრეზე მოძრაობს. ასე რომ, მისთვის წარსული, აწმყო და მომავალი ანუ დროითი გრადაციები, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს. სამაგიეროდ, ყოველივე, რაც მასთან ფარდობით კონტაქტში შევა დროის გრადაციების პარამეტრალურ ცნებას შემოიტანს. და კიდევ ერთი ცნება შემოვა, რაც მომქმედს არანაირად არ ეხება, ეს გახლავთ მასა (წონა), რომელიც იმ მოცულობის შესაბამისი იქნება, რამხელა არსობრივი სიღრმისეული მოცულობითი აღქმაც იქნება მცირე მომქმედთან შედარებით – ანუ

რამხელათიც განსხვავდება ორი პიროვნების ღვთიური ცნობიერება და ეს დელტა ცნობიერება ე. წ. ადამიანური ცნობიერებითაა ჩანაცვლებული. ამ, ზემოთ ჩამოთვლილ ორ პარამეტრს კი თავისთავად შემოაქვს ისეთი ცნება, როგორიცაა აჩქარება, რომელიც ცოცხალ არსებებში, ინდივიდუალურ სულებში სხვადასხვა გრძნობების (ემოციების) სახით გამოვლინდება. იდეალურ შემთხვევაში, ინდივიდუალურმა სულმა იგივე უნდა მოიმოქმედოს გრძნობების (რეალურად ემოციების) დიაპაზონში, რასაც აკეთებს მომქმედი ანუ არ მიეჯაჭვოს წარსულს, საკუთარი წარმოსახვის ნაყოფებს და საკუთარი სულის ე. წ. ანარეკლს და საკუთარი არასრულყოფილების გაჯანსაღებისკენ უნდა იყოს მიდრეკილი. ანუ გრძნობების (ემოციების) თავისი მასიური, წონისმიერი ნაწილის მორგებაზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იზრუნოს, არამედ უნდა დაიმორჩილოს საკუთარი გრძნობები (ემოციები) და მისთვის განსაზღვრული ობიექტური რეალობა სრულყოფილად უნდა მიიღოს.

ინდივიდუალური სული არ უნდა გაბრაზდეს საკუთარ მიჯაჭვულობებზე და რაც მთავარია, არ უნდა ეცადოს თავისი დამოუკიდებელი სამყარო შექმნას უკვე არსებულისაგან, უპიროვნო განგების მიერ დამკვიდრებული სამყაროსაგან დამოუკიდებლად, რამეთუ მისი პარამეტრები ამ მოთხოვნებს, უბრალოდ, არ აკმაყოფილებენ. ის, უბრალოდ, უნდა ეცადოს ის გრძნობები, რომლებიც სურს რომ დაიკმაყოფილოს, სხვა, თავისი ეთიკური დონის ტოლი ეთიკური დონის მქონე ინდივიდუალურ სულებთან ურთიერთობებით დაიკმაყოფილოს, რითაც უცილობლად უკანვე დაუბრუნდება ეს და ტრანსულ მდგომარეობაში გაჯერებული ჰარმონიულ-ტრანსცენდენტულ მდგომარეობას დაიმკვიდრებს. ამ გრძნობათა ტრანსფორმირების პროცესში კი, უფრო მაღალ ორბიტებზე მყოფი ინდივიდუალური სული მას თავისკენ ზემოთ ასვლაში დაეხმარება.

შეიძლება ითქვას, რომ აქ მოქმედებს ნიუტონის მეორე კანონი: ინდივიდუალური სული საითაც მიმართვს თავის გრძნობებს (ემოციებს), იქითკენ იქნება მიმართული მისი აჩქარება. ეს მოძრაობა იქნება თანაბარაჩქარებული. იმისდა შესაბამისად, რამხელაზეც დაკავდება საკუთარი პიროვნებიდან ნებაყოფილობით გამოვლინებული მსხვერპლშენივით ანუ თავისზე უპირატესის დაკმაყოფილებით მოცულობის იმ ნაწილში, რომელშიც მას ქმედების ადგილის შესახებ სიღრმისეული ცოდნა უბრალოდ არ გააჩნია, იმხელაზე მიიღებს ცონდას (იმხელაზე განათლდება). თავისუფლად შეიძ-

ლება ითქვას, რომ ეს ინდივიდუალური სულის მოვალეობაა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და ეს თვითონ ყველაზე მეტად სჭირდება. ეს არის ცოცხალი არსების გონებისმიერი ნაწილის პირდაპირი ფუნქცია და დანიშნულება. რამდენადაც ცოცხალი არსება ამ ფუნქციის შესრულებით არ დაკავდება, იმდენად მოინდომებს საკუთარი უპირატესობის დაკმაყოფილებას ეთიკურად თავისზე დაბლა მყოფი ცოცხალი არსებების მსხვერპლად განირვით. ამით ის დაკარგავს ცოდნას მოცულობის ინ ნაწილში, რომელშიც მას ქმედების ადგილის შესახებ სიღრმისეული ცოდნა გააჩნდა. თავისთავად იკითხება, რომ ამის უფლება ინდივიდუალურ სულს არა აქვს.

$$a = \frac{v - v_0}{t} = \frac{\Delta v}{t}, \quad m = (V - V_0) \times \rho = \Delta V \rho, \quad \vec{F} = m \vec{a}$$

მასა, მატერია, წონა შემცირდება იმდენად, რამდენადაც გაიზრდება V_0 , ანუ ინდივიდუალური სულის მოცულობითი სიღრმისეული ცოდნა ქმედების ადგილის შესახებ. ცოდნის შემცირების შემთხვევაში მასა, წონა გაიზრდება. მასის ფორმულის შემთხვევაში V არის ღვთიური ცნობიერება, V_0 – ადამიანური ცნობიერება, ხოლო ρ – კუთრი წონა ანუ ცხოველური ნებაა, რომელიც განაპირობებს ანარეკლზე მიჯაჭვულობას.

აჩქარების ფორმულის შემთხვევაში კი v არის ღვთიური ცნობიერების მიერ გამომუშავებული სიჩქარე ე. წ. იდეალურ სპირალზე, v_0 არის ადამიანური ცნობიერების მოძრაობის სიჩქარე იდეალურ სპირალზე, ხოლო t არის დროის რომელიმე გრადაციული პარამეტრი.

რეალურად, უფრო გასაგებ ენაზე რომ ითქვას, ადამიანური ცნობიერების მთავარი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა იქნას ცალსახად მიღებული საკუთარი პიროვნების უანგაროდ დახარჯვა, თვითგაცემა, ანუ უნდა ცდილობდეს გასცეს და არ ცდილობდეს აილოს, რაც სხვადასხვა გრძნობების (ემოციების) ცნობიერ აღქმამდე, ღვთიურ ცნობიერებამდე მიიყვანს მას.

საქმიანობის მესამე მიზეზთან, სხვადასხვა გრძნობებთან, მიმართებაში ინდივიდუალური სულის ორი შემადგენელი საწყისები შემდეგი სახის ამოცანების წინაშე დგებიან:

1) ქალური საწყისის მიზანი სხვადასხვა გრძნობებთან მიმართებაში თავისივე თანამეგზურის, თავისივე ორგანული ნაწი-

ლის მამაკაცური სანყისის დაკმაყოფილება, მისთვის კმაყოფილების მინიჭება უნდა გახდეს.

2) მამაკაცური სანყისის მიზანი სხვადასხვა გრძნობებთან მიმართებაში თავისივე თანამგზავრისთვის, თავისივე ორგანული ნაწილისთვის ქალური სანყისისთვის სიამოვნების მინიჭება უნდა გახდეს.

ამის დარღვევის შემთხვევაში ინდივიდუალურ სულში განსაკუთრებულობის (მნიშვნელოვნების) შეგრძნება იბუდებს, რომელიც უპირატესად აღიარებულობის, პირველობის სურვილს აჩენს მასში და ეს სრულყოფილების კომპლექსით დაავადებული ცოცხალი არსება ამ ჩიხიდან ველარ აღწევს თავს. **ან პირიქით**, ინდივიდუალურ სულში საკუთარი უსახურობის, სხვებზე უარესობის შეგრძნება იბუდებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სიტუაციის წამყვანობის, პირველობის შიშს აჩენს მასში და ეს არასრულყოფილების კომპლექსით დაავადებული ცოცხალი არსება მასზე ბატონობის მსურველის მსახური და მონა ხდება, ვიდრე ღვთიური ცნობიერების მქონე „ბატონი“ არ გამოუჩნდება, არ დამოძღვრავს მას და ქვეშევრდომობის სურვილისაგან არ გაათავისუფლებს.

ფიქრობ, აშკარად თვალში მოსახვედრია ის, რომ მამაკაცური და ქალური სანყისების მიზნებს თუ ჩავუკვირდებით, აშკარად დავინახავთ მთელს სამყაროში დამკვიდრებული და აღიარებული ოჯახის ცნებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ინდივიდუალურ სულში ავტონომიურად ჩამოყალიბების მაკეტია სხვა ინდივიდუალურ სულთან კონტაქტის გარეშე, სადაც ეს ინდივიდუალური სული საკუთარ არსში რეალურად აღიქვამს თავის შემადგენელ ორ სანყისს, რაც, ფიქრობ, არანორმალურად ძნელია და ისიც დიდხანს ვერ გაგრძელდება ალბათ, მაგრამ ურთიერთდაბალანსირება სანყისებში, ფიქრობ, სერიოზული წარმატებისა და წინსვლის უალტერნატივო გარანტი გახდება.

როგორ უნდა მოხერხდეს საქმიანობის მიზეზების დამაკმაყოფილებლად, ან უკეთეს შემთხვევაში, საუკეთესოდ შესრულება საქმიანობის მესამე მიზეზთან, სხვადასხვა გრძნობებთან მიმართებაში:

ა) ქმედების ადგილი შინაგანი მდგომარეობის სიღრმისეულ და ზედაპირულ ხარისხსა და რაოდენობას გამოხატავს. ძირითადად ეს გამოიხატება კარმის, სულიერი ჭუჭყის შესაბამისობის-და მიხედვით;

ბ) მომქმედი უნდა ცდილობდეს სულიერი ჭუჭყის მოცილების მიდრეკილებით დამუხტოს გრძნობები და სულიერი ჭუჭყის მყისეული მდგომარეობის შესაბამისი ურთიერთობა გრძნობებთან ობიექტურობის ზედმინევენითი დაცვით წარმართოს.

გ) მცდელობები უნდა ცდილობდნენ შინაგანი სულიერი მდგომარეობა გაითვალისწინონ და ნეგატიური ზეგავლენა არ მოახდინონ გრძნობებზე ანუ არ უნდა ეცადონ ძალით ან პროვოცირებით ჩაითრიონ თავისი (სხეულის) ინტერესების რეალიზაციისათვის.

დ) ზესული გრძნობებს შიგნიდან (გულიდან) უკავშირდება და არასოდეს არაფერს არ ახვევს თავს, თუმცა მისკენ მიმართვის შემთხვევაში გრძნობების ცნობისნადილს ყოველთვის სრულყოფილად და ამომწურავად აკმაყოფილებს. თუ გრძნობებს მასთან დაკავშირების სურვილი არ გააჩნია, ზესული მკაცრი ნეიტრალიტეტის დაცვით განზე დგას და მხოლოდ აფიქსირებს გრძნობების მდგომარეობის რეალურ რაობას.

აგრეთვე, აღსანიშნავია ის, თუ როგორ უნდა მოხერხდეს საქმიანობის მიზეზთა მიმართ დამაკმაყოფილებლად და საუკეთესოდ ურთიერთობა გრძნობების მიერ:

ა) გრძნობები (ემოციები) ქმედების ადგილთან მიმართებაში უნდა ცდილობდნენ მომქმედის მიერ განხორციელებული სულიერი ობიექტური რეალობის ზედმინევენით მიღებას და აბსოლუტურად არაფრის არ განსაზღვრა-გათვალისწინება-დაგვემარებას წინასწარ, პარალელურად მომქმედისა. ქმედების ადგილთან მიმართებაში, ისინი მომქმედის მიერ უნდა იქნან დასაქმებულნი ისე, როგორც ეს უკანასკნელი გადანყვეტს და განსაზღვრავს.

ბ) გრძნობები (ემოციები) მომქმედთან მიმართებაში უნდა ცდილობდნენ მომქმედის დონის შესაბამისი სულიერი სისუფთავის დონის მიღწევას, ისინი სრული მიჯაჭვულობის გზით უნდა შეეცადონ გვერდიდან მასურებლისა და მსმენელის პოზიცია დაიკავონ, მორჩილი თაყვანისცემით მიიღონ და უზრალოდ მიჰყვნენ მომქმედს, ყოველგვარი პირადი მოსაზრების გარეშე. პირნათლად, ზედმინევენით, სრულყოფილად შეასრულონ მომქმედის მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობა.

გ) გრძნობები (ემოციები) მცდელობებთან მიმართებაში უნდა ცდილობდნენ სიტუაციების მიერ შექმნილ რეალობებს ილუზიურ (მატერიალურ) სამყაროში, ანარეკლში არანაირი ფორმით არ მიეჯაჭვონ და ისინი საკუთარი სულიერი ჭუჭყის ამოსაცნობად, შესაცნობად გამოიყენონ. გვერდიდან მასურებლისა და მსმენელის

პოზიცია უნდა დაიკავონ და ჩაურევლობის პრეზუნცია უნდა მიიღონ. ისინი ყოველგვარი პირადი მოსაზრების გარეშე, უბრალოდ, მომქმედი მოდუსების ნებას უნდა დაჰყვნენ და პირნათლად, ზედმინვენით, სრულყოფილად შეასრულონ მოდუსების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობა (კარმა იოგათი დაკავდნენ).

დ) გრძნობები (ემოციები) ზესულთან მიმართებაში უნდა ცდილობდნენ ზესული, როგორც ინდივიდუალური სული (გული) მათთვის თვითგამოვლინების საშუალება გახდეს, ხოლო მომქმედის მიერ ნამომქმედარის შედეგად მიღებული სულიერი რეალობა ზესულის არაინდივიდუალურად გამოვლინების საშუალებად მიიღონ ანუ ასიამოვნონ ზესული, რის შედეგადაც მომქმედი, როგორც მამაკაცური სანყისი, მათ, როგორც ქალურ სანყისს, ზედმინვენით ასიამოვნებს, სიამოვნებას მიანიჭებს.

აქ ჩამოთვლილი პირობების დასაკმაყოფილებლად დაუშვებელია ერთდროულად ორი მიმართულებით მისწრაფება, როგორც ზემოთ მომქმედისკენ, ისე ქვემოთ ზესულისკენ, რომელიც აქ მოდუსების მიერ მათში ჩასახული მცდელობების სურვილშია გამოხატული. გრძნობებმა, ჯერ ერთი, ქვედა მიმართულება სრულყოფილად უნდა ამოწონონ ისე, რომ, ამ მხრივ, მთლიანად გაჯერებული უნდა იქნან შინაგანად, სიღრმისეულად და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნან მიმართულნი ზევით, რისი დაცვის შემთხვევაშიც განგება არათუ პრობლემებს არ დაუშვებს მათი მოძრაობის გზაზე, არამედ, სრულიად უზრუნველყოფს ამ გზაზე ყველანაირი სიამოვნებითა და კმაყოფილებით.

მომქმედთან მიმართებაში გრძნობებმა უნდა დაიკავოს მიმყოლის, მონაფის, ე. წ. ქალური სანყისის პოზიცია.

მცდელობებთან მიმართებაში გრძნობებმა უნდა დაიკავოს წამყვანის, მასწავლებლის, ე. წ. მამაკაცური სანყისის პოზიცია.

ამიტომ, სასურველია, გრძნობებმა ჯერ „მოიკლას“ მასწავლებლობის, წამყვანობის „ჭია“ და, შემდგომ ამისა, მთლიანად და სრულად მომქმედზე მინდობით, საკუთარი თავი მონაფედ მიაბაროს.

ქვედა მიმართულების განმსაზღვრელი უნდა იყოს გრძნობების მიერ ჯერ არ ათვისებულ და ვერ გაცნობიერებულ ნაწილში უკვე ჩადენილი ქმედებების შედეგად მიღებულის შეცდომად აღიარება, ზომიერი თანამიმდევრულობისა და არაძალადობის პრინციპებზე დაყრდნობით (ე. ი. ქვედა მიმართულებაში რა უნდა იყოს

პრიორიტეტული და როგორ უნდა მოხდეს ამ პრიორიტეტის ათვისება). მთელი ეს პროცესი კი მცდელობებთან მიმართებაში უნდა იქნას მოხდენილი და გამოვლინებული. ქმედება განმსჭვალული უნდა იქნას კმაყოფილების არ მიღების (არ მითვისების, არ წართმევის), თვითკმარობის, ყოფითკმარობის სულისკვეთებითა და არსებული ცდომილებების შესაბამისი მოვალეობის, შეცდომების გამოსყიდვის, მოდუსების მიერ დაკისრებული ვალდებულებების სრულყოფილი სიამოვნების გაცემის მუხტით. ამ პროცესის აბსოლუტურად სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, გრძნობები ტრანსულ, ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და მასში არანაირი სახის ვაკუუმი აღარ დარჩება რალაცა ტიპის ჩვევების, წესრიგის ელემენტების სახით.

ზედა მიმართულების განმსაზღვრელი უნდა იყოს ობიექტური რეალობის მიმდინარე ეპოქალურ მომენტში ასათვისებელი და გასაცნობიერებელი ჭეშმარიტი ცოდნა. ეს პროცესი უნდა ეყრდნობოდეს სრულ გულწრფელობასა და შინაგანი სიღრმისეული ცოდნის მიღებას (ე. ი. ზედა მიმართულებასთან მიმართებაში რა უნდა იყოს პრიორიტეტული და როგორ უნდა მოხდეს ამ პრიორიტეტის ათვისება). მთელი ეს მოქმედება კი, გრძნობების მიერ მომქმედთან მიმართებაში უნდა იქნას მოხდენილი. ქმედება განმსჭვალული უნდა იყოს კმაყოფილების მინიჭების სულისკვეთებით და ამ კმაყოფილების ჯეროვნად, საჭიროდ, სრულად გაცემის შედეგად, გრძნობები ამის შესაბამისად ტოლ კმაყოფილებას მიიღებენ, სრულად ჯეროვნად დაკმაყოფილდებიან. ამ პროცესის აბსოლუტურად სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, გრძნობები ჰარმონიულობის მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ანუ მათში არანაირი სახის ქაოსის შეგრძნება არ იარსებებს.

ტრანსცენდენტულობისა და ჰარმონიულობის მდგომარეობის დამკვიდრების ხელის შემშლელი მხოლოდ ერთდროულად ორივე მიმართულებით მოძრაობის სურვილი და მცდელობები გახლავთ, რისი ძირითადი მაპროვოცირებელიც მოუთმენლობა, უნდობლობა და ეჭვები არიან.

თუ გრძნობები სკუთარი საქმიანობის შედეგად მიღებულ შედეგებს მთლიანად გაიცნობიერებენ, როგორც ცდომილებას, შეცდომას, მაშინ მათ განგების მიერ მიენიჭება მუდმივად ჰარმონიზირებაში მოხვედრის მიღების უფლება, ისე, რომ აღარ დასჭირ-

დება ქვედა მიმართულებას მიუტრიალდეს. და საერთოდაც, რამ-ხელაზეც შეძლებს წარსულში მომხდარი საკუთარი შეცდომების აღიარებას, იმხელაზე გადავა ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში და იმხელაზევე ექნება ჰარმონიზირებულობაში გადასვლის პოტენციური შესაძლებლობა. როდესაც ჭეშმარიტი ცოდნის მიღებით გამოთავისუფლებული პოტენციური შესაძლებლობები ამოიწურებთან, გრძნობებს ხელახლა მოუწევთ ქვემო მიმართულებასთან კონტაქტში შესვლა, წარსულში უკვე ჩადენილი სხვა საკუთარი შეცდომების საძიებლად. თუკი გრძნობები გაჯიუტდებიან, განგებობის მოთხოვნებს წინ აღუდგებიან, მოდუსებისა და რეფლექსების მიერ მათზე დანესებული და დაკისრებული წესრიგის ზეგავლენის ქვეშ მოუწევთ ყოფნა და იმდენ ხანს გაატარებენ მათი მონობის ქვეშ, ვიდრე საჭიროებას არ დაემორჩილებიან.

ურთიერთობები, როგორც კინემატიკის უმთავრესი წამყვანი, ორგანული ნაწილი

სტრატეგიული თვალსაზრისით, ურთიერთობაში მხოლოდ სამი სახის არჩევანი არსებობს. თვით ურთიერთობების ცნობიერი არსი ფარდობითობის ცნებას ავტომატურად მოიაზრებს თავის თავში.

1. პირველი არჩევანი გახლავთ შემდეგი სახის, როდესაც ინდივიდუალური სული ცდილობს იქონიოს ურთიერთობა იმ ინდივიდუალურ სულებთან, რომლებიც მასზე უპირატესნი, უკეთესნი არიან, ანუ როდესაც ღებულობს ფორმულას – საკუთარი ნებასურვილით ცდილობს იყოს უკანასკნელი პირველებში. ეს დაახლოებით იმ აზრს გამოხატავს, რომელიც იქნა გამოთქმული ღვთის ძის მიერ იესო ქრისტედ მოვლინების დროს იოანე ნათლისმცემლის მიმართ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: დედაკაცთაგან ნაშობთა შორის არ აღმდგარა იოანე ნათლისმცემელზე დიდი, მაგრამ ცათა სასუფეველში უმცირესი მასზე დიდია“.

2. მეორე არჩევანი გახლავთ შემდეგი სახის, როდესაც ინდივიდუალური სული ცდილობს ურთიერთობა იქონიოს იმ ინდივიდუალურ სულთან, რომლებიც მასზე ნაკლებგანვითარებულნი, უარესნი არიან, ანუ, როდესაც ღებულობს ფორმულას – საკუთარი ნებასურვილით ცდილობს იყოს პირველი უკანასკნელებში.

3. მესამე არჩევანი გახლავთ შემდეგი სახის, როდესაც ინდივიდუალური სული ცდილობს ურთიერთობა იქონიოს იმ ინდივიდუალურ

ლურ სულებთან, რომლებიც მისნაირები, მისი მსგავსნი არიან, ანუ, როდესაც ღებულობს ფორმულას, რომ საკუთარი ნება-სურვილით ცდილობს იყოს ის, რაც რეალურად არის. ვფიქრობ, არც თუ ისე ძნელი მისახვედრია, რომ თუნდაც ორი ინდივიდუალური სულის აბსოლუტური იდენტურობა გამორიცხულია, ისე რომ, ეს მესამე არჩევანი ავტომატურად მოიაზრებს ნაწილობრივ როგორც პირველ, ისე მეორე არჩევანს. ამ მიდგომაში ძირითადი აქცენტი არაინდივიდუალიზმზეა გამახვილებული და ინდივიდუალიზმი მხოლოდ ურთიერთობებისას აუცილებლობის შემთხვევაში აჩენს თავის გამოვლინებას, ფაქტიურად, არაინდივიდუალიზმს ემსახურება.

უკუჩვენებანი ამა თუ იმ არჩევანის შემთხვევაში:

1. პირველი არჩევანის შემთხვევაში, ყურადღების გამახვილება ხდება შორეულ მომავალზე ანუ იმ ცოდნაზე, რომელიც გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე შემოსატანი, დასამკვიდრებელი ცნობიერების რაობა და გარშემო მყოფი ინდივიდუალური სულების მიერ ამ გზაზე დამდგარი ინდივიდუალური სულის გარიყვა, მასთან ურთიერთობებში არ შესვლა ხდება, რაც ამ ინდივიდუალური სულის არასრულყოფილების კომპლექსით დაკომპლექსებას, დათრგუნვას იწვევს. ამ კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე არსებული ობიექტური რეალობისთვის ასეთი სახის გლობალური გარღვევა არც სასურველია და არც საჭირო.

2. მეორე არჩევანის შემთხვევაში, ყურადღების გამახვილება ხდება შორეულ წარსულზე ანუ იმ რეალობაზე, რომელიც ინფორმაციის შეჯერების შედეგად ჩამოყალიბებული ცოდნით მხოლოდ ობიექტური რეალობის, მიმდინარე მომენტის სამსახურში უნდა იყოს. ამ გზაზე დამდგარი ინდივიდუალური სულის მიერ გარშემო მყოფი ინდივიდუალური სულების მასთან ურთიერთობაში იდეაფიქსურად, შენიღბული ან შეუნიღბავი ძალადობის გამოყენებით, ნებაყოფილობითობის უგულვებელყოფით ხდება. ეს გზა ინდივიდუალური სულის სრულყოფილების კომპლექსით დაკომპლექსებას, თვითაღზევებას იწვევს. ამ შემთხვევაშიც, ამ კონკრეტული ეპოქალური მომენტისთვისა და კონკრეტულ მატერიალიზირებულ ადგილმდებარეობაზე არსებული ობიექტური რეალობისთვის ასეთი სახის გლობალური ჩამორჩენა არც სასურველია და არც საჭირო.

3. მესამე არჩევანის შემთხვევაში, ყურადღების გამახვილება ხდება მიმდინარე არსებულ აწმყოზე ანუ იმ მომენტზე, რომელიც

დასამკვიდრებელ ცნობიერებას უნდა ამკვიდრებდეს უკვე არსებულ ობიექტურ რეალობასთან (მომავალს წარსულთან). ამ გზაზე დამდგარი ინდივიდუალური სულის მიერ სხვა ინდივიდუალურ სულებთან იდეალურად ბუნებრივი, უანგარო არაინდივიდუალიზმზე დაფუძნებული ურთიერთობების განხორციელების მცდელობებით ხდება, რაც ამ ინდივიდუალური სულის ინდივიდუალიზმის სრული ჩაქრობის კომპლექსს, აუტიზმის მეტ-ნაკლები რაოდენობითა და ხარისხით გამოვლინებას იწვევს. ამ შემთხვევაში კი, ამ კონკრეტული ეპოქალური მომენტისთვის და კონკრეტულ სივრცობრივ სულიერ-მატერიალურ ადგილმდებარეობაზე არსებული ობიექტური რეალობისთვის, მსოფლმხედველობის ასეთი გლობალური დაპატარავება-შემცირება არც სასურველია და არც საჭირო.

პოზიტიური ჩვენებანი, მარგი ქმედების კოეფიციენტი ამა თუ იმ არჩევანის შემთხვევაში.

1. პირველი არჩევანის შემთხვევაში, ყურადღების კონცენტრაცია ინდივიდუალურობის საუკეთესო ნაწილზე და მათგან გამომავალ არაინდივიდუალიზმზე ხდება, რაც ინდივიდუალურ სულს საკუთარი ინდივიდუალიზმის პოტენციალის ამ არაინდივიდუალიზმის გაცნობიერებაში დახარჯვას გულისხმობს. ხოლო ამ არაინდივიდუალიზმის ისეთი სახით შეცნობის შემთხვევაში, როგორც ის რეალურად, ჭეშმარიტად არის, ის ინდივიდუალური სულის ინდივიდუალიზმად გარდაიქმნება და ინდივიდუალური სული გაიზრდება, როგორც არაინდივიდუალიზმი. ამ ნაწილში, რასაც ჭეშმარიტად აითვისებს, ინდივიდუალურ სულს არასრულყოფილების შეგრძნება გაუქრება და სხვა, გარშემო მყოფი ინდივიდუალური სულების მასთან ურთიერთობის არ სურვილი დიდად აღარ შეაწუხებს. იგი, პოტენციალის ჯეროვნად ათვისების შემდგომ, თვით სრული ასკეტიზმის პირობებშიც კი, მშვენივრად იგრძნობს თავს და თავისზე უპირატესთა მსახურება მისთვის ღვთის მსახურება გახდება. ეს მეტად რთული და, მე ვიტყვოდი, წმინდა გზაა. უკვე არსებულ კონკრეტულ ეპოქალურ და სივრცობრივ განპირობებულ გარემოში ასეთი ინდივიდუალური სული, მიუხედავად მატერიალური მდებარეობისა, უკვე ამ გარემოშივე ყოფნისას ცნობიერების დონეზე გადის ამ გარემოდან უპირატეს გარემოში და სხეულის დატოვების შემდგომ იმ გარემოცვაში გადადის, რომელიც მის ცნობიერებას შეესაბამება.

2. მეორე არჩევანის შემთხვევაში ყურადღების კონცენტრაცია ინდივიდუალურობის თავისზე უარეს ნაწილზე და მათგან გამომავალ

ვალ მატერიალურ გამოვლინებულობაზე ხდება, რაც ინდივიდუალური სულის საკუთარი ინდივიდუალიზმის პოტენციალის ამ მატერიალური გამოვლინებულობის გაცნობიერებაში დახარჯვას გულისხმობს. ამ მატერიალური გამოვლინების ისეთი სახით შეცნობის შემთხვევაში, როგორც ის რეალურად, ჭეშმარიტად არის, ის ინდივიდუალური სული გაძლიერდება, როგორც მატერიალური სხეული. იმ ნაწილში, რასაც ჭეშმარიტად ათვისებს, ინდივიდუალურ სულს სრულყოფილების შეგრძნება გაუქრება და სხვა ინდივიდუალური სულების თავისი გავლენის ქვეშ მოქცევის მცდელობას, ურთიერთობების შენიღბული ან შეუნიღბავი ძალადობით დამყარებას, თავს დაანებებს.

3. მესამე არჩევანის შემთხვევაში, ყურადღების კონცენტრაცია საკუთარ „მე“-ზე, საკუთარ ინდივიდუალიზმზე და მისგან გამოშვალ არაინდივიდუალიზმზე ხდება, რაც ინდივიდუალური სულის საკუთარი ინდივიდუალური პოტენციალის, საკუთარი „მე“-ს გაცნობიერებაში დახარჯვას გულისხმობს. საკუთარი „მე“-ს, საკუთარი ინდივიდუალიზმის ისეთი სახით შეცნობის შემთხვევაში, როგორც ის რეალურად არის, ის ინდივიდუალური სულის სულიერ კეთილდღეობად გარდაიქმნება და ინდივიდუალური სული გაიზრდება, როგორც ინდივიდუალური სული. იმ ნაწილში, რასაც ჭეშმარიტად ათვისებს, ინდივიდუალურ სულს აუტიზმის (საკუთარი ინდივიდუალიზმის არ გამოვლინების მცდელობის) შეგრძნება გაუქრება და სხვა ინდივიდუალური სულების გავლენის ქვეშ მოქცევის მცდელობას, ურთიერთობების ცალმხრივ ნებაყოფილობითობაზე დამყარებას თავს დაანებებს.

პოტენციალის ჯეროვნად ათვისების შემდგომ, ეს ინდივიდუალური სული იმდენად სასურველი ხდება გარშემო მყოფი ინდივიდუალური სულებისთვის, რომ მასთან ურთიერთობა უკლებლივ ყველა მათგანის სანუკვარი სურვილი ხდება. ის იმდენად თვითმყოფადი და ბუნებრივად უშუალოა, რომ თავად მიმდინარე ანმყოფ საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს. მას არ სურს მიწიერი ძალაუფლება, სამაგიეროდ, მიწიერებას, მატერიალურ სამყაროს სურს ის იყოს მისი ძალაუფალი. როდესაც ასეთი სულია მეფე (რეალური მმართველი) მატერიალურ სამყაროში სიკეთე და სამართლიანობა მკვიდრდება.

მოკლედ თუ ჩამოვყალიბებთ, ასეთი დასკვნა მიიღება:

1. პირველი გზით სწორად სვლის შემთხვევაში ხდება სულიერი სიმდიდრის გაზრდა, ხოლო არასწორად სვლის შემთხვევაში ხდება

სპეკულაციური სულიერი ცოდნის დაგროვება, რომელიც ინდივიდუალურ სულში არასრულყოფილების კომპლექსს აყალიბებს.

2. მეორე გზით სწორად სვლის შემთხვევაში ხდება მატერიალური სიმდიდრის გაზრდა, ხოლო არასწორად სვლის შემთხვევაში ხდება სპეკულაციური მატერიალური ცოდნის დაგროვება, რომელიც ინდივიდუალურ სულში სრულყოფილების კომპლექსს აყალიბებს.

3. მესამე გზით სწორად სვლის შემთხვევაში ხდება თვითრეალიზაციის ალბათობის გაზრდა ღვთისნიერების, განგებისთვის, კოსმოსის კანონებისთვის მისაღების და მათ მიერ მოსაწონობის თვალსაზრისით თვითმყოფადობის თვალსაზრისით, რაც ღვთისნების რეალიზაციის საშუალებად გახდომის ტოლფასია. არასწორად სვლის შემთხვევაში კი, ხდება საკუთარი ინდივიდუალური გამოვლინებულობის შიშის დამკვიდრება, საკუთარ ვინრო ნაჭყუჭში ჩაკეტვა და, ფაქტიურად, აუტიზმის მდგომარეობაში გადასვლა. ამ გზაზე აღმოჩენილი ინდივიდი უნდა მიხვდეს, რომ უნდა ენდოს საკუთარ „მე“-ს და სხვა ინდივიდის „ეგო“-ს დანამატად არ გადაიქცეს.

ურთიერთობები, როგორც ინდივიდთა ინდივიდუალური ინტერესების გამოხატვის და დაკმაყოფილების საშუალება

ზოგადად ინდივიდუალურ სულად გამოვლინებულობის მიზეზი აბსოლუტური ჭეშმარიტების არ შეცნობის, არ ცოდნის ლოგიკური შედეგია. ეს არ შეიძლება რაიმე დარღვევად, ერთგვარ ბრალეულობად იყოს აღქმული. თავისი არსობრივი დატვირთვით, ეს ნიშნავს იმას, რომ ასეთი ინდივიდუალური სული ჯერ არ არის იმ დონეზე, რომ მთელი აბსოლუტური ჭეშმარიტების სრულყოფილ ნაწილად იქნას აღიარებული, მაგრამ მისი, როგორც ინდივიდის, აქტიურობა იმ წინაპირობას ქმნიდეს, რომ საკუთარი ინტერესების მიმართვით, ჭეშმარიტი ცოდნა გაზარდოს და გააღრმავოს და აბსოლუტური ჭეშმარიტების სრული ნაწილის აღმქმელად გადაიქცეს როდესმე, რაც მთელი სრული არაინდივიდუალიზმის სიდრმისეულ აღქმას გულისხმობს. ვგონებ, სრულიად გასაგებია, რომ ეს არა წლებისა ან საუკუნეებისა, არამედ ასიათასობით, მილიონი წლების, ან თუნდაც, მილიარდი წლების მოღვაწეობის შემდგომ მოხდება დედამიწისეული დროითი საზომების მიხედვით. თუმცა,

უნდა აღინიშნოს, რომ დროითი თანაფარდობა რადიკალურად იცვლება იმ ნაწილში, რომელზეც აქ არის ლაპარაკი და, საბოლოო ჯამში, საერთოდ ქრება. ხოლო შიგნით დარჩენილი ინდივიდუალური სულების მიერ ეს (თეორიულად) სრულყოფილებასმიღწეული სული ინდივიდად აღარ აღიქმება, თუმც, თუ ინდივიდუალიზმზეა ლაპარაკი, ის ყველაზე უფრო მეტადაა ინდივიდი. ეს ყოველივე ეხება ინდივიდუალურ სულებს, რომლებიც მატერიალურ სხეულებში მატერიალიზირებულნი არ არიან.

რაც შეეხებათ მატერიალურ სხეულებში მატერიალიზირებულ, ჩასახლებულ ინდივიდუალურ სულებს, ზოგადად, ინდივიდუალური სულების მატერიალურ სხეულში ჩასახლების მიზეზი აბსოლუტური ჭეშმარიტების დარღვევის, ცოდნის გამრუდების, შეცდომათა დაშვების, ცდომილების, სიმცდარის შეტანის მცდელობების ლოგიკური შედეგია. აი, ეს კი შეიძლება დარღვევად, ერთგვარ ბრალეულობად (დანაშაულადაც კი) იყოს აღქმული. თავისი არსობრივი დატვირთვით, ეს ნიშნავს იმას, რომ ასეთი ინდივიდუალური სული არ არის იმ დონეზე, რომ მის მიერ აღქმული აბსოლუტური ჭეშმარიტების ნაწილი მთლიანად სრულყოფილად იქნას აღიარებული, მაგრამ მისი, როგორც ინდივიდის, აქტიურობა იმ წინაპირობას უნდა ქმნიდეს, რომ საკუთარი ინტერესების მიმართვით, საკუთარი ინტელექტუალური ცოდნა გან(რ)წმინდოს მასში შეპარული და მასში შეზავებული სპეკულაციური ცოდნისგან და აბსოლუტური ჭეშმარიტების ეს ნაწილი ჭეშმარიტებად, მართებულად აღიქვას. რაც, თავისთავად იმას ნიშნავს, რომ საკუთარი წარსული ცდომილებისაგან გასუფთავების შემდგომ, მიეცემა საშუალება კვლავ სულიერ სამყაროში გააგრძელოს თავისი მოღვაწეობა და ინტერესები აბსოლუტური ჭეშმარიტების აღქმის გაზრდის მიმართულებით წარმართოს.

ის, თუ რა სახითაა ეს ყოველივე გამოვლენებული და როგორ უნდა იქნას ამოცნობილი, ვფიქრობ, უდიდესი დამხმარე საშუალება იქნება ნებისმიერი ინდივიდისათვის, ვისაც ჭეშმარიტად საჭირო მიმართლებით სვლის სურვილი გააჩნია.

უპირველეს ყოფლისა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, სტრატეგიულად გენერალური მიმართულების აბსოლუტური ურთიერთსაპირისპიროობა ზემოთ აღნიშნული ორი განსხვავებული კლასიფიკაციის ინდივიდთა სვლის პროცესში და რაში მდგომარეობს ეს. ინტერესთა სფერო, როგორც ამ წიგნის პირველ თავშია გადმოცემუ-

ლი, ხუთი შემადგენელი ნაწილით განისაზღვრება მისი მეტ-ნაკლებად ამომწურავად გადმოცემისთვის და ესენია:

- 1) ორიენტაცია; 2) ადაპტაცია; 3) ფიქსაცია (რეგისტრაცია);
- 4) ინერცია; 5) იმპროვიზაციული ინტერპრეტაცია.

მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული, მატერიალური სხეულის საშუალებით, მატერიალურ გარემოში საკუთარი ინტერესების გამოხატვასა და დაკმაყოფილებას იწყებს იმპროვიზაციით ანუ საკუთარი მცდარი შეხედულებების აფიშირებით, რაც მას მატერიალურ გარემოში ერთგვარ გასართობ საშუალებადაც კი აქცევს მატერიალური გარემოსათვის და, მისდამი ერთობ ლოიალური მიდგომის მიუხედავად, ამ უკანასკნელს მაინც უჩნდება სურვილი სერიოზულადაც მოეკიდონ, რის გამოც, ის ინტერესთა განყოფილების სხვა საფეხურზე – ინერციაზე – გადადის და ფეხდაფეხ მიჰყვება მატერიალურ გარემოსა და მისთვის გარემოს მიერ შერჩეულ გზას. ამ გზაზე დამდგარი მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული მოთმინებით (რამხელაც მას გააჩნია) ელოდება მატერიალური გარემოს მხრიდან, როდის დაამთავრებს იგი მის ე. წ. წვრთნას, მაგრამ, როგორც წესი, გარემო ამას არ გააკეთებს, ვიდრე თვითონ ინდივიდი არ დაილტვება მორჩილი არაინდივიდუალური სვლით. რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან, ესეც ხდება და მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული იწყებს საკუთარი წარმომადგენლობითი ნაწილის დაფიქსირების, დარეგისტრირების მცდელობას. მაგრამ... ეს საკმარისზე მეტად უფრო რთული პროცესი აღმოჩნდება ხოლმე. არავის არ სურს მისი აღიარება იმად, რადაც თავად სურს რომ აღიარონ, რამეთუ ამისგან სარგებელი არა აქვთ. ამიტომ მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული გადადის მეოთხე საფეხურზე, იწყებს ადაპტაციის პერიოდის გავლას წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით. ის ხვდება იმას, რომ გარემოს მართვა საკმაოდ ადვილია, თუკი მის სუსტ და ძლიერ ადგილებს შეისწავლი და, შესაბამისად, გამოიყენებ ამ ცოდნას. ყველაზე ნიჭიერნი, როგორც წესი, ყველაზე დიდ მატერიალურ წარმატებებს აღწევენ. და ბოლოს, შემდგომ იმისა რაც ადაპტირდება, მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულისთვის კრიტიკული მომენტი ანუ მკვდარი სეზონი დგება, ანუ მან უბრალოდ არ იცის რალა აკეთოს და იგი გადადის მეხუთე საფეხურზე, ანუ იწყებს ორიენტაციაზე ფიქრს და წინასწარ ძალზედ ძნელი განსასაზღვრია ორიენტაციაზე კონცენტრაცია საით წაიყვანს. ვფიქრობ,

ეს მაინც ინდივიდუალურია, თუმცა, საკუთარ რეფლექსუალურ გარემოს გაცდენა ძალიან იშვიათად ხდება.

არამატერიალიზირებული ინდივიდუალური სული კი, სულიერ სამყაროში საკუთარი ინტერესების გამოხატავასა და დაკმაყოფილებას ორიენტაციის განყოფილებით იწყებს, ცდილობს ის ნაწილი აირჩიოს აბსოლუტური ჭეშმარიტებისა, რისი შეცნობაც სურს კიდევ და რისი შეცნობის უნარიც გააჩნია, თუმცა, შეიძლება ითქვას, ეს ორი რამ ავტომატური სინონიმებია ამ შემთხვევაში, როდესაც რეფლექსუალური გავლენა არ არსებობს. შემდგომ ამისა, ცდილობს ადაპტირდეს საკუთარ არჩევანში და იმდენად შეძლოს საკითხის შემეცნება, რომ ცოდნა მისი „მე“-ს განუყოფელი ნაწილი გახდეს. შემდგომ ამისა, ცდილობს დააფიქსიროს, დაარეგისტრიროს შეძენილი ცოდნა, როგორც თავის შიდა გარემოში („მე“-ში) ისევე გარე გარემოში (სულიერ სამყაროში). შემდომ ამისა, ცდილობს რეალურად ცხოვრებაში გამოიყენოს ეს ცოდნა ანუ ინერციის განყოფილებაში გადადის. რამდენადაც ბუნებრივად შეძლებს ამას, იმხელაზე მიენიჭება ამის გამოვლინების შესაძლებლობაც. და ბოლოს, ამ ცოდნის ყველანაირი გათავისების შემდგომ, მას შეუძლია გადავიდეს იმპროვიზაციის განყოფილებაში თუ ეს მოისურვა.

სხვათაშორის, ეს ერთ-ერთი უნივერსალური რჩევა გახლავთ, რომ ინტერესების სფეროსთან ურთიერთობისას (ეს კი ყოველთვის, ყველგან და ყველაფერშია) აუცილებლად დაცული უნდა იქნას ინტერესების სფეროს შემადგენელ განყოფილებათა შემდეგი საფეხურებრივი თანამიმდევრულობა: ორიენტაცია – ადაპტაცია – ფიქსაცია (რეგისტრაცია) – ინერცია – იმპროვიზაცია. ანუ ნურასოდეს ნუ ეცდებით გააკეთოთ ან მოიმოქმედოთ რალაც, თუ წარმოდგენა არა გაქვთ ამას საბოლოო ჯამში რა შედეგი მოჰყვება, რამეთუ, მსხვერპლი ან პასუხისმგებელი ამაზე მხოლოდ თქვენ იქნებით, ყოველგვარი შეღავათების გარეშე.

ცოტა უფრო დანვრილებითი განხილვის შედეგად, შემდეგი სახის ფორმულირებას მივიღებთ: მატერიალურ სამყაროში ინდივიდუალური სული მატერიალურ სხეულში საკუთარი მცდარი შეხედულებების გამო ხვდება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მაგრამ ამის პოვნა არც თუ ისე ადვილია. სწორედ ამის განსაზღვრისთვის შემომავს ეს ცნებები, რისი საშუალებითაც არის შესაძლებელი ამის პოვნა. ამ შემთხვევაში, მე ვიტყვოდი, უმჯობესი იქნება ძიება ორიენტაციის განყოფილებიდან იქნას დაწყებული.

ორიენტაციაში სიმცდარე რეფლექსების სახით ვლინდება. ინდივიდუალური სულის შემადგენელი მამაკაცური სანყისი ამას უპრობო (სულიერი) რეფლექსების სახით ავლენს, ხოლო ქალური სანყისი კი მატერიალური (პირობითი) რეფლექსების სახით. მატერიალიზირების შემდგომ, ძირითადი განმსაზღვრელი, ინდივიდუალური სულის ქმედებებისა, სწორედ რეფლექსები არიან. მათ დანვრილებით განხილვას აქ არ შევუდგები რამეთუ, ვფიქრობ, მათი დაშლა-განხილვა ცალკე თემატიკაა.

გადავიდეთ მეორე, ადაპტაციის საფეხურზე. აქ სიმცდარე ინსტინქტების სახით ავლენს თავს. მათი დაახლოებით ასახსნელად ვიტყვი, რომ ისინი ინტელექტუალიზმის ცნების საპირისპირო გაგებას მოიცავენ თავის არსობრივ რაობაში

შემდგომ, მესამე, ფიქსაციის ანუ რეგისტრაციის საფეხურზე სიმცდარე კულტების მიღების სახით ავლენს თავს. აქ სერიოზულად იკვეთება უკვე მამაკაცური და ქალური სანყისების მცდარი გამოვლინების ფორმების სხვაობა. მამაკაცური სანყისი სულიერი კულტების მიმართ არის მიდრეკილი ანუ მეცნიერული პროგრესის იდეაფიქსს მოიცავს, მაშინ როდესაც, ქალური სანყისი უფრო წარსულიდან წამოღებული ტრადიციულ-კულტური რალაცეებისკენ არის მიდრეკილი (თვით რელიგიების ჩათვლით).

მეოთხე, ინერციის საფეხურზე სიმცდარე დოგმირების, დოგმების გავრცელების მცდელობების, კომპლექსების სახით ავლენს თავს, ანუ არის მცდელობები საკუთარი შეხედულებების გავრცელებისა.

აი, ძალიან მოკლედ იმის შესახებ, თუ რა სახით ვლინდება მატერიალურ სამყაროში ინტერესთა სპექტრი.

ახლა კი, მოკლედ იმის შესახებ, თუ სულიერ სამყაროში ინდივიდუალური სული როგორ ახერხებს ევოლუციონებას და რა ფასეულობების საფუძველზე ხდება ეს.

ამ შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, პირველი საფეხურიდან, ორიენტაციიდან დავიწყებ. ინდივიდუალური სულის წინსვლა ჭეშმარიტების ათვისებაში ხდება ეთიკაში წინსვლის ძიებით, ეთიკურად გაზრდით. ეს თავისთავად ხორციელდება სამყაროს უზენაეს პიროვნებაზე ორიენტირებულობით, მისდამი ერთგული მსახურებით.

გადავიდეთ მეორე, ადაპტაციის საფეხურზე. აქ ჭეშმარიტების ათვისებაში წინსვლა ხდება ინტელექტუალური ზრდით, შემეცნე-

ბის, „მე“-ს შეცნობის გზით. ამაზეც აღარ გავჩერდები, რამეთუ ესეც, ვფიქრობ, სრულიად გასაგებია.

გადავიდეთ მესამე, ფიქსაციის ანუ რეგისტრაციის საფეხურზე. აქ ჭეშმარიტების ათვისებაში წინსვლა ხდება ინტელექტუალურად გაანალიზებული ნაწილის, შემეცნებული ნაწილის აღქმით, რეალურად ამ ინფორმაციის „მე“-ში საფუძვლიანად დაფიქსირებით. შეიძლება ითქვას, აქ არის სტატიკიდან კინემატიკაში გადასვლის გარდამავალი წერტილი.

გადავიდეთ მეოთხე, ინერციის საფეხურზე. აქ ჭეშმარიტების ათვისებაში წინსვლა ხდება ბუნებრივობის ცოცხალი, მოქმედი დეკლარირებით, რაც უკლებლივ ყველაფერში ვლინდება და მამაკაცური სანყისის მიერ უშუალოდ გამოიხატება, ხოლო ქალური სანყისის მიერ თვითკმარობით გამოიხატება.

გადავიდეთ მეხუთე, იმპროვიზაციის საფეხურზე. აქ ჭეშმარიტების ათვისებაში წინსვლის დაკანონებაც კი ხდება, რაც ინდივიდუალური სულის იერარქიულ დანიინაურებაში გამოიხატება. ამის გამოვლინება კი, ესთეტიკურობის გამოვლინებით (ამ ათვისებულ ნაწილში) და რელაქსაციის უნარით ხდება.

ინტერესთა სფეროს განზოგადება თავისი მოკლე სახით
შემდეგი ცხრილური მონაცემებითაა გადმოცემული

	მატერიალური სამყარო		სულიერი სამყარო	
	მამაკაცური სანყისი	ქალური სანყისი	მამაკაცური სანყისი	ქალური სანყისი
ორიენტაცია	სულიერი (უპირობო) რეფლექსები	მატერიალური (პირობითი) რეფლექსები	სულიერი ეთიკა	მატერიალური ეთიკა
ადაპტაცია	სულიერი ინსტინქტები	მატერიალური ინსტინქტები	სულიერი ინტელექტი	მატერიალური ინტელექტი
ფიქსაცია	სულიერი კულტები	მატერიალური კულტები	სულიერი აღქმა	მატერიალური აღქმა
ინერცია	სულიერი ჩვევები	მატერიალური ჩვევები	სულიერი ბუნებრივობა	მატერიალური ბუნებრივობა
იმპროვიზაცია	სულიერი დოგმები	მატერიალური დოგმები	სულიერი ესთეტიკა	მატერიალური ესთეტიკა

სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას ერთგვარი დასკვნის სახით, რომ **ურთიერთობების ერთადერთი მოტივაცია**, სა-

კუთარი ინდივიდუალურობიდან გამომდინარე, **ინტერესთა სფეროშია**. ვფიქრობ, ძნელია ამასთან არ დათანხმება.

სკუთარი სიღრმისეული შიდა არსის გვერდიდან დასანახავად, ასეთი მიდგომა ერთ-ერთი უმშვენიერესი საშუალება გახლავთ. აბსოლუტურად ყველა და ნებისმიერი ინდივიდი ისეთ გარემოში ხვდება, როგორც არის მისი შიდა არსი (შინაარსი) და გარემოთი უკმაყოფილების შემთხვევაში არავინ არ უნდა ეცადოს ძალისმიერებით გარემოს გადაკეთებას. სასურველ გარემოში მოხვედრის ერთადერთი მართებული გზა იმაშია, რომ საკუთარი შიდა არსი გახდეს ისეთი, როგორც სასურველ გარემოს შეესაბამება.

მისიათა შესრულების ნაირსახეობა ინდივიდუალური სულებისათვის

ამ ნიგნში ინდივიდი განხილულია როგორც ორი შემადგენელი ნაწილის, ინდივიდუალური სულისა (სამშვენიველის) და ინდივიდუალური სხეულის ნაერთი. ამ შემთხვევაში გვაქვს ინდივიდუალური სულის მისიის განხილვა. საკუთარი მისიის ან დანიშნულების შესასრულებლად ინდივიდუალურმა სულმა უნდა შეძლოს იმის აღსრულება, რაც კონკრეტულად მასზეა განპიროვნებული და არც ერთ სხვა ინდივიდუალურ სულს არა აქვს ეს ასე განსაზღვრული, როგორც მას, ანუ ეს მისია აბსოლუტურად ინდივიდუალურია, აბსოლუტურად ყველა და ნებისმიერი ინდივიდუალური სულის შემთხვევაში. ასე რომ, აქ „შპარგალკა“, ან ვინმესგან კოპირებულად რაღაცის გადანერა, ვერც ერთ მათგანს ვერ დაეხმარება.

მე შევეცდები, ამ მისიის თვითგანსაზღვრისთვის და მისი პოვნისთვის, ერთგვარი ზოგადი სტრუქტურული მონახაზი გავაკეთო, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება ნებისმიერი ინდივიდუალური სულისთვის საკუთარი ამოცანების პოვნა. ამოცანაში იგულისხმება ის, რაც უნდა იყოს დასახული სასურველი და საჭირო მიმართულებით.

დავინწყოთ იქიდან, რომ ყველა ინდივიდუალური სულისთვის უზენაესი უნდა იყოს ის გაგება, რომ ვინაიდან იგი ცალკე, დამოუკიდებელ ერთეულად არის გამოყოფილი და ერთიან მთლიან გამოვლინებასთან ერთგვარი უშუალო კონტაქტი არ გააჩნია, მაშასადამე, ცალკეულ ინდივიდუალურად გამოყოფილ ერთეულზე აქვს გამახვილებული და კონცენტრირებული თავისი ყურადღება, მას არაეთიკურობის მუხტი გააჩნია. სწორედ ამ არაეთიკური მუხ-

ტის პოვნისა და აღმოფხვრის ტენდენცია გახლავთ მისიის არსი ინდივიდუალურ სულთა შემთხვევაში. ისინი რალაცამ დააშორა მთლიანობის აღქმას და ეს ცალსახად იმპროვიზაციულობის შედეგიც კი არ გახლავთ. შედეგობრივი ფაქტორიდან თუ გამოვალთ, ინდივიდუალურ სულთა ორ კატეგორიას მივიღებთ. ესენია: არამატერიალიზირებული და მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულები.

1. არამატერიალიზირებული ინდივიდუალური სულები ძირითადად მომქმედისკენ მიმართული ორიენტაციით გამოირჩევიან და ხანდახან, გარდამავალი პერიოდის დროს, როგორც წესი ერთ ბირთვულ ორბიტაზე მოძრაობენ, როგორც თავად მომქმედი.

2. მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულები ძირითადად მატერიალური სხეულებისკენ მიმართული ორიენტაციით, ათასგვარი მცდელობებით გამოირჩევიან და ძალიან იშვიათად, აქაც გარდამავალი პერიოდის დროს, ერთ ბირთვულ ორბიტაზე მოძრაობენ.

I შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, ერთ ბირთვულ ორბიტაზე მოძრაობა ძალიან ცუდი ნიშანია და მატერიალურ სამყაროში მატერიალური სხეულით მოვლინების თითქმის ასპროცენტთან ალბათობას წარმოადგენს, მაშინ როდესაც II შემთხვევაში ერთ ბირთვულ ორბიტაზე მოძაობა ძალიან კარგია და სულიერ სამყაროში არამატერიალური სახით გადასვლის თითქმის ასპროცენტთან ალბათობა გახლავთ.

ისევ შედეგობრივი კომპონენტებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ორი უმთავრესი ასპექტი უნდა გამოვყოთ. ესენია: ემოციები (რომლებსაც ინდივიდუალური სხეული გრძნობას ეძახის) და ამბიციები (რომლებსაც ინდივიდუალური სხეული გონებად მოიხსენიებს).

1. ემოციები.

ემოციები აქა-იქ ამოგლვჯილ, გაბნეულ ინფორმაციებს, ინფორმაციის ფრაგმენტებს წარმოადგენენ. ისინი ზედაპირული ცნობისმოყვარეობის შედეგად წარმოქმნილი „განხეთქილების ვაშლებია“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინფორმაციებში ინდივიდუალური სული კომპეტენტური ვერ არის, რამეთუ, ლოგიკური თანამიმდევრობით, მათი მეზეზ-შედეგობრივი არსის რაობას ვერ ფლობს, მაინც იღებს თავის თავზე იმას, რომ დიაგნოზი დაუსვას ობიექტურობის საზომით და, ალბათ, ადვილი მისახვედრია, რომ იმ დასკვნამდე მივა – თურმე ეს რალაც უსამართლობაა და მისი ჩარევის სურვილი, ცვლილების შეტანის მიზნით, ალბათ, სუბიექტუ-

რი ტრახახის მსგავსი რამ გახლავთ. მისთვის ეს არ დაუვალეობიათ, არ უთხოვიათ, არც დაუძახიათ, ის თავად ძვრება იქ, რაც, რეალურად, არ ესმის. მაგრამ ვინაიდან ეს ინფორმაციული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფრაგმენტები უკვე არსებობენ მასში, მეტი გზა აღარ რჩება გარდა იმისა, რომ რა სიღრმისადაც არიან ისინი, ის სიღრმე, კეთილი უნდა ინებოს და სრულყოფილად აითვისოს – რამ შექმნა ამა თუ იმ რეალობის განხორციელების აუცილებლობა, ანუ უნდა აითვისოს ის ზოგადი ცნობიერება, რომელიც უკვე დამკვიდრებულია და მისთვის დასამკვიდრებელ ცნობიერებას წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ მან, უბრალოდ, იჩქარა. ეს აბსოლუტურად იდენტურია ძველ აღქმაში მოყვანილი შემთხვევისა – ადამის, ევასა და მაცდუნებელი ვაშლის შესახებ.

მაგრამ ეს არ მინდა ისე იქნას გაგებული, თითქოსდა ემოციები საერთოდ არ არის საჭირო. რომ არა ისინი, ინდივიდუალური სული, თავის მხრივ, ინიციატივას ვერ გამოიჩინდა მომქმედისკენ სვლისათვის, მაგრამ ზემოთ განხილულ შემთხვევაში პრობლემა ის გახლავთ, რომ იგი საკუთარი მასწავლებლის, მომქმედის გაკრიტიკებით დაკავდა და თანაც ზურგსუკან, ისე, რომ მას ეს არ გაუმხილა ანუ საკუთარ არსში ეჭვი დათესა. ეჭვმა, რა თქმა უნდა, ზრდა დაიწყო როგორც კიბოს სიმსივნემ და მომქმედის მიმართ ნდობა უნდობლობად და მლიქვნელობად გადააქცია.

თუმცა, იგივე ადამისა და ევას შემთხვევაში, მაცდუნებელი ვაშლის მირთმევის სურვილის გაჩენამდე, როდესაც ემოციები შემცირებისკენ და გაქრობისკენ არის მიდრეკილი, ინდივიდუალური სული ნელ-ნელა უსულო საგანს ემსგავსება და თითქოს მომქმედს ავალდებულებს, თვითონ განსაზღვროს მთლიანად ყველაფერი, რაც კი მას (როგორც ინდივიდუალურ სულს) ეხება საერთო ჯამში. ეს კომპლექსური საკითხია და ეს გაზარმაცება ინდივიდუალური სულისა მომქმედის მხრიდან მასზე მიჯაჭვითაც შეიძლება აიხსნას, რაც ისეთი შეღავათების გამოვლინებაში გამოიხატება, რასაც ევოლუციის პროცესი ვერ აიტანდა. ასეა თუ ისე, ემოციების მოკლედ განხილვა აი ასეთ შედეგებს იძლევა. თვით ემოციებს კი წარმოქმნიან არაეთიკური, ამა თუ იმ ეპოქალური დროისა და ადგილისთვის შეუსაბამო სურვილები ინდივიდუალური სულისა.

მისიის აღსრულების თვალსაზრისით, ინდივიდუალური სულის მიერ უნდა მოხდეს მის მიერ საკუთარ არსში წარმოქმნილი ინფორმაციული ფრაგმენტების საჭიროდ, ორგანიზებულად დალაგება და საჭიროდ ჩამოყალიბება. სიტყვა „საჭიროება“ დაკმაყოფილებულ

იქნება მაშინ, როდესაც საკუთარ არსში არსებული უსამართლობის შეგრძნება ამა თუ იმ ინფორმაციასთან დაკავშირებული რეალობის ობიექტური აღქმით, სიღრმეში კომპეტენტურად გარკვევითა და ნვდომით შეიცვლება. ამ პროცესის განხორციელების შედეგად ყალიბდება ქვეშარიტი ცოდნა, რომელიც, თავის მხრივ, ჰარმონიზირების (მომქმედის თანამსახურების) სამსახურში დგება. ემოციები კი ტრანსცენდენტულობის მდგომარეობაში გადადიან და სულიერ ჭკუად გარდაიქმნებიან.

2. ამბიციები.

ამბიციები ინდივიდუალური სულის მიერ მასში არსებული ემოციების რეალიზაციის ფორმას წარმოადგენენ. ანუ აქა-იქ გაბნეული, ფრაგმენტალური ინფორმაციების ქაოტური რეალიზაციის მცდელობებს წარმოადგენენ. ისინი ზედაპირული ცნობისმოყვარეობის შედეგად წარმოქმნილი გატაცებების დამოუკიდებლად განხორციელების ე. წ. ოცნებების (ოპოზიციური ცნებების) ასრულების მცდელობებია. ინდივიდუალური სული ამით მომქმედის სრულ უგულვებელყოფას ახდენს და თავად აცხადებს თავს მომქმედად, თვლის რა თავის შეხედულებებს უფრო სამართლიანად, რითაც, ფაქტიურად, რეალურ მომქმედს ემიჯნება. ამის გამო აუცილებელი ხდება ინდივიდუალური სულის მონყვეტა პირვანდელი ქმედების ადგილიდან და მისთვის შესაბამისი ქმედების ადგილზე გადაყვანა, რათა თავისი ექსპერიმენტებით მთელი გამოვლინებულობისთვის აუცილებელი და საჭირო პროცესი არ გააბინძუროს. გართობისა და დაუფლების სურვილი მისი მთავარი პრიორიტეტი ხდება, ამ, მასში წარმოქმნილი, გატაცებისა და დამოუკიდებლობის დასაკმაყოფილებლად. გართობა იმიტომ, რომ იმას, რამაც გაიტაცა ფუნქციონალური საკითხების უგულვებელმყოფელი ეს ობიექტი უკვე მასზე მიჯაჭვულ ინდივიდუალურ სულზე ცდილობს თავისი უზნეო ჩვევის განხორციელებას და ეს უკანასკნელი ცდილობს აი ამ გართობის საშუალებით გადაავიწყებინოს არაეთიკური ზრახვები, რომლებსაც თავის თავზე დამსახურებულად იმკის, მან ეს დაიმსახურა. ხოლო დაუფლება კი იმიტომ სჭირდება, რომ მის მიერ უსამართლოდ დასჯილად აღიარებული ობიექტი უკვე მისი დამოუკიდებლობის შეზღუდვის მცდელობითაა დაკავებული, ანუ ინდივიდუალური სულის დამოუკიდებლობის შეზღუდვის ხარჯზე საკუთარი დამოუკიდებლობის გაზრდა სურს.

ამდენად, ინდივიდუალური სული იძულებული ხდება თავისი ფრაგმენტალური ინფორმაციების სერიოზული კვლევა დაიწყოს,

მაგრამ მას უკვე დამხმარე აღარა ჰყავს, რამეთუ მომქმედს თავისივე ინიციატივით გაემიჯნა. ეს დაახლოებით „ფარიკაობის ბრძოლაში სწავლას“ ჰყავს, რაც, ვფიქრობ, ძნელია ეფექტის მომცემი იყოს. მის ფრაგმენტალურ ინფორმაციებს უხვად ემატება უამრავი რაოდენობის სხვა ფრაგმენტალური ინფორმაციები, მაგრამ ისინი არათუ შემავსებელი საშუალება, არამედ, პირიქით, უფრო მეტად დაბნევის საშუალება გახლავთ. აქ არავინ იცის ჭეშმარიტი ამონახსნი. ამ ლაბირინთიდან თავის დაღწევა იმდენად რთულია, რომ შეიძლება ათასწლეულებიც დასჭირდეს და, უფრო მეტსაც ვიტყვოდი, შეიძლება ვერასოდეს ველარ დააღწიოს თავი აქ მოხვედრილმა ინდივიდუალურმა სულმა.

ფაქტიურად, ერთადერთი საშუალება ამისა გახლავთ დამორჩილდეს ყველაფერს, რასაც სიტუაცია გამოავლენს მის მიმართ და იმ დოგმატურ რელიგიურ პრინციპებს გაჰყვეს, რაც მომქმედმა აქ დატოვა ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ, ანუ უკვე არაუშუალოდ მომქმედთან უნდა აღადგინოს კონტაქტი. შემდგომ, რთული პროცესი ელოდება აუცილებელი მონანიებისა, პატიების თხოვნისა და აღსარებისა საკუთარი თავხედობისა და უსაქციელობის გამო, მაგრამ, ვიდრე ამბიციების შედეგად ჩადენილი საქმიანობების მთელი ზიანი არ ამოიწურება, მასზე უკანვე ზემოქმედებით, ამნისტირების შანსი ძალიან მცირეა. რა თქმა უნდა, მოკლე გზებიც არის, მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობას ეს უჭირს.

მეორე გზა გახლავთ საკუთარი ცდომილებების, ტაქტიკური ქმედითი შეცდომების მონანიება და აღიარება.

მესამე გზა გახლავთ იმ ფრაგმენტალური ინფორმაციების (რის გამოც მოხვდა იქ, სადაც მოხვდა) ზოგად ცნობიერული, სტრატეგიული სიღრმისეული აღქმა, რაც, თქვენც კარგად ხვდებით, რა ძნელია.

მეოთხე გზა გახლავთ მთელი გამოვლინებულობის ერთიანი მთლიანობის აღქმა და ერთიანი მთლიანობის ინტერესების აღიარება განურჩევლად ყველაფრისა.

მისიის აღსრულების თვალსაზრისით, აი, ეს ოთხი გზა არსებობს, რომლებიც აქ შეგნებულად აღარ განვავრცე, რამეთუ, ამ წიგნში ამაზე უხვად არის ინფორმაცია ყოველივე ამის შესახებ. ეს ჩამონათვალი კი ფუნქციონალურ კოორდინაციაში დაენმარება ნებისმიერ ინდივიდუალურ სულს და თუ პრიორიტეტად ავიღებთ, მთელი წინა წიგნი („სულიერ ფასეულობათა ანბანი“) მესამე გზის

ახსნას ჰქონდა დათმობილი, ხოლო ეს წიგნი მეოთხე გზას ხსნის და მსურველს აკვალთანებს.

ამბიციების ზოგადი შეფასებით, მათი ორგანიზებულად დალაგების და ჩამოყალიბების შემდგომ, ყალიბდება მატერიალური ცოდნა, რომელიც რალაცა ტიპის წესრიგის დამყარების სამსახურში დგება. ამბიციები კი სიამოვნებისა და კმაყოფილების მიღების აუცილებლობის მდგომარეობაში გადადიან და მატერიალურ ჭკუად გარდაიქმნებიან.

თვით ამბიციები წარმოქმნიან ამა თუ იმ ეპოქალური დროისა და ადგილისთვის არაშესაბამისი სურვილების რეალიზაციის, ასე ვთქვათ, ხორცმცხსმის, განხორციელების მცდელობები.

ემოციებთან და ამბიციებთან დაკავშირებით ერთი ძალიან მოკლე, მაგრამ, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი რეკომენდაცია მინდა ჩამოვყალიბო:

ემოციები იქამდე უნდა გარდაიქმნან, უფრო სწორად კი, იქამდე უნდა გარდაქმნას ინდივიდუალურმა სულმა სულიერ ცოდნად, ვიდრე ისინი ამბიციებად გადაქცევას დააპირებენ, ანუ, უფრო მძიმე შემთხვევას თუ გავითვალისწინებთ, ვიდრე ამბიციებად გადაიქცევიან. ეს არის უმთავრესი პრინციპი, რითაც ინდივიდუალურმა სულმა უნდა იხელმძღვანელოს მისიასთან მიმართებაში.

ენერგეტიკული ბირთვები

ინდივიდუალური სული, როგორც ვიზუალური, ისე მომქმედი ფუნქციონალური თვალსაზრისით, ჩაკრალური ცენტრების აქტივიზირების შედეგად წარმოქმნილი ენერგეტიკული ბირთვების ერთობლიობას წარმოადგენს. ეს ბირთვები ერთიანი გადასახედიდან ერთ მთლიან ენერგეტიკულ ველს ქმნიან. მთელი ენერგეტიკული ველის ჯანსაღ, ჰარმონიულ მდგომარეობაში ყოფნა მხოლოდ ამ ენერგეტიკული ველის შემადგენელი ნაწილების ენერგეტიკული ბირთვების ერთიანი ნომინალური მდგომარეობის დამკვიდრების შემთხვევაშია შესაძლებელი, რაც ჩაკრალური ცენტრების თანაბრად აქტივიზირების შემთხვევაში არის შესაძლებელი. სწორედ ამ ბირთვების გამოვლინებული მდგომარეობის თანაფარდობა განსაზღვრავს ნებისმიერი ცოცხალი არსების შინაგან (სულიერ) და გარეგან ფიზიკურ (მატერიალურ) მდგომარეობას. რეალურად მათ დაბალანსებას ემსახურება მედიცინა, მთელი თავისი ფუნქციონალური და ვიზუალური არსით, მაგრამ, სამწუხაროდ,

უკუღმა, ანუ თუ ერთი ბირთვი ოდნავ გაზრდილია მეორე ბირთვი კი ოდნავ შემცირებული და, სიტყვაზე ვთქვათ, სხვა ბირთვები მათ შუაში მდებარეობენ, თავიანთი ნომინალური რაოდენობრივი გამოვლინებით. თანამედროვე (ცალსახად ფარმაკოლოგიური) მედიცინა ცდილობს ოდნავ გაზრდილი ენერგეტიკული ბირთვი აგრესიული ზემოქმედებით ოდნავ შემცირებული ბირთვის ნომინალურ დონემდე დაიყვანოს და ავტომატურად, ცდილობს ყველა დანარჩენი ენერგეტიკული ბირთვებიც ყველაზე პატარა ენერგეტიკული ბირთვის ნომინალურ დონეზე დაიყვანოს, რის შედეგაც, საერთო ჯამში, ცოცხალი არსების ადაპტაციის უნარი ქვეითდება. თუ მედიცინის ენაზე ვიტყვი, ეს იმუნიტეტის შემცირების გზით მიღებული ჯანმრთელობა იქნება. მაშინ, როცა უმჯობესია ოდნავ გაზრდილი ბირთვი ოდნავ შემცირდეს და შუაში მდებარე (ნომინალური მაჩვენებლით) ენერგეტიკული ბირთვების შესაბამისი გახდეს, ოდნავ შემცირებული კი, ოდნავ უნდა გაიზარდოს და სხვა დანარჩენი ბირთვების ტოლი გახდეს. რაც შეეხება ახალი ჩაკრალური ცენტრების აქტივიზირებას, ეს ძალიან რთული და შრომატევადი საქმეა, მაგრამ სრულიად შესაძლებელი. ამისთვის საჭიროა და აუცილებელი ენერგეტიკული ბირთვები ზომიერად და თანაბრად იზრდებოდნენ, რითაც მთლიანად შეძლებენ ადაპტაციას ცოცხალი არსებისთვის განსაზღვრულ გარემოში და როცა ადაპტაციის საჭირო დონეს დააკმაყოფილებენ, თავისი შესაძლებლობების სრულყოფილად გამოვლინებულობის თვალსაზრისით, დაფიქსირებულნი იქნებიან ქმედების ადგილის მიერ, მაშინ მიეცემათ უფლება მათთვის ახალი ჩაკრალური ცენტრის აქტივიზირებისა იმავე ან სხვა გარემოში, რომელიც შეირჩევა ცოცხალი არსებისთვის, ინდივიდუალური სულისთვის.

სარწუნო(ვნ)ება

ინდივიდი მთლიანად, უხეში ფორმატით, ორი ნაწილით შეიძლება წარმოვადგინოთ. პირველი – ინდივიდუალური სული როგორც ვნების სულისკვეთებით, ემოციებით დატვირთული და გამოვლინებული ნაწილი, რამეთუ კოსმიურ რეალობაში სრული ჰარმონიული მდგომარეობიდან გამოსვლისა და მცირე გადახრის ჩასახვისა და გამოვლინებულობის არსებობის პერიოდში მან უშუალოდ, დამოუკიდებლად მოინდომა ამ პერიოდში მიმდინარე პრო-

ცესებში თვითგამოვლინება, მონაწილეობის მიღება მისი გადასახედიდან დადებითი ტენდენციის შეტანით.

მეორე ნაწილი გახლავთ ინდივიდუალური სხეული, როგორც უმეცრების სულისკვეთებით, ამბიციებით დატვირთული და გამოვლინებული ნაწილი, რამეთუ კოსმოსში მცირე გადახრის არსებობის პერიოდში მან უშუალოდ დამოუკიდებლად მოინდომა ამ პერიოდში მიმდინარე პროცესებში თვითდამკვიდრებით მონაწილეობის მიღება, მისი გადასახედიდან, უარყოფითი ტენდენციების აღმოფხვრით. რეალურად კი, როგორც პირველი ისე მეორე მცდელობა გარდაუვალი მარცხისათვის არის განწირული. ვინც ამას დაეთანხმება, ვფიქრობ, მისთვის აუცილებელი იქნება სარწმუნოების არსის ძიება და პოვნა. რაც შეეხება ინდივიდუალურ სხეულთან დაკავშირებულ საკითხებს, ისინი მეოთხე თავში იქნებიან განხილულნი, თუმცა, ვერც აქ მოხერხდება მისი გვერდის ავლა, მაგრამ აქ ის ცენტრალურ ნაწილს ვერ დაიკავებს. აქ ცენტრალური ფიგურა იქნება ინდივიდუალური სული (душа), რომელსაც სამშვინველი ეწოდება ქართულად.

ჭეშმარიტი სარწმუნოების გადასახედიდან, ინდივიდუალური სული, როგორც საკუთარი „მე“-ს აღქმის ფენომენური გამოვლინება, ცალსახად პასუხისმგებლობაზე უნდა იყოს ორიენტირებული, აქცენტირებული და ის უნდა გაითავისოს, რომ კოსმოსის მიერ მკაცრად განსაზღვრული უფლებამოსილება არ გააჩნია. ეს ინდივიდუალური სულისათვის, საკუთარი „მე“-ს საუკეთესო გზით მიმართვის შემთხვევაში, წარმოიდგინეთ, დიდ უპირატესობად შეიძლება იქცეს, რამეთუ უფლებამოსილება, ნებით თუ უნებლიეთ, საკუთარი საქმიანობის მკაცრად განსაზღვრას მოითხოვს, მაშინ, როდესაც ამ უფლებამოსილების კონკრეტული მისიის, ფუნქციის არ ქონა ყოველგვარი აუცილებელი შეზღუდულობისაგან ათავისუფლებს მას. შეზღუდულობაში ვგულისხმობ – საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფთათვის მაგალითად (ეტილონად) ყოფნასა და მათგან გამომდინარე საკუთარი „მე“-ს მართვას. თუკი ინდივიდუალური სული დაუფლების სურვილისაგან გათავისუფლების გზას დაადგება, თვით ზეცაშიც კი შეიძლება მოიპოვოს ადგილი. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ იგი ზესულივით მოიქცევა, ანუ მცირე გადახრის არსებობის პერიოდში მიმდინარე პროცესებში უშუალოდ მონაწილე ნაწილად ყოფნის მიუხედავად, მათზე რაიმე ნაირი სახით ზემოქმედებაზე უარს იტყვის და ამ პროცესების მიმდინარეობაზე დაკვირვებით და მათი ობიექტურად განსაზღვრის

მცდელობით შემოიფარგლება. რაც შეეხება თვითგამოვლინებას, რაც ინდივიდუალურ სულს აუცილებლად მოუწევს სხვა ინდივიდუალურ სულებთან თანაარსებობის გამო, ეს უნდა აკეთოს არა საკუთარი ინიციატივით. საუკეთესო შემთხვევაში, მისთვის სასურველი უნდა იყოს ისეთი ინდივიდუალური სულების გარემოცვაში ყოფნა, რომლებიც მას სრულიად, აბსოლუტურად ენდობიან ანუ ამ შემთხვევაში მომქმედის ადგილს დაიკავებს ეთიკურ მიკროსამყაროში. ამ მიკროსამყაროს მიღმა მყოფ გარე სამყაროსთან, რეალურ მთელ გარემოსთან მიმართებაში, ინდივიდუალურმა სულმა საკუთარ „მე“-ში ჩამოყალიბებული რწმენის შესაბამისად უნდა იმოქმედოს და მთლიანად უნდა მიენდოს განგებას, რომელიც მის გარშემო არსებულ რეალობას გამოავლენს ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში.

ახლა კი სარწმუნოების ძირითად ბაზისურ შემადგენელ ნაწილებზე და მათ ზოგად ჩამოყალიბებაზე გადავიდეთ. სარწმუნოება ხუთი ძირითადი შემადგენელი ნაწილისაგან შედგება: 1) კვება; 2) მსხვერპლშენიღვა; 3) ასკეტიზმი; 4) ქველმოქმედება; 5) განდევნობა.

1. **კვება**, სარწმუნოებრივი გადასახედიდან, ინდივიდუალური სულის, როგორც ინდივიდის, ვნებითი ნაწილის ამბიციურობის თვალსაჩინო გამოვლინებას წარმოადგენს. მატერიალური საკვების მიღების აუცილებლობა კოსმოსში არსებული დარღვეული ნაწილის, მცირედი გადახრის შესაბამისი მატერიალური ცოდნის სუბიექტური, არაობიექტური აღქმის შედეგი გახლავთ.

თვით მატერიალური საკვები, ისევე როგორც აბსოლუტურად ყველაფერი, ინფორმაციას წარმოადგენს და მისი ორგანულად მიღებით შესაძლებელი ხდება საკუთარ არსში მქონე მცდარი მატერიალური ცოდნის (მატერიალური სამყაროს პოზიტიური მოწყობის გარშემო არსებული არაადეკვატური ინფორმაციის) განეიტრალება. ეს, ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანი და ძალიან ძვირფასი ინფორმაციაა მატერიალური საკვების შესახებ.

სარწმუნო ვნების, სარწმუნო ემოციის მიერ ისიც კი არის განსაზღვრული და რეკომენდირებული რითი უნდა იკვებოს ზოგადად ცოცხალი არსება და რითი არა.

პრინციპში, ამ ყოველივეს საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ თუ რა ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ინდივიდუალურ სულს მატერიალურ სამყაროსთან და, როგორც მატერიალური სამყაროს ნაწილთან, ინდივიდუალურ სხეულთან მიმართებაში. მისი მიდგო-

მა უნდა იყოს ზედმიწევნით ობიექტური და თუ ინდივიდუალური სული მატერიალიზირებულია და ინდივიდუალურ სხეულში იმყოფება, ცხოვრობს, ამ სხეულის არსებობის პერიოდში უნდა აღიაროს ავტომატურად, რომ მასში აშკარად არსებობს სუბიექტური მიდგომა მატერიალური სამყაროს ე. ი. მატერიალური ცოდნის მიმართ და ყველანაირად უნდა ეცადოს იპოვოს ეს სუბიექტურობა განზოგადებულად თავისში ანუ თავის „მე“-ში შეპარული ეგოიზმი აღმოაჩინოს ან, უკიდურეს შემთხვევაში, იმაზე მაინც უნდა იზრუნოს, რომ საკუთარ „მე“-ში ჩასახული სუბიექტური შეხედულებები არ გაიზარდონ და ახალი სუბიექტივიზმი არ მოამრავლონ. აი, ამის გაკეთება მინიმუმ, სარწმუნოების მიერ რეკომენდირებული საკვების სახეობითი და რაოდენობის მიღების დაცვით არის შესაძლებელი, ხოლო მაქსიმუმ, საკუთარი ინდივიდუალური სხეულის „მე“-დ არ აღქმით და, პირიქითაც კი, საკუთარი ინდივიდუალური სულის „მე“-დ აღქმით და საკუთარი სხეულის „ეგო“-დ აღქმით, რამაც არავითარ შემთხვევაში სხეულთან დაპირისპირება არ უნდა გამოიწვიოს ე. ი. „ეგო“-სთან დაპირისპირება აბსოლუტურად მცდარი გზა იქნებოდა. პირიქით, იგი ზესულივით მატერიასთან უმოქმედო მდგომარეობაში უნდა გადავიდეს და მატერიალურ სამყაროში მომქმედ მოდუსებს მიანდოს ინდივიდუალური სხეული, რომელშიც ის დროებით იმყოფება, თუმცა, აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ეს არანორმალურად რთული ამოცანაა.

2. მსხვერპლშენივთა, სარწმუნოებრივი გადასახედიდან, ინდივიდუალური სულის, როგორც ინდივიდუალიზმის, ვნებითი, ემოციური ნაწილის აუცილებელ და საჭირო ემოციურ გამოვლინებას წარმოადგენს. ინდივიდუალური სულის მიერ კოსმოსში არსებული დარღვეული ნაწილის, მცირედი გადახრის მიმდინარეობის პერიოდში თვითგამოვლინების მცდელობით, მისი გადასახედიდან, დადებითი ტენდენციის (სიკეთის) შესატანად, თავისდაუნებურად, ვილაცას ან რალაცას დაუმსახურებელ პრივილეგიას ანიჭებს, ვილაცას ან რალაცას კი, ამ პრივილეგირებულის ხელით, დამსახურებულები ერთმევა. ისე რომ, სიკეთის მოტანის მცდელობას, შეიძლება ითქვას, ვილაც და რალაც ემსხვერპლება ხოლმე არაუშუალოდ ინდივიდუალური სულისაგან, მაგრამ სიტუაციაზე პასუხისმგებლობა უდავოდ მას უნდა დაეკისროს. ამიტომ ნებისმიერმა ინდივიდუალურმა სულმა უნდა შეიგნოს, რომ მას აუცილებლად სჭირდება მსხვერპლშენივთის ჩატარება ისე, როგორც ამას სარწმუნოება ავალდებულებს. მას, ნებით თუ უნებლიეთ, აუცილებლად აქვს უკ-

ვე ჩადენილი ქმედება, რომელმაც სადღაც რომელიღაცა ინდივიდუალური სულისათვის ზიანის მიყენება შეძლო. ეს საკუთარი უნებური შეცდომების გამოსყიდვის ერთადერთ მატერიალურ საშუალებას წარმოადგენს. მსხვერპლშენირვათა შორის უდიდესი სხვა ინდივიდუალურ სულებთან მიმართებაში ჩადენილი საკუთარი შეცდომების აღმოჩენა და მთელი გულწრფელობით მათი აღიარებაა. შემდგომ, ასეთ ინდივიდუალურ სულს აღარასოდეს მოუხდება უკვე ჩადენილი შეცდომების მსგავსი შეცდომების გამოვლინება.

აგრეთვე იმ მსხვერპლშენირვას, რომელიც წმინდა წერილთა მითითების თანახმად, მოვალეობის ღრმა შეგნებით სრულდება მათ მიერ, ვისაც არაფერი სურთ სანაცვლოდ, უნებურად ჩადენილი ცოდვილი საქმეების მიტევების მიღების ძალა გააჩნია.

ნებისმიერი, სწორად ჩატარებული მსხვერპლშენირვა მატერიალური კეთილდღეობის მომტანია. ნებისმიერი სხვა საშუალებით მიღებული მატერიალური კეთილდღეობა ვაჭრობის ან ფიზიკური შრომის შედეგად შეიძლება იქნას მიღებული.

აქ პრინციპის დონეზე შეიძლება განისაზღვროს ინდივიდუალური სულს სხვა ინდივიდუალურ სულებთან მიმართებაში როგორი მიდგომა უნდა გააჩნდეს. მან ინდივიდუალურ სულებთან მიმართებაში ობიექტური მიდგომის უნარი უნდა გამოიმუშაოს, რაც, რეალურად, საკუთარი „მე“-ს ობიექტური განსაზღვრით, საკუთარი „მე“-ს შეცნობით არის მხოლოდ შესაძლებელი, უკიდურეს შემთხვევაში კი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაარღვიოს საკუთარ „მე“-ში არსებული სულიერი მრწამსი, ჭეშმარიტი რწმენა არც ერთი სხვა ინდივიდუალური სულის შეცოდების ან, რაც კიდევ უარესია, მათი დაუფლების სურვილის გამო.

3. ასკეტიზმი სარწმუნოებრივი გადასახედიდან ინდივიდუალური სულის როგორც ინდივიდუალიზმის ვნებითი, ემოციური ნაწილის აუცილებელ და საჭირო გონებისმიერ გამოვლინებას წარმოადგენს.

კოსმოსში არსებულ დარღვეულ ნაწილში, მცირე გადახრის გამოვლინებაში უშუალოდ ყოფნის მიუხედავად, ინდივიდუალურ სულს ასკეტიზმის საშუალებით ამ გადახრამდე არსებული კოსმიური ჰარმონიულობის შესაბამისი სულიერი კეთილდღეობის აღქმის პოტენციური უნარი და შესაძლებლობა გააჩნია.

ასკეტიზმს ინდივიდუალური სულის იმ სულიერ მდგომარეობამდე, წარსულში დაბრუნება შეუძლია, საიდანაც ინდივიდუალური სულის კოსმოსის დარღვეულ ნაწილში შესვლა მოხდა. ჭეშმარი-

ტად ასკეტიზმში მყოფი ინდივიდუალური სული ინდივიდუალურ სხეულთან, შეიძლება ითქვას, პასიურ კონტაქტში იმყოფება. ფაქტიურად, ხდება ინდივიდუალური სულისა და ინდივიდუალური სხეულის ურთიერთგაუცხოება, რამეთუ ინდივიდუალური სული ემიჯნება აბსოლუტურად ყველაფერს, რამაც სხეულის შექმნა განაპირობა, ხოლო ინდივიდუალური სხეული არ იცნობს არაფერს, რაც მის გამოვლინებამდე არსებობდა. ერთადერთი რამ, რის გამოც ისინი ერთმანეთს იტანენ და ერთად არიან, გახლავთ ის, რომ ინდივიდუალურ სხეულს ინდივიდუალური სულის გარეშე არსებობა არ შეუძლია და გვამია უმისოდ, ხოლო ინდივიდუალური სული-სათვის კოსმოსში არსებულ მცირე გადახრილ ნაწილში უშუალოდ ყოფნა ძლიერი დამხმარე საშუალებაა იმისათვის, რომ საკუთარი „მე“ ან ყოფილ რეალობაში აღიდგინოს და ძლიერი სტიმულია იმისათვისაც, რომ თავისში არსებული დამოუკიდებლად მონაწილეობის სურვილი გამოვლინებულ დარღვეულობაში ბოლომდე დაძლიოს.

ფაქტობრივად, აქ შეიძლება განისაზღვროს ინდივიდუალური სულის ურთიერთობა ქმედების ადგილთან. ანუ ინდივიდუალურმა სულმა ქმედების ადგილთან მიმართება, ობიექტური მიდგომის უნარი უნდა განივიტაროს, სადაც ქმედების ადგილად მთელი კოსმიური სივრცე მოიაზრება და საკუთარი „მე“-ს რეალური კოორდინაციული ადგილმდებარეობა უნდა აღმოაჩინოს. ეს მას საშუალებას მისცემს იპოვოს ღმერთი – როგორც მიზანი. მისკენ სწრაფვა კი ინდივიდუალურ სულს მოანდომებს ისეთ რეალობებში გადასვლას, რომლებიც იერარქიულად უფრო მაღლა იმყოფებიან იმ ადგილთან შედარებით, სადაც ის იმყოფება. ასკეტიზმის ქეშმარიტად განხორციელების შედეგად ერთი საფეხურით გადასვლის რეალური შანსი ეძლევა ინდივიდუალურ სულს. მაგალითად: მატერიალური სამყაროდან სამოთხეში; ან სამოთხიდან ცათა სასუფეველში; ან მოჩვენებათა სამყაროდან მატერიალურ სამყაროში; ან, თუნდაც, ცათა სასუფეველიდან თვით ზეცაში.

ასკეტიზმი სარწმუნოების ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია.

4. ქველმოქმედება სარწმუნოებრივი გადასახედიდან ინდივიდუალური სულის, როგორც ინდივიდუალიზმის ვნებითი, ემოციური ნაწილის აუცილებელ და საჭირო გრძნობით გამოვლინებას წარმოადგენს.

კოსმოსში არსებულ დარღვეულ ნაწილში უშუალოდ ყოფნის მიუხედავად, ინდივიდუალურ სულს, ქველმოქმედების საშუალე-

ბით, ამ გადახრის შესაბამისი სულიერი ცოდნის მიღების პოტენციური უნარი გააჩნია.

ქველმოქმედებას ინდივიდუალური სულის ისეთ სულიერ მდგომარეობამდე მიყვანის ძალა შესწევს, სადაც კოსმოსში არსებული დარღვეული ნაწილის შესაბამისი სულიერი ცოდნა ზოგადი ცნობიერების სახით მოიპოვება.

ჭეშმარიტად ქველმოქმედი ინდივიდუალური სული, შეიძლება ითქვას, ინდივიდუალურ სხეულთან აქტიურ ურთიერთობაში შედის. ფაქტიურად, ხდება ინდივიდუალური სულისა და ინდივიდუალური სხეულის ურთიერთდაახლოება და გაშინაურება, რამეთუ ინდივიდუალური სული ცდილობს გააუმჯობესოს და რეალურად აკეთილშობილებს ყველაფერს, რამაც ინდივიდუალური სხეულის შექმნა განაპირობა, ხოლო ინდივიდუალური სხეული ხალისით ეცნობა იმას, რაც მისი გამოვლინების მომენტიდან არსებული დაპირისპირების აღმოფხვრას ემსახურება. ერთადერთი დაპირისპირების მიზეზი მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდუალური სული ქველმოქმედების ობიექტებში (მისთვის – ინდივიდუალურ სულელებში) პასუხისმგებლობის გაზრდით არის დაინტერესებული, ხოლო ინდივიდუალური სხეული ქველმოქმედების ობიექტებზე (მისთვის – ინდივიდუალურ სხეულებზე) საკუთარი უფლებამოსილების მოპოვებით.

ფაქტიურად, აქ შეიძლება განისაზღვროს ინდივიდუალური სულის ურთიერთობა მომქმედთან. კერძოდ, ინდივიდუალურმა სულმა მომქმედთან მიმართებაში ობიექტურად მიდგომის უნარი უნდა განივითაროს, ანუ აღიქვას მომქმედი, როგორც მთელს კოსმოსში არსებული დარღვევის შესაბამისი გამაჯანსაღებელი, ჭეშმარიტი რწმენის სფუძველზე გადახრის გასწორების გზის ზოგადი ცნობიერების ჩამომყალიბებელი. ამის აღქმის შემდგომ, საკუთარი „მე“ დაუქვემდებაროს, მისი უფლებამოსილება აღიაროს საკუთარ „მე“-ზე და მომქმედის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობა (მისია) პირნათლად შეასრულოს. ეს ყოველივე ინდივიდუალურ სულს საშუალებას მისცემს გაზარდოს სულიერი ცოდნა და, მატერიალური სხეულის დატოვების შემდგომ, ცათა სასუფეველში შესვლის უფლება მოიპოვოს. ვისაც ოდნავ მაინც რაიმე გაეგება სულიერი სამყაროს შესახებ, ვფიქრობ, არ დასჭირდება ახსნა იმისა, თუ რა უზარმაზარ პატივზე და თითქმის წარმოუდგენელ ჯილდოზეა ლაპარაკი მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულის პირობაზე.

ქველმოქმედება სარწმუნოების წამყვან ნაწილს წარმოადგენს.

5. **განდევილობა** სარწმუნოებრივი გადასახედიდან ინდივიდუალური სულის, როგორც ინდივიდუალიზმის ვნებითი, ემოციური ნაწილის აუცილებელ და საჭირო ჭკუისმიერ გამოვლინებას წარმოადგენს.

კოსმოსში არსებულ დარღვეულ ნაწილში უშუალოდ ყოფნის მიუხედავად, ინდივიდუალურ სულს განდევილობის (განზე დგომის) საშუალებით ამ გადახრის გაგების უნარი გააჩნია.

განდევილობას ინდივიდუალური სულისთვის ისეთ სულიერ მდგომარეობამდე მიყვანის ძალის მინიჭება შეუძლია, რომლის საშუალებითაც კოსმოსში არსებული დარღვეული ნაწილის შესაბამისი სულიერი ცოდნა დასამკვიდრებელი ცნობიერების სახით მოიპოვება.

ჭეშმარიტ განდევილობაში მყოფი ინდივიდუალური სული, შეიძლება ითქვას, საკუთარ ინდივიდუალურ სხეულთან სრულ ურთიერთგაგებასა და ჰარმონიაში იმყოფება. ფაქტიურად, ხდება მათი სრული სინთეზი, რამეთუ ინდივიდუალური სული ცდილობს ზესულის მსგავსად გვერდიდან მაყურებლის (დამკვირვებლის) სტატუსით შემოიფარგლოს და მხოლოდ მაშინ მოვიდეს მოქმედებაში, როდესაც მის მიმართ თხოვნა ან მასზე გარდაუვალი მოთხოვნილება გაჩნდება, ხოლო ინდივიდუალური სხეული ცდილობს ცალსახად სათნოების მოდუსის შესაბამისი საქმიანობით დაკავდეს. მათ შორის ურთიერთგაუგებრობისა და დაპირისპირების აღმოფხვრის ძირითადი უმთავრესი მიზეზი ინდივიდუალური სულის მიერ ინდივიდუალური სხეულისათვის აბსოლუტური ნდობის გამოცხადებაში მდგომარეობს და ეს უკანასკნელიც მთლიანად დაიხარჯება იმისათვის, რომ ეს დიდი ნდობა გაამართლოს.

მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური სული ფაქტიურად სრულად ფლობს ინფორმაციას კოსმოსში არსებული დარღვევის ჰარმონიულ მდგომარეობამდე მიყვანის შესახებ, იგი არანაირად არ ცდილობს ამ დარღვეულ ნაწილში მყოფი ინდივიდუალური სულების მხრიდან, მათთვის ამ ცოდნის გაზიარების თხოვნის გარეშე, საკუთარი ინიციატივით მოახდინოს თვითგამოვლინება.

რაც შეეხება ინდივიდუალურ სხეულს – მისი უმთავრესი მიზანია მატერიალური სამყაროს მმართველი მატერიალური მოდუსების ზეგავლენისაგან გათავისუფლდეს და ინდივიდუალურობის სრულყოფილი ნაწილი გახდეს.

აქვე შეიძლება განისაზღვროს ინდივიდუალური სულის ურთიერთობა ზესულთან. კერძოდ, ინდივიდუალურმა სულმა ზესულთან მიმართებაში ობიექტური მიდგომის უნარი უნდა განივითაროს ანუ აღიქვას ზესული, როგორც მთელ კოსმოსში არსებული მთელი გამოვლინებულობის (როგორც დარღვეული ისე, არადარღვეული ნაწილის) მოძღვარი და მამა. როგორც ჭეშმარიტი ნდობის საფუძველზე გადახრის გასწორების გზის დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების ჩამომყალიბებელი. ამის აღქმის შემდგომ, ინდივიდუალური სული მისი ჭეშმარიტი ერთგული უნდა გახდეს და მთლიანად, სრულად უნდა ეცადოს მიენდოს. ამისათვის მას შეუპოვარი ძალისხმევა დასჭირდება საკუთარ „მე“-ში. ამაზე რთული და მნიშვნელოვანი საქმე მთელს კოსმიურ რეალობაში არ არსებობს. შედეგად ის საკუთარი ინდივიდუალური „მე“-ს შესახებ ინფორმაციის მიღებით, მეხსიერების აღდგენით დაჯილდოვდება და მიეცემა მთელი სრული ცოდნა დასამკვიდრებელი ცნობიერების შესახებ მთელს კოსმიურ სივრცეში არსებული გადახრის სრული ჰარმონიზირების გარშემო. ვისაც არ ესმის ამ ცოდნის ფასი, მისათვის ძალიან ძნელი გასაგები იქნება, რომ აქ სრულყოფილი ბედნიერების მიღწევაზეა ლაპარაკი.

მატერიალური სხეულიდან გასვლის შემდგომ კი, ასეთ დონეს მიღწეული ინდივიდუალური სული თვით ცათა სასუფეველზე უფრო ზემოთ, ზეცაში გადასვლის უფლებას მოიპოვებს და, მართლაც, სისულელეა იმის მცდელობა სიტყვით გადმოვცე ეს სრულყოფილი ნეტარება, რაც მას იქ ელოდება. ეს იდეალური ნაწილი გახლავთ კოსმოსში არსებული მთელი გამოვლინებული თუ გამოუვლინებელი რეალობისა. შემიძლია თავისუფლად ვთქვა, რომ განდევილობა ჭეშმარიტი სარწმუნოების საუკეთესო ნაწილს წარმოადგენს.

ნეოცენტრიზმი

ამ ცნების წარმოთქმისას იგულისხმება ის, თუ რაზე კეთდება მისი მიმდევარი ყველა და ყველაფერის ცენტრირება (ბაზისად აღება და ინერციული მოქმედება). ნეოცენტრიზმში მე ვგულისხმობ რაიმე სიახლის გარშემო კონცენტრირებულობასა და ამ ნოვაციასზე მიზანმიმართულ ორიენტირებულობას. ეს ცნება თავის არსში მოიაზრებს კოსმოსში შემოსულ რაიმე რეალობას და ინდივიდუალური სულები, როგორც ინდივიდუალიზმის ე. წ. ვნებითი,

ემოციური ნაწილის წარმომადგენლები, დაუფიქრებლად მიილტვიან მისკენ. მათ ნებისმიერი სახის სიახლე იზიდავთ და ამ სიახლეში საკუთარი თვითგამოვლინების, იქ მიმდინარე მოქმედებებში მონაწილეობის დაუოკებელი სურვილი უჩნდებათ. წინსართში „ნეო“ იგულისხმება სიახლე, ნოვაცია კოსმიურ რეალობაში. ინდივიდუალური სულები, როგორც ინდივიდუალიზმის ემოციური ნაწილები, ბუნებრივად მიილტვიან ამ სიახლეებისკენ და ერთი სული აქვთ, როდის მოხვდებიან მიმდინარე მოვლენების შორიასლოს, რათა მათი დანახვა და გაგონება შეძლონ, მაგრამ თუ ისინი უშუალოდ, განგების დაუკითხავად და დამოუკიდებლად ჩარევას მოინდომებენ ამ მოვლენებში იმხელა ნაწილზე, რამხელაზეც ეს მცდელობა იქნება რეალიზირებული, ისინი ნეოცენტრიზმიდან ეგოცენტრიზმში გადავლენ. ანუ, უფრო მარტივი ენით რომ ვთქვათ, ინდივიდუალური სულის ნაწილი მუტაციას განიცდის და მატერიალურ სხეულად გარდაქმნის აუცილებლობის წინაშე დადგება. მან ამ ნაწილში ინდივიდუალიზმის ემოციური ნაწილი ინდივიდუალიზმის ამბიციურ ნაწილად გარდაქმნა. აი, სულ ესაა რაც მოხდა.

ნეოცენტრიზმი ამ წამისეული ხედვის ცნობიერებით არის შემოფარგლული, იგი არ ითვალისწინებს არც წარსულში არსებულ ზოგად ცნობიერებას და, სამწუხაროდ, ადვილად ახდენს მათ იგნორირებას (მისდევს რა საკუთარ „მე“-ში სპონტანურად გაჩენილ სუბიექტურ შეხედულებებს) და, რა თქმა უნდა, არ ითვალისწინებს არც მომავალში შემოსატან დასამკვიდრებელ ცნობიერებას, რის გამოც გაჩნდა სიახლის აუცილებლობა (შემდგომ კი არ ითვალისწინებს საკუთარი სუბიექტური შეხედულებების რეალიზაციის შემთხვევაში მათ შედეგებს). ნეოცენტრიზმით მომქმედი ცოცხალი არსებებისათვის მათთვის საგანგებოდ შექმნილი სარწმუნოების დარღვევა, რბილად რომ ვთქვათ, სავალალო შედეგების მომტანია. ადამიანებისთვის გასაგებ ენაზე რომ ითქვას, ისინი ადამისა და ევას ბედს გაიზიარებენ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სამოთხიდან გაძევებულ იქნებიან მატერიალურ სამყაროში, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მატერიალური სამყაროსთვის ნეოცენტრიზმი საუკეთესოა, ვიდრე მასზე დაბლა მდგომი მიმდინარეობა ანუ ეგოცენტრიზმი. ისე რომ, ვისაც მატერიალურ სამყაროში სხეულიდან სხეულში გადასვლა სრულიად აკმაყოფილებს, შეუძლია ამ წამიერი ინტერესებით ისულდგმულოს.

ოჯახური ცნების ნაირსახობები

აბსოლუტურად ყველაფერი, რაც ცოცხალ არსებაში საკუთარ ინდივიდში არსებული ჭეშმარიტად პოზიტიური ნაწილის აღიარებისა და გავრცელების სურვილების დიაპაზონშია გამოვლინებული, ოჯახის ცნების კომპეტენციაში იმყოფება.

ადამიანური გაგებისათვის თუ გავამარტივებ, შეიძლება უმარტივესი ფორმით ითქვას, რომ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში ჭეშმარიტად პოზიტიურ ნაწილს მისი ინდივიდუალური სული წარმოადგენს. აქედან კი, ავტომატურად გამომდინარეობს ის, რომ ოჯახის ცნება ინდივიდუალური სულის თვითრეალიზაციის მომცველი ყოფილა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის ცნება ინდივიდში არსებული პოზიტიური ნაწილის ქალური სანყის გამომხატველია. ჩემი შეხედულებით, იგი თავის გამოვლინებაში ხუთ ფორმას მოიცავს:

1. მატერიალური ცოდნის აღიარებისა და გავრცელების სახით, ანუ მშობლებისა და შვილების ურთიერთობები;

2. საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის აღიარებისა და გავრცელების სახით, ანუ ცოლ-ქმრული ურთიერთობები;

3. საკუთარი სულიერი კეთილდღეობის აღიარებისა და გავრცელების სახით, ანუ ინდივიდუალური სულისა და ღმერთის ურთიერთობები;

4. საკუთარი სულიერი ცოდნის აღიარებისა და გავრცელების, ანუ ინდივიდუალური სულისა და მთელი მის მიერ შეგრძნებით აღქმული, მის გარშემო არსებული გარემოს ურთიერთობები;

5. საკუთარ არსში არსებული ოთხივე ნაწილის აღიარებისა და გავრცელების სახით, ანუ ინდივიდუალური სულისა და მთელი გამოვლინებული კოსმიური ნაწილის, ერთიანი მთლიანობის ურთიერთობები.

ოჯახის ცნება რალაცა ტიპის სტატიკური მდგომარეობის დამყარების მცდელობისაკენ უბიძგებს ინდივიდს, თითქოს ისეთი რალაცა უნდა შექმნას, რასაც ადამიანური ცვლილებების შეტანა არასოდეს არ დასჭირდება. ოჯახის ცნებასთან უშუალოდ კონტაქტის დამყარების შემდგომ აუცილებელია და სასურველი მის პარალელურად სარწმუნოებასთან მაქსიმალური კონტაქტის ქონა იმდენად, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახი თავისი ნებისმიერი დიაპაზონით ბენდიერების მაგივრად, შეიძლება ითქვას, სავალალო მდგომარეობაში ჩააგ-

დებს ინდივიდუალურ სულს და მთლიანად ინდივიდს. რამეთუ არ შეიძლება იგნორირებულ იქნას ევოლუციის მუდმივობის აუცილებლობის წმინდათაწმინდა პრინციპი. თავად მიხვდება ნებისმიერი, ვინც დაფიქრდება იმაზე, რომ არ შეიძლება მოინდომოს მის სურვილებზე აენყოს აბსოლუტურად ყველა, ან თუნდაც ერთი ნებისმიერი სხვა ინდივიდუალური სული.

ე. ი. თუ ოჯახის ცნება ინდივიდში არსებული ჭეშმარიტი პოზიტიური ნაწილის ქალური სანყისის გამომხატველია, მამაკაცური სანყისის გამომხატველად ამ კონტექსტში მოიაზრება – სარწმუნოება. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს გონიერი ცოცხალი არსებებისათვის.

აღბათ ჯობია თითოეული ოჯახური ფორმის გამოვლინებას დაეთმოს დანარჩენი ადგილი ამ თავში და ცალ-ცალკე იქნას ინდივიდუალურად განხილული.

1. საკუთარი მატერიალური ცოდნის აღიარების და გავრცელების სურვილის საფუძველზე აგებული ოჯახური ფორმა, ანუ მშობლებისა და შვილების ურთიერთობები.

ოჯახის ცნების ეს გამოვლინება ცოცხალი არსების მიერ საქმიანობის ყველაზე დაბალი რანგის მიზეზზე, მცდელობებზე მიჯაჭვებით არის გამოწვეული. ძირითადი და წამყვანი ადგილი მშობლებისა და შვილების ურთიერთობებში პირობითი რეფლექსების გამოვლინებას უკავიათ.

შეიძლება ითქვას, რომ როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, ძირითადი მამოძრავებელი ძალა გახლავთ კინემატიკური ანუ მუდმივად ცვალებადი ამბიციები. მშობლები შვილებთან მიმართებაში უპირატესობის შეგრძნებით იმართებიან. ამ უპირატესობის საფუძველად ისინი მატერიალურ ცოდნას თვლიან, რომელიც, უბრალოდ, ცხოვრებაში მომხდარ მოვლენების შედეგად ავტომატურად შეიძინეს და ამის დეკლარირებით შვილებისაგან პატივსა და თაყვანისცემას მოითხოვენ, ხოლო შვილები მშობლებისაგან ხმამაღლა ან, უფრო ხშირად კი, მალულად მოითხოვენ ისე მოეპყრან, როგორც მშობლებს სურთ რომ შვილები ეპყრობოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ყველაზე მცირე, რაც სურთ შვილებს, ეს არის ის, რომ ანგარიშს უწევდნენ მათ შეხედულებებსა და სურვილებს და, აქედანაც თუ კიდევ მინიმუმზე დავალთ, ყველაფერთან იმასთან მიმართებაში, რაც პირადად, უშუალოდ მათ ეხებათ, საკუთარი ბედის განკარგვის უფლება დაუტოვონ.

ძალიან დადებით და სასარგებლო ტენდენციად მიმაჩნია ის ფაქტორი, რომ ოჯახური ცნების ეს ფორმა აბსოლუტურად თვალნათლივ დასანახს ხდის ნებისმიერ ცოცხალ არსებაში არსებული პირობითი რეფლექსების გარეთ, „სააშკარაოზე“ გამოტანას და მთლიანად ახდენს გამოჩინებას საკუთარი კინემატიკური ამბიციების რაოდენობისა და ხარისხისა.

სარწმუნოებას თუ მოიშველიებენ, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, მაშინ მშობლები შვილის აუცილებელი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით დაკავდებიან, ხოლო შვილი კი მშობლებისათვის საჭირო და აუცილებელი მატერიალური უფლებამოსილების საკითხებში შეცილებას აღარ დაინწყებს. თუმცა, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ შედეგებზე პასუხისმგებლობა მშობლებზე ძევს.

2. საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის აღიარებისა და აფიშირების სურვილის საფუძველზე აგებული ოჯახური ფორმა, ანუ ცოლ-ქმრული ურთიერთობები.

ოჯახის ცნების ეს გამოვლინება ცოცხალი არსების მიერ საქმიანობის ერთ-ერთ მიზეზზე, გრძნობებზე (ემოციებზე) მიჯაჭვით არის გამოწვეული. ძირითადი და წამყვანი ადგილი ცოლისა და ქმრის ურთიერთობებში უპირობო რეფლექსების გამოვლინებას უკავიათ. შეიძლება ითქვას რომ, როგორც ერთი ისე მეორე მხრიდან, ძირითადი მამოძრავებელი ძალა გახლავთ კინემატიკური ანუ მუდმივად ცვალებადი ემოციები.

მატერიალური კეთილდღეობა ამ შემთხვევაში პირველ რიგში აღიქმება მატერიალური სხეულების მიღებული კრიტერიუმების შესაბამისი მდგომარეობით. ეს არის, ასე ვთქვათ, საზომი ერთეული და, ვფიქრობ, ეს სრულიად ნორმალური რამაა. ამის შემდგომ კი, ანგარიშში მიიღება მატერიალური მდგომარეობა, სხეულის კუთვნილებაში მქონე ქონება, რაც ამ სხეულის უზრუნველყოფას ემსახურება. ქმრები ცოლებთან მიმართებაში ვნების დაკმაყოფილების სურვილით იმართებიან, ვნების დაკმაყოფილების უფლების აღების საფუძველად კი, სასქესო ორგანოს ქონას მიიჩნევენ. ცოლები კი ქმრებთან მიმართებაში საკუთარი სხეულის უზრუნველყოფის სურვილით იმართებიან და ამ სურვილის რეალიზაციის საფუძველად ისინიც სასქესო ორგანოთი ქმრის ვნების დაკმაყოფილებას, მისი გამოყენების უფლების მიცემას მიიჩნევენ.

სარწმუნოებას თუ მოიშველიებენ, მაშინ ქმარი ცოლისთვის სიამოვნების მინიჭების სურვილით იმოქმედებს ქმედების ნებისმიერ

გამოვლინებაში, რა თქმა უნდა, სქესობრივი აქტის ჩათვლით, რითაც ეგოისტური მიდრეკილება ღვთაებრივ აქტად გარდაიქმნება. ცოლი კი ქმრისათვის კმაყოფილების მინიჭების სურვილით იმოქმედებს, აქაც, სქესობრივი აქტის ჩათვლით და ისინი ერთ არსებად გადაიქცევიან და ბედნიერნი იქნებიან.

3. საკუთარი სულიერი კეთილდღეობის აღიარებისა და გავრცელების სურვილის საფუძველზე აგებული ოჯახური ფორმა, ანუ ინდივიდუალური სულისა და ღმერთის ურთიერთობები.

ოჯახის ცნების ეს გამოვლინება ადამიანური ცნობიერების მიერ არ არის ოჯახად წოდებული, რამეთუ იგი მატერიალურად ხილული არ არის. იგი საქმიანობის ერთ-ერთ მიზეზზე, ქმედების ადგილზე მიჯაჭვით არის გამოწვეული. ძირითადი და წამყვანი ადგილი ინდივიდუალური სულისა და ღმერთის კულტური აღქმის ურთიერთობებში ასკეტიზმს, მატერიალურობიდან განზე დგომას უკავია. ძირითადი მამოძრავებელი ძალა, როგორ ერთი ისე მეორე მხრიდან, გახლავთ კინემატიკური, ცვალებადობისკენ მიდრეკილი გონება. სულიერ კეთილდღეობად აქ აღიქმება მატერიალურ სამყაროში ან სულიერ სამყაროში მოვლინების მომენტში არსებული ინდივიდუალური სულის ინტელექტუალური მდგომარეობის სრულყოფილი აღდგენის სურვილი და საბოლოოდ, მისი აღდგენა. აქ მატერიალური სხეული უკვე ინდივიდუალური სულის სამსახურში გადასვლის ტრანსფორმაციას განიცდის.

ღმერთი ინდივიდუალურ სულთან მიმართებაში ამ ოჯახურ ცნებაში მოვალეობის შესრულების რაოდენობითა და ხარისხით საზღვრავს თავის ურთიერთობას, ხოლო ინდივიდუალური სული ღმერთთან მიმართებაში სულიერი კეთილდღეობის უზრუნველყოფის სურვილით იმართება და ამ სურვილის რეალიზაციის საფუძველად საკუთარი გაგებით გაღებულ მსხვერპლს (ასკეტიზმს) მიიჩნევს, ვერ ხვდება რა სრულად იმას, რომ ეს მისთვისაა ზედმინვნით სასიკეთო და არავის თავი არ უნდა დაამადლოს.

თუ აქაც სარწმუნოებით ვიხელმძღვანელებთ და კულტური გაგებით აღქმული ღმერთი ინდივიდუალური სულის მხრიდან შეეცდება მხოლოდ იმდენი სულიერი კეთილდღეობა მიანიჭოს მისკენ მიმართულ ინდივიდუალურ სულს, რამდენიც ამ უკანასკნელს ჭეშმარიტი რწმენა გააჩნია, მაშინ კულტური ცნება ნელ-ნელა დოგმირებულობიდან გულწრფელობად გარდაიქმნება, ხოლო ინდივიდუალური სულისათვის ფიზიკური ასკეტიზმი სულიერ განდევილობად გადაიქცევა და განგების მიერ ინდივიდუალურ სხეულზე გან-

საზღვრული საქმიანობის შესრულებაში საერთოდ აღარ ჩაერევა და მოწმე გახდება ინდივიდუალური სხეულის მოქმედებებისა და სხვა არაფერი (ისე მოიქცევა როგორც ზესული).

4. საკუთარი სულიერი ცოდნის აღიარებისა და გავრცელების სურვილის საფუძველზე აგებული ოჯახური ფორმა, ანუ ინდივიდუალური სულისა და უშუალოდ მის გარშემო არსებული მთელი გარემოს ურთიერთობები.

ეს ოჯახური ცნებაც ადამიანური გაგების მიღმა იმყოფება. იგი საქმიანობის ერთ-ერთ მიზეზზე, მოქმედებზე მიჯაჭვით არის გამონვეული. ინდივიდუალური სულისა და სხეულის ანუ მთელი ინდივიდის ურთიერთობაში მთლიანად მატერიალურად აღქმად გარემოსთან ძირითადი და წამყვანი ადგილი კეთილშობილებას, სიკეთის ანუ ჭეშმარიტად საკეთებლის კეთებას უკავია. ძირითადი მამოძრავებელი ძალა, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან გახლავთ კინემატიკური ანუ სრულყოფისკენ, ევოლუციურებისკენ მიდრეკილი გრძნობა. სულიერ ცოდნად აქ აღიქმება ჰარმონიის დამყარება იმ გარემოში, სადაც ინდივიდი იმყოფება. ამ ოჯახური ცნების აღქმის დიაპაზონში „ეგო“-ს, უცხოს, მტრის, დაპირისპირების გაგება აბსოლუტურად ქრება და ყოველივე ხილული, სმენადი, შეგრძნებადი „მე“-დ არის აღქმული.

ინდივიდი გარემოსთან მიმართებაში მატერიალური ცოდნის სულიერ ცოდნად გარდაქმნის და მისი გავრცელების სურვილით იმართება, ხოლო გარემო ინდივიდთან მიმართებაში სულიერი ცოდნის მატერიალურად დანახვების მოთხოვნით არის მართული, თუმც, ამას ხმამაღლა არ უცხადებს ინდივიდს.

სარწმუნოების შემოტანით აქაც ავტომატურად ყველაფერი საუკეთესოდ ლაგდება. ინდივიდი გარემოს იმდენ სულიერ ცოდნას აძლევს, რამდენსაც ეს უკანასკნელი ითხოვს მისგან, ანუ არც ნაკლებს და, მით უმეტეს, არც მეტს, რამეთუ ეს ბოროტების მომტანი იქნება. გარემო კი ცდილობს აიმაღლოს საკუთარი პასუხისმგებლობა ინდივიდთან მიმართებაში, რითაც ამარცხებს საკუთარ ურწმუნოებას, ერევა სიზარმაცეს, უჩნდება სულიერი განათლების სურვილი და მორჩილებითა და თაყვანისცემით უდგება ინდივიდს, როგორც მასწავლებელს და მოძღვარს.

5. საკუთარი მატერიალური ცოდნის, მატერიალური კეთილდღეობის, სულიერი კეთილდღეობისა და სულიერი ცოდნის ურთიერთგათვალისწინებით აღიარებისა და გავრცელების სურვილზე აგებული ოჯახური ფორმა, ანუ ინდივიდუალური სულისა და მთე-

ლი გამოვლიენებული კოსმიური ნაწილის, ერთიანი მთლიანობის ურთიერთობები.

ეს ოჯახური ცნება ჭეშმარიტად ღვთიური გაგების ნაყოფია. იგი საქმიანობის იერარქიულად ყველაზე მაღალ მიზეზზე ზესულზე მიჯაჭვით არის გამოწვეული. ინდივიდისა და ერთიანი მთლიანობის ურთიერთობებში ძირითადი და წამყვანი ადგილი განგებას უკავია. ძირითადი მამოძრავებელი ძალა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, გახლავთ კინემატიკური ანუ ტრანსცენდენციისკენ მიდრეკილი ჭკუა. ეს არის უმაღლესი ოჯახური ცნების ფორმა, სადაც ინდივიდის ინდივიდუალური სული ზესულის მსგავსად იქცევა და მისი მხრიდან და თვით ღმერთების უზენაესი პიროვნების სრული ნდობითაც კია უკვე დაჯილდოებული. ამ დონემდე მისული ინდივიდი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს კოსმიურ რეალობაში, ფაქტიურად, მატერიალური მოდუსების ზეგავლენისაგან თავისუფლდება და ჭეშმარიტი თავისუფლება, საკუთარი ბედ-იღბლის განგების უფლებაც კი ენიჭება, და თუმცა მას „ეგო“-ში აღარც თვითრეალიზაციის სურვილი აღარ გააჩნია, ბუნებრივად ახორციელებს თვითრეალიზაციას „მე“-ში, თვითრეალიზაციის მნიშვნელობის შეგნებით არის მუდმივად მართული და თვითრეალიზაციის შეგრძნება (რა, როდის, სად, რისთვის, რატომ, ვისთან, როგორ და რამდენი გააკეთოს) არასოდეს არ სტოვებს.

სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, ერთადერთი, რასაც ვურჩევდი ამ ოჯახური ცნების დონემდე მისულ ინდივიდს, გახლავთ ის, რომ არასოდეს არ შეწყვიტოს მუდმივი და წმინდა, ერთგული მსახურება უპიროვნო განგებასა და მის პირად წარმომადგენლებთან მიმართებაში ინდივიდუალური კუთხით, ხოლო არაინდივიდუალური კუთხით კი, არ შეწყვიტოს აბსოლუტური ჭეშმარიტების ფილოსოფიური ძიება მატერიალურ ცოდნაში, მატერიალურ კეთილდღეობაში, სულიერ კეთილდღეობასა და სულიერ ცოდნაში.

IV თავი ადამიანური ყოფიერება

საკუთარი პიროვნების ეთიკური დონეზე უფრო დაბლა მდგომ ეთიკურ დონესთან მიმართებაში საჭირო უფლებებისა და მოვალეობის განსაზღვრა

ადამიანური ყოფიერება თავის არსში მოიაზრებს ადამიანური ცნობიერების მიერ (გრძნობების მიერ) ღვთიური ცნობიერების საპირისპირო მიმართულებით თვითგამოვლინებას, რეალიზაციას, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა მცდელობებით ხორციელდება. ღვთიური ყოფიერებისაგან (მომქმედისაგან) განსხვავებით, ადამიანური ცნობიერება ბირთვის ცენტრისკენული ვექტორის (აჩქარების) მიმართულებით მოძრაობს. ეს ის ბირთვია, რომელიც უკვე მოცული აქვს ადამიანურ ცნობიერებას.

დავინწყოთ იქიდან, თუ რა არის მცდელობა და რისკენ და რისთვის არის ნებიმიერი მცდელობა მიმართული. გრძნობები, როგორც აღვნიშნე, აჩქარების საშუალებაა. გრძნობების ის ნაწილი კი, რომლებიც ქვემოთ, მასის, მატერიის, ცხოველური ნების დაკმაყოფილებისკენ იქნა მიმართული, თავისთავად უფრო დაბალ ორბიტაზე ჩამოსვლის მიზეზი გახდა. ეს უკვე გრძნობების მუტირებულ ნაწილად, ემოციებად გადაქცეული ნაწილია და თავისი ბუნებით სიამოვნების მიღებისკენ არის მიდრეკილი. ეს კი, თავისთავად, უმეცრების, ეგოცენტრულობის გამოვლინებულ ფორმას წარმოადგენს. ანუ ნებისმიერი მცდელობა სხვა არაფერია თუ არა მასისთვის, სხეულისთვის (საკუთარი სულის ერთჯერადი ტანისამოსისთვის) სიამოვნების მინიჭების სურვილი.

იმისათვის, რომ არავითარი დისონანსი არ შევიტანოთ საქმიანობის მეოთხე მიზეზში, უპირველესი, რაც უნდა იქნას გათვალისწინებული არის ის, რომ აქ აჩქარების არანაირი ფორმის შეტანა არ არის საჭირო და სასურველი, ანუ ახალი გრძნობებით არ მოვახდინო: 1) ემოციების გაზრდა ამ ახლად შემოტანილი გრძნობების მუტირებით; 2) ან უკვე მუტირებული გრძნობების (ემოციების) განადგურება, რაიმენაირი ძალმომრეობა, სხეულის შეგნებულად წამებითა და სხეულის ნაწილების შევიწროება-განადგურებით. ეს განყოფილება არავითარ შემთხვევაში არ ითხოვს ახალი პრობლემების დამატებას იმაზე, რაც უკვე დაგროვილია. ამ პრობლემების უმტიკივნიულოდ გადაწყვეტას ავტომატურად საქმიანობის მესამე

მიზეზი ახდენს, როდესაც ადამიანური ცნობიერება ღვთიური ცნობიერებისკენ მიიმართება.

ისე რომ, სჯობს ყველა ნაწილმა თავისი საქმე აკეთოს. გრძნობებმა, ადამიანურმა ცნობიერებამ საქმიანობის მეოთხე მიზეზის, ადამიანური ყოფიერების, სხვადასხვა მცდელობების მიმართ უმჯობესია და სასურველია ზომიერი თანამიმდევრულობისა და არაძალადობის პრინციპების დაცვით იხელმძღვანელოს და დაე, თვით მოდუსებმა (ანარეკლმა) იმოქმედოს, ხოლო ინდივიდუალური სული ჯობს შეეცადოს, უბრალოდ, გვერდიდან მაყურებელი იყოს და საკუთარი ინიციატივა საერთოდ არ გამოიჩინოს. ვფიქრობ, ეს სრულიად ნათლად დაანახებს ქმედების ადგილთან საკუთარი არაეთიკურობის, უკვე დარღვეული ნაწილის რაობას.

რაც შეეხება გარემოს, სხვა ინდივიდუალური სულების თვალთახედვით ეს ინდივიდუალური სული ისეთი საყურებელი და მოსასმენი იქნება, როგორც ყველაზე აქტიური და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზედმინევით ყველაზე სასურველი კონტაქტორი, რამეთუ იგი სხეულს საერთოდ არ შეზღუდავს და არც სხვას შეუზღუდავს არაფერს. ეს გარემოს მხრიდან უშუალოდ არნახულ დემონსტრირებად იქნება აღქმული, რამეთუ მატერიალურ სამყაროში ძირითადში ყველა საკუთარ „მე“-ს საკუთარ სხეულთან აიგივებს. აღარ იქნება სირცხვილის, სინდისის, ღირსების, თავისუფლების პარამეტრალურ ნორმებზე ზრუნვის, მათზე ფიქრის (დროის ხარჯვის) აუცილებლობით გამოწვეული შეზღუდვები. როდესაც ინდივიდუალური სულის მხრიდან არ მოხდება არანაირი ჩარევა, ყველაფერი თავისთავად, ბუნებრივად დაიწყებს სვლას ერთადერთი პრინციპის, ნიუტონის მესამე კანონის საფუძველზე: *ნებისმიერი სხეულის ქმედება მეორე სხეულზე იწვევს ამ ქმედების აბსოლუტურად ტოლ უკუქმედებას მეორე სხეულის მხრიდან პირველ სხეულთან მიმართებაში.*

$$\overline{F} = -\overline{F}$$

საჭირო და სასურველია არაინიციატივიანობისა და არააქტიურობის სრული დომინანტური მდგომარეობა. სასურველი იქნება არავითარი აქტიურობა საკუთარი ინდივიდუალური სულის მხრიდან, ანუ საკუთარი სხეულის მიმყოლობა სიტუაციის აქტივიზატორის მიერ გამოწვეული ქმედების სრული რეზონანსირების ამონურვამდე. ეს დაახლოებით ისევე გამოდის, რომ სხეულს თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება და ყოფა ჰქონდეს ინდივიდუალური სულის მცდელობებისგან დამოუკიდებლად. თუმც, სხეულის მა-

მოძრავებელი, ეჭვგარეშეა, ინდივიდუალური სული იქნება, მაგრამ ის უფრო შექმნილი სიტუაციების მონმე, გვერდიდან მაყურებელი იქნება, ვიდრე მონაწილე.

და კიდევ ერთი – როგორც შეექმნება სხეულს გარემო, ისეთი იქნება ინდივიდუალური სულის ეთიკურობის (ქმედების ადგილისთვის მისაღები) საქმიანობის ხარისხი. ასე რომ, ეს იქნება მშვენიერი საშუალება, როგორც საკუთარი სულიერი მდგომარეობის რეალურად დანახვისთვის, ისე მატერიალურ სამყაროში საჭირო და სასურველი გზით სვლის სრულყოფისთვის.

საქმიანობის მეოთხე მიზეზთან, სხვადასხვა მცდელობებთან მიმართებაში ინდივიდუალური სულის ორი შემადგენელი საწყისი შემდეგი სახის ამოცანის წინაშე დგებიან:

1. სხვადასხვა მცდელობებთან მიმართებაში ქალური საწყისის მიზანი უნდა გახდეს ის, რომ უბრალოდ უყურებდეს და უსმენდეს ე. წ. ანარეკლს (საკუთარი არასრულყოფილების ნომინალურ პარამეტრს) და არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევიდეს მასში. არ მოექცეს ანარეკლის ზეგავლენის ქვეშ, არ იმართებოდეს მისით.

2. მამაკაცური საწყისის სხვადასხვა მცდელობებთან მიმართებაში მიზანი უნდა გახდეს ის, რომ ხედავდეს და ესმოდეს ანარეკლის (საკუთარი არასრულყოფილების ნომინალური პარამეტრის) არსი და, იმ ანარეკლში მყოფთაგან მხურვალე სურვილის შემთხვევაში, გამოიყვანოს ისინი ანარეკლიდან და არ მოინდომოს ანარეკლი თავისი ზეგავლენის ქვეშ მოაქციოს, მართოს.

ამის დარღვევის შემთხვევაში, ინდივიდში სქესობრივი სურვილის ჩასახვა ხდება. უფრო გასაგები ენით რომ ითქვას, ეს სქესობრივი ურთიერთობები კმაყოფილების მიღების, თვითდაკმაყოფილების ან სიამოვნების მიღების, თვითსიამოვნების ფორმას წარმოადგენს ადამიანურ (მატერიალიზირებულ) ყოფიერებაში. ამ ე. წ. დარღვევას ანუ სქესობრივი სურვილის წარმოქმნას კი იწვევს აჩქარების ნებისმიერი ფორმის შეტანა გრძნობების მიერ სხვადასხვა მცდელობებში ანუ ინდივიდუალური სულის აქტიური (შეიძლება ითქვას აგრესიული) ჩარევა ინდივიდუალური სხეულის გარშემო და შიდა შექმნილ სიტუაციებში მოდუსების მიერ. ვიდრე გრძნობების მხრიდან მიღებული და დაცული არ იქნება ანარეკლში ჩაურევლობის პრეზუენცია, ვერც ერთი ცოცხალი არსება ვერ შეძლებს საკუთარ მცდელობებში უშუალობისა და ბუნებრივობის მიღწევას. ამ პირობის დაცვის შემთხვევაში კი ყველანაირი გამოვლინება გრძნობისა, კმაყოფილების გაცემაში ან სიამოვნების გაცემაში იქ-

ნება გამოხატული და ადამიანური ყოფიერების პროცესში გამოვლენილი მცდელობებიც კი, სიხარულისა და სიყვარულის მთესველნი გახდებიან. როგორი სახითაც არ უნდა იყვნენ ისინი გამოვლენილნი, მხოლოდ სიკეთის, ჭეშმარიტად საკეთებლის განხორციელებით იქნებიან დაკავებულნი და თვით მამაკაცსა და ქალს შორის გამოვლენილი სქესობრივი ურთიერთობებიც კი, ღვთიურ აქტად, ღვთისთვის მოსაწონ ურთიერთობებად გადაიქცევიან და ნაყოფი ამ ურთიერთობებისა იქნება გან(რ)წმენდა და ყოველგვარი შიშის აღმოფხვრა, ნდობა და შინაგანი გამთლიანება, სიმამაცე და სინმინდე, სინატიფე და კდემამოსილება.

როგორ უნდა მოხერხდეს საქმიანობის მიზეზების დამაკმაყოფილებლად ან, უკეთეს შემთხვევაში, საუკეთესოდ შესრულება საქმიანობის მეოთხე მიზეზის, სხვადასხვა მცდელობების მიმართ:

ა) ქმედების ადგილი ე. წ. ანარეკლის ანუ კარმის შესაბამისი მატერიალური გარემოს სიღრმისეულ და ზედაპირულ ხარისხსა და რაობას განსაზღვრავს და გამოხატავს. ეს, ძირითადად, განისაზღვრება ანარეკლზე მიჯაჭულობის შესაბამისობისდა მიხედვით.

ბ) მომქმედი უნდა ცდილობდეს ანარეკლიდან გამოსვლის მსურველის ამოყვანას. სიტუაციის შესაბამისი მიდრეკილებით უნდა იყოს განმსჭვალული და შესაბამისი პორცილობა ზედმინევნით უნდა დაიცვას. სასურველი რეალობად არ უნდა გაასაღოს მატერიალური ობიექტური რეალობის იგნორირების ფასად.

გ) გრძნობები უნდა ცდილობდნენ სიტუაციების მიერ შექმნილ რეალობებს ილუზიურ სამყაროში (ანარეკლს) არანაირი ფორმით არ მიეჯაჭვონ და გვერდიდან მაყურებლის და მსმენელის პოზიციის დაცვით სრული ჩაურევლობის პრეზუნცია ზედმინევნით დაიცვან.

დ) ზესული განხორციელებული მცდელობების სრულ სუმირებას, შეჯამებას ახდენს და, ამისდა შესაბამისად, აგრძელებს ანარეკლის, გამოსახულების შექმნას ნებისმიერი კონკრეტული შემთხვევისათვის.

აგრეთვე, აღსანიშნავია ის, თუ როგორ უნდა მოხერხდეს საქმიანობის მიზეზთა მიმართ დამაკმაყოფილებლად და საუკეთესოდ ურთიერთობა მცდელობების მიერ:

ა) მცდელობები, ქმედების ადგილთან მიმართებაში, უნდა ცდილობდნენ გრძნობების მიერ სულიერი ობიექტური რეალობის დარღვევების შედეგად მომქმედის მიერ განხორციელებული მატერიალური ობიექტური რეალობის ზედმინევნით მიღებას და არავი-

თარი ალტერნატიულობის შეტანას პარალელურად მომქმედისა და არსებული ობიექტური რეალობისა. ისინი მტკიცედ უნდა იყვნენ დაკავებულნი მოდუსების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების სრულყოფილად აღსრულებით.

ბ) მცდელობები, მომქმედთან მიმართებაში, უნდა ცდილობდნენ, ყველა და ნებისმიერი, მათი გამოვლინება მომქმედის მსახურებას მიუძღვნან და, საერთოდაც, საკუთარი თავი მთლიანად მსხვერპლად მიუძღვნან მას.

გ) მცდელობები, გრძნობებთან მიმართებაში, უნდა ცდილობდნენ შინაგანი სულიერი მდგომარეობა გაითვალისწინონ და ნეგატიური ზეგავლენა არ მოახდინონ გრძნობებზე, ანუ არ უნდა ეცადონ, ძალით ან პროვოცირებით, ჩაითრიონ თავისი (სხეულის) ინტერესების რეალიზაციისათვის.

დ) მცდელობები, ზესულთან მიმართებაში, უნდა ცდილობდნენ საკუთარი რაობა (სურვილები) ზესულის, როგორც ინდივიდუალური სულის მიერ წარმოქმნილ საბაზად აღიქვან, ხოლო გრძნობების მიერ ნამოქმედარის შედეგად მიღებული მატერიალური ობიექტური რეალობა (ილუზია, ანარეკლი) ზესულის არაინდივიდუალურად გამოვლინების საბაზად მიიღონ, როგორც მომქმედის მიერ ნამოქმედართან დაპირისპირების შედეგად მიღებული ილუზიური რეალობა. ანუ შეძლონ, აღიარონ საკუთარი დაჩქარების ან შენელების ტენდენცია მოვლენების ბუნებრივი სვლის მიმდინარეობასთან შედარებით, რაც ხელს შეუწყობს საჭირო და სასურველი ჭეშმარიტი გზის ტრეკტორიაზე დაბრუნებას და მამაკაცურ და ქალურ სანყისებში წარმოქმნილი ურთიერთდაპირისპირების აღმოფხვრას და ურთიერთგაგებას.

აი, ამ ჩამოთვლილი პირობების დასაკმაყოფილებლად ერთი აუცილებელი პრინციპი უნდა დაიცვან მცდელობებმა. კერძოდ, ისინი ზემოთ, გრძნობების მიმართულებით, უნდა მიისწრაფვოდნენ და არანაირად არ უნდა დაუშვან ქვედა მიმართულებით გრძნობების მიერ აღქმული ობიექტებისკენ სვლა და მათზე მიჯაჭვა-მინება.

მცდელობებმა თავისი ფუნქციონალური დანიშნულების რაობისა და არსის აღქმა უნდა შეძლონ. ისინი, ზედა და ქვედა მიმართულებით სვლის პროცესში მიღებადი, შესაძლო პოტენციური შედეგების თვითგანსაზღვრულობით უნდა დაკავდნენ და გრძნობებს უზარმაზარი დახმარება უნდა გაუწიონ მათთვის საჭირო საქმიან-

ნობის განსაზღვრაში. ეს ის უნიკალური შემთხვევა იქნება, როდესაც განგების მიერ მათი თვითრეალიზაციის პროცესში ხელისშემშლელი ფაქტორი, უბრალოდ, არ იარსებებს და თვით მოდუსები კეთილად განეწყობიან მათ მიმართ და მატერიალური კეთილდღეობით, ჯანმრთელობითა და მატერიალური სიმდიდრითა და მატერიალური აღიარებულობითაც კი უზრუნველყოფენ.

გრძნობებთან მიმართებაში მცდელობებმა უნდა დაიკავონ მორჩილი მიმყოლის, მონაფის, ე. წ. ქალური სანყისის პოზიცია.

დუნე მატერიასთან, გამოვლინებულ მატერიალურ სამყაროსთან, ანარეკლთან მიმართებაში, მცდელობებმა უნდა დაიკავონ ნამყვანის, მასწავლებლის, ე. წ. მამაკაცური სანყისის პოზიცია.

ამიტომ, სასურველია, მცდელობებმა ჯერ საკუთარი მონაფეობის კურსი ამოწურონ სრულად ისე, რომ ვიდრე ქვედა მიმართულებაზე გადავლენ, ზევით გრძნობების პოტენციული სრულად დააკმაყოფილონ. ეს, დაახლოებით ნააგავს საპროგრამო მასალის სრულად, მთლიანად აღნუსხვას, არწერას და რიგობრივად, მონესრიგებულად ჩანიშნას ისე, რომ რაიმე პუნქტი არ გამოიჩინოს ან შემდგომ არ გამოხტეს, რაც იმდენად პროვოკაციული იქნება, რომ ყველაფრის აღრევას გამოიწვევს მცდელობებში და შემდგომად ამისა უნდა მოხდეს ამ ნუსხის დაკმაყოფილება მატერიალური სამყაროს მმართველი მოდუსების მიერ დამკვიდრებული მატერიალური ობიექტური რეალობის სრული მიღებით, ყოველგვარი დაპირისპირების გამორიცხვით.

ზედა მიმართულების განმსაზღვრელი უნდა იყოს, გრძნობების მიერ ჯერ არ ათვისებულ და ვერ გაცნობიერებულ ნაწილთან მიმართებაში გამოთქმულ შეხედულებათა ნუსხის შედგენა, რომლებიც, ნებისმიერი ალბათობის დაშვებით, თითქმის ასი პროცენტით პოტენციური შეცდომების ტოლფასია თუ ისინი მომქმედთან შეთანხმების შედეგად არ მომდინარეობენ. ეს აღნუსხვა არაძალადობისა (რა?) და ზომიერი თანამიმდევრულობის (როგორ?) პრინციპებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს. ამ მოქმედებათა აზრი კი იმაში მდგომარეობს, რომ ვინც არ იცის დიაგნოზი, ავადმყოფს ვერაფრით უმკურნალებს. ანუ ეს ნუსხა იქნება სხვა არაფერი, თუ არა „ავადმყოფობის“ მიზეზი და ამ ფაზაში განკურნვა გაცილებით უფრო ადვილია ვიდრე მას შემდეგ, რაც ეს შეხედულებები ხორცს შეისხამენ და მიზეზი საბაბად გადაიქცევა, რამეთუ შემდგომ, გრძნობის მიერ აღქმულ ობიექტზე მიჯაჭვება თუ მოხდება, ავხორცობა წარმოიქმნება (გონებრივი ცოდნის არ ქონის გამო შეც-

ნობა შეხების საშუალებით მოუნდება გრძნობას), რაც, თავის მხრივ, მრისხანებას წარმოქმნის (გრძნობის ობიექტი, შეხებაში ყოფნის პროცესში, მინიმუმ – ვერ დააკმაყოფილებს სურვილს, მაქსიმუმ – არ მოინდომებს და წინააღმდეგობას გაუწევს), ეს კი, თავის მხრივ, ილუზიას წარმოშობს (საჭირო გახდება თვალთმაქცური გარემოს შექმნა, გრძნობის ობიექტის მისატყუებლად, ან გრძნობის ობიექტისთვის სასურველად გადაქცევა დასჭირდება), ილუზიიდან კი მეხსიერების დაბნევა მოხდება (მთელი გონებრივ-ინტელექტუალური პოტენციალი ამ ილუზიური გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას დასჭირდება). როდესაც მეხსიერება დაიბნევა, გონიერება დაიკარგება და გრძნობები უფრო მეტად მიენებებიან ანარეკლს.

აი, ამიტომ, ზედა მიმართულებასთან მიმართებისას, მცდელობები მხოლოდ მცდარი შეხედულებების ნუსხის შედგენით უნდა შემოიფარგლონ.

ეს რაც შეეხება ახალი პოტენციური ჭუჭყის გავრცელებასა თუ შეჩერების თემას, მაგრამ აბსოლუტურად ყველა მატერიალიზირებულ არსებას გააჩნია უკვე თანდაყოლილი კარმა ანუ სულიერი ჭუჭყი, სხვაგვარად ისინი მატერიალურ სამყაროში არ მოხვდებოდნენ. აი, ზუსტად ამის შესახებ და ამაზე უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება მცდელობების მიერ ქვედა მიმართულებასთან უკვე არსებულ და ჩამოყალიბებულ მატერიალურ ობიექტურ რეალობასთან, დუნე მატერიასთან მიმართებაში.

ქვედა მიმართულებასთან მიმართებაში განმსაზღვრელი უნდა იყოს მატერიალური მოდუსების მიერ სულიერი ჭუჭყის, კარმის მატერიალიზირებული ნაწილის შესაბამისი მატერიალური ობიექტური რეალობის მიერ მცდელებზე დაკისრებული მოვალეობების განუხრელად ზედმინევით შესრულება ამ განხორციელებული სულიერი ჭუჭყის შედეგებზე მიჯაჭვულობის გარეშე. უკლებლივ ყველამ უნდა აგოს პასუხი საკუთარ ნამოქმედარზე. ეს პროცესი უნდა ეყრდნობოდეს თვითკმარი მყუდროებისა (რა?) და ნებაყოფილობითობის (როგორ?) პრინციპებს. პროცესი კი, მატერიალურ სამყაროსთან, ანარეკლთან მიმართებაში უნდა იქნას მოხდენილი და გამოვლენილი. ამ პროცესის აბსოლუტურად სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, მცდელობები რელიგიური პრინციპების ბრმად შესრულების მდგომარეობიდან სარწმუნოების აღსრულების მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და მათში არანაირი სახის ვაკუუმში აღარ დარჩე-

ბა რალაცნაირი სახით ცდომილება ჩამოტანილი გემოვნების გამოვლინებისათვის.

ზედა მიმართულებასთან მიმართებაში კი, ზემოთაღწერილის აბსოლუტურად სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, მცდელობები შემოქმედების (შიდა მოქმედების) ქოტურის, მოუნესრიგებელი ფორმიდან შემეცნებულობის („მე“-ს შეცნობის) მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და მათში არანაირი სახის ვაკუუმი აღარ დარჩება რალაცა სახის ოცნებების (ოპოზიციური ცნებების) სახით და აზროვნების (აზრით ვნების, ზიანის შეტანის) ტენდენციებით.

შემეცნებულობისა და სარწმუნოებულობის მდგომარეობის ხელის შემშლელი მხოლოდ ერთდროულად ორივე მიმართულებით სვლის მცდელობები გახლავთ, რისი ძირითადი მაპროვოცირებელიც ვერ მოთმენა, თვითგამოვლინების უინი და საქმიანობის, მოვალეობების შედეგებით ტკბობის სურვილი, შედეგებზე მიჯაჭვულობები არიან.

თუ მცდელობები გრძნობების საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სულიერი ჭუჭყის მატერიალიზირებული ანარეკლის შესაბამის, მათზე დაკისრებულ მოვალეობებს მთლიანად სრულყოფილად შეასრულებენ, მაშინ მათ უფლება მიეცემათ „მე“-ს შეცნობისა და მეხსიერების აღდგენის სამსახურში დაკავდნენ და საკუთარი პროტენციული რელიგიური პრინციპებისა და გრძნობებიდან ახალი პროვოკაციების ნუსხის შექმნის შესრულებაში არ დახარჯონ (რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ გრძნობები მთლიანად იქნებიან მიჯაჭვულნი მოქმედზე სრული მორჩილებით და მათგან პროვოკაციული გამოხტომები აღარ მოხდება).

და საერთოდაც, რამხელაზეც მოხდება მცდელობების მხრიდან წარსულში გრძნობების მიერ ჩადენილი შეცდომების გამოსწორება, იმხელაზე გადავლენ რელიგიური პრინციპების შესრულებიდან სარწმუნოების აღსრულების, ანუ საჭიროების შეგნებულად აღსრულების მდგომარეობაში და იმხელაზევე, იმ დონის ტოლ დიაპაზონში ველარ მოხდება ახალი ინტრიგების ინსპირირება მომავლიდან გრძნობების მიერ, რამეთუ, ამ დიაპაზონის შესაბამის ნაწილში, ემოცია უკვე ჰარმონიზირებულ იქნება გონების მიერ.

თუკი მცდელობები გაჯიუტდებიან და მოდუსების მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს იგნორირებას გაუკეთებენ, მათი პროტენციული და შესაძლებლობები შემცირებასა და კლებას დაიწყებენ და, ყველაზე კარგ შემთხვევაში, სულიერ ჭუჭყს არაფერი მო-

აკლდება, ხოლო ყველაზე ცუდ შემთხვევაში კი, გრძნობებიდან ახალი ინტრიგების შეტანითა და მათი განხორციელების მცდელობით სულიერ ჭუჭყსაც გაზრდიან და აუტანლად საზარელი მატერიალური ყოფიერების შექმნასაც შეუწყობენ ხელს.

ცხოვრება თამაშია

უხერხულობის აუტანელი შეგრძნება იქ ისადგურებს, სადაც ინდივიდუალური სულებისთვის მიზანი ამართლებს საშუალებას და ვერ ხვდებიან, რომ ეს ე. წ. მიზანი მხოლოდ და მხოლოდ მათ მიერ გამოგონილი საბაბია და მეტი არაფერი. ამ საბაბის გამოგონებას მატერიალური სხეულის საკუთარ „მე“-დ აღქმა, სხეულის არსებობის პერიოდის უზენაეს ფასეულობად აღიარება იწვევს.

ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმის ჩამოყალიბება, თუ რა იწვევს საკუთარი არსის ანუ „მე“-ს მატერიალურ სხეულთან გაიგივებას, საკუთარი მეობის ასეთად აღქმას. თანამიმდევრული ჯაჭვი ამ ფენომენის წარმოშობისა შემდეგში მდგომარეობს: სულიერი ჭეშმარიტი ცოდნის ათვისების პროცესში, არსებობს ასათვისებელი მასალის მკაცრად აუცილებელი რაოდენობრივი კურსი. სწორედ ამ კურსის ათვისების პროცესში:

ა) ზოგიერთ ინდივიდუალურ სულს ეზარება და არ სურს განათლება. ურჩევნია დაკმაყოფილდეს იმით, რაც უკვე შეიძინა;

ბ) ზოგიერთ ინდივიდუალურ სულს კი, პირიქით, ის ცოდნა ეცოტავება, რაც ეძლევა და უნდება ძალიან ჩქარა და ძალიან ბევრი განათლება მიიღოს, ამიტომ საკუთარი ინიციატივით, დამოუკიდებლად იწყებს უკვე ჩამოყალიბებული ცოდნის ძიებასა და ჩამოყალიბებას, რითაც მცდარი სულიერი ცოდნის ზეგავლენის ქვეშ ექცევა ხოლმე;

გ) ზოგიერთი ინდივიდუალური სული კი, იმდენად ზედმინევნით მიჰყვება ამ კურსის შესწავლას, რომ მიღებული ცოდნა კი არ ხდება მისი ნაწილი, ის თავად ხდება მისაღები ცოდნის ნაწილი და იწყებს ინდივიდუალიზმის ზედმეტად კარგვას. კარგავს თვითმყოფადობისა და უშუალობის გამოვლინების უნარს იმიტომ, რომ ფრაგმენტალური ჭეშმარიტება აბსოლუტურ ჭეშმარიტებად სურს გაასაღოს და ევოლუციურების პირველადობის პრინციპულ აუცილებლობას იგნორირებას უწევს.

არ მოვეყვები ამ სამი ვარიანტის დაწვრილებით დაშლას, ყოველ შემთხვევაში, წიგნის ამ თავში, უბრალოდ ვიტყვი, რომ ეს სამივე

შემთხვევა კოსმიური კანონების გადასახედიდან ანომალიურია და ინდივიდუალურ სულში უპირობო რეფლექსების (ინსტინქტების) წარმოქმნას განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, ინდივიდუალურ სულში ტრანსფორმირდება პირობითი რეფლექსების სახით. უკვე მატერიალურ სხეულში ჩასახლების შემდგომ კი, ინდივიდუალური სულის მიერ საკუთარი არსის აღქმა ამ პირობითი რეფლექსების მეშვეობით ხდება, რომლებიც სხეულის შეჩვევის შემდგომ, უკვე ე. წ. წარმოსახვით პირობითობად გადაიქცევა, რამეთუ მისი ძირითადი საზრუნავი უკვე გარე გამოვლინებულობის, მატერიალური სხეულის უზრუნველყოფა ხდება. რაიმე ფორმითა და სახით მიღწეული, უძრავი თუ მოძრავი უზრუნველყოფის საშუალებების აღქმისა, მიღებისა და შეჩვევის შემდგომ კი, ეს წარმოსახვითი პირობითობა ე. წ. დამკვიდრებულ ხილულ პირობითობად გარდაიქმნება და სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ ჯაჭვის ბოლო რგოლი, რომელიც საკუთარი „მე“-ს სხეულად აღქმის საქმეში იმდენად ძლიერი ფაქტორია, რომ ამ ე. წ. დამკვიდრებულ პირობითობაში მკვიდრად გადასულ ადამიანს, ფაქტიურად, სულიერების რაობასთან დაბრუნების მიზერული შანსიც კი აღარ გააჩნია.

ანუ პირველი კატეგორიის ინდივიდუალური სულები კარგავენ კონტაქტს ანმყოსთან და მომავალთან; მეორე კატეგორიის ინდივიდუალური სულები კარგავენ კონტაქტს ანმყოსთან და წარსულთან; ხოლო მესამე კატეგორიის ინდივიდუალური სულები კარგავენ კონტაქტს მომავალთან და წარსულთან, რის შედეგადაც მათში ყალიბდება უპირობო რეფლექსები, რომლებიც შემდგომ, გარდაიქმნებიან პირობით რეფლექსებად. ისინი, თავის მხრივ, გარდაიქმნებიან წარმოსახვით პირობითობებად და ეს უკანასკნელნი კი, საბოლოო ჯამში, გადაიქცევიან დამკვიდრებულ პირობითობებად. თუ ამ შეხედულებებს ბაზისად მივიღებთ, მაშინ მარტივად მივალთ იმ ცნობიერებამდე, რომ მატერიალური სხეული და მთელი მატერიალური სამყარო მხოლოდ და მხოლოდ საბაზია მთელი პროცესუალური მიმდინარეობისა და სრულყოფილებისკენ მიმავალი გზიდან გადახვევის გამოვლინების საშუალებას წარმოადგენს და მეტი არაფერი. ასეთი მიდგომა ავტომატურად მიიყვანს ნებისმიერ ინდივიდუალურ სულს არსებული რეალობის ობიექტურ რეალობად მიღებამდე, რაც, უდავოდ, წინაპირობა გახდება საკუთარი არასრულყოფილებისაგან (ამ შემთხვევაში უპირობო რეფლექსებისაგან) გათავისუფლებისა საკუთარი ქვემარტივი „მე“-ს რაობაში ჩაღრმავების საშუალებით. ეს შიდა პროცესი იქნება, რომლის და-

ნახვასაც, რეალურად, ვერც ერთი მატერიალიზირებული სხეულის სახით არსებული ინდივიდუალური სული ვერ დაინახავს და ვერ მოისმენს. რაც შეეხება გარე პროცესებს, ამ ფორმულირების მიმღები მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულისთვის ცხოვრება (მატერიალურ სამყაროში არსებობის პერიოდი) მართლაც რომ თამაში გახდება. მისთვის სიკვდილიც კი, როგორც შიშის უმაღლესი ფორმა, არავითარ პრობლემატურ ასოციაციებსა და შეგრძნებებს აღარ გამოიწვევს. მასში სრულიად გაუქმდება უსამართლობის ცნება და ყველაზე არასასურველ რამესაც კი, რომელიც შეიძლება ცხოვრებაში გაიაროს, ვილაცის ან რალაცის არასწორ ქმედებას კი აღარ დააბრალებს, არამედ საკუთარი ქმედების შედეგად ჩადენილის ადეკვატურ ექოდ აღიქვამს და როგორც დამხმარეს, მეგობარს ან მასწავლებელს ისე მიუდგება შექმნილ სიტუაციას.

ყველაზე სასურველი კი, რაც შეიძლება ცხოვრებაში გაიაროს, საკუთარი პიროვნულობის უპირატესობაზე კი არ გაამახვილებს ყურადღებას, ანუ თავის „მე“-ს ერთპიროვნულად კი არ აღაზრდებს, არამედ საკუთარი არასრულყოფილების რაიმე მცირე ან დიდი ნაწილის გან(რ)წმენდის შედეგად მიღებულ ჯილდოდ აღიქვამს. სწორედ იმ არასრულყოფილებისა, რის გამოც მოხდა მისი, როგორც ინდივიდუალური სულის მატერიალური სხეულის სახით გამოვლინება.

**უნდა იცხოვრო საკუთარი, პირადი ცხოვრებით და არ უნდა
გახდე ვილაცის (ან რალაცის) ცხოვრების დანამატი;
ან ვილაც (ან რალაც) არ უნდა გადააქციო
შენი ცხოვრების დანამატად**

მატერიალურ სამყაროში მატერიალური სხეულის საშუალებით ცხოვრებას (ყოფნას), პრინციპში თავისუფლად შეიძლება დაერქვას, ინდივიდუალური სულის იმპროვიზაციული ინტერპრეტაციის გამოვლინების პერიოდი მატერიალური სხეულის მთელი არსებობის განმავლობაში. იმისათვის, რომ გამოვლინებული იმპროვიზაცია საჭიროდ ნაყოფიერი აღმოჩნდეს, აუცილებელია ამ იმპროვიზაციულობის მთელი ხანგრძლივობა (შეძლებისდაგვარად) დაეთმოს საკუთარი მცდარი შეხედულებების და ამ შეხედულებების საფუძველზე წარმოქმნილი მოვლენების, სიტუაციების დანახვასა და დანახვებას. რაც შეეხება იმის მცდელობას, რომ საკუთარი

ინდივიდისაგან ვინმე ეცადოს იმპროვიზაცია აღმოფხვრას, ეს სტრატეგიის პოზიციას უფრო დაემსგავსება, რამეთუ მატერიალურ სამყაროში არსებული მატერიალური სხეულის პირობებში ეს ერთი წამითაც კი შეუძლებელია. ასეთი სურვილი მატერიალურ ცხოვრებაზე, არსებობაზე უარის თქმის ტოლფასია და, თავისდაუნებურად, ამ ცხოვრების მიმართ აჩენს შიშს. შემდგომში, იგი სიკვდილის ანუ სხეულის დატოვების მძაფრ სურვილში გადადის, მაგრამ იმ ტიპის ინდივიდუალური სული იმას ვეღარ ისიგრძეგანებს, რომ ამ კონკრეტული სხეულის არსებობის პერიოდში კოსმოსის მიერ მასზე დაკისრებულ ამოცანებს მის გარდა არავინ გადაწყვეტს და თუნდაც ე. წ. სიკვდილის შემდეგ მას ხელახლა მოუწევს მატერიალიზირება სხვა სხეულში და სხვა ეპოქაში. პრობლემის წარმოქმნის საწყის ფაზად კი მაინც ის მიმაჩნია, რომ ინდივიდუალური სულის აღქმა იმდენად დაბალ დონეზეა, რომ ამის ხელშესახები ცნობიერი დაფიქსირება ინდივიდის არსში ვერ ხდება. ამის შედეგად კი, მატერიალური სხეული საკუთარი ინდივიდუალური სულის იმპროვიზაციული ინტერპრეტაციის საშუალებად კი აღარ აღიქმება, არამედ პირიქით, ინდივიდუალური სულის მატერიალური სხეულის საშუალებად გამოყენების მცდელობადაა გადაქცეული მთელი ეს მატერიალური არსებობის პერიოდი. ეს კი აქამდე იმას მოაქვს, რომ ინდივიდუალურ სულს არ სურს საკუთარ არსში არსებული სიმცდარის აღიარება, რომლის მთელი სიგრძე-სიგანით გამოვლინებასაც ის მატერიალური სხეული წარმოადგენს, რომელშიც ის იმყოფება და, რამეთუ სიმცდარე ჭეშმარიტებად სალდება, სიმცდარის გამოსატყუი ფორმაც, ანუ სხეული, მთელ ინდივიდუალურ გამოვლინებაში სულის დომინანტი ხდება.

ის ინდივიდი, რომელიც თავისი ინდივიდუალურობის მთელი გამოვლინებულობის სპექტრში საკუთარ ინდივიდუალურ სულს არსებობის საშუალებად აღიქვამს, მის ცნობიერებაში არსებული სიმცდარის შესაბამისი ჭეშმარიტების არაინდივიდუალურ, ზოგად ცოდნას – მიზნად, ხოლო მატერიალურ სხეულს – მის ცნობიერებაში არსებული სიმცდარის გამოვლინებად, სიმცდარის დანახვის საბაზად, სრულყოფილად შეძლებს მატერიალურ სამყაროში მატერიალური სხეულის საშუალებით საკუთარი, პირადი ცხოვრებით ცხოვრებას, არ გახდება ვინმეს ან რაიმეს ცხოვრების დანამატი და არავითარ შემთხვევაში არ გახდის ვინმეს ან რაიმეს საკუთარი ცხოვრების დანამატად. ეს არის ზუსტად ის, რაც მოეთხოვება მა-

ტერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულს, არც მეტი და არც ნაკლები.

ამ ყოველივეს საფუძველზე კი ერთობ მნიშვნელოვანი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს. კერძოდ: საჭირო და სასურველ იმპროვიზაციულ გამოვლინებაზე უარის თქმა, შეცდომების დაშვების შიშით, არანაკლები უმეცრებაა და სისულელეა, ვიდრე ბრმა, სპონტანური, არასაჭირო და არასასურველი იმპროვიზაციული გამოვლინება მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირებული ინდივიდის მხრივ. მეტაფორულად ეს „მგლის შიშით ცხვრის განყვეტას“ ნიშნავს საკუთარი ნებით. პრობლემის გადაჭრაზე უარის თქმას, პრობლემისაგან გაქცევას, აზრი არა აქვს, რამეთუ ადრე თუ გვიან იგი მაინც გადასაჭრელია და ამას არავინ არ გააკეთებს თუ არა ის, ვისაც ეს პრობლემა აქვს. აუცილებელია იმის გაგება, რომ ეს ე. წ. პრობლემა მისივე შექმნილია, თვითონ არის მისი ავტორი და ვინც იგი შექმნა, კეთილი უნდა ინებოს და თავადვე უნდა გადაჭრას იგი. სწორედ ისეთი მიდგომა ამ საკითხისადმი, რომ ეს პრობლემა სხვა ინდივიდის დახმარებით გადაიჭრას, გადააქცევს ამ ინდივიდის ცხოვრების დანამატად ან პირიქით, თუ სხვა ინდივიდის მიერ შექმნილი პრობლემის მის მაგივრად გადაჭრას შეეცდება (რის გამო – ესეც ურთულესი საკითხია) სხვას გადააქცევს მისი საკუთარი ცხოვრების დანამატად. ერთი წამით წარმოიდგინეთ ამ გადასახედოდან რა გრანდიოზულ დატვირთვას იძენს ზოგად ცნობიერებაში დაშვებული არსობრივი სიმცდარის დანახვა და დანახვება. ამ შემთხვევაში იგი (ან სხვა), როგორც ინდივიდი, საკუთარი პრობლემების გადაჭრას თავად ახდენენ და, თუმცა გვერდიდან დახმარება ხდება საკუთარი სიმცდარის დანახვების თვალსაზრისით, ეს დახმარება სრულიად არაინდივიდუალიზმზე, ზოგადი ცნობიერების ქვეყნარტი რაობის აღქმის აღდგენაზეა დაფუძნებული და არც ერთი ინდივიდი არ ხდება ერთმანეთის ცხოვრების დანამატი. ვფიქრობ, ეს ლიბერალიზმისა და ჰუმანიზმის გამოსატყულებლის უმაღლესი ფორმაა და მატერიალურ სამყაროში კეთილშობილების უალტერნატივოდ უზენაეს ფორმას წარმოადგენს.

მატერიალური სხეულის ძირითადი შემადგენელი ნაწილები

მატერიალური სამყარო, მატერია ზოგადად და, რა თქმა უნდა, ცოცხალი არსებების მატერიალური სხეულებიც ჩაკრალური ცენტრების აქტივიზირების შედეგად წარმოქმნილი ენერგეტიკული ბირთვების არათანამიმდევრული, უმიზნო, სპონტანური გაზრდა-გაფართოების შედეგია. ბირთვები ერთმანეთში შეთანხმებულად თუ არ მოქმედებენ და მათი მიზანი ახალი ჩაკრალური ცენტრის აქტივიზირება თუ არ არის, ერთმანეთთან უთანხმოებაში, ერთგვარ დაპირისპირებაში მოდიან. ისინი კარგავენ იმის აღქმის უნარს, რომ ერთის იმ მდგომარეობაში ყოფნა, რაც მათთვის საუკეთესოდ სასურველს წარმოადგენს, ყველა დანარჩენის მდგომარეობაზეა დამოკიდებული და ცდილობენ თავისთვის მოიწყონ ეს ყოფა, ამისათვის ისინი ცდილობენ იმდენზე გაფართოვდნენ, რამდენზეც ეს შეუძლიათ, მაგრამ არა რალაც საერთო მიზნის მისაღწევად, არამედ საკუთარი მდგომარეობის გასაუფჯობესებლად, საკუთარი უპირატესობის მისაღებად. ავტომატურად ხდება ერთგვარი დაპირისპირება ტერიტორიული გადანაწილებისათვის, რის შედეგადაც მათი ბირთვული ბუნება ირღვევა, მათ შორის საზღვრები იშლება და რალაც გაურკვეველი ფორმის ენერგეტიკულ ფორმად ყალიბდება. აი, ამ გაურკვეველი ენერგეტიკული ფორმის გამოვლინებას წარმოადგენენ ცოცხალი არსებების მატერიალური სხეულები. მატერიალური სხეულის ძირითადი შემადგენელი ნაწილები გახლავთ: ხელები (ამბიციები), თავი (ჭკუა, პოტენციურად მაინც), ტანი (გრძნობა), მუცელი (გონება) და ფეხები (ემოციები).

თუ სხეულის ძირითადი ნაწილები საკუთარი ბუნების ობიექტურ აღქმას შეძლებენ, სხეულში ჭეშმარიტი ჰარმონია და მშვიდობა დაისადგურებს. სწორედ ეს უნდა იყოს მატერიალური სხეულისათვის უმთავრესი მიზანი. ბაზისი, რაზეც ის არის აგებული, მუტირებული ენერგეტიკული ველია, რომელსაც დამოუკიდებლად არსებობის უნარიც კი არ გააჩნია. მუტაციის ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნების საუკეთესო საშუალებას კი რელიგიური პრინციპების შეცნობა და დაცვა წარმოადგენს.

მატერიალური სხეულის ნაწილთა განხილვას ასეთი პირდაპირი ფორმატით არ დავიწყებ. უბრალოდ ჩამოვთვლი უმთავრეს ორიენტირებს, რომლებიც ერთმანეთში გადახედილი ენერგეტიკული ბირთვების მიერ, უბრალოდ, დაკარგულია და ძალიან

უჭირთ მათი აღმოჩენა. ამ ორიენტირებში კი ჩაკრალური ცენტრების თანამიმდევრულად პოვნასა და დაფიქსირებას ვგულისხმობ, ხოლო ჩაკრალური ცენტრების მნიშვნელობაზე, ფუნქციათა რაობასა და ფუნქციათა შესრულების გზებზე აქ აღარ ვილაპარაკებ, რამეთუ ამ წიგნის I, II და V თავებში საკმაოდ ბევრი მასალაა ამ თემატიკის გარშემო ჩამოყალიბებული. პირდაპირ ადამიანთა სხეულზე გადავალ, რადგან ამის კითხვა კონკრეტულად აქ, დედამიწაზე მხოლოდ ერთადერთი ცოცხალი არსების სახეობას – ადამიანს შეუძლია.

თუკი ხელებს ზევით ავწევთ და შევავერთებთ, ხელისგულების შეერთების ადგილზე მივიღებთ ჩაკრალური ცენტრის დაფიქსირებულ ადგილს, რომელსაც ნულოვანი ჩაკრა შეიძლება ვუწოდოთ, რამეთუ ადამიანის ეს ჩაკრა და მის გარშემო წარმოქმნილი ენერგეტიკული ბირთვი ნორმალურ მდგომარეობაშია და ის დარღვეული არ არის.

დედამიწაზე არსებული ცოდნის შესაბამისად ჩაკრების გარშემო პირველ ჩაკრად მოიაზრება თავის წვერი, სადაც თმებში აშკარად წერტილივით არის დაფიქსირებული. სხვათა შორის, ეს წერტილი ხშირად ორიც არის ხოლმე, მაგრამ ეს ჩაკრის ადგილმდებარეობას კი არ ცვლის, ამ ჩაკრაში ადამიანის ენერგეტიკული ბირთვის მდგრადობის ან მერყეობის მდგომარეობას განსაზღვრავს.

მეორე ჩაკრა ადამიანის თავის ცენტრში მდებარეობს და თვით თავი, ენერგეტიკული ბირთვის სახით, არის ამ ჩაკრის გარშემო გამოვლინებული.

მესამე ჩაკრა ადამიანის ყელზე ჩალრმავებულ ადგილში იმყოფება და მის გარშემო არსებული უხილავი ენერგეტიკული ბირთვი ადამიანის გონებასა და გრძნობას ენერგეტიკულად აკავშირებს მის ქკუასთან.

მეოთხე ჩაკრა ადამიანის მკერდზე არსებულ სარძევე ჯირკვლებს შორის კოვზივით ჩალრმავების გასწვრივ შიგნით ტანში იმყოფება და, როგორც შენობის საძირკველი, ადამიანის უძრავ, მაგრამ ბაზისურ ნაწილს ქმნის. ეს ადამიანის გრძნობის ჩაკრაა.

მეხუთე ჩაკრა ასეთი თვალნათლივ არ მოინიშნება, იგი ადამიანის სხეულზე არსებული ჭიპის ოდნავ ზევით იმყოფება და გონებას გრძნობასთან, ანუ მუცელს ტანთან აკავშირებს. ამ ჩაკრას ნერვიული სიტემის ცენტრიც შეიძლება ეწოდოს.

მეექვსე ჩაკრა ადამიანის მუცლის ცენტრში მდებარეობს. ეს არის ადამიანის გონება. სინამდვილეში იგი მართავს ადამიანს და არა თავი როგორც ეს ადამიანს ჰგონია.

მეშვიდე ჩაკრაც ადვილი მისაგნებია. იგი ადამიანის სხეულზე არსებული სასქესო ორგანოსა და უკანა ხვრელის შუაში იმყოფება როგორც ქალის ისე მამაკაცის შემთხვევაში. ამ ჩაკრაზე წარმოქმნილი უხილავი ბირთვი ადამიანის გონებას მისგანვე წარმოქმნილ ემოციებთან აკავშირებს. ამიტომაცაა, რომ აქ ხდება ადამიანთა განშტოება ორ ნაწილად მდებარე და მამრ სქესად. მამრი სქესის წარმომადგენლები უფრო აქტიურად არიან მიდრეკილნი იმისაკენ, რაც ადამიანების მიერ თითქმის იგნორირებულია, მდებარე სქესის წარმომადგენლები კი ზედმეტად პასიურნი არიან ძიების მიმართ და მუტირებული ენერგეტიკული ველის ნორმალურ მდგომარეობაში მყოფ ველად გამოცხადებისა და დამტკიცების მცდელობით არიან დაკავებულნი ხელოვნური სპეკულაციური სილამაზის ცნების შემოტანითა და დამკვიდრებით.

აი, ასეთია ადამიანთა სხეულის შემადგენელ ნაწილთა ზედაპირული, მაქსიმალურად ძუნწი განსაზღვრა.

რელიგია

უპირველეს ყოვლისა აუცილებელ საჭიროებად რელიგიის ცნებისათვის ფუნქციონალური არსის განსაზღვრა მიმარჩნია. თუნდობის ცნობიერი აღქმა მოქმედებისთვის ზესულთან მიახლოებისა და პოზიტიური ურთიერთობების დამყარების საშუალებაა, ჭეშმარიტი რწმენა ქმედების ადგილისათვის მომქმედთან მიახლოებისა და პოზიტიური ურთიერთობის დამყარების საშუალებაა; სარწმუნოება ინდივიდუალიზმის ემოციებისათვის ქმედების ადგილთან მიახლოებისა და პოზიტიური ურთიერთობის დამყარების საშუალებაა; ეს ცნება – რელიგია, მცდელობებისათვის ანუ ინდივიდუალური სხეულისათვის გრძნობებთან (ემოციებთან) ანუ ინდივიდუალურ სულთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარების საშუალება გახლავთ. ე. ი. რელიგია საკუთარი ინდივიდუალური სხეულის საკუთარ ინდივიდუალურ სულთან ურთიერთობების საუკეთესო ფორმით დასარეგულირებლად უდავოდ ერთადერთი და საუკეთესო საშუალება ყოფილა. ვფიქრობ, ადამიანებისათვის, რომლებიც თავიანთ თავებზე ბრაზდებიან იმის გამო, რომ სული არ სწამთ ეს ინფორმაცია მათი დამშვიდებისათვის მშვენიერი საშუა-

ლება იქნება. თუმცა, მარტო ფუნქციის განსაზღვრა აშკარად არ კმარა. უკვე რელიგიის არსის განსაზღვრის აუცილებლობის წინაშეც ვდგებით. რელიგიის სიღრმისეული, შეიძლება ითქვას, სრულყოფილი არსი შემდეგში მდგომარეობს: მატერიალური მოდუსების მიერ ინდივიდუალური სხეულისთვის (ანუ ინდივიდუალური სულის მიერ უკვე ჩადენილი ეთიკური შეცდომებისათვის) განსაზღვრული და აღსრულებისთვის სავალდებულოდ განკუთვნილი საქმიანობისაგან 1) არც განდგომა, განდევილობა არ შეიძლება; 2) არც ამ საქმიანობის აღსრულებისას საკუთარი „მე“-ს მოქმედებად გამოცხადება და წარმოჩინება; 3) არც მათი საჯაროდ და სასურველად ვერ შესრულების შიში და ამის საფუძველზე ამ საქმიანობისაგან თავის არიდების მცდელობა და 4) არც ამ საქმიანობაზე მიწეპება, მისი იდეაფიქსად გადაქცევა და ამ საქმიანობის თვითმიზნად გადაქცევა არ შეიძლება.

მატერიალური მოდუსების მიერ ინდივიდუალური სხეულისთვის განსაზღვრული საქმიანობა ინდივიდუალური სულის მიერ აღსრულებული უნდა იქნას საკუთარი „მე“-ს საშუალებად აღქმით, განკუთვნილად ამ საქმიანობის აღსრულებისათვის.

ანუ ინდივიდუალური სხეული არანაირი ფორმით 1) არ უნდა მიეწეოს მატერიალური მოდუსების მიერ მისთვის განსაზღვრულ საქმიანობას და 2) არც უნდა ეცადოს თავი აარიდოს მათ, 3) არ უნდა ეცადოს მართოს ეს საქმიანობა და ამ სამი ამოცანის შესრულების შემდგომ, 4) არ უნდა ეცადოს ამ საქმიანობის შედეგებს, ნაყოფებს რაიმე ფორმით მიეწეოს (ფიქრით, მეტყველებით ან ქმედებით).

ფაქტიურად, ინდივიდუალურმა სხეულმა მატერიალური მოდუსების მიერ მასზე დაკისრებული საქმიანობა უნდა შეასრულოს აღვსილმა პასუხისმგებლობის გრძნობით, სადაც არც მოვალეობის შეგრძნება ექნება ჭარბად, არც უფლების შეგრძნება იჭარბებს მასში, რითაც ინდივიდუალური სულის განსხეულებული ნაწილის საშუალებით ინდივიდში არსებული კარმა ანუ სულიერი ჭყუჭყი თანამიმდევრულად გაინოვება და, ამ ორიენტაციული გზიდან არ გადახვევის შემთხვევაში, ინდივიდი მთლიანად, სრულად განინმინდება საკუთარი ცოდვილიანი საქმიანობების შედეგებისაგან. და, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ასეთ დონეზე გასპეტაკებული მატერიალური სხეული ინდივიდუალური სულის ორგანული, ერთბუნებოვანი სრულყოფილი ნაწილი ხდება და მატერიალური მოდუსების ზემოქმედებისაგანაც კი გადის. ასეთი ინდივიდუალური სხეული

უფლებამოსილების გრძნობით აღივსება, სადაც არც ვინმეზე ან რაიმეზე მოვალეობის ქარბად დადების მიდრეკილება არ ექნება და არც ვინმესთვის ან რაიმესთვის დაუმსახურებელი ქარბი უფლების მინიჭების მიდრეკილება. რელიგიის თვალნათლივ განხილვისათვის, ამ ცნებასთან შეხებისას უნდა განისაზღვროს, რომ ინდივიდუალურ სულს მამაკაცური სანყისის ფუნქცია ენიჭება, ხოლო ინდივიდუალურ სხეულს კი ქალური სანყისის ფუნქცია. ყოველივე კი ოთხ მარტივ ცნებაზე დაიყვანება (მარტივი იმ გაგებისთვის, რომ უკლებლივ ყველა ცოცხალი არსებისთვის მისანვდომად უშუალოდ გასაგებია). ეს ცნებებია: 1) მეტყველება, 2) ფიქრი, 3) ქმედება, 4) შემოქმედება.

1) მეტყველება ინდივიდუალური სულის მიერ ქარბი მოვალეობის აღებისა და ინდივიდუალური სხეულის მიერ ქარბი უფლების აღების შედეგია.

2) ფიქრი (აზროვნება) ინდივიდუალური სულის მიერ პასუხისმგებლობის აღებისა და ინდივიდუალური სხეულის მიერ უფლებამოსილების აღების შედეგია.

3) ქმედება (მატერიალურად აღსაქმელი, გარემოსთვის დასანახი) ინდივიდუალური სულის მიერ ქარბი უფლების აღებისა და ინდივიდუალური სხეულის მიერ ქარბი მოვლეობის აღების შედეგია.

4) შემოქმედება (სულიერად აღსაქმელი, დასანახი) ინდივიდუალური სულის მიერ უფლებამოსილების აღებისა და ინდივიდუალური სხეულის მიერ პასუხისმგებლობის აღების შედეგია.

აი, ამ ოთხი ცნების დარეგულირებით არის დაკავებული რელიგია.

ამჟამად, ჩვენს ეპოქალურ რეალობაში, ეს დამარეგულირებელი პრინციპები რვა რელიგიური მიმდევრობით არის გამოხატული, რომლებშიც ოთხი მათგანი განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ ცნებებთან მიმართებაში, ხოლო სხვა ოთხი მათგანი კი განსაზღვრავს – როგორ უნდა გაკეთდეს ის, რაც უნდა გაკეთდეს.

ერთიანი სურათის დასანახად კი შემდეგი სახის ცხრილს მოვიყვან, სადაც დანახვადი გახდება რელიგიის კონსტიტუციური ადგილდებარეობა.

სიმბოლო	საქმიანობის რაობა	სულიერი სხეულის ასპექტი	მატერიალური სხეულის ასპექტი
მეტიფუნქციონის და კავშირებით. მატერიალური საქმიანობის უროცესზე მიწებება-არმიწებების საკითხები.			
პირამიდა 	რა უნდა გაკეთდეს?	ეგვიპტური რელიგია	იმპერიალიზმი
	როგორ უნდა გაკეთდეს?	თეოლოგია	კაპიტალიზმი
აზროვნების, ფაქრის გარშემო. მატერიალურ საქმიანობებზე გონების მიერ თავის არიდება-არარიდების საკითხები.			
ჯვარი †	რა უნდა გაკეთდეს?	იუდაიზმი (ძველი აღქმა)	მონარქია
	როგორ უნდა გაკეთდეს?	ისლამი (მსკმადიანობა)	კომუნისმი
ქმედების გარშემო. მატერიალური საქმიანობების მართვა განგების ან არ განგების საკითხები.			
ტეტრაედრი 	რა უნდა გაკეთდეს?	ბერძნული მითოლოგია (როგორც კულტურა)	პარლამენტარიზმი
	როგორ უნდა გაკეთდეს?	ბუდიზმი	ფაშისმი
შემოქმედების გარშემო. მატერიალური საქმიანობების შედეგებზე მიწებება-არმიწებების საკითხები.			
სფერო ოთხი 	რა უნდა გაკეთდეს?	ინდუიზმი	ფეოდალიზმი
	როგორ უნდა გაკეთდეს?	ქრისტიანობა	სოციალიზმი

განმეგობრობითი სასტუმროს კონცეპტის კური განსაზღვრა	შესულისა და მამკმედას ურთიერთობება	მკმედასა და კმედას ადგილას ურთიერთობება	კმედასა და ადგილას ურთიერთობება	ინდივიდუალური სულისა და ინდივიდუალური სულის ურთიერთობება
განმეგობრობითი სასტუმროს სტრატეგია	ზამთრობა	ვანაის პოლიტი	სათრობის პოლიტი	უნივერსალური პოლიტი
ნაშრობა	ზეცა	ცათა სასუფეველი	სამთხე	მატრობა ლური სამყარო
ა) ზესული	მამა ღმერთი	ძე ღვთისა	დედა ღმერთი	ასული ღვთისა
რწმინა	სულიერი ცოდნა	სულიერი კეთილდღეობა	მატრობა კეთილდღეობა	მატრობა ლური ცოდნა
ბ) მომკმედი	ინდივიდი	ქრონიკალი	ბერძნული მითოლოგია	ქვემოქრონიკალი
სარწმინაობა	მითოქრონიკალი (მთა)	ქრონიკალი (გარე)	ბერძნული მითოლოგია	მითოქრონიკალი
გ) კმედას ადგილი	ქრონიკალი	ბუდიზმი	ბუდიზმი	თეოლოგია
რელიგია	ქრონიკალი (მთა)	ასკეტიზმი	ასკეტიზმი	კმედა
დ) ინდივიდი, სული	ფილოსოფია	ბარბარული	ბარბარული	იმპერიალიზმი
ცნობის პოლიტი	ფილოსოფია (მთა)	ბარბარული (მთა)	ბარბარული (მთა)	იმპერიალიზმი (მთა)
ე) ინდივიდი, სული	სოციალიზმი	სოციალიზმი	სოციალიზმი	კომუნალიზმი
ტრანსპარენცია	სოციალიზმი (მთა)	სოციალიზმი (მთა)	სოციალიზმი (მთა)	კომუნალიზმი (მთა)
ვ) ილუსტრია	კონსერვატივიზმი	კონსერვატივიზმი	კონსერვატივიზმი	კონსერვატივიზმი
ტრადიცი	კონსერვატივიზმი (მთა)	კონსერვატივიზმი (მთა)	კონსერვატივიზმი (მთა)	კონსერვატივიზმი (მთა)
	ქვემოქრონიკალი	მინისტრია	ჯოჯოხეთი	მინისტრია


ხოლო რელიგიას დღევანდელი ანუ ამჟამინდელი ეპოქალური მომენტისთვის შესაბამისი რვა რელიგიური მიმდინარეობის მიხედვით თუ აღვწერთ, აქაც ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი სახის ცხრილი მიიღება.

მატერიალურ სამყაროში ინდივიდუალური სულის სულიერი ცხოვრების ამსახველი რეკომენდაციული ასპექტები		მატერიალურ სამყაროში ინდივიდუალური სულის მატერიალური ცხოვრების ამსახველი გამაფრთხილებელი ასპექტები		
ეგვიპტური რელიგია	ემოცია „მე“-ში; სულიერი დამოუკიდებლობა	ჭარბი მოვალეობა ინდ. სულში	ემოცია „ეგო“-ში; სულიერი დამოკიდებულობა	იმპერიალიზმი
იუდაიზმი ძველი აღქმა	გონება „მე“-ში; სულიერი თვითკრიტიკა	პასუხისმგებლობა ინდ. სულში	გონება „ეგო“-ში; სულიერი განუკითხობა	მონარქია
ბერძნული მითოლოგია	ამბიცია „მე“-ში; სულიერი თვითკონტროლი	ჭარბი უფლება ინდივიდუალურ სულში	ამბიცია „ეგო“-ში; სულიერი თვითნებობა	პარლამენტარიზმი
ინდუიზმი	გრძნობა „მე“-ში; სულიერი თავისუფლება	უფლებამოსილება ინდივიდუალურ სულში	გრძნობა „ეგო“-ში; სულიერი მსახურება	პატრონ-ყმობა ფეოდალიზმი

აი, ასეთია ამ ოთხი რელიგიური მიმდინარეობის არსი და ბუნება და, როგორც მასში იკითხება, ეს რელიგიები ინდივიდუალური სულისათვის არის განკუთვნილი, ძალიან უხეშად რომ ვთქვათ, ის, თუ რა უნდა გააკეთოს და რა – არა. ამ რელიგიათა არსის ფართოდ გაცნობას კი, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერი შეძლებს, ოღონდ სასურველია ერთმანეთთან ურთიერთდაპირისპირების სულისკვეთების გარეშე, ვინაიდან ეს ყველაზე დიდი სისულელეა ალბათ, რასაც ადამიანი სჩადის. ახლა კი დანარჩენი ოთხი რელიგიური მიმდინარეობაც ცხრილური სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს, თუმც ვფიქრობ, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი მათგანი რელიგიურ მიმდინარეობად კი ასალებს თავს, მაგრამ ძალიან ძნელია რელიგია ეწოდოს. უბრალოდ, აქ ამაზე ლაპარაკი აღარ მინდოდა. მან რელიგიური მიმდინარეობების ურთიერთდაპირისპირებით ისარგებლა და ისე შეძლო თვითგამოვლინება.

მატერიალურ სამყაროში ინდივიდუალური სხეულის სულიერი ცხოვრების ამსახველი რეკომენდაციული ასპექტები		მატერიალურ სამყაროში ინდივიდუალური სხეულის მატერიალური ცხოვრების ამსახველი გამაფრთხილებელი ასპექტები		
თეოლოგია	ამბიცია „მე“-ში; მატერიალური დამოუკიდებლობა	ჭარბი უფლება ინდ. სხეულისა	ამბიცია „ეგო“-ში; მატერიალური დამოკიდებულება	კაპიტალიზმი
ბუდიზმი	გონება „მე“-ში; მატერიალური თვითკონტროლი	პასუხისმგებლობა ინდ. სხეულისა	გონება „ეგო“-ში; მატერიალური თვითნებობა	ფაშიზმი
ისლამი ყურანი	ემოცია „მე“-ში; მატერიალური თვითკრიტიკა	ჭარბი მოვალეობა ინდ. სხეულისა	ემოცია „ეგო“-ში; მატერიალური განუკითხაობა	კომუნიზმი კომუნა (თემი)
ქრისტიანობა ახალი აღთქმა	გრძნობა „მე“-ში; მატერიალური თავისუფლება	უფლებამოსილება ინდ. სხეულისა	გრძნობა „ეგო“-ში; მატერიალური მსახურება	სოციალიზმი

ამ ცხრილების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ვიზუალურად გადმოცემა ყოველივე ამ ფასეულობათა დიაპაზონებისა სხვადასხვა რადიუსების ბირთვების სახით, რომელთაც ერთი ცენტრი აქვთ.



როგორც ეს ჩანახატი აჩვენებს სწორედ რელიგია წარმოადგენს გამყოფ ზოლს სულიერ სამყაროებსა და მატერიალურ სამყაროებს შორის. სწორედ სულიერ სამყაროში გადასვლაა შედეგი ყვემარტივი რელიგიის ყვემარტივად დაცვისა.

ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად გადმოიცა რელიგიის არსი და მნიშვნელობა ნებისმიერი მატერიალიზირებული ინდივიდისათვის.

**ამ კონკრეტულ ეპოქაში არსებული რელიგიური
მიმდინარეობების (ინდუიზმის, ბერძნული მითოლოგიის,
ქრისტიანობის, ბუდიზმის, იუდაიზმის, ისლამის და
თეოლოგიის) არსობრივი რაობის განსაზღვრებები**

ი ნ დ უ ი ზ მ ი

ეს გახლავთ რელიგიური მიმდინარეობა, რომლის საშუალებითაც ხდება ჭეშმარიტი რწმენის გავრცელება ჭეშმარიტი ნდობის გათვალისწინებით.

ეს რელიგიური მიმდინარეობა სულიერი ცოდნის გაცემის, მინიჭების საშუალებას წარმოადგენს. მე ვიტყვოდი, რომ ინდუიზმი ინდივიდუალური სულის აღზრდა-განათლების საუკეთესო საშუალებაა ყველა სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა შორის.

ინდუიზმში უმაღლეს მიზნად ინდივიდის მიერ საკუთარი ქმედებების შედეგად მატერიალურ დამოკიდებულობაში მოქცეულობისაგან (მატერიალური მოდუსებისაგან) ინდივიდუალური სულის გათავისუფლება და ყველა ცოცხალ არსებაში მყოფი ზესულის მიღწევა ითვლება. რაც, ფაქტობრივად, საკუთარი ბედ-იღბლის განსაზღვრისა და განგების უფლების მიღებას ნიშნავს.

უმთავრესი საშუალება ამ რელიგიურ მიმდინარეობაში ღმერთების უზენაესი პიროვნებისადმი ნდობის აღდგენა გახლავთ, საკუთარი გულის მისთვის მთლიანად მიძღვნის მცდელობით, ანუ გული ითვლება მთავარ ორიენტირად, როგორც ყველა გრძნობების ერთადერთ გრძნობად დაყვანის განმსაზღვრელად.

ინდუისტური რელიგიური მიმდინარეობის სრულყოფილად მიყოლის შემთხვევაში, მატერიალურ სამყაროში ინდივიდის ყოფნა ფორმალური ხდება ანუ ის ინდივიდუალური სხეულით ნამდვილად იმყოფება მატერიალურ სამყაროში, მაგალითად, დედამიწაზე და მასში ნამდვილად იმყოფება ინდივიდუალური სული, მაგრამ მთელი გულითა და სულით, მთელი წარმოსახვითი რეალობით იგი სულიერ სამყაროში ინაცვლებს და რაც არ უნდა აკეთოს, ეს მხოლოდ კონკრეტულ ადგილზე ყოფნის აუცილებლობითა და ამ აუცილებლობის უზრუნველყოფითაა გამოწვეული. უკვე მინიერ, მატერიალურ სამყაროში ამ რელიგიური მიმდინარეობის ჭეშმარიტი მიმდევარისათვის ეს მინიერი სამყარო მისთვის არასახარბიელო, მეორეხარისხოვან რეალობას (ინდუიზმის ენაზე კი ილუზიას) წარმოადგენს. პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ ინდუიზმი ინდივიდუალუ-

რი სულისთვის ჰელიოცენტრიზმზე ორიენტირების საშუალებას წარმოადგენს ანუ, მიუხედავად სხეულზე დამოკიდებულებისა, მას საშუალება ეძლევა კოსმიურ რეალობაში გადაადგილებისა წარმოსახვით დონეზე, რისთვისაც სულაც არ ესაჭიროება კოსმოსური ხომალდები და კოსმოსური კამუფლიაჟები.

ინდუიზმი ინდივიდუალური სულის კოსმოსთან უშუალო ურთიერთობის დამყარების საშუალებაა. ეს არ გადმოიცემა, ეს უნდა იგრძნო.

ბ ე რ ძ ნ უ ლ ი მ ი თ ო ლ ო გ ი ა

ეს გახლავთ რელიგიური მიმდინარეობა, რომლის საშუალებითაც ხდება ჭეშმარიტი ნდობის გამოცხადება ჭეშმარიტი რწმენის გათვალისწინებით.

ეს რელიგიური მიმდინარეობა სულიერი კეთილდღეობის გაცემის, მინიჭების საშუალებას წარმოადგენს. ბერძნული მითოლოგია როგორც რელიგიური მიმდინარეობა, ინდივიდუალური სულის თვითგამოვლინების საუკეთესო საშუალებაა ყველა სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა შორის, იმის მიუხედავად, სადაც არ უნდა იყოს ეს ინდივიდუალური სული კოსმიურ რუკაზე.

ამ რელიგიურ მიმდინარეობაში უმაღლესი მიზანი ინდივიდის მიერ საკუთარი პოტენციალის გარემოსთვის ყველაზე საუკეთესო ფორმით დახარჯვა გახლავთ. რაც, ფაქტობრივად, გარემოსთვის ცალსახად სიკეთის მოტანის მცდელობად შეიძლება იქნას აღქმული (სულ სხვა საკითხია როგორ და რამდენად ხერხდება ეს ამ რელიგიის ჭეშმარიტად მიმდევრების მიერ).

ძირითადი მამოძრავებელი ძალა ამ რელიგიური მიმდინარეობისა საკუთარი „მე“-ს გარემოსთვის მთლიანად მიძღვნაში და მიცემაშია, გარემოს აღქმა კი არადა ნაწილობრივად, დაშლილად, არამედ ერთ მთლიან ნაწილად არის აღქმული და არანაირი მიზანმიმართული სუბიექტური მიდგომა არ არსებობს ამ მიდგომაში. და კიდევ ერთი, ძალიან სერიოზული შტრიხი გახლავთ ის, რომ თანაგრძნობა არის ერთ-ერთი (თუ არა უმთავრესი) მამოძრავებელი, რომელსაც შეცოდებაში გადასვლისაკენ აქვს მიდრეკილება, რაც ამ რელიგიური მიმდინარეობის დაცვის საზღვრებიდან გასვლის ძირითადი მიზეზია.

ბერძნული მითოლოგიის რელიგიური არსის ჭეშმარიტად სრულყოფილად მიყოლის შემთხვევაში, ინდივიდს სულიერ სამყაროში

როში გადასვლის უფლება ეძლევა. ეს მიმდინარეობა გახლავთ ფაქტიურად ინდივიდის შესაძლებლობებიდან გამომდინარე სრული ქველმოქმედების კეთებით ცხოვრება, საკუთარი ინდივიდის მთლიანად მსხვერპლად მიცემით განგებისათვის. ამ მიმდინარეობას, პირადად მე, ერთგვარი რომანტიკული ბუნების მატარებელ მიმდევრობასაც კი ვუნდობდი.

ბერძნული მითოლოგიის, როგორც რელიგიური მიმდინარეობის, შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ ის ინდივიდუალური სული-სათვის ნეოცენტრიზმზე ორიენტირების საშუალებას წარმოადგენს. ანუ მიუხედავად ინდივიდუალურ სულზე ორიენტირებულობისა, ეს რელიგია ინდივიდუალურ სხეულზე, მატერიალურ სამყაროზე უფრო მეტად დამოკიდებულს ხდის ინდივიდს და ყოველი წამითა და სიახლეში ადაპტაციის იდეით აცხოვრებს მას, რის გამოც უფრო მატერიალური სამყაროსკენ არის მიდრეკილი, ვიდრე სულიერი სამყაროსკენ. ალბათ ამიტომაცაა, რომ მატერიალურ სამყაროს ეს მიმდევრობა გამორჩეულად უყვარს.

ი უ დ ა ი ზ მ ი

ეს გახლავთ რელიგიური მიმდინარეობა, რომლის საშუალებითაც ხდება ჭეშმარიტი რწმენის გავრცელება ჭეშმარიტი ნდობის არ გათვალისწინებით.

ეს რელიგიური მიმდინარეობა მატერიალური კეთილდღეობის გაცემის, მინიჭების საშუალებას წარმოადგენს. იუდაიზმი ინდივიდუალური სულის გამოსწორების საუკეთესო საშუალებაა ყველა სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა შორის. როგორც ხვდებით აქ ჯიუტ და ზარმაც ინდივიდუალურ სულებზე უფრო აქცენტი გამახვილებული. იუდაიზმში უმაღლეს მიზანს ინდივიდუალური სულის ინდივიდუალურ სხეულზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება წარმოადგენს. ეს, ფაქტობრივად, ინდივიდუალური სულების მხრიდან მატერიალურ ინტერესებზე მიჯაჭვულობისგან გათავისუფლების მცდელობად შეიძლება იქნას აღქმული.

ამ რელიგიური მიმდინარეობის მიმდევარი, სწორედ მატერიალურ ინტერესებზე მიჯაჭვულობისაგან გასვლის შემდგომ ღებულობს მატერიალურ კეთილდღეობას, როგორ პარადოქსალურადაც არ უნდა ჟღერდეს ეს ადამიანური გაგებისათვის.

ძირითადი მამოძრავებელი ძალა ამ რელიგიური მიმდინარეობისა მის მიერ შემოტანილი და დაკანონებული დოგმატური ცნებე-

ბის ზედმინვენით მიყოლასა და დაცვაში მდგომარეობს. ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი იუდაიზმში გახლავთ შიში ღვთის წინაშე, რომლის საშუალებითაც უნდა იქნას დაძლეული ინდივიდის მიერ ინდივიდუალურ სულში არსებული მანკიერი მიდრეკილებები, რომლებიც მატერიალურ სხეულსა და, საერთოდ, მატერიალურ ინტერესებზე მიჯაჭვის მიზეზნი არიან.

იუდაიზმის რელიგიური არსის ჭეშმარიტად მიყოლის შემთხვევაში ინდივიდს მატერიალურ სამყაროში ყოფნის პერიოდში უზრუნველყოფილი მატერიალური კეთილდღეობა ექნება, ხოლო გარდაცვალების შემდგომ, იგი სულიერი სამყაროს ყველაზე დაბლა მდგომ იერარქიულ ნაწილში ანუ სამოთხეში გადაინაცვლებს ანუ აღარ მოუწევს მატერიალურ სამყაროში ხელახლა დაბადება და სიკვდილი.

იუდაიზმი როგორც რელიგიური მიმდინარეობა ინდივიდუალური სულისთვის მისი ექსცენტრიზმზე ორიენტირების საშუალებას წარმოადგენს. ანუ ინდივიდის ინკარნაციამდე, კონკრეტულ დაბადებამდე არსებული მატერიალური ისტორიული მოვლენების შესწავლა, გათვალისწინება და, თავის მხრივ, მომავალი თაობისათვის გადაცემა, წმინდა მოვალეობად არის აღქმული. სწორედ ეს ისტორიული ინფორმაცია არის საფუძველი სულიერებისკენ სწრაფვისა ინდივიდუალური სულებისათვის, რამეთუ გამორჩეული მაღალი სულიერების მქონე პიროვნებები უმაღლეს ავტორიტეტებად და უპატივცემულეს მატერიალიზირებულ არსებებად არიან გადმოცემულნი.

ე გ ვ ი პ ტ უ რ ი რ ე ლ ი გ ი ა

ეს გახლავთ რელიგიური მიმდინარეობა, რომლის საშუალებითაც ხდება ჭეშმარიტი ნდობის გამოცხადება ჭეშმარიტი რწმენის არ გათვალისწინებით.

ეს რელიგიური მიმდინარეობა მატერიალური ცოდნის გაცემის, მინიჭების საშუალებას წარმოადგენს. ეგვიპტური რელიგია ინდივიდუალური სულის დამორჩილების საუკეთესო საშუალებაა ყველა სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა შორის. აქ აქცენტი ამპარტავანი და დაბალი განვითარების ინდივიდუალურ სულებზეა გამახვილებული. ეგვიპტური რელიგიური მიმდინარეობის მთავარ მიზანს ინდივიდუალური სულის ინდივიდუალური სხეულის ზეგავლენის, დამოკიდებულების ქვეშ მოქცევა წარმოადგენს. ეს, ფაქ-

ტობრივად, ინდივიდუალური სულების მატერიალურ ინტერესებზე მიჯაჭვის მცდელობად შეიძლება იქნას აღქმული.

ამ რელიგიური მიმდინარეობის მიმდევარნი სულიერი ინტერესების შეგნებულად დაკარგვისა და მატერიალურ ინტერესებზე მიჯაჭვების შემდგომ ღებულობენ დაკარგული სულიერების შესაბამის მატერიალურ ცოდნას.

ძირითადი მამოძრავებელი ძალა ამ რელიგიური მიმდინარეობისა მის მიერ შემოტანილი კერპების, კულტების მსახურებაში მდგომარეობს. ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ეგვიპტურ რელიგიურ მიმდინარეობაში გახლავთ მატერიალური სხეულის დამოუკიდებლობის, არაფერზე არ დამოკიდებულობის იდეა, რაც მასში თავისუფლებად არის მონათლული. სწორედ ამ იდეის საშუალებით ხდება ინდივიდუალური სულის დაბეჩავება და დაცემა.

ეგვიპტური რელიგიური მიმდინარეობის ჭეშმარიტად მიყლის შემთხვევაში ინდივიდს მატერიალურ სამყაროში ყოფნის პერიოდში მატერიალური ცოდნის უამრავ, უსაზღვროდ მრავალ განშტოებაზე მიუწვდება ხელი და ტვინი, რითაც ის თავისი ამპარტავნების ნომინალურ მაჩვენებელს ერთი-ორად გაზრდის, ხოლო გარდაცვალების შემდგომ, იგი მატერიალურ სამყაროზე უფრო დაბალ იერარქიულ ადგილში ილუზიურ სამყაროში გადაინაცვლებს, რასაც მოჩვენებათა სამყაროს უწოდებენ ადამიანები. ანუ ინდივიდისათვის მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირებაც კი სანატრელი გახდება, რომ აღარაფერი ვთქვათ სულიერ სამყაროში მოხვედრის და გადასვლის უტოპიურ ალბათობაზე.

ეგვიპტური რელიგიური მიმდინარეობა ინდივიდუალური სულისათვის მისი ეგოცენტრიზმზე ორიენტირების საშუალებას წარმოადგენს. ანუ ყოველი წამი და სიახლე იმპროვიზაციული ინტერპრეტაციის იდეით აცხოვრებს მას, რის შედეგადაც ინდივიდის „მე“-ს ცნება ნელ-ნელა გაუცხოვდება და „ეგო“-ს ცნებად გარდაიქმნება და როგორც ინდივიდი – შემცირებისკენ, დაპატარავებისკენ, დაშლისკენ იქნება მიდრეკილი.

ქ რ ი ს ტ ე ა ნ ო ბ ა

ეს გახლავთ რელიგიური მიმდინარეობა, რომლის საშუალებითაც ხდება ჭეშმარიტი ნდობის მოპოვება და მიღება საკუთარ არსში არსებული ჭეშმარიტი რწმენის გათვალისწინებით.

ეს რელიგიური მიმდინარეობა სულიერი ცოდნის მიღების საშუალებას წარმოადგენს. ქრისტიანობა ინდივიდუალური სხეულის თვითგამოვლინების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ყველა სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა შორის.

ამ რელიგიური მიმდინარეობის უმაღლესი მიზანი ინდივიდუალური სხეულის მიერ საკუთარი პოტენციალის მატერიალური გარემოსთვის ყველაზე საუკეთესო და მაქსიმალური ფორმით დახარჯვა გახლავთ. სხვათა შორის, იგი ძალიან ჰგავს ბერძნული მითოლოგიის რელიგიურ მიმდინარეობას. იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ეს უკანასკნელი ინდივიდუალურ სულზე აქცენტირებული, ქრისტიანობა ცალსახად ინდივიდუალურ სხეულზე. აქაც, ფაქტობრივად, მიზანი მთელი გარემოსთვის სიკეთის მოტანის მცდელობად შეიძლება იქნას აღქმული.

ძირითადი მამოძრავებელი ძალა ქრისტიანობაში საკუთარი სხეულის მთლიანად გარემოს სამსახურში გამოყენება გახლავთ. გარემოში კი მტრის ცნება აბსურდად არის გამოცხადებული. ინდივიდუალური სხეულის ქრისტიანული რელიგიური მიმდინარეობის ჭეშმარიტად დაკავებით ინდივიდუალური სული ავტომატურად გადადის ინდუისტური რელიგიური მიმდინარეობის მიმართულებით (თუ რატომ, ეს ცალკე დიდ საკითხად მიმაჩნია).

ქრისტიანობაშიც უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანაგრძნობის ფაქტორს, თუმცა იგი საშინლად დიდი ძალითაა მიდრეკილი იმისაკენ, რომ შეცოდებაში გადაიზარდოს.

ქრისტიანულ რელიგიურ მიმდინარეობაში სულიერი ცოდნის მიღება კონკრეტული ე. წ. ტექსტური ინფორმაციული ფორმით არ ფიქსირდება. ეს ნათელის მიღებაში, ჭეშმარიტი გრძნობის მატებაშია უფრო გამოვლინებული, რამეთუ სხეულის იმაზე უკეთესად გახდომის შემდგომ, ვიდრე ის იყო, გული ავტომატურად სუფთავდება და ინდივიდუალური სული საკუთარი მოქმედებების შედეგებისაგან ინმინდება და თავისუფლდება. ეს საკმაოდ უნიკალური მექანიზმია, მაგრამ ვინაიდან ეს აბსოლუტურად უხილავი პროცესია მატერიალური თვალსაზრისით ინდივიდებს ძალიან უჭირთ ქრისტიანული რელიგიური პრინციპების მუდმივი ან გრძელვადიანი ზედმინვნითი დაცვა. ქრისტიანობა ინდივიდუალური სხეულის ნეოცენტრიზმზე ორიენტაციის საშუალებას წარმოადგენს. ანუ მატერიალური სხეული ცხოვრობს და ხელმძღვანელობს ამ წამიერი ინტერესებით, რის ხარჯზეც ინდივიდუალურ სულს ეძლევა მანსი არ ჩაერიოს არაფერში და გვერდიდან უყუროს მოვლენებს.

ინდუიზმი და ქრისტიანობა ერთი მთლიანის ორ ნაწილს წარმოადგენს და მხოლოდ მათი დახმარებითაა შესაძლებელი ზეცაში მოხვედრა.

ბ უ დ ი ზ მ ი

ეს გახლავთ რელიგიური მიმდინარეობა, რომლის საშუალებითაც ხდება ჭეშმარიტი რწმენის მოპოვება და მიღება საკუთარ არსში არსებული ჭეშმარიტი ნდობის გათვალისწინებით.

ეს რელიგიური მიმდინარეობა სულიერი კეთილდღეობის მიღების საშუალებას წარმოადგენს. ბუდიზმი ინდივიდუალური სხეულის გამოსწორების საუკეთესო საშუალებაა ყველა სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა შორის. ბუდიზმის უმაღლეს მიზანს ინდივიდუალური სხეულის ინდივიდუალურ სულზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება წარმოადგენს. ეს, ფაქტიურად, მატერიალური მოდუსების სხეულზე განკუთვნილი მოთხოვნების გაგებისა და აღქმის მცდელობადაც შეიძლება შეფასდეს. ინდივიდუალურ სხეულს უჩნდება სურვილი მთელი ინდივიდუალური „მე“-ს გამოჯანმრთელებაზე იზრუნოს და განკურნვა თავისგან დაიწყოს. აქ აშკარად დაინახავთ მსგავსებას იუდაიზმსა და ბუდიზმს შორის. თუმცა, აქაც ერთი სულს ეხება მეორე კი სხეულს.

ბუდისტური რელიგიური მიმდინარეობის მამოძრავებელი ძალა საკუთარი მატერიალური სხეულის მართვა-განმგებლობაში მდგომარეობს ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ბუდიზმში გახლავთ მატერიალური სამყაროსგან, გარემოსგან სრული გამოცალკეება, არა განდევნილობა არამედ ასკეტიზმის, რომლის საშუალებითაც უნდა იქნას დაძლეული ინდივიდუალურ სხეულში არსებული მანკიერი მიდრეკილებები.

ბუდისტური მიმდინარეობის ჭეშმარიტად და ზედმიწევნით მიყოლის შემთხვევაში ინდივიდუალურ სხეულს მატერიალურ სამყაროში ყოფნის პერიოდში ენიჭება სულიერი კეთილდღეობა, რომელიც ავტომატურად გადაეცემა ინდივიდუალურ სულს, ხოლო იქიდან კი სხეულს უბრუნდება სულიერი ცოდნა ჭეშმარიტად დიდი ძალისხმევის საფასურად ე. წ. ინფორმაციული ტექსტური სახით. ფაქტიურად, მატერიალური სხეულის ტვინი ინმინდება იმ ინფორმაციებისაგან, რაც მასში მანკიერ სურვილებს აჩენდა და უფლება ეძლევა ბაზური საბანკო ინფორმაციებით მეხსიერების აღდგენისა წარსულის, ინდივიდუალური სულის ან უკვე განვლილი ინკარნა-

ციების შესახებ. ეს არის ამბიციების დამორჩილებისა და ჭკუად ტრანსფორმირების მექანიზმი, რაც, დამერწმუნეთ, ურთულესი საქმეა.

ბუდიზმი ინდივიდუალური სხეულის ექსცენტრიზმზე ორიენტაციის საშუალებას წარმოადგენს. ანუ მატერიალური სხეული ცხოვრობს და ხელმძღვანელობს საკუთარი ინდივიდუალური სულის წარსული ისტორიული ცხოვრების შეცნობითა და ანალიზით, რათა აღმოფხვრას თავისში არსებული ნეგატიური ტენდენციები.

ბერძნული მითოლოგია და ბუდიზმი ერთი მთლიანის ორ ნაწილს წარმოადგენს და მათი მიყოლის საშუალებით შესაძლებელია ცათა სასუფეველში მოხვედრა.

ი ს ლ ა მ ი

ეს გახლავთ რელიგიური მიმდინარეობა, რომლის საშუალებითაც ხდება ჭეშმარიტი ნდობის მოპოვება და მიღება საკუთარ არსში არსებული ჭეშმარიტი რწმენის არ გათვალისწინებით.

ეს რელიგიური მიმდინარეობა მატერიალური კეთილდღეობის მიღების საშუალებას წარმოადგენს. ისლამი ინდივიდუალური სხეულის დამორჩილების საუკეთესო საშუალებაა ყველა სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა შორის.

მუსულმანური რელიგიური მიმდინარეობის უმაღლეს მიზანს ინდივიდუალური სხეულის ინდივიდუალური სულის ზეგავლენის დამოკიდებულების ქვეშ მოქცევა წარმოადგენს. ეს, ფაქტობრივად, ინდივიდუალური სხეულის სულიერ ინტერესებზე მიჯაჭვის მცდელობად შეიძლება იქნას აღქმული.

ამ რელიგიური მიმდინარეობის მიმდევარნი მატერიალური ინტერესების შეგნებულად დაკარგვისა და სულიერ ინტერესებზე ბრმად მიჯაჭვის ფასად ლებულობენ დაკარგული მატერიალური ინტერესების შესაბამის მატერიალურ კეთილდღეობას.

ძირითადი მამოძრავებელი ძალა ამ რელიგიური მიმდინარეობის რელიგიური ლიდერების უსიტყვო მორჩილებასა და ბრმა ნდობაში, ფანატიზმსა და ფუნდამენტალიზმში მდგომარეობს. თვით უმნიშვნელო დაუმორჩილებლობის ოდნავი გამოვლინებაც კი, უდიდეს ცოდვადაა მიჩნეული. სწორედ ამ გაგების საშუალებით ხდება ინდივიდუალური სხეულის დაბეჩრავება და აბსოლუტურ უმეცრებაში მყოფება.

მუსულმანური რელიგიური მიმდევრობის ჭეშმარიტად და ზედმინევნით მიყოლის შემთხვევაში ინდივიდუალურ სხეულს ენიჭება მატერიალური კეთილდღეობით უზრუნველყოფა, თუმცა, იგი, ფაქტიურად, მთლიანად უპირობო რეფლექსებით არის მართული და ამ რეფლექსთა უპირობო მსახური ხდება, რითაც ხორციელდება ინდივიდუალური სხეულის ძალიან ნელი, მაგრამ არაცვალებადი ინერციული განკურნვა უპირობო რეფლექსების გამომწვევი ვნებითი ბუნებისაგან. ამ რელიგიური მიმდინარეობის მიმდევრები წმინდანწყლის ცხოველური ინსტინქტებით იფარგლებიან მთელი არსებობის განმავლობაში.

ისლამიზმი ინდივიდუალური სხეულის ეგოცენტრიზმზე ორიენტაციის საშუალებას წარმოადგენს ანუ მატერიალური სხეული ცხოვრობს და ხელმძღვანელობს იმ მანკიერი ბუნების რეალიზაციით, რაც მის საკუთარ ინდივიდუალურ სულს ჩამოყვამ ამ სხეულში ჩასახლების დროს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, მატერიალური სხეულის როლი, როგორც ფუნქციონალური ჩანასახისა, თითქმის ნულამდეა დაყვანილი.

იუდაიზმი და ისლამი ერთი მთლიანის ორ ნაწილს წარმოადგენს და მათი ზედმინევნით მიყოლის შემთხვევაში შესაძლებელია სამოთხეში მოხვედრა.

თ ე ო ლ ო გ ი ა

ეს გახლავთ რელიგიური მიმდინარეობა, რომლის საშუალებითაც ხდება ჭეშმარიტი რწმენის მოპოვება და მიღება საკუთარ არსში არსებული ჭეშმარიტი ნდობის არ გათვალისწინებით.

ეს რელიგიური მიმდინარეობა მატერიალური ცოდნის მიღების საშუალებას წარმოადგენს. თეოლოგია ინდივიდუალური სხეულის აღზრდა-განათლების საუკეთესო საშუალებაა ყველა სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა შორის.

თეოლოგიაში უმაღლეს მიზნად ინდივიდუალური სხეულის სულიერი დამოკიდებულობისაგან გათავისუფლება და ყველა ცოცხალ არსებაში არსებული ზესულის უგულვებელყოფა, არ არსებულად გამოცხადება ითვლება, რაც ფაქტიურად, მატერიალური სხეულის ერთადერთ განმგებლად, ღმერთად გამოცხადებას ნიშნავს.

ძირითადი მამოძრავებელი ძალა ამ რელიგიური მიმდინარეობისა ინდივიდუალური სხეულის სრული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მიღწევის მცდელობაში გახლავთ. საკუთარი გულის მთლიანად იგნორირების შედეგად, ტვინი ითვლება მთავარ ორიენტირად, როგორც ინდივიდუალურ სხეულში არსებული ყველა შეგრძნების კოორდინატორი და ყველა მოქმედების მგვეგმავი და რეალიზატორი.

თეოლოგიური რელიგიური მიმდინარეობის სრულყოფილად მიყოლის შემთხვევაში, მატერიალურ სამყაროში ინდივიდუალური სულის ყოფნა აბსოლუტურად ფორმალური ხდება, ანუ ის ინდივიდუალურ სხეულში, რა თქმა უნდა, იმყოფება (სხვაგვარად სხეული ვერ იარსებებდა როგორც მოძრავი რამ), მაგრამ ინდივიდუალური სხეულის მიერ ის აბსოლუტურად იგნორირებულია. ამ სრული იგნორირების შედეგია ისიც, რომ ინდივიდუალური სხეული აბსოლუტურად მთელ სულიერ პოტენციალს მატერიალურ ცოდნად გარდაქმნის და ამ ცოდნის მატებასთან ერთად უფრო და უფრო შორდება გულს, სულსა და გონებას. ამ რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები მთლიანად პირობითი რეფლექსებით არიან მართულნი და სრულიად გამორიცხავენ სულიერი სამყაროს არსებობის შესაძლებლობასაც კი, რის გამოც მანკიერი თვისებების უზომოდ გაზრდას ახდენენ და თვით ინდივიდუალურ სულშიც კი შესწევთ ამ მანკიერების შეტანის უნარი.

თეოლოგია ინდივიდუალური სხეულის ჰელიოცენტრიზმზე ორიენტაციის საშუალებას წარმოადგენს ანუ ამ რელიგიის მიმდევარი ინდივიდები ცდილობენ კოსმოსში გადაადგილდნენ, სადაც ფიზიკურად მიწვდებიან და თავიანთი ზღვარგადასული მანკიერებანი მთელ კოსმიურ სივრცეში გაავრცელონ. ინდივიდუალური სულის ფუნქციონალური დატვირთვა კი ნულამდეა დაყვანილი.

ეგვიპტური რელიგია და თეოლოგია ერთი მთლიანობის ორ ნაწილს წარმოადგენს და მათი ზედმინევენით მიყოლის შემთხვევაში შესაძლებელია მოჩვენებათა სამყაროში ან თუნდაც ჯოჯოხეთში მოხვედრაც კი.

ე გ ო ც ე ნ ტ რ ი ზ მ ი

ამ ცნების წარმოქმნისას იგულისხმება ის, თუ რაზე კეთდება მისი მიმდევარის მიერ ყველა და ყველაფერის მიმართ აქცენტირება, ცენტრირება (ბაზისად აღება და ინერციული მოქმედება). ეგო-

ცენტრიზმში, პირადად მე ვგულისხმობ, კოსმიურ რეალობაში არსებულ ნეგატიურ ნაწილზე კონცენტრირებულობასა და ამ ტენდენციაზე მიზანმიმართულ ორიენტირებულობას. ეს ცნება თავის არსში მოიაზრებს კოსმოსში შემოტანილ რაიმე ილუზიურობას და ინდივიდუალური სხეულები, როგორც ინდივიდუალიზმის ე. წ. უმეცრების გამომხატველი, ამბიციურობის წარმომადგენლობითი ნაწილები დაუფიქრებლად მიილტვიან მისკენ. მათ ნებისმიერი სახის სიახლის შეტანის, სიტუაციის შეცვლის, საკუთარი პიროვნული შეხედულებებით რეფორმების განხორციელების იდეა იზიდავთ, ნებისმიერი საშუალებებითა და ნებისმიერ ფასად და ამ სიახლეში საკუთარი ინდივიდუალური სხეულის უპირველეს, მთავარ და წამყვან ფიგურად დანახვისა და დაფიქსირების დაუოკებელი სურვილები უჩნდებათ. რაიმეს ფორმალური ან ბუტაფორიული ცვლილებაც კი საკმარისი ხდება საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის დასაკმაყოფილებლად და (რაც უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება პირადად მე) ამ გრძნობის გასაზრდელად, ინდივიდი უკვე ინდივიდუალურ სხეულად აღიქვამს შემდგომ საკუთარ „მე“-ს და ის კი არ აინტერესებს, მის მიერ შემოტანილი და განხორციელებული ცვლილებები, სიახლეები რას მოუტანენ გარემოს. მისი ერთადერთი საზრუნავი ხდება ის, თუ ეს, მის მიერ ნამოქმედარი, რას მოუტანს მის ინდივიდუალურ სხეულს ანუ უკვე, როგორც ასეთი ტიპის ინდივიდი იტყოდა, რას მოუტანს მას (მის „ეგო“-ს).

ეგოცენტრიზმი მთელი მომავლის, სადამდეც წვდომის უნარი გააჩნია, ინდივიდუალური სხეულის ინტერესების მიხედვით დაგეგმარების ცნობიერებით არის გამოხატული. იგი არ ითვალისწინებს ანმყოში უკვე არსებულს, რასაც უკვე მიაღწია და რაც უკვე ელირსა, ამიტომ არასოდეს არ არის კმაყოფილი იმით, რაც უკვე გააჩნია. იგი არ ითვალისწინებს აგრეთვე წარსულს, რამეთუ წარსული მატერიალურ ფორმად აღარ გარდაიქმნება და სულიერება კი მისთვის უინტერესო რამაა და მომავალთან დაკავშირებით კი, როგორც უკვე ვთქვი, ითვალისწინებს მხოლოდ იმას, რაც თვითონ მიაჩნია სწორედ და საჭიროდ.

ამის შედეგად ეგოცენტრიზმის მიმდევარნი განგებასთან პირდაპირ და უხეშად დაპირისპირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, რამეთუ მუდმივად იმის გაკეთებას ცდილობენ, რაც საკეთებელი არავითარ შემთხვევაში არ არის, სიკეთის საპირისპიროს, ანუ ბოროტებას. ამიტომ განგების მიერ ასეთი ცოცხალი არსებების შესაძლებლობები იზღუდება სხვადასხვა საშუალებებით, რის შედე-

გადაც ისინი იძულებულნი ხდებიან თვითაღზევების მადა დაიპატარავონ, თუმც, თავიანთი ზრახვები (ანუ ბოროტება) მათ მუდმივ თანამგზავრად რჩება.

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი წ ყ ო ბ ე ბ ი და მ ა თ ი ნ ა ი რ ს ა ხ ე ო ბ ე ბ ი

აბსოლუტურად ყველაფერი, რაც ცოცხალ არსებაში საკუთარ ინდივიდში არსებული ჭეშმარიტად ნეგატიური ნაწილის აღიარებისა და გავრცელების სურვილების დიაპაზონშია გამოვლინებული, საზოგადოებრივი წყობის ცნების კომპეტენციაში იმყოფება. თუ მარტივი ფორმით შევეცდებით ამის ჩამოყალიბებას, შეიძლება ასე ითქვას, რომ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებებში ჭეშმარიტად ნეგატიურ ნაწილს მათი ინდივიდუალური სხეული წარმოადგენს. აქედან კი ავტომატურად გამომდინარეობს ის, რომ საზოგადოებრივი წყობის ცნება ინდივიდუალური სხეულის თვითრეალიზაციის მომცველი ყოფილა. ფაქტიურად, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი წყობის ცნება ინდივიდში არსებული ნეგატიური ნაწილის ქალური სანყისის გამომხატველია. რაც შეეხება მამაკაცურ სანყისის გამომხატველ ცნებას ინდივიდში არსებული ნეგატიური ნაწილისა – რელიგია წარმოადგენს.

ამ წარმონაქმნში, რასაც საზოგადოებრივი წყობა ეწოდება, ჭეშმარიტი რწმენა – მსოფლმხედველობად, იდეოლოგიად, კონცეპციად, კონსტიტუციად, კანონმდებლობად და ათას სხვა ტერმინად არის მონათლული, ხოლო ჭეშმარიტი ნდობა – აღიარებად, ღირსებად და ამ ტიპის ტერმინებად და გაგებად არის აღქმული.

საზოგადოებრივი წყობის ცნება რალაციით ჩამოჰგავს ოჯახის ცნებას. კერძოდ კი იმით, რომ კატეგორიულად არის მიდრეკილი სტატიკური მდგომარეობის დამყარებისკენ. მაგრამ ოჯახის ცნებაში თუ ჭეშმარიტად პოზიტიური ნაწილი ცდილობს უძრაობაში გადასვლას და მისი პრობლემა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ წინსვლის ტენდენციას ერთგვარად ეწინააღმდეგება, რამეთუ შეჩვეულ ბედნიერებას არის მიჯაჭვული, საზოგადოებრივი წყობის ცნებაში ჭეშმარიტად ნეგატიური ნაწილი ცდილობს ინვოლუციაში, უკუსვლაში ყველასი და ყველაფრის გადაყვანას, ცივილიზირებისა და ევოლუციონების ყალბი მანტიით შემოსილი. იგი „დასაპყრობ ნაწილს“ უბედურებებით ემუქრება, თუ არ დაუჯერებენ (მის ნებას თუ არ დაჰყვებიან). და როგორც წესი გასდის ხოლმე, ისიც,

მხოლოდ იმ იმედით – არსებულ მდგომარეობაზე უარესი რა უნდა იყოსო, ენდობა ცრუპენტელას და უარეს და უარეს მდგომარეობაში გადადის. ამ ცნებაში იმდენად არის გართულებული უმარტივესი რაღაცეები, იმდენჯერ აქვს ყოველივეს სახელი გადასხვაფერებული, რომ ძალიან ძნელია მათი ზეგავლენის ქვეშ მყოფს დაანახოს ის, რომ თეთრი თეთრია და არა ნაცრისფერი, ნითელი, მწვანე, ლურჯი ან თუნდაც შავი. ეს ცნება ყველას სტატიკაში ამოქმედებს და ყველას ჰგონია, რომ ისინი კინემატიკაში არიან, ანუ თითქოს რაღაცას ემსახურებიან, საჭიროს ქმნიან, სასიკეთოდ მოქმედებენ. მოკლედ, საზოგადოებრივი წყობის ცნების ზეგავლენის ქვეშ მყოფისათვის ამაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს, ეს წყლის ნაყვას შეიძლება შევადაროთ.

კლასიფიცირებულად თუ ჩამოვაცალიბებთ, ამ ჩვენს ეპოქა-ლურ რეალობაში რვა საზოგადოებრივი წყობის ნაირსახეობა შეიძლება გამოვყოთ: ფეოდალიზმი (პატრონ-ყმობა), პარლამენტარიზმი, მონარქია, იმპერიალიზმი, სოციალიზმი, ფაშიზმი, კომუნიზმი და კაპიტალიზმი.

საზოგადოებრივი წყობილებებიც, ისევე, როგორც აბსოლუტურად ყველაფერი, ობიექტურ რეალობას წარმოადგენენ და ობიექტური რეალობის დინამიურ პრინციპებს (მოდუსებს) ემორჩილებიან. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ისინი რელიგიური მიმდინარეობების მუტაციური ფორმები არიან, ანუ ავტომატურად იგულისხმება ის, რომ მათი ნეგატიური ზეგავლენის დამარცხება რელიგიური მიმდინარეობების ჭეშმარიტად დაცვით, ავტომატურად, თავისთავად მოხდება. ვეცდები მაქსიმალურად მოკლედ ჩამოვაცალიბო საზოგადოებრივ წყობათა არსობრივი რაობა.

პ ა ტ რ ო ნ - ყ მ ო ბ ა ა ნ უ ფ ე ო დ ა ლ ი ზ მ ი

პატრონ-ყმობა ანუ ფეოდალიზმი ინდუიზმის მუტირებულ ფორმას წარმოადგენს. ეს გახლავთ საზოგადოებრივი წყობა, რომლის საშუალებითაც ხდება საკუთარი მსოფლმხედველობის გავრცელება გარემოში, გარემოს მხრიდან მისი აღიარებულობისა და ნდობის სრული გათვალისწინებით.

ეს საზოგადოებრივი წყობა, საზოგადოების თითოეული წარმომადგენლის მხრიდან, ქველმოქმედების გამოვლინებაზე ბაზირდება. იერარქიულადაც ასევე ნაწილდება ამ წყობაში მიმმართველთა და მიმყოლთა განსაზღვრა. ის, ვინც უფრო მეტად ქველმოქმე-

დია თავისი გულით, მეტად უფრო დაფასებულია და აღიარებულია საზოგადოებაში მთლიანად. მისდამი ნდობა და პატივისცემა იქამდე იზრდება, ვიდრე იგი ასეთი მიდგომითაა დამუხტული ყველასა და ყველაფერთან მიმართებაში. სიყვარულიც კი, უმაღლესი ფასეულობა საზოგადოებაში, ფეოდალიზმში სხვათათვის საკუთარის უანგაროდ გაცემით იზომება. ფეოდალიზმში პიროვნებათა ურთიერთმიჯაჭვეულობა თავისთავად, ბუნებრივად ერთმანეთისთვის მაქსიმალურად დახარჯვაზე, საკუთარი პიროვნების მაქსიმალურად მიძღვნაზე დამოკიდებული და ის, ვინც ეგოისტია და საკუთარი სხეულის ინტერესები ყველაზე მაღლა აქვს დაყენებული, ამ წყობაში უმდაბლეს პიროვნებადაა მიჩნეული და იერარქიულად ყველაზე დაბლა იმყოფება.

პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ა რ ი ზ მ ი

პარლამენტარიზმი ბერძნული მითოლოგიის მუტირებულ ფორმას წარმოადგენს. ეს გახლავთ საზოგადოებრივი წყობა, რომლის საშუალებითაც ხდება საკუთარი პიროვნების აღიარება, სანდოდ გამოცხადება გარემოსთვის (კონტაქტში მყოფთათვის), ამ კონტაქტორი გარემოს მსოფლმხედველობის სრული გათვლისწინებით.

ეს საზოგადოებრივი წყობა, საზოგადოების თითოეული წარმომადგენლის მხრიდან, მიმდინარე მოვალეობის გრძნობის გამოვლინებაზე ბაზირდება. აქაც, იერარქიულად სწორედ ის პიროვნებაა ყველაზე მეტად დაფასებული და მიღებული, ვინც საზოგადოების წინაშე ჭეშმარიტად პასუხისმგებლობის შეგრძნებით იმართება და ცდილობს მთელი საზოგადოების მსოფლმხედველობრივი შეხედულებები თავის შეხედულებებზე გადაიქციოს, მთელი საზოგადოების უმთავრეს ინტერესად გადააქციოს და მათი განხორციელება, ხორცშესხმა, მატერიალიზება შეძლოს. ყველაზე დაბალის იერარქიული ნაწილი კი ამ წყობაში გახლავთ ის პიროვნებები, რომლებიც საკუთარი უფლების მოპოვების მცდელობით არიან დაკავებულნი, სხვათა (საზოგადოების) უფლებათა დარღვევის ხარჯზე. ამ საზოგადოებრივ წყობაში ვალდებულების ცნება წმინდა გაგებად მოიაზრება და საზოგადოების წევრების მიერ ერთმანეთის მსახურება გონებრივი გზით, ურთიერთგაზიარებით, გონებით წვდომის დონეზე ხდება.

მონარქია

მონარქია იუდაიზმის მუტირებულ ფორმას წარმოადგენს. ეს გახლავთ საზოგადოებრივი წყობა, რომლის საშუალებითაც ხდება საკუთარი მსოფლმხედველობის გავრცელება გარემოში, გარემოს მხრიდან ამის აღიარებისა და ნდობის არ გათვალისწინებით და, ფაქტიურად, სრული იგნორირებით.

ეს საზოგადოებრივი წყობა, საზოგადოების თითოეული წარმომადგენლის მხრიდან, მსხვერპლშენირვის გამოვლინებაზე ბაზირდება. იერარქიულად ყველაზე მაღალი ფიგურა ამ საზოგადოებისა გახლავთ მონარქი (მეფე). იგი ერთპიროვნულად წყვეტს საზოგადოების სვლისა და განვითარების გზას. მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე მეტადაა ვალდებული მის მმართველობაში მყოფი საზოგადოების ინტერესებით იყოს მუდმივად დაკავებული და მთლიანად მიუძღვნას თავისი პიროვნება ამ საზოგადოებას. ის მამასავით უნდა ზრუნავდეს.

ამ საზოგადოებრივ წყობაში ყველაზე დაბალ იერარქიულ საფეხურად მოიაზრება საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც საზოგადოებისთვის საკუთარი პიროვნების მსხვერპლად შენირვას სრულიად უგულვებელყოფს, ანუ არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებს თავის პიროვნებაზე. ასე მაგალითად: ქურდები, ყაჩაღები, მეძავეები, მემბოხეები და ა. შ. აქ ხომ უმთავრესი პრინციპი უნდა იყოს ერთმანეთისათვის ინდივიდუალურად მაქსიმალური დახმარება და არა პირიქით.

იმპერიალიზმი

იმპერიალიზმი ეგვიპტური რელიგიის მუტირებული ფორმაა. ეს გახლავთ საზოგადოებრივი წყობა, რომლის საშუალებითაც ხდება საკუთარი პიროვნების აღიარება, სანდოდ გამოცხადება გარემოსთვის, ამ გარემოს მსოფლმხედველობის სრული და ბსოლუტური იგნორირებით.

ეს საზოგადოებრივი წყობა საზოგადოების თითოეული წარმომადგენლის საკვებით უზრუნველყოფაზე ბაზირდება. ყველაზე მაღალი ფიგურა იერარქიულად აქ გახლავთ იმპერატორი, ფარაონი ან რაიმე მსგავსი ამისა. იგი ერთპიროვნულად წყვეტს აბსოლუტურად ყველასი და ყველაფრის ბედ-იღბალს. ამ საზოგადოებრივ წყობაში ყველა და ყველაფერი უფლების გამოვლინების მცდელო-

ბაზეა ანყობილი და ეს მმართველიც საკუთარი უფლებების დემონსტრირებითაა ფაქტიურად მხოლოდ დაკავებული, რათა საზოგადოების რომელიმე სხვა წარმომადგენელში მასზე უფლების გამოვლინების სურვილმა არ გამოიღვიძოს. ეს ერთგვარ თავის დაზღვევას ჰგავს.

იერარქიულად ყველაზე დაბალ ფენად საზოგადოებისა ის ნაწილია ამ წყობაში აღქმული, რომელსაც ჭარბი მოვალეობის გრძნობა გააჩნია. ეს ამ ნაწილის მონურ მდგომარეობაში მყოფებით გამოიხატება, ამ გაგების პირდაპირი მნიშვნელობით. ამ საზოგადოებაში მის წარმომადგენელთა მიერ ერთმანეთის ნდობა და გაგება არასააჭირო და სულელურ ცნებამდეა დაყვანილი.

სოციალიზმი

სოციალიზმი ქრისტიანობის მუტირებულ ფორმას წარმოადგენს. ეს გახლავთ საზოგადოებრივი წყობა, რომლის საშუალებითაც ხდება აღიარების მოპოვება და მიღება, გარემოსგან საკუთარი მსოფლმხედველობის სრული გათვალისწინებით.

ეს საზოგადოებრივი წყობა, საზოგადოების თითოეული წარმომადგენლის მხრიდან, გამოვლინებულ მატერიალურ შემოქმედებაზე ბაზირდება. იერარქიულად ყველაზე მაღალ საზოგადოებრივ ნაწილად ამ საზოგადოებრივ წყობაში მატერიალურად ყველაზე მეტად უზრუნველყოფილი ნაწილია მიჩნეული, რომელიც საზოგადოების მხრიდან ნდობის უფლებით სარგებლობს. ეს ნაწილი კი, თავის მხრივ, მთელი საზოგადოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ფიზიკურად დასაქმების სურვილით არის დამუხტული. ხოლო იერარქიულად ყველაზე დაბალ საზოგადოებრივ ნაწილად მიჩნეულია ის წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობენ მატერიალური დამსახურების გარეშე უზრუნველყონ და გაიუმჯობესონ საკუთარი მატერიალური ყოფა-ცხოვრება. სოციალიზმი თავისი ბუნებით უგულვებელყოფს ინდივიდის სულიერ განვითარებას და არც მატერიალურ განვითარებას სწყალობს დიდად. იგი ყველაზე კონსერვატორულ საზოგადოებრივ წყობადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომაც ნებისმიერი რეფორმატორული ნაბიჯები ამ წყობის ნგრევის მიზეზი ხდება ხოლმე.

ფ ა შ ი ზ მ ი

ფაშიზმი ბუდიზმის მუტირებულ ფორმას წარმოადგენს. ეს გახლავთ საზოგადოებრივი წყობა, რომლის საშუალებითაც ხდება საკუთარი მსოფლმხედველობის მოპოვება, მიღება და ჩამოყალიბება გარემოსაგან, ამავე გარემოს მიერ საკუთარი პიროვნებისადმი სანდოობის, მისი აღიარებულობის, საკუთარი ღირსების სრული გათვალისწინებით.

ეს საზოგადოებრივი წყობა, საზოგადოების თითოეული წარმომადგენლის მხრიდან, გამოვლინებულ მატერიალურ ქმედებაზე ბაზირდება. იერარქიულად ყველაზე მაღალ იერარქიულ ნაწილად ამ საზოგადოებრივ წყობაში სულიერად ყველაზე მეტად წინ წასული საზოგადოებრივი ნაწილია მიჩნეული და აღქმული.

ფაშიზმი დამოკლეს მახვილივით (ეგოლუციონების დაჩქარების მექანიზმით) ჰკიდია თითქოს არსებული საზოგადოების თავზე. ყველაზე დაბალ იერარქიულ ნაწილად ამ საზოგადოებრივ წყობაში სულიერად განუვითარებელი საზოგადოებრივი ნაწილია მიჩნეული, რომელთაც ორი გზის უფლება რჩებათ, ან მონური სულისკვეთებით ემსახურონ უმაღლეს იერარქიულ ნაწილს, ან სრულიად განადგურებულნი იქნენ ყველანაირ ასპექტში, მატერიალურად ანუ ფიზიკურად და სულიერად ანუ მორალურად. სულიერებაში შემოტანილი არაეთიკური ელემენტების მთელი კასკადი ამ საზოგადოებრივი წყობის ნგრევის გარდაუვლობის უპირობო მიზეზი ხდება.

კ ო მ უ ნ ი ზ მ ი

კომუნიზმი ისლამის მუტირებულ ფორმას წარმოადგენს. ეს გახლავთ საზოგადოებრივი წყობა, რომლის საშუალებითაც ხდება აღიარების მოპოვება და მიღება გარემოსაგან, საკუთარი მსოფლმხედველობის სრული იგნორირებით.

ეს საზოგადოებრივი წყობა, საზოგადოების თითოეული წარმომადგენლების მხრიდან ბაზირდება მატერიალურობის, მატერიალიზმის გარშემო გამოვლინებულ მეტყველებაზე.

ამ საზოგადოებრივ წყობაში უმაღლეს იერარქიულ ნაწილად მოიაზრება საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მატერიალური სამყაროსთვის სიამოვნების მინიჭებით, ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, გართობის მცდელობითაა დაკავებული დღე და ღამე. გართობაში კი სულიერების სრული დაკარგვა და მატერიალური ცხოვ-

რების იდეალურობის რეკლამირება და ფეტიშირება შეიძლება ვიგულისხმოთ. ხოლო ყველაზე დაბალ იერარქიად ამ საზოგადოებრივ წყობაში მოაზრება საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც სულიერი ფუნქციონალური ასპექტების გაღვიძების მცდელობითაა დაკავებული. ის კომუნიზმის ცნებაში ველურ, დრომოჭმულ, მკვდარ, არაფრისმომცემ, სულელურ და დასაცინ ცნებად არის მონათლული. მატერიალური სიამოვნების მინიჭება და მიღება საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ ამ წყობაში უალტერნატივო ცნობიერებად არის აღიარებული და აღქმული.

კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი

კაპიტალიზმი თეოლოგიის მუტირებულ ფორმას წარმოადგენს. ეს გახლავთ საზოგადოებრივი წყობა, რომლის საშუალებითაც ხდება საკუთარი მსოფლმხედველობის მოპოვება, მიღება და ჩამოყალიბება გარემოსაგან, გარემოს მიერ საკუთარი პიროვნებისადმი სანდოობის, მისი აღიარებულობის, საკუთარი ღირსების სრული იგნორირებით.

ეს საზოგადოებრივი წყობა, საზოგადოების თითოეული წარმომადგენლის მხრიდან, მატერიალური სარგებლობის მიღების ფიქრზე, აზროვნებაზე (ფაქტიურად აზრით, ფიქრით ვნების ე. ი. მავნებლობის მოტანაზე) ბაზირდება.


ამ საზოგადოებრივ წყობაში უმაღლეს იერარქიად საზოგადოების ის ნაწილი მოაზრება, რომელსაც მატერიალური უფლების საჭე აქვს ხელში ჩაგდებული. ჩაგდებული იმიტომ, რომ აქ მიზანი ამართლებს საშუალებას, ხოლო ყველაზე დაბალ იერარქიად საზოგადოების ის ნაწილი ითვლება, რომელსაც მატერიალურ სამყაროში უფლება, პრივილეგირებული მდგომარეობა საერთოდ არ გააჩნია. აქ აბსოლუტურად ყველაფერს მატერიალური ქონება განაგებს. მატერიალური კმაყოფილების მიღება და მინიჭება საზოგადოების წარმომადგენელთა შორის ამ წყობაში უალტერნატივო სიკეთედ არის აღიარებული და აღქმული. კაპიტალიზმში სულიერების ცნება საერთოდ ამორალიზმად და არასრულყოფილების კომპლექსის საფუძვლადაც კია მიჩნეული.

ი ე რ ა რ ქ ი უ ლ ი კ ი ბ ე

ამით მთავრდება ადამიანური ცნობიერებისა და ყოფიერების ფორმაციული გამოვლინებების შინაარსის არსობრივი განსაზღვრება. ეს ფორმაციები საკმაოდ ძუნწად არიან გადმოცემულნი, მაგრამ არსობრივი დატვირთვისთვის ისინი სრულიად ნათელ სურათს ქმნიან იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ, საიდან მომდინარეობენ, რას ემსახურებიან და საერთოდ, საით მიაქანებენ ადამიანებს. მათი განსაზღვრა აუცილებლობამ გამოიწვია და ეს წიგნი საერთოდ არ იყო განკუთვნილი მათთვის ყურადღების მისაქცევად.

ამ თავის ბოლო გვერდზე, მე მსურს, მთელი კოსმიური რეალობის იერარქიული საფეხურობრივი თანამიმდევრობა გადმოვცე ჩემი ხედვით, რათა ადამიანებს, თუნდაც წამით, საშუალება მიეცეს იმისა, რომ დაინახოს რას უნდა ემსახუროს და რას არა, საით უნდა მიმართოს თავისი ინტერესები და საით არა. და საერთოდაც, მე ასე ვიტყვოდი, ადამიანისა და საერთოდ ცოცხალი არსებების განსაზღვრებისთვის ერთი პატარა ფორმულირება შეიძლება იქნას გამოყენებული: „მითხარი რაში მდგომარეობს შენი ინტერესები და გეტყვი ჭეშმარიტად ვინ ხარ შენ.“ ეს შეიძლება ნებისმიერმა ადამიანმა გამოიყენოს იმისათვის, რომ საკუთარი თავი ჭეშმარიტად შეიცნოს.

კოსმიური რეალობის იერარქიული თანამიმდევრულობა:



ეს იერარქიული კოსმიური ჩანაწერი იმიტომ გავაკეთე, რომ აბსოლუტურად თვალნათელი გამხდარიყო ადამიანური ყოფიერების რეალური კონსტიტუციური მდგომარეობა.

ყველაზე დიდი სისულელე ამ ქვეყნად საკუთარი თავის ტყუილში მყოფება გახლავთ ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში.

IV თავი ზესული

მამაკაცური და ქალური სანყისების გაერთიანებული ნაწილი

ხორცშესხმულ არსებას არ შეუძლია ყოველგვარ საქმიანობაზე უარის თქმა, მაგრამ მას, ვინც უარს ამბობს ქმედების ნაყოფებზე, ჭეშმარიტად განდევილი ენოდება – ბჰაგავად-გიტას ბოლო, მეთვრამეტე თავშია ეს ასე გადმოცემული. თვითონ ბოლო თავი გახლავთ ხორცშესხმული არსებების შესაძლებლობების მაქსიმუმის ახსნა-განმარტება. იგი დასკვნასავით არის და ასეც ჰქვია: დასკვნა – განდევილობის სრულქმნა.

რაც შეეხება თავად საქმიანობის წარმართვის მექანიზმს კრმნა ასე ასწავლის არჯუნას განდევილობის სრულქმნის, სრულყოფილების შესაძლო მაქსიმუმის მიღწევის გზას: „ო, მკლავმაგარო არჯუნა, ვედანტას თანახმად ნებისმიერი საქმიანობის შესრულებისთვის ხუთი ფაქტორია: 1) მოქმედების ადგილი; 2) მოქმედი; 3) სხვადასხვა გრძნობები; 4) სხვადასხვა მცდელობა; 5) საბოლოო ჯამში ზესული. ნებისმიერი სწორი თუ არასწორი საქმიანობა, რომელსაც ადამიანი სხეულით, ჭკუით თუ მეტყველებით ასრულებს ამ ხუთი ფაქტორითაა გამოწვეული. ამიტომ ის, ვინც საკუთარ თავს ერთადერთ შემსრულებლად თვლის და არ ითვალისწინებს ხუთ ფაქტორს, უდავოდ, უგუნურია და ვერ ხედავს საგნებს ჭეშმარიტ შუქში. ის, ვისი მოქმედებაც ცრუ „ეგო“-თი არ არის გამოწვეული, ვისი გონებაც თავისუფალია, ქმედებებიც კი ვერ ატყვევებს.“

თვით სიტყვა – ზესული, ძალიან უცხო და გაუგებრად, შეიძლება ითქვას, შემაშინებლადაც კი ჟღერს, ამიტომ მსურს იგი გაიხსნას აღქმისთვის გასაგები ფორმით. ზესული გახლავთ ერთგვარად, უხეშად რომ წარმოვაჩინო, უნივერსალური ჭკუა, რომელიც აბსოლუტურად გან(რ)წმენდილია ყოველგვარი ამბიციისა და ემოციისაგან. იგი არის, ფაქტიურად, ერთგვარი საშუალება, რითაც შეუძლიათ ერთმანეთს დაუკავშირდნენ გრძნობა (თავისი აბსოლუტური სუფთა სახით) და გონება (ისიც აბსოლუტური სუფთა სახით). ზესული აგრეთვე აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ თავისში დამტკიცებული სრულყოფილების წარმომადგენლადაც შეიძლება იქნას მიღებული შინაგანი აღქმის დონეზე. ის არის შედეგი

ანუ ის, საითაც უნდა მიისწრაფოდნენ როგორც მამკაცური ისე ქალური სანყისი.

ზესული თავად არის ნეტარების გამოვლინება, ანუ მასში არანაირი ოცნება, ნატვრა ან სურვილი აღარ არის, ყოველივე შესრულებულია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ზესული აბსოლუტურად სრულყოფილია თავისი აღქმის დიაპაზონში. იგი აბსოლუტურად ყველა ცოცხალ არსებაში იმყოფება, მაგრამ არავითარ მოქმედებას არ სჩადის და, უბრალოდ, გვერდიდან აკვირდება და აფიქსირებს ცოცხალ არსებაში არსებული ინდივიდუალური სულის აბსოლუტურად ყველა ქმედებას.

და, თუმცა გარედან არ მოქმედებს, შიგნიდან მთლიანად განაგებს ყოველივეს, მოქმედებასაც და უმოქმედობასაც ინდივიდუალურ სულში სურვილების პროვოცირების საშუალებით.

ზესულის ახსნა იდეალურად გადმოსცა ღვთის ძემ იესო ქრისტედ მოვლინების პერიოდში ცხრა ნეტარების სახით და, სხვათა შორის, თავად ღვთის ძემ, ამ მოვლინების შემდგომ, ზესულში დაივანა და მასში ჰპოვა თავისი განსასვენებელი. ამ მხრივ, ფრიად მნიშვნელოვნად მიმანჩია, მოქმედების, ხაზგასმით შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად ნებისმიერი მოქმედების ხუთი მიზეზის ძალიან სერიოზულად გათვალისწინება და განხილვა, რომელიც ამ ნიგნის ჩონჩხად არის გამოყენებული და ამ მიზეზების ცხრა ნეტარების გადასახედიდან განხილვა. ერთი რალაც უნდა მიიღოს უბრალოდ ინდივიდუალურმა სულმა აქსიომატურად – არაფერი ახალი არ უნდა ეძებოს მან ზესულისაგან განსხვავებულად. ყოველივე უკვე ნაპოვნია, უბრალოდ ის, რასაც ინდივიდუალური სული პოულობს, რაც არ იცოდა, მისთვის არის ახალი. ამ რალაცის მოძიების შემდგომ სჯობს პირველს ზესულს გაუზიაროს და მას ჰკითხოს აზრი, რომელიც შიგნიდან მუდამ კავშირშია მასთან, ვიდრე სხვა ინდივიდუალურ სულთან გაიქცეს, რათა მათ მიერ იქნას აღიარებული და უპირატესობის გრძნობა დაიმკვიდროს თავისში.

მამ ასე, ცხრა ნეტარებისა და მოქმედებათა მიზეზების სინთეზი მოვახდინოთ, რისთვისაც კიდევ ერთი საშუალების, ჩაკრალური (ენერგეტიკული) სტრუქტურების განხილვა დაგვჭირდება, როგორც აღიარების, აღქმის, შემეცნებისა და შეგრძნებისთვის დამხმარე მექანიზმი. მაგრამ ეს შემდგომ, ახლა კი, დასაწყისისთვის, ერთგვარი ჩანახატი, შავი სამუშაო, მონახაზი უნდა გაკეთდეს.

უპირველესი და უმთავრესი პირობა ამ ყოველივეს აღსაქმელად არის ის, რომ ნებისმიერი ცოცხალი არსება ორი სანყისის, მა-

მაკაცური და ქალური სანყისის მატარებელია და ცალსახა სანყისი მატერიალურ და თუნდაც სულიერ გამოვლინებულ დონეზე, არ არსებობს, უბრალოდ, მას, ვისაც მამაკაცური სანყისი აქვს აქტივიზირებული თავისში, მამრი სქესის გახლავთ, ხოლო მას, ვისაც ქალური სანყისი აქვს აქტივიზირებული – მდედრი სქესისა. ცხრა ნეტარებაშიც ეს პრინციპი ზედმინვენით არის დაცული. პირველიდან მეოთხის ჩათვლით ქალურ სანყისს ეხება; მეხუთედან მერვეს ჩათვლით მამაკაცურ სანყისს ეხება; ხოლო მეცხრე ნეტარება მათი პოტენციური თანაკვეთის ნაწილს, თავად ზესულს ეხება.

1-4-ს სტატიკის, შიდაქმედების კანონებს ვუნოდებდი; 5-8-ს კინემატიკის, გარემოქმედების კანონებს, ხოლო მე-9 სტატიკიდან კინემატიკაში და პირიქით მამოძრავებელი (დინამიკის) ბუნების მატარებელ კანონს ჰგავს.

ქალური სანყისისთვის – სტატიკაში სასურველი საქმიანობა

1. ქმედების ადგილი. ნეტარ იყვენენ მდაბალნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

2. მომქმედი. ნეტარ იყვენენ მგლოვიარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.

3. სხვადასხვა გრძნობები. ნეტარ იყვენენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა.

4. სხვადასხვა მცდელობა. ნეტარ იყვენენ მშიერნი და მწყურვალნი სიმართლისათვის, რამეთუ იგინი გასძლნენ.

მამაკაცური სანყისისთვის – კინემატიკაში სასურველი საქმიანობა

1. ქმედების ადგილი. ნეტარ იყვენენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

2. მომქმედი. ნეტარ იყვენენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

3. სხვადასხვა გრძნობები. ნეტარ იყვენენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ ისინი ძედ ღმრთისად იწოდნენ.

4. სხვადასხვა მცდელობა. ნეტარ იყვენენ დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

ანუ აქედან შესაძლებელი ხდება ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება: ის, რაც ქალური სანყისისთვის მაქსიმალურ ზღვრად არის წარმოჩინებული, მამაკაცური სანყისისთვის ყველაზე მინიმალურ ზღვარს წარმოადგენს. ადამიანისთვის გასაგებ ენა-

ზე რომ ითქვას, თუ ქალური სანწყისისთვის დამოუკიდებლად მიღწევის მაქსიმუმი სამოთხეა, მამაკაცური სანწყისისთვის ეს მინიმუმი უნდა იყოს, ხოლო ამ სანწყისის მაქსიმალურ ზღვარს რაც შეეხება ეს გახლავთ ღმერთის სავანემდე მიღწევა სულის სახით. ვფიქრობ, მეტად ძნელი გასაგებია, მაგრამ შემდგომში შეიძლება თავადვე გამარტივდეს, საქმიანობის მიზეზთა დაწვრილებითი დაშლისა და ჩაკრალური სტრუქტურის შემოტანის შედეგად. ახლა კი მეცხრე ნეტარებაც „დავაბინაო“.

მამაკაცური და ქალური სანწყისების დაახლოება-გაერთიანება – სტატიკიდან კინემატიკაში და პირიქით გადასვლის საქმიანობა.

5. საბოლოო ჯამში ზესული ნეტარ იყვნეთ თქვენ რაჟამს გწყევლიდნენ და გდევნიდნენ და თქვან ყოველივე ბოროტი თქვენს მიმართ ჩემს გამო, გიხაროდენ და მხიარულ იყვნეთ, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდი არს ცათა შინა.

ბედნიერებიდან ნეტარებაში და პირიქით

დიახ, აქაც ერთი და იგივე სიტყვათა წყობიდან მამაკაცური სანწყისი სხვა აზრს გებულობს და ქალური სანწყისი სხვას. ანუ პრიორიტეტებს თუ გავმიჯნავთ, ქალური სანწყისი მამაკაცური სანწყისის სიმეტრიული ანარეკლია, როგორც ფუნქციონალური და ვიზუალური სფერო სულიერი სამყაროს საზომებით. ისე რომ, ცნება – ცათა სასუფეველი, ამ შემთხვევაში სრულიად ფარდობითი ცნება ხდება. უბრალოდ ამას იმიტომ ვუთმობ ამხელა დროს და ადგილს, რომ ამ პრინციპის მიღების გარეშე წინსვლა და წარმატება ზესულისკენ სწრაფვაში, ფაქტიურად, თითქმის ნულს უტოლდება. ეს საკუთარი „მე“-ს ნაწილის იგნორირება იქნება.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ ამოიცნოთ საკუთარ „მე“-ში ქალური და მამაკაცური სანწყისები და როგორ გაარჩიოთ ერთმანეთისგან, როდესაც რაიმე სახის **სიამოვნების** მიღების ან გაცემის სურვილი გაქვთ, იცოდეთ, რომ ეს თქვენი „მე“-ს ქალური სანწყისია ან სურვილის ავტორი. რაც შეეხება თვითონ სიამოვნების ცნებას ის, როგორც კანონზომიერი წესი, ძირითადად უფრო კონკრეტულს, ხილულს, მატერიალურს აცნობიერებს თავის არსობრივ გაგებაში. ხოლო როდესაც რაიმე სახის **კმაყოფილების** მიღების ან გაცემის სურვილი გიჩნდებათ, იცოდეთ, რომ ეს თქვენი „მე“-ს მამაკაცური სანწყისია ამ სურვილის ავტორი. თვით კმაყოფილების ცნება ძირითადად უფრო აბსტრაქტულს, უხილავს, სულიერს აცნობიერებს თავის არსობრივ გაგებაში.

როდესაც ინდივიდს მამაკაცური სანყისი მამაკაცური სანყისის ეტალონის, სამყაროს უზენაესი პიროვნების დაკმაყოფილებას, მისთვის კმაყოფილების გაცემას ერთადერთ მისაღებ სურვილად დაიბრუნებს, ხოლო ქალური სანყისი კი ქალური სანყისის ეტალონის, სამყაროს უზენაესი პიროვნების სიამოვნებას, მისთვის სიამოვნების გაცემას ერთადერთ სასურველ გზად დაისახავს საკუთარ „მე“-ში, ძიების პროცესი სრულიად დამთავრებული და სრულყოფილად შესრულებული იქნება. ეს არის ზედმინევი აუცილებელი ორი პირობა იმისათვის, რომ ინდივიდი საკუთარი სულიერი ჭუჭყისგან გათავისუფლდეს და ბედნიერების და ნეტარების მაქსიმალურად შესაძლებელის მიღწევისკენ აიღოს გეზი. ფაქტიურად, ეს წინა პერიოდი სტატიკად და უძრაობად შეიძლება იქნას აღქმული, რამეთუ მამაკაცური და ქალური სანყისები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ერთმანეთთან კონტაქტის გარეშე ცდილობენ საკუთარი ჭუჭყის მოცილებას და გან(რ)წმენდ(ვ)ას. ხოლო იმ მდგომარეობის დამკვიდრების შემდგომ, რასაც თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმში მიაღწევენ სანყისები, მათი კინემატიკაში გადაყვანა ხდება, ანუ მამაკაცური და ქალური სანყისები ერთმანეთზე დამოკიდებულად, ერთმანეთთან კონტაქტში შეეცდებიან საკუთარ თვითგამოვლინებას. სწორედ აქ არის ნეტარებისკენ მიმავალი გზის გასაღები დავანებული.

პრინციპი ამ ურთიერთობებისა შემდგომში მდგომარეობს. თუ მამაკაცური სანყისი გაითვალისწინებს – რა არის ყველაზე ძვირფასი და სასურველი ქალური სანყისისთვის ანუ სიამოვნება, თუკი შეიგრძნობს მას და გულწრფელი რომანტიული სიამოვნების გაცემით იქნება დაკავებული, მასთან ურთიერთობის დროს ქალური სანყისი მუდმივ ტრანსულ მდგომარეობაში აღმოჩნდება და მისთვის ყველაზე ძვირფასი გახდება ის წყარო, ანუ მამაკაცური სანყისი, რომლისგანაც ამისთვის ესოდენ ძვირფასი და საოცნებო სიამოვნება იღვრება პერსონალურად მისთვის და მაშინ ქალური სანყისი უდიდესი მზრუნველობის გრძნობით განიმსჭვავლება და მის დაუოკებელ სურვილად მამაკაცური სანყისისთვის კმაყოფილების გაცემა, მისი დაკმაყოფილება გახდება, რომ მამაკაცური სანყისი მისით ისე დაკმაყოფილებულ იქნას, რომ სხვა რაიმემ არ წარიტაცოს, ეს სიყვარულია (ასე უწოდებს ქალური სანყისი მამაკაცური სანყისის მასთან ყველაზე სასურველ ურთიერთობას). თუ ქალური სანყისი გაითვალისწინებს – რა არის ყველაზე ძვირფასი და სასურველი მამაკაცური სანყისისთვის, ანუ კმაყოფილება, თუკი შე-

იცნობს მას და ობიექტური, რეალური კმაყოფილების გაცემით იქნება დაკავებული მასთან ურთიერთობის დროს – მამაკაცური სანყისი მუდმივად ჰარმონიულ მდგომარეობაში აღმოჩნდება და მისთვის ყველაზე ძვირფასი გახდება ის წყარო, ანუ ქალური სანყისი, რომლისაგანაც ესოდენ ძვირფასი და საოცნებო კმაყოფილება გარდმოდინდება პერსონალურად მისთვის. ისიც, თავის მხრივ, მფარველობაში ამყოფებს მისთვის ესოდენ ძვირფას სიხარულის მომნიჭებელ წყაროს (ასე უწოდებს მამაკაცური სანყისი ქალური სანყისის მასთან ყველაზე სასურველ ურთიერთობას).

მაშასადამე, მოხდება სრულიად ახალ ფასეულობრივ სივრცეში გადასვლა, სადაც გრძნობის პარამეტრი ჰარმონიულობით, ანუ ნეტარების მდგომარეობით იქნება გამოხატული; გონების პარამეტრი ტრანსცენდენტულობით, ანუ ბედნიერების მდგომარეობით იქნება გამოხატული; ემოციის პარამეტრი სიყვარულის მდგომარეობით იქნება გამოხატული; ამბიციის პარამეტრი კი სიხარულის მდგომარეობით იქნება გამოხატული. ამ ყოველივეს გადაკვეთის წერტილში კი თავად ზესული მდებარეობს ე. წ. უნივერსალური ჭკუის სახით, რომელიც, ინდივიდუალიზმის გადასახედიდან სრულიად არაინდივიდუალურია ანუ საკუთარი ინდივიდუალიზმის რაიმენაირი სახით გამოვლინების არანაირი მცდელობა მისი მხრიდან არც მომდინარეობდა, არც მომდინარეობს და არც არასოდეს არ გარდმოდინდება.

ნეტარება (ჰარმონია), ბედნიერება (ტრანსცენდენცია), სიხარული და სიყვარული

ეს ფასეულობრივი სივრცე არის სამყარო, რომელშიც ფანატიკური და პრაგმატული მიდგომა მთლიანად კარგავენ თავის აზრსა და ფუნქციას და მთლიანად უთმობენ თავის ადგილს რომანტიზმსა და რეალიზმს. ეს არის დროითი და სივრცული გადასახედიდან ისეთი კოსმიური ადგილი, სადაც უმეცრებისა და ვნების მოდუსები ამომწურავად აღქმულია და სრულყოფილად ექვემდებარება სათნოების მოდუსის კანონებს და, უფრო მეტიც, მამაკაცური და ქალური სანყისების გადაკვეთის წერტილში სათნოების მოდუსზე მაღლაც კი ხდება მოხვედრა ანუ თვით ზესულში და ზესულთან გაზიარების, მისი დანახვის და მოსმენის უფლების მიღება.

თუ ამ ოთხ პარამეტრს დავახასიათებთ ზოგადი და ლაკონური განსაზღვრებით, შემდეგი სახის ფორმულირებას მივიღებთ:

ნეტარება (ჰარმონია) – სურვილებისთვის საჭირო და სასურველი ორიენტაციის მიცემა.

ბედნიერება (ტრანსცენდენცია) – საჭირო და სასურველი მიმართულებით ორიენტირებული სურვილების საჭირო და სასურველი სახით ადაპტაცია.

სიხარული – საჭირო და სასურველი მიმართულებით ორიენტირებული სურვილების ინერცია.

სიყვარული – საჭირო და სასურველი სახით ადაპტირებული სურვილების საჭირო და სასურველი მიმართულებით გამოვლინებული ინდივიდუალური იმპროვიზაცია.

ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ ამ სივრცულ დიაპაზონში მოხვედრა სრულყოფილების მიღწევას ნიშნავს, რომლის პიკიც (უმალესი წერტილი) ზესულის მიღწევაა, რაც საკუთარ ინდივიდუალიზმზე სრულიად უარის თქმას ნიშნავს. ეს ყოველივე არის იმის აღქმა და შეგრძნება, რისთვისაც მოხდა ყოველივე იმის გამოვლინება, რაც საერთოდ გამოვლინებულ მდგომარეობაში იმყოფება. აქ აღარ არის საჭირო შემეცნებაზე ზრუნვა და სარწმუნოების მიყოლა, რამეთუ აქ მოხვედრილს სულიერი ჭუჭყი, როგორც ასეთი, აღარ გააჩნია და ის ინდივიდუალური სული იმ თავის პიროვნულ უმნიშვლო სახეს იბრუნებს, რომელიც მას გააჩნდა გაბინძურებამდე. ამ დიაპაზონში მოხვედრა ნიშნავს სამყაროს უზენაესი პიროვნების, სამყაროს უნმინდესი პიროვნების, სამყაროს უერთგულესი პიროვნებისა და სამყაროს უსაყვარლესი პიროვნების უშუალო გარემოცვაში მოხვედრას. მათი ყველას მიერ აღიარებასა და მიღებას. ეს პიროვნებები, ადამიანურ ენაზე, გახლავთ: მამა ღმერთი, დედა ღმერთი, ძე ღვთისა და ღვთის ასული, თუმც, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სქესობრივი მომენტი ამ სივრცეში აბსოლუტურად არ არსებობს და ეს ცნება სრულ უაზრობამდე დადის. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, აუცილებელია რომ ინდივიდუალური სულის მიერ ყოველი მათგანი შესაბამისად იქნას დაკმაყოფილებული. ამის ასახსნელად, თუ როგორ უნდა მოახერხოს ადამიანმა ეს ჩვენეულ, ადამიანურ პირობებში, თითოეულის ფუნქციონალურ დიაპაზონს ჩამოვთვლი და შეძლებისდაგვარად ავხსნი:

1. ძე ღვთისა – მისი განმგებლობითი განყოფილება გახლავთ ქმედების ადგილი ანუ ღვთიური ცნობიერება. იგი ნებისმიერი პიროვნების ეთიკური დონისთვის შესაბამისი ცოდნის შექმნის მოთხოვნითაა დაკავებული

2. მამა ღმერთი – ის გახლავთ მთავარი განმგებელი, თავად მომქმედი ანუ ღვთიური ყოფიერების დამამკვიდრებელი. იგი ნებისმიერი პიროვნების საკუთარ ეთიკურ დონეზე უფრო მაღალ ეთიკურ დონესთან მიმართებაში საჭირო მოვალეობის შესრულების მოთხოვნითაა დაკავებული.

3. დედა ღმერთი (სულიწმიდა) – მისი განმგებლობითი განყოფილება გახლავთ სხვადასხვა გრძნობები ანუ ადამიანური ცნობიერება. იგი ნებისმიერი პიროვნების საკუთარი ეთიკური დონის ტოლ ეთიკურ დონესთან მიმართებაში საჭირო უფლება-მოვალეობების შესრულების მოთხოვნითაა დაკავებული.

4. ასული ღვთისა – მისი განმგებლობითი განყოფილება გახლავთ სხვადასხვა მცდელობები ანუ ადამიანური ყოფიერება. იგი ნებისმიერი პიროვნების საკუთარ ეთიკურ დონეზე უფრო დაბლა მდგომ ეთიკურ დონესთან მიმართებაში საჭირო უფლება-მოვალეობების შესრულების მოთხოვნითაა დაკავებული.

ღვთის ძის ჯეროვნად დაკმაყოფილების გარეშე ვერავინ მიიღებს სიხარულს, ვერ გაიხარებს.

მამა ღმერთის ჯეროვნად დაკმაყოფილების გარეშე ვერავინ შეიგრძნობს ნეტარებას, სურვილებს ვერ მოერევა.

დედა ღმერთის ჯეროვნად დაკმაყოფილების გარეშე ვერავინ გახდება ბედნიერი, ტრანსში ვერ გადავა.

ღვთის ასულის ჯეროვნად დაკმაყოფილების გარეშე ვერავინ მიიღებს სიყვარულს, არავინ ჩაულრმავდება მას.

აი, ამ ოთხი ღმერთის პიროვნების სრულყოფილად დაკმაყოფილების შემდგომ ავტომატურად ხდება ზესულის, აბსოლუტური ქვემარტების ე. წ. უპიროვნო გამოვლინების დაკმაყოფილება.

5. ზესული – მისი გამგებლობითი განყოფილება გახლავთ ნებისმიერი პიროვნების საქმიანობის შედეგების შეჯამება, ანუ საკუთარ „მე“-ში არსებული მამაკაცური და ქალური სანწყისების გაერთიანების ხელის შემშლელი დაბრკოლების გადალახვის პროვოცირება ინდივიდში სურვილების ჩასახვის საშუალებით. იგი ნებისმიერ პიროვნებაში მამაკაცური და ქალური სანწყისების გაერთიანების მოთხოვნითაა დაკავებული.

ზესულის პიროვნული განხილვა

ზესულის ჯეროვნად დაკმაყოფილების გარეშე ვერავინ გახდება სრულყოფილი, ვერ შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის მიღწევას.

საქმიანობის მეხუთე მიზეზთან, ზესულთან მიმართებაში ინდივიდუალური სულის შემადგენელი ორი საწყისი შემდეგი სახის ამოცანების წინაშე დგებიან.

1) ქალური საწყისის ზესულთან მიმართებაში მიზანი: ა) მატერიალური ობიექტური რეალობის აბსოლუტურად მიღება; ბ) სამყაროს უნმინდესი პიროვნებისთვის (სულიწმინდისთვის) სიამოვნების მინიჭება; გ) საკუთარი ორგანული ნაწილისთვის, მამაკაცური საწყისისთვის კმაყოფილების მინიჭება; დ) საკუთარი ინდივიდუალური სულის ჭუჭყის შესაბამისი გარემოს, ანარეკლის უბრალოდ ყურება და სმენა (გვერდიდან დაკვირვება) და არავითარ შემთხვევაში შიგნით არ შესვლა; ე) საკუთარი გაერთიანებით მამაკაცურ საწყისთან, ზესულით სიამოვნების მიღება უნდა გახდეს.

2) მამაკაცური საწყისის ზესულთან მიმართებაში მიზანი: ა) სულიერი ობიექტური რეალობის აბსოლუტურად მიღება; ბ) სამყაროს უზენაესი პიროვნებისთვის (მამა ღმერთისთვის) კმაყოფილების მინიჭება; გ) საკუთარი ორგანული ნაწილისთვის, ქალური საწყისისთვის სიამოვნების მინიჭება; დ) ინდივიდუალური სულის სულიერი ჭუჭყის შესაბამისი გარემოს ანარეკლის ხედვა და გაგება და ამ ანარეკლში მყოფთაგან მხურვალე სურვილის შემთხვევაში მათი ანარეკლიდან გამოსვლაში დახმარების განევა; ე) საკუთარი გაერთიანებით ქალურ საწყისთან, ზესულით კმაყოფილების მიღება.

ხოლო თუ ამ გრძელი სუმირების გარეშე ჩამოვაცალიბებთ, მივიღებთ ე) პუნქტებს, თუმცა ა), ბ), გ) და დ) პუნქტების შესრულების გარეშე ეს შეუძლებელია. მაგრამ მაინც დავაფიქსირებ ამ მოკლე ფორმულირებას:

1) ქალური საწყისის მიზანი ზესულთან მიმართებაში საკუთარი ინდივიდუალური სულის მამაკაცურ ნაწილთან დაახლოებაა მის გათავისებამდე, მასთან გაერთიანებამდე, რითაც მოხდება ზესულის აღქმა და ამით უზარმაზარი სიამოვნება მიიღება, რომელსაც ვერანაირი სახის სიამოვნება ვერ შეედრება.

2) მამაკაცური საწყისის მიზანი ზესულთან მიმართებაში საკუთარი ინდივიდუალური სულის ქალურ ნაწილთან დაახლოებაა მის

გათავისებამდე, მასთან გაერთიანებამდე, რითაც მოხდება ზესულის შეგრძნება და ამით უზარმაზარი კმაყოფილება მიიღება, რომელსაც ვერანაირი სახის კმაყოფილება ვერ შეედრება.

ამის დარღვევის შემთხვევაში იღვიძებს ე. წ. უკმარისობის გრძნობა, როცა ინდივიდუალური სულის შემადგენელი მამაკაცური და ქალური სანყისები ვერ უგებენ ერთმანეთს. ხოლო ამის შედეგად კი საკუთარ სულიერ ჭუჭყში ან მის შედეგად შექმნილ ანარეკლში ხდება სანყისების შეერთების საშუალების პოვნის სურვილის ჩასახვა.

მამაკაცური და ქალური სანყისების გაერთიანებისკენ სწრაფვისათვის, ზესულის აღქმისა და შეგრძნებინებისათვის შემდეგი სახის ეთიკური ნორმების დაცვაა რეკომენდირებული „ბჰაგავად-გიტაში“: „ვინც საკუთარი გონებით გან(რ)წმენდილია და სიმტკიცით მართავს ჭკუას, უარს ამბობს გრძნობათა დაკმაყოფილების საგნებზე, გან(რ)წმენდილია მიჯაჭვულობისა და სიძულვილისაგან, ვინც განმარტოვებულ ადგილას ცხოვრობს, ცოტას ჭამს, მართავს საკუთარ სხეულს, ჭკუას და მეტყველების უნარს, ვინც მუდამ ტრანსშია და განჯაჭვულია, თავისუფალია ცრუ ეგოს, ცრუ ძალის, ცრუ სიამაყის, ვნებისა და მრისხანებისაგან და ვინც არ ღებულობს მატერიალურ საგნებს, ვინც თავისუფალია საკუთრების ცრუ გრძნობისაგან და მშვიდია – ასეთი პიროვნება უდავოდ თვითრეალიზაციის მდგომარეობამდეა ამაღლებული. ვინც ასეთ ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში იმყოფება უმალ შეიცნობს უზენაეს ბრაჰმანს და სიხარულით აღსავსე ხდება. არასოდეს გლოვობს ან ნატრობს რაიმეს. ასეთ მდგომარეობაში იგი ჩემს წმინდა ერთგულ სამსახურს აღწევს. ჩემი ჭეშმარიტი სახის, როგორც ღმერთების უზენაესი პიროვნების (ზესულის) შეცნობა მხოლოდ ერთგული სამსახურით შეიძლება და როდესაც ცოცხალი არსება ასეთი ერთგულებით ბოლომდე შემიცნობს მე, შეძლებს ღმერთის სასუფეველში შეღწევას. თუმცა ჩემი წმინდა ერთგული ყოველგვარ საქმიანობას ეწევა, ჩემი მფარველობის გამო ჩემი წყალობით მარადიულ და უკვდავ სავანეს აღწევს. ყოველ საქმეში უბრალოდ ჩემი იმედი გქონდეს და მუდამ ჩემი მფარველობის ქვეშ იმოქმედე, ასეთ ერთგულ სამსახურში ბოლომდე გამაცნობიერე მე. თუკი გაცნობიერებული გეყოლები მე, ჩემი წყალობით განპირობებული სიცოცხლის ყოველ დაბრკოლებას გადალახავ. მაგრამ თუკი იმოქმედებ არა ასეთი ცნობიერებით, არამედ ცრუ ეგოთი და არ მომისმენ – დაიკარგები.“

როგორ უნდა მოხერხდეს საქმიანობის მიზეზების დამაკმაყოფილებლად ან, უკეთეს შემთხვევაში, საუკეთესოდ შესრულება საქმიანობის მეხუთე მიზეზის, ზესულის, შედეგის მიმართ:

ა) ქმედების ადგილის ჩამოყალიბებით ხდება განსაზღვრა და გამოხატვა იმისა, თუ რა უნდა იყოს ქმედების **მიზეზი**. განსაზღვრება სიღრმისეული და ზედაპირული ხარისხი და რაოდენობა დასამკვიდრებელი ცნობიერების ახალი პორციალური ნაწილის შემოტანის-და მიხედვით.

ბ) მომქმედი უნდა ცდილობდეს ზესული, როგორც ინდივიდუალურად გამოვლინებული სული, მისი **მიზანი** გახდეს, ხოლო ქმედების ადგილი ზესულის არაინდივიდუალურ გამოვლინებად მიიღოს. ანუ დააკმაყოფილოს ზესული, რის შედეგადაც გრძნობები, როგორც ქალური სანყისი, მას, როგორც მამაკაცურ სანყისს, ზედმინევნით დააკმაყოფილებენ.

გ) გრძნობები უნდა ცდილობდნენ ზესული როგორც ინდივიდუალურად გამოვლინებული სული (გული) მათთვის თვითგამოვლინების **საშუალება** გახდეს, ხოლო მომქმედის მიერ ნამოქმედარის შედეგად მიღებული სულიერი ობიექტური რეალობა ზესულის არაინდივიდუალურად გამოვლინების საშუალებად მიიღონ. ანუ ასიამოვნონ ზესული, რის შედეგადაც მომქმედი, როგორც მამაკაცური სანყისი, მათ, როგორც ქალურ სანყისს, ზედმინევნით ასიამოვნებენ, სიამოვნებას მიანიჭებენ.

დ) მცდელობები უნდა ცდილობდნენ საკუთარი რაობა (სურვილები) ზესული როგორც ინდივიდუალური სულის მიერ წარმოქმნილ **საბაბად** აღიქვან, ხოლო გრძნობების მიერ ნამოქმედარის შედეგად მიღებული მატერიალური ობიექტური რეალობა (ილუზია, ანარეკლი) ზესულის არაინდივიდუალურად გამოვლინების საბაბად მიიღონ, როგორც მომქმედის მიერ ნამოქმედართან დაპირისპირების შედეგად მიღებული ილუზიური რეალობა. ანუ შეძლონ, აღიარონ საკუთარი დაჩქარების ან შენელების ტენდენცია ზომიერ თანამიმდევრულობასთან შედარებით, რაც ხელს შეუწყობს საჭირო და სასურველი ჭეშმარიტი გზის ტრეკტორიაზე დაბრუნებას და მამაკაცურ და ქალურ სანყისებში წარმოქმნილი ურთიერთდაპირისპირების აღმოფხვრას და ურთიერთგაგებას.

აგრეთვე აღსანიშნავია ის, თუ როგორ უნდა მოხერხდეს საქმიანობის მიზეზთა დამაკმაყოფილებლად და საუკეთესოდ ურთიერთობა ზესულის მიერ:

ა) ზესული ქმედების ადგილთან მიმართებაში თავად ქმნის სამოქმედო პროგრამას, როგორც სტრატეგიული ისე ტაქტიკური თვალსაზრისით. ის არის შედეგი ანუ ის, რაც უნდა იქნას მიღებული, რისი დარღვევის შემთხვევაშიც მომქმედთან თავადვე საკუთარი ინიციატივით ამყარებს კონტაქტს (მასში კმაყოფილების ან სიამოვნების მიღების, სურვილის ჩასახვის პროვოცირებით) და მისი საშუალებით ახდენს კორექტირებას.

ბ) ზესული მომქმედთან მიმართებაში საკუთარი არსის მისთვის მიზნად დასახვას ახდენს, მოქმედების სასურველი შედეგის გათვალისწინებაში ეხმარება. ამ დასახულ გზაზე იგი მომქმედს აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და ობიექტური რეალობის ურთიერთდაბალანსირებაში, ჰარმონიზირებაში სთავაზობს საკუთარ მომსახურებას.

გ) ზესული გრძნობებთან მიმართებაში შიგნიდან (გულიდან) ამყარებს კავშირს და არასოდეს არაფერს არ ახვევს თავზე, თუმცა მისკენ მიმართვის შემთხვევაში გრძნობების ცნობისწადილს ყოველთვის სრულყოფილად და ამომწურავად აკმაყოფილებს. თუ გრძნობებს მასთან დაკავშირების სურვილი არა აქვთ, ზესული მკაცრი ნეიტრალიტეტის დაცვით განზე დგება და მხოლოდ გრძნობების რეალური მდგომარეობის დაფიქსირებას ახდენს.

დ) ზესული, მცდელობებთან მიმართებაში, ითვალისწინებს რა იმას, რომ გრძნობები არიან მათი წარმომქმნელი, მათ სრულ სუმირებას, შეჯამებას ახდენს და ამისდა შესაბამისად აგრძელებს ნებისმიერი კონკრეტული შემთხვევისათვის შესატყვისი ანარეკლის გამოსახულების შექმნას.

აქ ჩამოთვლილი პირობების დასაკმაყოფილებლად ზესული მუდმივად ანმყოში, მიმდინარე მომქმედ მომენტში, ეთერში იმყოფება. ის არის ობიექტური რეალობისთვის შესაბამისი რეალური ობიექტურობის განმსაზღვრელი, გამომხატველი და გარანტი მისი დაცვისა. ფაქტიურად, ის არანაირი მიმართულებით არ მოძრაობს და წარსულს, ანმყოსა და მომავალს მთლიანად, სრულად მოიცავს. ის არის ის, ვისკენაც უნდა მიისწრაფოდეს როგორც მომავალი ისევე წარსული. ის არის სიმეტრიის ხაზი იდეალური სპირალისა, რომლის მიხედვითაც ხდება ყოველივეს განხილვა. ამავდროულად ის სიმეტრიის ხაზია აბსოლუტურად ყოველივესი. ზესული არის ის, ვინც ყველაფერს ესწრება, მაგრამ არაფერში ერევა, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობებისას, ისევე ყველაზე ინტიმური

ურთიერთობებისას და თვით ცოცხალი არსების მიერ საკუთარ „მე“-სთან, თუ საკუთარ „ეგო“-სთან ურთიერთობებისასაც კი. ზესული მხოლოდ მისთვის ხდება აღსაქმელი და შეგრძნებადი, ვინც ზესულის არსს ჩანვდება, რაც, სხვათა შორის, ზესულში უზარმაზარ საიმოვნებას იწვევს. ის, ვინც საიმოვნების ან კმაყოფილების მიღების მცდელობაზე ხელს აიღებს და საიმოვნების ან კმაყოფილების გაცემის სულისკვეთებით იქნება განმსჭვალული, ზესულთან დაახლოებისკენ მიმავალ გზას ადგას და რამდენადაც მყარად შეძლებს ამ გზაზე დადგომას, იმდენად მალე მივა იმის გავგებამდე, რომ საიმოვნების გაცემით იგი ავტომატურად მიიღებს საიმოვნებას (ზუსტად იმდენს რამდენსაც ვასცემს) და კმაყოფილების გაცემით ავტომატურად მოხდება მისი დაკმაყოფილება (გაცემულის ზუსტად შესაბამისი რაოდენობით).

ამ ცნობიერებამდე მისული ცოცხალი არსება, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, სრულად შეძლებს საკუთარი კარმისაგან, სულიერი ჭუჭყისაგან გათავისუფლებას და ზესულის დანახვისა და მასთან უშუალო კონტაქტის უფლებას მოიპოვებს.

თუ ზესულის მამაკაცურ და ქალურ სანყისებს განვიხილავთ, შემდეგი სახის დასკვნას მივიღებთ:

1) ზესულის ქალური სანყისი სრულად მოიცავს წარსულს რეალურ არსებულ მიმდინარე მომენტამდე. ის აბსოლუტური ობიექტური შეფასებით განისაზღვრება და ამიტომ სრულყოფილია თავისი აღქმის დიაპაზონში. რამეთუ ობიექტურობა დარღვეული არ არის, ქალური სანყისი სრულად ფლობს ძალაუფლებას საკუთარ ემოციებზე, მთლიანად მართავს მას. ზესულის ქალური სანყისის დამახასიათებელი თვისებაა თავისთავადობა, რაც ბუნებრივობის გამომხატველი შტრიხია საერთოდ ქალური სანყისისათვის. ეს გახლავთ მაქსიმალური შედეგი იმისა, რასაც შეიძლება ამ სანყისმა მიაღწიოს.

2) ზესულის მამაკაცური სანყისი სრულად მოიცავს მომავალს არსებულ მიმდინარე მომენტამდე. ეს მომავალი ყველა დანარჩენი ცოცხალი არსებისათვის პოტენციური ალბათობის დონეზე დგას. ის კი, აბსოლუტური თანამიმდევრულობის ლოგიკური მიყოლით, რეალურად მისაღები შედეგის ცოდნით ხასიათება და ამიტომ სრულყოფილია თავისი აღქმის დიაპაზონში. რამეთუ თანამიმდევრულობას არასოდეს არ არღვევს, მამაკაცური სანყისი სრულად ფლობს ძალაუფლებას საკუთარ ამბიციებზე, მთლიანად მართავს მათ. ზესულის მამაკაცური სანყისის დამახასიათებელი თვისებაა

უშუალობა, რაც ბუნებრივობის გამომხატველი შტრიხია საერთოდ მამაკაცური სანყისისათვის. ეს გახლავთ მაქსიმალური შედეგი იმისა, რასაც შეიძლება ამ სანყისმა მიაღწიოს.

თუკი მიმართულებების განსაზღვრას შევეცდებით, შემდეგი სახის სურათს მივიღებთ. ქალური სანყისი მიმართულია ანმცოსკენ და არანაირად არ არის მიმართული მომავლისკენ ან წარსულში დარჩენისკენ, გრძნობების ობიექტებზე მიწებებისკენ. ის არის რეალიზმის გამომხატველი და არანაირი სახის ფანატიზმს არ უშვებს თავისში (რაც წარსულში დარჩენის სურვილით ხდება) და არც არანაირ პრაგმატიზმს (რაც მომავლის დაგეგმარების სურვილით ხორციელდება) არ უშვებს. ზესულის ქალური სანყისი მთლიანად დგას რეალიზმის სამსახურში და ანმცოში მიმდინარე მომენტით ცხოვრობს.

ზესულის მამაკაცური სანყისი მიმართულია მომავლიდან ანმცოსკენ და არანაირად არ არის მიმართული წარსულისკენ ან მომავალში გაქცევისკენ, ის არის რომანტიზმის გამომხატველი და არანაირი სახის პრაგმატიზმს (რაც მომავალში დაგეგმარებულის სურვილით ხორციელდება) არ უშვებს თავისში და არანაირი სახის ფანატიზმს (რაც წარსულში დანახულზე ან გაგონილზე მიწებების, მიჯაჭვების სურვილით ხორციელდება) არ უშვებს. ზესულის მამაკაცური სანყისი მთლიანად დგას რომანტიზმის სამსახურში და ანმცოში მიმდინარე მომენტს სიცოცხლისა და ცხოვრების აზრს ანიჭებს.

სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს ყოველივე გახლავთ თავისუფლების არსი, ბუნებრივობის ცნების გამოვლინება. ამ პრინციპების საფუძველზე გამოვლინებული უმცირესი მომენტიც კი, მთლიანად აირეკლავს და მოიცავს სამყაროს ცნობიერებისა და ყოფიერების იდეალური ურთიერთობის შედეგად გამოვლინებული რაობის არსს. სწორედ ამ პრინციპების საფუძველზე დაყრდნობით ხდება შესაძლებელი მამაკაცური და ქალური სანყისების იდეალური თანაცხოვრება, რომლის პროცესშიც მათ გარშემო ისეთი ფასეულობების შეგრძნების, აღქმის, შეხების და გამოვლინების საშუალება ეძლევათ, როგორებიცაა: ნეტარება, ბედნიერება, ჰარმონიულობა, ტრანსცენდენტულობა, შემეცნებულობა, სარწმუნოებრივობა, სიხარული, სიყვარული და თავისუფლება. ეს ფასეულობები კი „ცხრა შედეგნი სულიწმიდისან“-ში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი, მე უბრალოდ აქ ჩამოთვლილის შესაბამის ანალოგიურ ფასეულობას აქვე გვერდზე მივუწერ მათ.

1. სიხარული – სიხარული; 2. სიყვარული – სიყვარული; 3. მშვიდობა – ჰარმონიულობა; 4. სულ-გრძელობა – ტრანსცენდენტულობა; 5. სიტკბოება – ბედნიერება; 6. სინმინდე – ნეტარება; 7. სარწმუნოება – სარწმუნოვნება; 8. მყუდროება – შემეცნებულობა; 9. მოთმინება – თავისუფლება.

თავისუფლება, ბუნებრივობა = უშუალობა (მ. ს.) + გულწრფელობა (ქ. ს.)

ამ ფასეულობებამდე მისვლის დასკვნითი შედეგობრივი განმარტება შესაძლებელია შემდეგნაირი სახით ჩამოვაცალიბოთ:

ა) ზესულის ქალური სანყისი მთლიანად აღიარებს და აღიქვამს უკვე განხორციელებული რეალობის სრულ ობიექტურობას და ამ განხორციელებული ობიექტური რეალობის ზედმინევით დაცვის (არ დარღვევის, არ იგნორირების) საფუძველზე ცდილობს კმაყოფილება მიანიჭოს მამაკაცურ სანყისს, როგორც ობიექტური რეალობის ახალი პორციის შემომტანსა და დამფუძნებელს, რის შედეგადაც კმაყოფილებას ლებულობს, არ კარგავს ობიექტურად განსჯის უნარს და მთლიანად ენდობა მამაკაცურ სანყისს. მისთვის რელიგიურობის მთავარი პრინციპი გახლავთ ობიექტური რეალობის სრულად მიღება უკვე განხორციელებულ ნაწილში, წარსულში.

ბ) ზესულის მამაკაცური სანყისი მთლიანად აღიარებს და აღიქვამს ჯერ კიდევ განსახორციელებელი რეალობის სრულ ობიექტურობას და ამ განხორციელებული ობიექტური რეალობის ზედმინევით დაცვის (არ დარღვევის, არ იგნორირების) საფუძველზე ცდილობს სიამოვნება მიანიჭოს ქალურ სანყისს, როგორც უკვე დაფუძნებული, განხორციელებული ობიექტური რეალობის განუხრელად დამცველს, რის შედეგადაც სიამოვნებას ლებულობს თავადვე, არ კარგავს ობიექტურობით განხილვის უნარს და მთლიანად ეყრდნობა ქალურ სანყისს. მისთვის შემოქმედების მთავარი პრინციპი გახლავთ ობიექტური რეალობის მიღება განსახორციელებელ ნაწილში ანუ მომავალში.

უკვე ანმყოში კი, შემდეგი სახის სურათს ვლებულობთ. მამაკაცური და ქალური სანყისები იმდენად სრულყოფილად არიან მომზადებულები და გაჯერებულები თავ-თავის ფუნქციონალურ ასპექტებში, რომ უკვე ურთიერთობებში შესვლისას ერთმანეთთან, ანუ ანმყოს, მიმდინარე მომენტის ფაქტიურად ფორმულირებისას და შექმნისას, მათ არც ერთს არ სჭირდებათ რაიმე სახის ძალისხმევა საკუთარ თავზე იმისათვის, რომ დასაცავი დაიცვან, დასარღვევი არ შემოიტანონ, საკეთებელი აკეთონ და ეს პროცესი იმდე-

ნად ბუნებრივად ხდება, რომ ვერანაირ ხელოვნურობას, დაძაბულობას ან უხერხულობას საერთოდ ვერ ექნება იქ დამკვიდრების სულ მცირე შანსიც კი. ისინი მთლიანად აძლევენ საკუთარ თავებს ერთმანეთს და ამით, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, იდეალურ გარემოებასა და მდგომარეობას ქმნიან, სადაც ვერაფერს და ვერაფერი ვერ იქნება უბედური, ნატვრული, დამწუხრებელი, დაპირისპირებული, რაიმესთან ან ვინმესთან, ჩასაფრებული ან, თუნდაც, შეშინებული. ისინი ქმნიან იმ ფასეულობების შესაბამის გარემოებას, რომლებიც იქ ზემოთ იყო ჩამოთვლილი.

აი, ამიტომ გახლავთ ზესული თვითკმარი, ამიტომ შეუძლია ნებაყოფილობითობის სრულყოფილად დაცვა და ამ ყოველივეს საშუალებით ახერხებს იყოს აბსოლუტურად ყველგან და იქ გამოავლინოს თავისი თავი, სადაც უნდა და არ გამოავლინოს, სადაც არ უნდა.

არაინდივიდუალურობის გამოვლინებული ასეთი მდგომარეობის შესაფასებლად, ვიტყვი, რომ ეს გახლავთ თავისუფლების უმაღლესი ფორმით გადმოცემის მდგომარეობა, სადაც მამაკაცური სანყისის ფილოსოფიური სრულყოფილი წვდომის შემდგომ (რაც მასში სიხარულის უმაღლესი ფორმით გამოვლინებას ახდენს), ხდება ამ წვდომის გაცემა წარსულის და მისი დიაპაზონის მომცველი ქალური სანყისის სრულად ამოცნობისა და გაგების უნარის საშუალებით და, თავის მხრივ, სრულყოფილი უშუალო გარემოს შექმნით, რაც ქალური სანყისისთვის უსაზღვრო სიხარულის მდგომარეობაში ყოფნის ტოლფასია. ხოლო ქალური სანყისის ფსიქოლოგიური სრულყოფილი წვდომის შემდგომ (რაც მასში სიყვარულის უმაღლესი ფორმით გამოვლინებას ახდენს) ხდება ამ წვდომის სრულად გათვალისწინებით მომავალში ჩაღრმავება, რაც მამაკაცური სანყისისთვის უსაზღვრო სიყვარულის მდგომარეობაში ყოფნის ტოლფასია. ისინი არ ბჭობენ უკვე არსებულზე (ფსიქოლოგიაზე) და ჯერ არ არსებულზე (ფილოსოფიაზე). ისინი ქმნიან, ამკვიდრებენ და ხორცს ასხამენ იმას, რასაც ჯერ არ არსებულის არსებულ გამოვლინებად გადაქცევის უკვდავი პროცესი ითვალისწინებს.

მამაკაცური სანყისი, მომავალი, ერთმნიშვნელოვნად არის განმტკიცებული თავის არსში და არანაირი გაორებულიობა და ეჭვი არ გააჩნია, რაც გარანტია იმისა, რომ წარსულში არაფერს მიეჯაჭვება და ანმყოში სრულყოფილად და ღირსეულად წარსდგება იმის საქმნელად, რაც უნდა აკეთოს. ქალური სანყისი, წარსულში

ერთმნიშვნელოვნად არის განმტკიცებული თავის არსში და არანაირი გაორებული და შენარჩუნების სურვილი და მისგან გამონეული შიში არ გააჩნია, რაც გარანტია იმისა, რომ მომავალში არაფერს მიეჯაჭვება და ანმყოში სრულყოფილად და ღირსეულად წარსდგება იმის საქმნელად და საკეთებლად, რაც უნდა აკეთოს.

ამრიგად მამაკაცური სანყისის მხრიდან თავისუფლების მიღწევის შემგომ, ხდება უშუალოების მდგომარეობის მიღწევა და კეთილშობილება (კეთილის შობა, სიკეთის თესვა). ხოლო ქალური სანყისის მხრიდან, თავისუფლების ჭეშმარიტად მიღწევის შემდგომ, ხდება **გულწრფელობის მდგომარეობის მიღწევა და კეთილდღეობის, სიკეთის მომკა და მიღება.**

ანმყო ამ გადასახედიდან გახლავთ პროცესის, ცოცხალი პროცესის მიყოლა, მთლიანად მასში და მისით ყოფნა, არანაირი დაჩქარებისა თუ შენელების მცდელობა, რაიმე სახის შედეგზე არ კონცენტრირება. ეს გახლავთ პროცესში სრულად, მთლიანად დანთქმა, ყოველი მიმდინარე წამის შეგრძნება და ამ წამთან შესისხლხორცება. ეს არის პროცესით ცხოვრება და ტკბობა.

სტატიკიდან კინემატიკაში გადასვლის კუთხით კი, შეიძლება ითქვას, რომ წარსული არის საშუალება, ხოლო მომავალი კი მიზანი და სტატიკა ცალსახად ერთში ან მეორეში ყოფნას ნიშნავს, ხოლო კინემატიკა კი მათ შორის შემდგარი ურთიერთობებია, სადაც მიზანი ახდენს საშუალების განათლებას, ხოლო საშუალება ცდილობს სრულყოფილად დაიცვას მიზნის მიერ მინიჭებული განათლება და სრულყოფილად აითვისოს მისთვის განკუთვნილი განათლების ახალი პორცია, მაგრამ ეს ურთიერთობა იმდენად ენით აუნერელი და სასიამოვნო პორცესია, რომ ამის გონებით დაფიქსირება და მიყოლა, უბრალოდ, მოკლავდა ამ პროცესის ღვთაებრივ ბუნებას. როცა დრო გავა და ანმყო წარსულად გადაიქცევა ეს მერე თავადვე დაფიქსირდება. უბრალოდ, საჭიროა ამ ბუნებრივობის ხელის არ შეშლა, საკუთარ ინდივიდუალიზმზე ზრუნვის დავინყება და ყოველი წამის, წუთის, საათის, დღის, კვირის, თვის, წლის და სიცოცხლის ასე გატარება.

ყველა ფარდობითობის სისტემების შეჯერების შედეგად შემდეგი სახის ცხრილურ ფორმას მივიღებთ მთელი სტრატეგიული და ტაქტიკური შეხედულებების ამ სახით ჩამოყალიბებით.

ფინანსური ინფორმაცია	იდეალობები	რეალობები	რომანტიზმი	ფანატიზმი	პრაგმატიზმი
იმპერიული	ჭკუა	გონება	გრძნობა	ემოცია	ამბიცია
იმპიშვი ფორმირება	9 მიზნები მათი მათი	10 საშუალება მათი მათი	11 მიზანი მათი მათი	12 შედეგი მათი მათი	საბაზი
იმპერიული	5 დრო მათი მათი	6 სიფრთხილე მათი მათი	7 სულიერი გამოვლინება მათი მათი	8 ინტერესები მათი მათი	მატიერიალური გამოვლინება მათი მათი
იმპერიული	1 გაერთიანება მათი მათი	2 სურვილები მათი მათი	3 ბედნიერება – უბედურება მათი მათი	4 სიტუაციის ნიშნები მათი მათი	დანამუშევრება მათი მათი
იმპერიული	დაყოფა	სიმკაცრე	სიტკბო	სიმწარე	სიმლაშე
იმპერიული	1	2	3	4	5

ამიტომაც მიმაჩნია, რომ სრულიად ჩვეულებრივად უნდა იქნას აღქმული ნებისმიერი ინდივიდუალური სულის მიერ, რაიმე კონკრეტული ფასეულობრივი ცნების მოხსენიებისას, მეორე ინდივიდუალური სულის მიერ სხვაგვარი შინაარსობრივი (შიდა არსობრივი) დატვირთვის ცნებად აღქმა. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რომელ ფარდობითობის სისტემაში იმყოფება რეალურად ესა თუ ის ინდივიდუალური სული, მაგრამ ძირითადი მამოძრავებელი და არსობრივი რაობის გამომვლინებელი არის ერთ-ერთი უჯრა ამ ცხრილიდან, რომელიც სტრატეგიული და ტაქტიკური არჩევანის გამოვლინების წარმომადგენელი, განმსაზღვრელი და ამხსნელი იქნება. ერთიდან თორმეტამდე ნუმირებული ციფრები დედამიწის მცხოვრებთა მიერ შექმნილი ასტროლოგიური ცხრილის შესატყვის ცხრილს წარმოადგენს. ამ წიგნს კი მსურველის ამ ცხრილის საზღვრებიდან გაყვანა შეუძლია.

ნებაყოფილობითი ერთიანობა, გულწრფელი ერთსულოვნება როგორც კინემატიკის პროცესუალური დასკვნითი სრულყოფილი შედეგი

ამ ქვეთავის აღსაწერად საჭიროდ მიმაჩნია პროცესის თანამიმდევრული განხილვა. მთელი ეს პროცესი სამ ძირითად შემადგენელ ნაწილს შეეხება. ესენია:

- 1) ინდივიდუალური სული თავისი ინკარნაციული საწყისი მდგომარეობით ანუ ე. წ. სამშვინველი, რაც მატერიალიზირებული სხეულის, ასე ვთქვათ, შესაბამისი შემოქმედი და ავტორია. სწორედ მისი მდგომარეობის ზედმიწევნითი გათვალისწინების შედეგად ყალიბდება სხეულის როგორც სახეობა, ისევე სქესიც.
- 2) ინდივიდუალური სხეული, რომელიც მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ინდივიდის არასრულყოფილი, მცდარი ნაწილის გამოხატულების საშუალება იქნება, მაგრამ ამავდროულად ამ სიმცდარის თვალნათლივ დანახვის მშვენიერი საშუალება, როგორც შიგნით თავისში, ისე გარეთ.
- 3) ინდივიდუალური სული თავისი პოტენციალის სრულყოფილი სახით, ინკარნაციის სასურველი საბოლოო მდგომარეობით ანუ ე. წ. სული, რაც ასათვისებელი ნაწილის გადმომცემია და ინდივიდუალიზმის დამკვალიანებელია, თუკი მას

მიაყურადებს ეს უკანასკნელი და მუდმივ მასწავლებლად და მოძღვრად აღიარებს თავის აღქმაში. (ზესული)

აბსოლუტურად ყველა მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული დაბადებამდე არსებული საუკეთესო ნაწილის კარგვას იწყებს, რათა მატერიალურ გარემოსთან შეთვისება შეძლოს. რამდენად მეტად ან ნაკლებად, ეს დამოკიდებულია ეპოქაზე, მატერიალიზირების ადგილზე და თვით ინდივიდზე, მაგრამ ეს გარდაუვალია. ამიტომ, პირველ რიგში, საჭიროა ინკარნაციამდე არსებული სანყისი მდგომარეობის აღდგენა, რითაც სამშენველის პირვანდელი მდგომარეობის დამკვიდრება მიიღწევა. მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება ინკარნაციის სასურველად საჭირო საბოლოო მიზნისკენ, თვით შედეგისკენ, სრულყოფილ ინდივიდუალურ სულთან მისვლისკენ სწრაფვა.

ზემთ აღნიშნული პირველი საფეხურის გავლისას, ანუ ინკარნაციის სანყის მდგომარეობამდე სვლისას, მთელი მოქმედება „მაია“-ში ანუ ილუზიაში ხდება და მას თავისი საფეხურები გააჩნია. ინდურ ფილოსოფიაში ისინი ხუთი მაიას სახელითაა ცნობილი. მე შევეცდები ძალიან შეკვეცილი ფორმით გადმოვცე და ვისაც ეს დაინტერესებს ვრცელი სახით თვითონ მიაკითხოს ინდური ფილოსოფიის ავტორიტეტულ წიგნებს. ალბათ არც გამოვიყენებდი, უბრალოდ, ისინი ზედმიწევნით კარგად გადმოსცემენ ყოველივე ამას.

I. ანანამაია - ანუ საკვების მიღების აუცილებლობის თემა.

საკვების მიღების (ჭამა-სმის) აუცილებლობა მატერიალური გამოვლინების მიმართ (საკუთარი მატერიალური სხეულის ჩათვლით) საკუთარი ქალური სანყისის მიერ მხოლოდ ზედაპირული მიდგომა ხდება, ხოლო საკუთარი მამაკაცური სანყისის მიერ კი სუბიექტური მიდგომა ხდება. რამდენადაც მეტი იქნება სუბიექტური და ზედაპირული მიდგომა არსებული ობიექტური რეალობის მიმართ, მით მეტი საკვების მიღების მოთხოვნილება ექნება მატერიალიზირებულ ინდივიდს. ამ სახით მოხდება შესაბამისი ინფორმაციის დაფარვა საკუთარ ინდივიდუალიზმში.

II. პრანამაია - ანუ უსაფრთხოების უზრუნველყოფის თემა.

უსაფრთხოების აუცილებლობა მატერიალური სხეულის პირობებში იმიტომ არსებობს, რომ დაფიქსირებულ იქნას მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვულობის ხარისხი, რათა პრაქტიკულად ცხოვრებაში ინდივიდმა საკუთარ არსში არსებული სიმცდარის რეალიზირებული ნაწილის დანახვა შეძლოს. საკუთარი ქალური სანყისის მიერ პრანამაია ხორციელდება ვინმეთი ან რაიმეთი გატაცებით,

რაც, რეალურად, მიჯაჭვებასა და მინებებას იწვევს. საბოლოო ჯამში, საკუთარი მამაკაცური სანყისის მიერ პრანამაია ხორციელდება გართობის მცდელობით, რითაც ცდილობს არათუ საკუთარი არსი გაანალიზოს, არამედ უკვე მიჯაჭვული ნაწილი (რომელიც ან რომელზეც მიჯაჭვულია) ცოტა ხნით მაინც დაივიწყოს. რაც უფრო მეტია ინდივიდის მიერ საკუთარი სიმცდარე რეალიზირებული, მით უფრო მეტია მისი მხრიდან უსაფრთხოების ზრუნვაზე მეცადინეობა, მით უფრო მეტი მატერიალური რაღაცეები ან ვიღაცეები იტაცებს მას და მით უფრო მეტად ცდილობს გაერთოს.

III. მანომაია – ანუ თვითგამოვლინების გამოხატვის თემა.

თვითგამოვლინების აუცილებლობა მატერიალური სხეულის პირობებში იმიტომ არსებობს, რომ საკუთარი სიმცდარის აფიზირებული გამოჩინება მოხდეს, რათა პრაქტიკულ ცხოვრებისეულ დონეზე შესაბამისი ადეკვატური რეაქციების დანახვა შეძლოს. საკუთარი ქალური სანყისის მიერ მანომაია ცნობისმოყვარეობაში გამოიხატება, რაც გარეგნულად შეცოდების სამოსელშია შეფუთული. საკუთარი მამაკაცური სანყისის მიერ კი მანომაია ტრაბახში გამოიხატება, რაც შინაგანად საკუთარი შეხედულებებისა და სურვილების სხვა ინდივიდების თავზე მოხვევის მცდელობას წარმოადგენს. რაც უფრო ნაკლებ ცდილობს ინდივიდი საკუთარ მრწამსში სიმცდარე აღმოაჩინოს, მით უფრო მეტია მისი მხრიდან თვითგამოვლინების სურვილი და მით უფრო მეტად ცნობისმოყვარე და ტრაბახაა ის.

IV. ვიჯნანამაია – ანუ თვითდამკვიდრების თემა.

თვითდამკვიდრების აუცილებლობა მატერიალური სხეულის პირობებში იმიტომ არსებობს, რომ გამიჯნულ იქნას საკუთარი მატერიალური სხეულის კონსტიტუციური მდგომარეობა მთელ არსებულ მატერიალურ გარემოსთან მიმართებაში, რათა მატერიალურ სამყაროსთან თანაცხოვრების შედეგად მიღებული შედეგით გარკვეული დასკვნა გამოიტანოს საკუთარი ნამოქმედარის ავკარგიანობის შესახებ.

საკუთარი ქალური სანყისის მიერ ვიჯნანამაია ხორციელდება დამოუკიდებლობის მიღების მცდელობით, ხოლო საკუთარი მამაკაცური სანყისის მიერ ეს ხორციელდება უძრავ-მოძრავი მატერიალური გამოვლინების (სხეულების ჩათვლით) დასაკუთრების, ძალაუფლების მიღების მცდელობით. რაც უფრო მეტი სპეკულაციური (სულიერებასთან არ ან ვერ დაკავშირებული) მატერიალური ცოდნა გააჩნია ინდივიდს, მით მეტია თვითდამკვიდრების საზ-

ღვრების გაზრდის სურვილი, ავტომატურად, მით მეტია დამოუკიდებლობისა და ძალაუფლების მიღების სურვილები.

V. ანანდამაია – ანუ თვითსრულყოფის თემა.

თვითსრულყოფის აუცილებლობა მატერიალური სხეულის პირობებში იმიტომ არსებობს, რომ აღდგენილ იქნას მატერიალურ სხეულში შესვლამდე და მატერიალურ სხეულად ჩამოყალიბებამდე არსებული კონსტიტუციური მდგომარეობა მთელ არსებულ სულიერ სამყაროსთან მიმართებაში, რათა მატერიალურ სამყაროსთან ურთიერთობის შემდგომ, მთელი არსებული ილუზიური რეალობის ათვისებისა და გავლის შემდეგ, ასე ვთქვათ, გამოღვიძებულ იქნას და მიმართულ იქნას ინდივიდუალური სული, სამშენველი იქითკენ, საითაც ჭეშმარიტად საჭიროა სვლა და ვინაიდან მატერიალიზირებული სიმცდარე გავლილი ექნება, ველარ იქნება წარტაცებული ამ უკანასკნელის მიერ. ეს დაახლოებით სახადისაგან აცრას ჰგავს. თუკი იმუნოსისტემას დამცავი მექანიზმი გამომუშავებული აქვს, ვირუსი ველარ მოახერხებს ორგანიზმში ფეხის მოკიდებას. ვაქცინა კი მატერიალური სამყაროს ყოველმხრივი ცოდნაა.

საკუთარი ქალური სანყისის მიერ ანანდამაია ხორციელდება მორჩილების სულისკვეთებით განმსჭვალვით, ყოფითკმარობის მიღებით. საკუთარი მამაკაცური სანყისის მიერ ანანდამაია ხორციელდება სასოებით და იმედით იმისა, რომ ღმერთი ჭეშმარიტების აღქმასა და გაგებას შეაძლებინებს.

რაც უფრო მეტად მოხდება უკვე შეძენილი სპეკულაციური (სულიერებასთან არდაკავშირებული მატერიალური) ცოდნის გარდაქმნა და სულიერებასთან დაკავშირება, მით მეტად მოხდება სრულყოფისკენ სვლა. ავტომატურად, მით მეტი იქნება ყოფითკმარობისა და ჭეშმარიტად ღვთისნიერებისკენ სწრაფვის დონე.

მთლიანად პროცესის ზოგადი თანამიმდევრული განხილვის ფონზე ცოცხალ არსებაში მთავრდება ილუზიური აღქმით ხელმძღვანელობა, მიიღწევა ინკარნაციის კონკრეტულ მატერიალიზირებამდე არსებული არსობრივი ცოდნის დონის გახსენება ანუ ინკარნაციის სანყისი მდგომარეობა. ამის მიღწევისა და გარშემო არსებული ილუზიური რეალობის მიუხედავად, მასში მყარად, მკვიდრად დამკვიდრების შემდგომ, იწყება საკუთარი გარშემო არსებული ილუზიური რეალობის, საკუთარი სულიერი ჭუჭყის ხილული ანარეკლის დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების ფონზე. მატერიალური სამყაროს დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება მაქსიმუმის მიღწევას ან უსაქმოდ დარჩენას როდი ნიშნავს. თუ

ვინმე აღარ აკეთებს იმას, რაც არასწორია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან ამის გამო საკუთარი თავი სრულქმნილების პიკზე წარმოიდგინოს. ასეთ პიროვნებას ევალეზა ეძიოს, აღიქვას ის, თუ რა არის სწორი, მართებული და მისი კეთებით დაკავდეს იქ, სადაც ის იმყოფება.

თუმცა, უნდა ითქვას, ცდუნება იმისა, რომ მაიას ანუ ილუზიის აღქმის პიკში, ან პიკთან მისულმა, საკუთარი თავი სრულყოფილად გამოაცხადოს, წარმოდგენილად დიდია, რამეთუ ის – გარემოსთან თანაფარდობისა და საკუთარი თავის შედარებულობის მდგომარეობიდან ვერ გამოდის, თუ ვიზუალურად არ მოსწყდება ამ გარემოს და პარალელურად ფუნქციონალურადაც არ მოახდენს ამ გარემოს გავლენისაგან გასვლას. ის, ვინც საკუთარ არსში ამ ცდუნების დაძლევას შეძლებს, არაილუზიურ, ახალ რეალობაში გადასვლას მოახერხებს, ანუ მისთვის მაიას საფეხურობრივი გადალახვა მოხდება. დაწყება ახალ ფასეულობებთან კონტაქტის, კერძოდ, ობიექტურ რეალობასთან და ამ ობიექტურ რეალობაში დასამკვიდრებელ ჭეშმარიტებასთან კონტაქტის პერიოდი, რაც, თავის მხრივ, ხუთი ძირითადი საფეხურით განისაზღვრება.

I ანანდა – ანუ ე. წ. მეორედ დაბადება ანუ საკუთარი „მე“-ს სხეულში მცხოვრებ სულად და არა სხეულად აღქმის თემაა. ამ საფეხურზე ხდება მატერიალურ სამყაროსთან თანაფარდობითობით ხელმძღვანელობაში გადასვლა. ეს კი რეალურად მთლიანად ახდენს ცხოვრების მრწამსისა და სტილის ცვლილებას, როგორც ფუნქციონალურ შიდა გარემოში, ისე ვიზუალურ გარე გარემოში. აქ გადასული ინდივიდუალური სული თითქმის ყველა მატერიალიზირებული ცოცხალი არებისათვის გაუგებარი და არასაინტერესო ხდება, მაგრამ მას ეს დიდად აღარ ანაღვლებს და აწუხებს, რამეთუ მას სურს მისით დაინტერესებული იყოს არა მატერიალური, არამედ სულიერი სამყარო, რომელიც მისთვის თვალთ უხილავია, მაგრამ შინაგანი აღქმით ხილულია და შეგრძნებადი.

საკუთარი ქალური სანყისის მიერ ანანდა ხორციელდება განდეგილობით (ანარეკლისაგან განზე დგომილებით). საკუთარი მამაკაცური სანყისის მიერ ანანდა ხორციელდება სინმინდისმსახურებით, ღვთისმსახურებით და ეს ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მას ამის მრწამსი და უნარი გააჩნია.

II ვიჯნანა – ანუ სულიერების თვითდამკვიდრების თემა.

ამ საფეხურზე ხდება ე. წ. სულიერი სხეულის ანუ ინდივიდუალური სულის თვითგანსაზღვრის მცდელობა, რათა აღქმულ იქნას

რეალური საკუთარი კონსტიტუციური მდგომარეობა მთელ არსებულ სულიერ სამყაროსთან მიმართებაში, რათა შესაძლებელი იქნას მომავალში საკუთარი გზის სასურველი მიმართულებით მონიშვნა და სულიერი წინსვლა.

საკუთარი ქალური სანყისის მიერ ვიჯნანა ხორციელდება განრწმენდით, რაც უნდა იყოს საშუალება საკუთარი „მე“-ს სიმცდარისაგან („ეგო“-საგან) გათავისუფლებისა და საკუთარი მამაკაცური სანყისის მიერ ვიჯნანა ხორციელდება განათლებით, რაც უნდა გახდეს საშუალება საკუთარ „მე“-ში სიმცდარისაგან („ეგო“-საგან) გამოთავისუფლებულ ადგილზე შექმნილი ვაკუუმი შეავსოს, ანუ როგორც ხედავთ მამაკაცური და ქალური სანყისები დაპირისპირებულობის მდგომარეობიდან უკვე თანამშრომლობის მდგომარეობაში გადადიან, ხოლო ეს ყოველივე კი ერთ ინდივიდში შიგნით ხდება.

III მანო – ანუ სულიერების თვითგამოვლინების გამოხატვის თემა.

ეს საფეხური ახდენს ინდივიდისთვის აღქმადს იმისა, თუ რა მოიტანა მისმა მეცადინეობამ, ანუ ინდივიდში ყველა წვრილი თუ მსხვილი ნაწილაკი ახდენს, ასე ვთქვათ, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, თუ როგორ და რამდენად არიან ისინი კმაყოფილნი მიმდინარე საქმიანობით. პრინციპში, ეს არის მიზეზი საქმიანობისა საერთოდ, რათა მეცადინეობამ მოიტანოს მშვიდობა საკუთარ „მე“-ში.

საკუთარი ქალური სანყისის მიერ მანო ხორციელდება ტრანსცენდენციურების, თანაგრძნობის გამოვლინებით ანუ სულიერ ნაწილში არსებული გრძნობის, შეგრძნებების აღქმით, უპირველეს ყოვლისა, როგორც საკუთარი „მე“-ს შიგნით შემადგენელი უმცირესი ნაწილაკების ჩათვლით, ისე საკუთარი „მე“-ს გარეთ არსებული ცოცხალი არსებების სულიერი შეგრძნებების ჩათვლით. მათემატიკური ენით ეს ასე შეიძლება ითქვას: მიწის უსასრულობიდან პლუს უსასრულობამდე.

საკუთარი მამაკაცური სანყისის მიერ მანო ხორციელდება ჰარმონიზირების, ცნობიერის გაზრდაში დახმარების გამოვლინებით. მიზეზი მატერიალურ სამყაროში მატერიალური სხეულის სახით მოვლინებისა ხომ სხვა არაფერია, თუ არა დისჰარმონიულობა საკუთარ „მე“-ში. ეს არის გაჯერებული მდგომარეობა, სადაც „მე“-ს შემადგენელი ყველა პარამეტრი საჭიროდ პროპორციული

რაოდენობით არსებობენ „მე“-ში და თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

IV პრანა – ანუ აღმოფხვრილი (გაცნობიერებული) საფრთხის ადგილზე აღმოცენებული სულიერი პოტენციალის თემა.

ამ საფეხურზე ხდება სულიერ სამყაროში წარმატების (საკუთარი წარმომავლობის მატების) მისაღწევად ინდივიდის მიერ მისთვის ჯერ არ აღქმული ჭეშმარიტების, ჭეშმარიტი ცოდნის ძიება, სამყაროს უზენაესი პრინციპების ევოლუციონების დაკმაყოფილება.

საკუთარი ქალური სანყისის მიერ პრანა ხორციელდება ზოგადი ცნობიერების შეცნობის ცნობისნადილით, რაც ვერანაირად ვერ ახდენს კონკრეტულზე მიწებებას.

საკუთარი მამაკაცური სანყისის მიერ პრანა ხორციელდება ცნობიერების განვითარების სულისკვეთებით, რაც მიდრეკილებას აჩენს უკვე დამკვიდრებული ვითარების შეცვლისა, გაუმჯობესებისა, სულიერებაში ჩაღრმავებისა, ახლის დამკვიდრებისა და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ეს ხორციელდება უკვე არსებულის ბაზაზე, ანუ მისი სრული გათვალისწინებით და არავითარ შემთხვევაში, არანაირი სახის იგნორირებით წარსულისა.

V ანნა – ანუ სულიერი საკვების მიღება-გაცემის აუცილებლობის თემა.

ეს საფეხური გახლავთ მთელი პროცესის თანამიმდევრული მიყოლის შედეგი, სადაც, სრულყოფილი სიღრმისეული აღქმის საფუძველზე, მატერიალური საკვების მიღება საჭიროების ფუნქციას, უბრალოდ, კარგავს. აქ ნებისმიერი მოქმედება სიმცდარისაგან და ცდომილებისაგან დაცლილია და არანაირი შეცოდ(ვ)ება, ცოდვის ჩადენა აღარ ხდება, რის გამოც იყო გამონგეული უხეში მატერიალური საკვებით დარღვეული ეთიკის ნორმების შესაბამისი ინფორმაციული ვაკუუმის ამოვსება და საარსებოდ საჭირო ენერჯის ანაზღაურება.

საკუთარი ქალური სანყისის მიერ ანნა ხორციელდება სიღრმეში ადეკვატური წვდომით, ჩაღრმავებით, ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლინებით, რაც თავისთავად ხდება გარანტი საჭირო სულიერი საკვების მიღებისა.

საკუთარი მამაკაცური სანყისის მიერ ანნა ხორციელდება ობიექტურობის ზედმინვნით დაცვით, რაც, თავისთავად ახდენს მამაკაცური სანყისიდან სულიერი საკვების გაცემას ყველასა და

ნებისმიერის მიმართ, ვინც მას ნდობითა და თაყვანისცემით მიმართავს და მიუდგება.

ამით მთავრდება მთელი პროცესის სრული თანამიმდევრული განხილვა, რისი მიყოლაც ცოცხალ არსებას შეაძლებინებს ღვთის სასუფეველში მოხვედრას, საკუთარი პოტენციალის საუკეთესო ფორმით დახარჯვასა და გამოვლინებას.

პროცესის მოკლე ლაკონური განსაზღვრის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი გახლავთ საკუთარი მამაკაცური და ქალური სანციების სრული ურთიერთგაუგებრობიდან სრულ ურთიერთგაგებამდე მიყვანა. ეს არის ის, რაც ხდება საკუთარ „მე“-ში კინემატიკის საჭირო და სასურველი მიმართულებით სვლისას. ხოლო ვიზუალურ და ფუნქციონალურ გარემოსთან მიმართებაში კი ხდება გაუცხოვების ე. წ. „ეგო“-ს ნაცვლად გათავისების ე. წ. „მე“-ს ჩანაცვლება ყოველგვარი ძალმომრეობის გარეშე, ნებაყოფილობითობის არ დარღვევით, ჭეშმარიტი ცოდნის შექენით და იმაზე უკეთესად გახდომით, ვიდრე იყო აქამდე.

ნ დ ო ბ ა

იმ მდგომარებას, რომლის დროსაც შიგნით საკუთარ „მე“-ში სრული მშვიდობა სუფევს, საკუთარი „მე“-ს გარეთ კი, ყველა და ყველაფერი ერთ მთლიანობად არის აღქმული, როდესაც რაიმენაირი სახის მიჯაჭვულობის არსებობაც კი, შეუძლებელია და უაზრო ვარაუდია და ნებისმიერი გამოვლინების დროს ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში ზედმინვენით ობიექტურია, როდესაც საკუთარი „მე“-ს აბსოლუტურად და მთლიანად შეგრძნება ხდება და ასევე, გარემოს შეგრძნების უნარის საფუძველზე, მოვალეობის შესრულება, არც ნაკლები და არც ზედმეტი რაოდენობით არ ხდება, როდესაც იმის გაგების უნარი ჩნდება – რა არის ჭეშმარიტად საშიში და რა არა და ერთადერთი სურვილი იმაში მდგომარეობს, რომ ჭეშმარიტების გზით სვლის მოსურნე ცოცხალ არსებებს მათში არსებული ეთიკური დონის შესაბამისად დაეხმაროს – ჭეშმარიტი **ნდობა** ეწოდება.

ჭეშმარიტი ნდობის ცნება პირადად ჩემთვის, უმაღლესი ხარისხის ფენომენია. ჭეშმარიტი ნდობის მქონეთა წარმომადგენლებიდან შემიძლია დავისახელოთ ისეთი უდიდესი პიროვნება ყველა პიროვნებათა შორის როგორცაა მამა ღმერთი.

ჭემმარიტი ნდობა იმ სახით, როგორადაც აქ არის აღწერილი სამი სამყაროდან არც ერთში, თვით პირველ სამყაროშიც კი, არ სუფევს. იგი სამი სამყაროს ზედა სამყაროში, ზეცაშია მხოლოდ თავისი ნამდვილად ჭემმარიტი სახით. ჭემმარიტი ნდობა უმთავრესი დამახასიათებელი ფასეულობაა ევოლუციისა ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, სულიერი განვითარებისა. მცირე ზეგავლენის ქვეშ მყოფი ცოცხალი არსებები მხოლოდ მისი საშუალებით შეძლებენ ამ გადახრიდან გამოსვლას, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ცოცხალ არსებებს ამ მცირე გადახრის ზეგავლენიდან გამოსვლის სურვილი გაუჩნდებათ.

ჭემმარიტი ნდობა ექვს ძირითად განმსაზღვრელ ცნებაზე ბაზირდება ანუ ექვსი ძირითადი შემადგენელი ნაწილისაგან არის შედგენილი. ესენია: 1) ცოდნა; 2) მოქმედება; 3) მოვალეობა; 4) გაგება; 5) შეუპოვრობა; 6) ბედნიერება. ხოლო სამი სამყაროს ენაზე ისინი ტრანსცენდენტულ თვისებებად არის გამოცხადებული და სამი სამყაროს პირობებზე ასეც არის და შემდეგნაირად არის გადმოცემული: 1) განდევილობა; 2) სიბრძნე; 3) სილამაზე; 4) დიდება; 5) ძლევამოსილება; 6) სიმდიდრე.

1) ზეციური ცოდნა და სამი სამყაროს მიერ ტრანსცენდენტულ განდევილობად აღქმული ცნება მოიაზრებს მეცნიერებას მეობის შესახებ, სადაც, თავისუფლად შეიძლება ითქვას, მთლიანად გაერთიანებულია, ორგანულად შერწყმულია მატერიალური ცოდნა სულიერ ცოდნასთან და ერთიან ინფორმაციად არიან წარმოდგენილნი ურთიერთუთანხმოებისა და დაპირისპირების გარეშე. თავისი ფუნქციონალური დატვირთვით, მატერიალური ცოდნა „მე“-ს შეცნობისა და შეცნობილობის სამსახურში დგას, ხოლო სულიერი ცოდნა კი „მე“-ს შეგრძნებისა და შეგრძნებულობის სამსახურში. რაც შეეხება „მე“-ს ცნებას, ის, ამ გადასახედიდან, მოიაზრებს აბსოლუტურად ყველასა და ყველაფერს მთლიანად მთელი გამოვლინების დიაპაზონში. ასეთია ამ ცოდნის მასშტაბები და მისი ბუნება. ის ეხება აბსოლუტურად ყველაფერს და ვრცელდება აბსოლუტურად ყველგან. ყველა და ყველაფერი გააზრებულად, შეგნებულად თუ გაუაზრებლად, შეუგნებლად ამ ცოდნის ძიებაში არიან, ქვესკნელის ყველაზე უმდაბლესი ადგილიდან, ცათა სასუფევლის ყველაზე უმაღლესი ადგილის ჩათვლით. სწორედ აქ ჩამოყალიბებული ცოდნიდან ხდება პორციალური, დისკრეტული მიწოდება ინფორმაციისა დასამკვიდრებელი ჭემმარიტების შესახებ | სამყაროს უზენაესი წარმომადგენლებისთვის. ე. ი. აქედან ხდება

წარმოქმნილი მცირედი გადახრის აღმოფხვრა, თუმცა, უნდა აღინიშნოს თეორიულ დონეზე, მაგრამ ეს ცოდნა მუდამ ჭეშმარიტად უტყუარია. ვინაიდან, პრაქტიკულად, კონტაქტი მხოლოდ რწმენის უზენაეს წარმომადგენლებთან ხდება, მთელი სამი სამყარო ზეციურ ცოდნას ტრანსცენდენტული განდევილობის სახელით მოიხსენიებს.

2) ზეციური მოქმედება, სამი სამყაროს მიერ ტრანსცენდენტულ სიბრძნედ წოდებული, მოიაზრებს აბსოლუტურად მთელი გამოვლინებისთვის საჭირო და სასურველ საქმიანობას, რომელიც ზეციური ცოდნის საფუძველზე ხორციელდება. ფაქტიურად, ზეციური ცოდნაცა და ზეციური მოქმედებაც მცირე გადახრამდე, მის გამოვლინებამდე არსებულ პერიოდს მოიცავს ანუ იქამდე, ვიდრე ეს დარღვევა გამოჩინდებოდა და უფრო მეტიც, ვიდრე ის ჩაისახებოდა. ზეციური მოქმედებების შედეგები მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის მომტანები გახლავთ. მათში აბსოლუტურად დაცულია პროპორციული გადანაწილება როგორც ერთი ისე მეორე ნაწილის მიმართ. ალბათ გაინტერესებთ როგორ? – ძალიან მარტივად. მატერიალური ცოდნის განხორციელებული ნაწილის ანუ სულიერი კეთილდღეობის ხარჯზე და, უფრო მეტიც, ამ განხორციელებისას უმთავრესი კონცენტრაცია სულიერი კეთილდღეობის დაცვაზე არის გამახვილებული. სულიერი ცოდნის განხორციელება კი არასოდეს არ ხდება მატერიალური კეთილდღეობის იგნორირების ხარჯზე. ამ მოქმედების მთავარი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მატერიალური და სულიერი კეთილდღეობები ერთმანეთის სამსახურში დგანან და ერთმანეთს, მართლაც რომ, ემსახურებიან.

3) ზეციური მოვალეობა, სამი სამყაროს მიერ ტრანსცენდენტულ სილამაზედ წოდებული, მდგომარეობს იმაში, რომ მცირე გადახრის არსებობის პერიოდში ზედმინევენით დაცულ იქნას ამ გადახრის ჩასახვამდე არსებული ცოდნა და მის საფუძველზე წარმოშობილი ზეციური მოქმედება და არავითარ შემთხვევაში არ მოხდეს გადახრის მიერ მოტანილ ცოდნასა და მის საფუძველზე წარმოქმნილ საქმიანობებში შერევა.

აქ სწორედ იმაზეა ლაპარაკი, რასაც წინა ქვეთავში ვწერდი ანუ არ უნდა მოხდეს მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა სულიერი კეთილდღეობის დაზიანების ხარჯზე, ან თუნდაც პირიქით, რაც დედამიწის პირობებში ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენს, ანუ სულიერ კეთილდღეობაზე ზრუნვა მატერიალური კე-

თილდღეობის დაზიანების ხარჯზე. ორივე მათგანი ანომალური შედეგის მომტანია. მცირე გადახრის პერიოდში სამი სამყაროდან ნებისმიერში, ჩვენს მესამე სამყაროშიც კი, ზეციური მოვალეობის შესრულებით ანუ მატერიალური კეთილდღეობის სულიერ კეთილდღეობასთან ჰარმონიაში მოყვანის შემთხვევაში, ნებისმიერი, ვინც ამას მოახერხებს, თვით უშუალო ზეციური მფარველობით ისარგებლებს, მატერიალურადაც და სულიერადაც უზრუნველყოფილი შეიქმნება და, უფრო მეტიც, რაღაც აუნერგელი ტრანსცენდენტული სილამაზით იქნება შემკული.

4) ზეციური გაგება, სამი სამყაროს მიერ ტრანსცენდენტულ დიდებად აღიარებული, მდგომარეობს იმაში, რომ მცირე გადახრის არსებობის პერიოდში ჩამოყალიბებულ იქნას მცირე გადახრის შესაბამისი ეთიკური ცოდნა ზეციური გადასახედიდან, ამის კეთება ხდება როგორც ჩვენი სამი სამყაროს გამოვლინებულ რეალობაში, ისე ამ სამი სამყაროს პარალელურად არსებული ცხრა სამყაროს რეალობაში. ანუ აქ, სამ სამყაროში, თუ მატერიალური ცოდნის განხორციელება სულიერი ცოდნის იგნორირების ხარჯზე ხდება, ამ ცხრა პარალელურ სამყაროში პირიქით, სულიერი ცოდნის განხორციელება მატერიალური ცოდნის იგნორირების ხარჯზე ხდება და ა. შ. წარმოიდგინეთ, ამის დეტალური განხილვის გარეშე, რამდენად უტოპიური იქნება მცირე გადახრის შესაბამისი ეთიკური ცოდნის ჩამოყალიბების მცდელობა ნებისმიერ ადგილზე, გარდა ზეცისა.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ზეციური გაგებაა ის ფენომენი, რომელიც ზეციურ ცოდნას ზრდის და ის ყოველთვის ე. წ. გარდაუვლად აუცილებელ და ქეშმარიტ საქმეს წარმოადგენს, უხეშად რომ ითქვას. რამეთუ, თუ არა ეს გაგება, ვერავინ და ვერაფერი ვერ დააბრუნებს ყოველივეს წონასწორობის მდგომარეობაში.

5) ზეციური შეუპოვრობა, სამი სამყაროს მიერ ტრანსცენდენტულ ძლევამოსილებად წოდებული, მდგომარეობს მცირე გადახრის შესაბამისი ეთიკური ცოდნის ჩამოყალიბებისა და I სამყაროთა უზენაესი პიროვნებების საშუალებით, მთელს 12-ვე სამყაროში გავრცელების შემდგომ, ამ ცოდნის ცხოვრებაში, არსებულ რეალობაში დანერგვაში. მცირე გადახრათა არსებობის ამ ბოლო ფაზაში ზეციური გაგების დამკვიდრება-დანერგვას, რითაც ხდება მატერიალური და სულიერი კეთილდღეობების სრული აღდგენა. ამ ჩვენს სამ სამყაროში ხდება სულიერი კეთილდღეობის აღდგენა,

ხოლო ჩვენი სამი სამყაროს პარალელურ სამ სამყაროში კი, ხდება მატერიალური კეთილდღეობის აღდგენა და ა. შ. თუმც, უმრავლესობა საკუთარი არასწორი ორიენტაციისა და ორიენტაციაზე აღებული ინერციის მსხვერპლი ხდება და საკმაოდ დიდი პერიოდით გამოუვლინებელ მდგომარეობაში გადადის, გააჩნია ვინ სად იმყოფება და, ალბათ, იქამდე მოუწევს ასეთი ყოფა, ვიდრე ახალი გადახრა არ ჩაისახება. ალბათ ამიტომაც ისინი გადახრას უფრო ეთაყვანებიან, ვიდრე ეთიკას. ერთი კია, ყოველივე მათგანი იძულებულია აღიაროს ზეცის ტრანსცენდენტული ძლევამოსილება.

ბ) ზეციური ბედნიერება, სამივე სამყაროს მიერ ტრანსცენდენტულ სიმდიდრედ წოდებული, მდგომარეობს მცირე გადახრის, როგორც ეთიკურ ცოდნად ჩამოყალიბებაში, ისე მისი ქმედით დონეზე სრულ აღმოფხვრაში და კოსმიური კანონზომიერი წონასწორობის აღდგენაში (გაზრდილი მატერიალური და სულიერი კეთილდღეობებით ტკობაში). ზეციური ბედნიერების გადმოცემა აბსოლუტურად შეუძლებელი და უაზრო მცდელობაა. ეს არის ჭეშმარიტი გრძნობის სამყარო, ხორცშესხმული ნეტარება. აქ ხდება მამაკაცური და ქალური სანწყისების ფუნქციონალური და ვიზუალური ასპექტების იდეალური თვითგამოვლინება. თუმც, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ზეციურ რეალობაში მუდამ ასეთი მდგომარეობა დამკვიდრებული, იქნება ეს მცირე გადახრის არსებობის, თუ ამ გადახრის არ არსებობის პერიოდი.

აქ არის იდეალური ოჯახური ცხოვრება, იდეალური საზოგადოებრივი ცხოვრება თუ ნებისმიერი სხვა რამ, რაც შეიძლება პიროვნულ ასპექტებთან იყოს დაკავშირებული. ღმერთების უზენაესი პიროვნების განმარტების შესაბამისად, ვინც მის სასუფეველში ე. ი. ზეცაში მოხვედრას დაიმსახურებს, უკან აღარასოდეს მოუწევს დაბრუნება. აი, რატომ უწოდებს სამივე სამყარო ზეციურ ბედნიერებას ტრანსცენდენტულ სიმდიდრეს.

ნდობის ფასეულობის მამაკაცური და ქალური სანწყისები

ნდობის ქალურ სანწყისს, რწმენის ფასეულობის განხილვისას, გაკვრით უკვე შევხებთ და იგი რწმენის უმაღლესი გამოვლინება აღმოჩნდა. აქ მოდუსებიც კი, სხვანაირ დატვირთვას იძენენ. ჭეშმარიტი ნდობის ფაქტობრივ რეალობაში სრული ურთიერთთანამშრომლობის სულისკვეთება სუფევს აბსოლუტურად ყველა მასში მდებარე ცნებისა თუ ცნების წარმომადგენლების მხრიდან. აღ-

ბათ, უკეთესი იქნება, თუ ყოველგვარი შესავლების გარეშე, პირდაპირ განხილვაზე გადავალ. პირველ რიგში, მინდა ყველაზე დიდი და ყოველივეს განმსაზღვრელი პარამეტრები მოვიყვანო ერთმანეთთან შესაბამისობაში. მოდუსები უშუალოდ დაუკავშირდებიან ისეთ დიდ წარმომადგენლობით ნაწილებს, როგორცაა მატერიალური და სულიერი ცოდნა და მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა. კერძოდ, აქ უკვე სულ სხვა დატვირთვის მქონე ე. წ. უმეცრების მოდუსი, მატერიალური ცოდნის გადმოცემის საშუალება იქნება. თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ეს ე. წ. უმეცრება გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე აქამდე უკვე განხილული ზემოდუსში მოხსენიებული ცნებები. მატერიალური კეთილდღეობის გადმოცემის საშუალება ე. წ. სათნოების მოდუსი გახდება და ესეც მეტად განსხვავებული ნიშან-თვისებებით ხასიათდება. შემდეგ სულიერი კეთილდღეობის გადმოცემა ვნების მოდუსით იქნება გადმოცემული და აქ, სულ ის მახსენდება, როდესაც თვით ბედის ქალღმერთიც კი, უბრალო სოფლელი გოგონების (გოპების) დონის მიღწევას ცდილობსო, ინდუიზმიდან რომ გვეუწყება. და ბოლოს, სულიერი ცოდნის გადმოცემა ზემოდუსის მეშვეობით მოხდება. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ნებისმიერში, ამ ჩამონათვალიდან, მოხვედრა უდიდესი პატივი და ბედნიერებაა. ისინი სულ ყველა ზეცაში მდებარეობენ და ზეციურ რეალობაში არსებობენ.

ნდობის ქალური სანყისის წარმომადგენლები არიან მატერიალური კეთილდღეობა და მატერიალური ცოდნა, მათგან კი მატერიალური ცოდნა ქალური სანყისის ქალურ სანყისს წარმოადგენს, ხოლო მატერიალური კეთილდღეობა ქალური სანყისის მამაკაცურ სანყისს. შესაბამისად, სულიერი ცოდნა და კეთილდღეობა მამაკაცურ სანყისს წარმოადგენს ნდობისა და სულიერი კეთილდღეობა მამაკაცური სანყისის ქალურ სანყისს წარმოადგენს, ხოლო სულიერი ცოდნა კი, მამაკაცური სანყისის მამაკაცურ სანყისს.

ჰელიოცენტრიზმი

ამ ცნების წარმოთქმისას იგულისხმება ის, თუ რაზე კეთდება მისი მიმდევარი ყველა და ყველაფრის მიერ ცენტრირება (დაფუძნება და ხელმძღვანელობა). ჰელიოცენტრიზმი მე ვგულისხმობ მთელ კოსმიურ გამოვლინებულობაზე ორიენტაციასა და ამის შესაბამისად ადაპტაციას, ფიქსაციას, ინერციასა და იმპროვიზაცი-

ულ ინტერპრეტაციას. ცალკეულად დაშლა დროის, სივრცის, კოსმიური გამოვლინებისა, თუ ცალკეული ინტერესებისა ამ გადასახედიდან, უხეშად რომ ითქვას, აზრს კარგავს, ანუ ეს ყოველივე ერთ გლობალურ, ამ შემთხვევაში, ბუნებრივად აუცილებელ და საჭირო საკითხად დგება. ეს მიდგომა ზოგადი ცნობიერების უმაღლესი ჩამოყალიბებისა და გამოვლინების საშუალებას იძლევა. აქ ჩამოყალიბებული ზოგადი ცნობიერება მთელი დანარჩენი ნაწილისათვის მთელი კოსმიური რეალობის დასამკვიდრებელ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. წინსართში „ჰელიო“ იგულისხმება მთელი, სრული კოსმიური რეალობა ყველაზე უმცირესი ნაწილაკის გათვალისწინებით. ასეთ მიდგომას, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ცოცხალი არსებები ან ძალიან მცირე ხნით ივითარებენ, ან საერთოდ ვერ ივითარებენ, საკუთარი ინდივიდუალიზმის გამოვლინების დაუძლეველი სურვილის გამო. ეს მიდგომა კი, აბსოლუტური არაინდივიდუალიზმის საკუთარ არსში დამკვიდრებისა და განვითარების მცდელობა გახლავთ. თუმც, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ის, რომ როდესაც კოსმოსში გადახრა აღმოფხვრილია (ქვესამყაროების, ჯოჯოხეთის გარდა), ჰელიოცენტრიზმით დაკავებული წარმომადგენლობითი ნაწილი გაჯერებულ მდგომარეობაში, ტრანსცენდენტულ ჰარმონიაში გადადის და მიღებული შედეგით კოსმოსში ეთიკური სრულყოფილი მდგომარეობის დამყარებით სრულყოფილ ბედნიერებასა და სიტკბოებაში იმყოფება ინდივიდუალური პიროვნული სახით.

აქ კიდევ ერთ, უკანასკნელ დამატებას შემოვიტან კოსმიური წარმონაქმნის აღწერილობის შესახებ და ეს უკანასკნელი გართულებული ფორმის გადმოცემის მცდელობა იქნება ამ წიგნში, თუმც, უნდა ვაღიარო ყველაზე გლობალური.

ზეცა, როგორც ეს ამ წიგნშია მოხსენიებული, სინამდვილეში მთელი, სრული კოსმიური გამოვლინებულობის შუაში, ცენტრში იმყოფება ბირთვის ფორმით გამოვლენილი. მთელი ეს გამოვლინებულობა კი წარმოუდგენლად დიდ ბირთვს წარმოშობს. ის ცენტრალური ბირთვიდან გამომავალი ოთხი უხილავი ღერძით, ოთხ ნაწილადაა დაყოფილი. თითოეულ ნაწილს თავისი ფუნქციონალური დატვირთვა გააჩნია. თუ უმთავრესს აღვნიშნავთ, ეს მატერიალური ცოდნის, მატერიალური კეთილდღეობის, სულიერი კეთილდღეობისა და სულიერი ცოდნის ღერძებად შეიძლება მოინათლოს. დარღვევა ხომ სწორედ მათი ურთიერთობების შესაბამისობაში ვერ მოყვანის შედეგი გახლავთ და მეტი არაფერი. თითოეულ



ღერძს თავისი მმართველი, მოძღვარი ჰყავს, რომელიც ჩვენთვის ზესულის სახელით არის ცნობილი, ანუ, ოთხი ზესული ახდენს მთელი კოსმოსის მართვა-განგებას, ინფორმაციის შეკრებას, კოსმიური კანონების ზედმინევნით დაცვას. აი მაგალითად, მთელი ეს III ანუ მატერიალური სამყარო, ამ სამყაროს ზემოთ მდებარე II სამყარო ანუ ე. წ. სამოთხე და ამ სამყაროს ზემოთ მდებარე I სამყარო ანუ ე. წ. ცათა სასუფეველი სწორედ ერთ-ერთი ამ ზემოდულის მიერ არის მართული ანუ, თუ მარტივი არითმეტიკით ვიხელმძღვანელებთ ასეთი ტიპის სამი სამყარო თავისი ქვესამყაროებით კიდევ სამია ამას გარდა. ჩემი ვარაუდით, ეს ჩვენი სამივე სამყარო მაინც მატერიალური კეთილდღეობის განყოფილების გარშემო დაკვირვების საშუალებას წარმოადგენს. სადღაც სხვა ე. წ. პარალელურ სამ სამყაროში, სადაც, მაგალითად, მატერიალური ცოდნის განყოფილების გარშემო დაკვირვება ხდება, კოსმოსურ ხომალდებს ქმნიან, რითაც ჩვენს პლანეტამდე მოფრენაც კი შეუძლიათ ან, ავილოთ სხვა ე. წ. პარალელური სამყარო, სადაც სულიერი კეთილდღეობის ცოდნის განყოფილების გარშემო მიმდინარეობს დაკვირვება, ვთქვათ, ჩვენს პლანეტასთან სულიერი კონტაქტის დამყარება ხდება და ა. შ. ვფიქრობ, მაკეტი, რასაც ვიძახი, გასაგებია მეტ-ნაკლებად. ისე, საერთო ჯამში, მაინც ის აზრია ყველაზე სალი და ნორმალური, რომ ამ ოთხ ღერძზე მატერიალური ცოდნის, მატერიალური კეთილდღეობის, სულიერი კეთილდღეობის თუ სულიერი ცოდნის პრიორიტეტული ორიენტაციული მიმართულებები პერმანენტულად ცვლილებას განიცდიან და ერთმანეთში გადასვლას ახდენენ. ისე, რომ თუ სქემატურად ავანყობთ, დღესდღეისობით, ეს სამივე სამყარო, რომელშიც ახლა ჩვენ ყველანი ვიმყოფებით სულიერ ცოდნაზე ორიენტირებულობის მდგომარეობაში გადავა. სქემა კი შემდეგნაირია:

სულიერი ცოდნა — მატერიალური კეთილდღეობა — სულიერი კეთილდღეობა — მატერიალური ცოდნა — სულიერი ცოდნა და ა. შ.

ეს სქემა ზემოდან ქვემოთ არის ანუობილი ანუ ზემოდან ხედვისა და მისი რეალობის გათვალისწინებით, ხოლო ქვემოდან ზემოთ კი ის შემდეგნაირად გამოიყურება.

მატერიალური ცოდნა — სულიერი კეთილდღეობა — სულიერი ცოდნა — მატერიალური კეთილდღეობა — მატერიალური ცოდნა და ა. შ.

რაც შეეხება ოთხი ზესულის ურთიერთდამოკიდებულებას, ისინი მთელი, სრული გამოვლინებული კოსმოსის ცენტრალური ბირთვის ზეცის ცენტრში არსებულ ცენტრში მყოფი ღმერთების უზენაესი პიროვნებების ინკარნაციებად შეიძლება წარმოვიდგინოთ და წარმოვადგინოთ და ამ პიროვნებებში ახდენენ მთელი ინფორმაციის კონცენტრაციას, დაგროვებას და, კოსმოსში არსებული დაპირისპირების მთლიანად აღმოფხვრამდე, საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის შეგროვებას აგრძელებენ, კოსმოსში მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვებით და მიმდინარე მოვლენებში სრული ჩაურევლობის პრეზუნციის დაცვით.



პირველ ნახაზზე, ძალიან უხეში ფორმატითა და ყოველგვარი შიდა ნაწილების აღუნიშნავად, გადმოცემულია მთელი სრული კოსმიური გამოვლინებულობის ფორმაციული სახე კოსმოსში არსებული მცირედი გადახრის არსებობის პერიოდში.

მეორე ნახაზზე, პროპორციების არანორმალურად, უაზროდ დიდი დარღვევის და შიდა ნაწილების აღუნიშნავად, გადმოცემულია მთელი, სრული კოსმიური გამოვლინების ფორმაციული, ზედაპირული სახე კოსმოსში გადახრის არ არსებობის, სრული ტრანსცენდენტული ჰარმონიულობის პერიოდში.

აი, ასეთი გახლავთ, ჩემთვის მონიჭებული შეხედულებების ქონის შესაბამისად, ზეციური რეალობა და ზეციური გადასახედიდან მთელი კოსმიური გამოვლინებულობის ცნობიერი არსი და მათი ვიზუალური სახე.

ჭეშმარიტი ნდობისა და ჭეშმარიტი რწმენის ზედღების შედეგად მიღებული მცნებები

ნდობის ფაქტორთან დაკავშირებით რამდენიმე რეკომენდაცია მსურს ჩამოვყალიბო ამ წიგნის დასასრულს:

სულიერი კეთილდღეობის მუტაცია

- 1) საკუთარი პიროვნების მხრიდან ნებისმიერი სხვა პიროვნებისათვის ნდობის გამოცხადება, მასში ჭეშმარიტი რწმენის არ არსებობის შემთხვევაში, არათუ მასში არაეთიკურობის აღმოფხვრას მოემსახურება, არამედ პირიქით, ნდობის გამომცხადებელ პიროვნებასაც დააავადებს იმ არაეთიკურობით, რომელიც კონტაქტორ არაეთიკურობის მქონე პიროვნებას გააჩნია.

სულიერი ცოდნის მუტაცია

- 2) ჭეშმარიტი რწმენის აბსოლუტურად სრულად ქონის შემთხვევაშიც კი, ამ რწმენის ნდობის იგნორირებით გამოყენების მცდელობა იმ პიროვნებებთან მიმართებაში, ვისთანაც ეს მცდელობა იქნება გამოყენებული, ამ პიროვნებების იძულებაში მოქცევის აუცილებლობას გამოიწვევს და მათგან არაეთიკურობის აღმოფხვრა მოჩვენებითი იქნება, სინამდვილეში მათი არაეთიკურობა ოდნავადაც არ შემცირდება.

მატერიალური კეთილდღეობის მუტაცია

- 3) ნდობის მიღების სურვილი ქვეშაღი რწმენის ქონის გარეშე, მისი იგნორირებით, ამ პიროვნებაში არაეთიკურობის გაზრდას იწვევს და აიძულებს მას ისეთ გზას დაადგეს, რასაც გარყვნილება ჰქვია, რამეთუ მისი მიზნის მიღწევა მხოლოდ პროვოკაციული ვიზუალური ეფექტით შეიძლება.

მატერიალური ცოდნის მუტაცია

- 4) რწმენის მიღების სურვილი ნდობის გარეშე, მისი იგნორირებით, გარემოში, კოსმოსში არაეთიკურობის გაზრდას იწვევს და ასეთ პიროვნებას აიძულებს დაუნდობელი, სასტიკი და შიშისმომგვრელი იყოს აბსოლუტურად ყველასათვის.

და რადგანაც ნდობისა და რწმენის გამოყენების ნეგატიურ ასპექტებს შევხვებით, კარგი იქნება მათი გამოყენების პოზიტიური ასპექტებიც ჩამოვყალიბოთ, როგორც წამალი თვითგანკურნებისათვის.

სულიერი კეთილდღეობის მიღება-მინიჭების საშუალება

- 1) საკუთარი პიროვნების მხრიდან ნებისმიერი სხვა პიროვნებისათვის ნდობის გამოცხადება, რომელსაც ქვეშაღი რწმენა გააჩნია. ეს არც მასში გამოიწვევს არაეთიკურობის მატებას და არც იმ პიროვნებაში, ვისთანაც კონტაქტში შევა. ამ შემთხვევაში არანაირი სულიერი ცოდნის ზრდას ადგილი არ ექნება, მაგრამ ისინი ერთმანეთს ქვეშაღითად სულიერ კეთილდღეობას მოუტანენ.

სულიერი ცოდნის მიღება-მინიჭების საშუალება

- 2) საკუთარი პიროვნების მხრიდან მასში არსებული ქვეშაღი რწმენის მხოლოდ იმ პიროვნებებისთვის მიცემა მიზანშეწონილი, რომლებიც ქვეშაღითად ენდობიან მას. ეს კი იმით განისაზღვრება და გაიზომება, რომ უნდა გაცივს იმაზე, ვისაც სურს და ითხოვს და იმდენი, რამდენსაც ითხოვს. ეს კონტაქტში შესული პიროვნების სულიერ ცოდნას გაზრდის და თავად ამ პიროვნებას საკუთარი სულიერი ცოდნის გაზრდის უფლებასა და შესაძლებლობას მინიჭებს. ნებისმიერ ზედმეტობას უკუეფექტი ექნება.

მატერიალური კეთილდღეობის მიღება-მინიჭების საშუალება

- 3) ნდობის მიღების სურვილი პიროვნებას საკუთარი ქვშმარიტი რწმენის შესაბამისი უნდა ჰქონდეს. რეალურად ეს ნდობის ის რაოდენობა და ხარისხია, რისი ღირსიცაა და რასაც ქვშმარიტად იმსახურებს. ეს ამ პიროვნებასაც და მათაც, ვისთანაც ის კონტაქტში იქნება, მატერიალურ კეთილდღეობას მოუტანს. სხვა შემთხვევაში მიღებული მატერიალური კეთილდღეობა ვაჭრობის, საკუთარი სულისა და სხეულის გაყიდვის შედეგი იქნება.

მატერიალური ცოდნის მიღება-მინიჭების საშუალება

- 4) რწმენის მიღების, საკუთარ „მე“-ში დარწმუნებულობის სურვილი პიროვნებას მის გარშემო წარმოქმნილი რეალობის (საკუთარი სულის ანარეკლის) მიმართ არსებული შიშისა და უნდობლობის საკუთარ პიროვნებაში აღმოფხვრით, ანუ ობიექტური რეალობის ნდობითა და მიღებით აუსრულდება. იგი უნდა მიხვდეს იმას, რომ სხვა კონტაქტორი პიროვნებები საკუთარ პიროვნებაში არსებული ქვშმარიტი რწმენის დეფიციტის დანახვის საშუალებები არიან. ასეთი მიდგომა ამ პიროვნებას მატერიალურ ცოდნას მოუტანს და თავად გახდება მატერიალური ცოდნის წყარო და პატივისცემის საგანი იმ პიროვნებათა მხრიდან, რომლებიც მასთან ადრე დაპირისპირებაში იყვნენ და დასცინოდნენ.

ბოლოსიტყვაობა

ეს წიგნი, თავისუფლად შეიძლება ითქვას, მთლიანად „ბჰაგავად-გიტაზე“ და მის საფუძველზეა აგებული. წიგნის დასასრულსაც „ბჰაგავად-გიტას“ მეცამეტე თავში გადმოცემული ინფორმაციით დავაგვირგვინებ. ის ციტატა, რომლის ციტირებასაც ახლა მოვახდენ ნამდვილად არის გვირგვინი ცოდნისა:

„მორჩილება; თავმდაბლობა; არაძალადობა; მოთმინება; უბრალოება; ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის მიმართვა; სისუფთავე; სიმტკიცე; თავშეკავება; გრძნობათა დაკმაყოფილების ობიექტებისაგან აღკვეთა; ცრუ „ეგო“-ს არ ქონა; ცოდნა იმისა, რომ დაბადება, სიკვდილი, სიბერე და ავადმყოფობა ბოროტებაა; განჯაჭვულობა; თავისუფლება შვილების, ცოლის, სახლისა და სხვა დანარჩენის ტყვეობისაგან; სიმშვიდე სასიამოვნო და არასასიამოვნო შემთხვევების დროს; ჩემდამი მუდმივი და წმინდა ერთგულება; განმარტოვებულ ადგილზე ცხოვრების სურვილი; ხალხთა მასებს ჩამოცილება; თვითრეალიზაციის მნიშვნელობის შეგნება; აბსოლუტური ჭეშმარიტების ფილოსოფიური ძიება. მე ვაცხადებ, რომ ეს ყველაფერი ცოდნაა, ამის გარდა კი, რაც არ უნდა იყოს, უგუნურებას, უმეცრებას წარმოადგენს“.

აი, ეს არის ის ციტატა, რომელზედაც მოგახსენებდით, მე უბრალოდ შევეცდები ამ ცოდნის დაკომპლექტებას ისეთი ფორმით, რომ ის უფრო გასაგები და ხელმისაწვდომი გახდეს სულიერ ცოდნაში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანებისათვის, რომელთაც ამ გრძელ ჩამონათვალში, ამ ოც ფასეულობაში სერიოზულად გაუჩინდებათ გარკვევისა და მათში სიღრმისეულად ჩახედვის სურვილი.

ბჰაგავატ-გიტას საფუძველზე
თვითგანსაზღვრისათვის შექმნილი ცხრილი

	ამბიცია სხვადასხვა მცდელო- ბები	ემოცია სხვადასხვა გრძნობები	გონება მომქმედი	გრძნობა ქმედების ადგილი	ჭკუა ზესული
ამბიცია უმეცრების მო- დუსი	მორჩილება	უბრალოება	თავშეკავე- ბა	განჯაჭვეუ- ლობა	განმარტო- ვებულ ად- გილზე ცხოვრების სურვილი
	ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა				
ემოცია სათნოების მოდუსი	თავმდაბ- ლობა	ჭეშმარიტი მოდღვრის მი- მართვა	გრძობათა დაკმაყოფი- ლების ობი- ექტებისაგან ალკვეთა	თავისუფლე- ბა ცოლის, შვილის, სახ- ლის და და- ნარჩენისა- გან	ხალხთა მასებს ჩა- მოციელე- ბა
	ო ჯ ა ხ ი				
გონება ვინების მოდუსი	არაძალა- დობა	სისუფთავე	ცრუ ეგოს არ ქონა	სიმშვიდე სასი- ამოვნო და არა- სასიამოვნო შემთხვევების დროს	თვითრეა- ლიზაციის მნიშვნელო- ბის შეგნება
	მ ე ო ბ ა				
გრძნობა მოდუსებზე ამაღლება	მოთმინება	სიმტკიცე	ცოდნა იმისა, რომ დაბადე- ბა, სიბერე და სიკვდილი ბოროტებაა	ღმერთების უზენაესი პი- როვნების მი- მართ მუდმი- ვი და წმინდა ერთგულება	აბსოლუ- ტური ჭეშ- მარიტე- ბის ფი- ლოსოფი- ური ძიება
	ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა				

კომპიუტერული ანყობა *დათო ყანდაშვილი*
ყდის დიზაინი *ნანა ყანდაშვილი*



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

